საქარ... ...ჭედია ბაზ... ...ა თბილი... ...ასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეულ... №36 (715 ... 8-14 აგვისტ... ფასი 1,50 ლარი



გვ. 22

როდის აღმოაჩინა ზუკა ხუციშვილმა, რომ ჟურჟელი თავისით არ ირეცხებოდა, რა მოუტანა მას ამერიკაში ცხოვრებამ და თქვა თუ არა უარი სიმღერაზე

გვ. 78

როდის გრძნობდა ნინა სუხლატი თავს „ნიხლქვეშ გავარდნილივით“ და რის მერე დაეწყო მას დეპრესია

გვ. 70

როგორ ცდილობენ სოფო ტოროშელიძე და მისი მეუღლე, რომ მათი სიყვარული მუდამ „ცხელი“ იყოს და რა სიურპრიზებს უწყობენ ისინი ერთმანეთს

გვ. 82

როგორ გადაიზარდა სალომე გოგიაშვილის შვილის ნათლობა ქორწილში და რატომ რცხვენოდა მას სამშობიაროდ საავადმყოფოში მისვლა

## კვირის ფრაზები

- ციხეში ჩემთვის დამატებული კარები ჩემ შემდეგ ვანო მერაბიშვილს გამოადგა
- მინდა ჩემი სიძეც ისეთივე წმინდა, სამეფო ჯიშის იყოს
- როგორც კი დანა დამადო, დავწყნარდი...
- ქმარმა არაფერი იცის და საყვარელიც დარწმუნებულია, რომ გათხოვილი არ ვარ

ISSN 1987-569X
9 771987 569002



ვისი კოლექციის სახე გახდა ანასტასია იგონინა და სად უწევდნენ მას მენტორობას მსოფლიოს ცნობილი ტოპ-მოდელები

გვ. 74



გვ. 23

როგორი „მამა“ გამოდგა გიორგი ვარდოსანიძე ცოლის ნაჩუქარი სიურპრიზისთვის და რატომ ვერ გაბედა მოსწავლის ნაჩუქარი „ბოთეს“ სახლში მიყვანა სალომე ჭაჭუამ



გვ. 12

რა სასწაულები აღესრულებოდა საუკუნეების განმავლობაში ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და როგორ მიდიოდა ყოველ გიორგობას ტაძარში სამსხვერპლო ხარი თავისი ფეხით

მძაფრსიუჟეტიანი სასიყვარულო რომანი გაგრძელებით




ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად – ფასი 3 ლარი

# იღბლიან კვირას გისურვებთ!


კორესატინი
ზაფხული სოკოს გარეშე
კორესატინი
სოკოვანი დაავადებებისთვის
30გ კრემი
ამარცხებს სოკოს!
მოწოდებულია სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის
სიცხე, მაღალი ტენიანობა და ულტრაიისფერი გამოსხივება აზიანებს კანს, ქმნის სოკოვანი დაავადებისათვის ხელსაყრელ პირობებს.
ტერფის ჭარბი ოფლიანობა, აუზსა და ზღვაში ბანაობა, საერთო საშხაპის გამოყენება ხელს უწყობს ტერფის სოკოს გავრცელებას.
კორესატინი
ხელს უშლის კანში სოკოს უჯრედების შეღწევას და გამრავლებას
აუმჯობესებს კანის ასეპტიკურ მდგომარეობას
აღადგენს კანის დამცველობით ფუნქციას
იცავს კანს გამოშრობისგან
ამცირებს გამონაყარს, აქერცვლას, კანის გაღიზიანებას და ნახეთქებს
სწრაფად ხსნის წვას და ქავილს
კორესატინი
სოკოვანი დაავადებებისთვის
30გ კრემი
ამარცხებს სოკოს!
ზღვაზე ან აუზზე ყოფნისას ყოველდღიურად გამოიყენეთ კორესატინის კრემი სოკოვანი დაავადებებისთვის
დაიცავით თავი ტერფის სოკოსგან:
თითებშუა ნაოჭების აქერცვლა და სიწითლე
ქუსლის კანის გაუხეშება და ნახეთქები
კორესატინი დაიტანება სუფთა, კარგად გამშრალებულ კანზე დღეში რამდენჯერმე.
coresatin
coresatin
Corena Therapeutics Sarl, შვეიცარია
უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისას!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




როგორ ახდა ჯოხარ დუდაევის ყველა წინასწარმეტყველება რუსეთის ქმედებების შესახებ და რა შემთხვევაში ივარაუდა მან მოვლენების გარდაუვლად ბირთვული ომით დასრულება ............ 6

როგორ ჩაანაცვლეს გალელებმა აფხაზეთის სომხები, რატომ გადანაწილდნენ აფხაზეთის სიღრმეში და როგორ გაანეიტრალეს „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ქართველების ხმები ................................ 8

როგორ გახდა „ნატახტარი 2012-ისა“





და „ბარამბო 2010-ის“ დამფუძნებელი შავი ქამრის მფლობელი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ............................ 9

რა სერვისს სთავაზობს სამუშაოს მაძიებელ მოსახლეობას სახელმწიფო, სად უნდა გააგზავნოთ თქვენი მონაცემები და რამდენად იზრდება თქვენი დასაქმების შანსი ..................... 10

რა სასწაულები აღესრულებოდა საუკუნეების განმავლობაში ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და როგორ მიდიოდა ყოველ გიორგობას ტაძარში სამსხვერპლო ხარი თავისი ფეხით ............................... 12





ვის „დაუტოვა“ ნორა კვიციანმა ციხეში მისთვის დამატებული რკინის კარი და სად დაჰყავდათ ის „კანონიერ ქურდებთან“ ერთად ............ 16

იგეგმება თუ არა თბილისში ნატაძრალი შენობების აღდგენა და რა სირთულეები ახლავს ამ პროცესს ....... 17

რა ბიზნესიდან რჩებოდა თვეში ოცდაათი ათასი დოლარი ვახტანგ რჩეულიშვილს და თავისი ცხოვრების რა ეტაპი „ჩახურა“ მან 24 წლის ასაკში .................................... 19

აქვს თუ არა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში მნიშვნელობა სიყვარულს და რას აღარ აკეთებენ ქალები ოჯახის შესანარჩუნებლად ..... 20

რატომ იკლო ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვმა და როდის ხდება სასულიერო პირი მათი დაბრკოლების მიზეზი ................ 24





რატომ ამოაჭრევინა ჯაბა იოსელიანმა ქირურგს ნაწლავი ციხის საავადმყოფოში და ვის ამოუგდო მან ცალი თვალი ................. 30

ვინ ეძებს მამას ესტონეთიდან თბილისში და რატომ დაკარგა ერთმანეთი მამა-შვილმა ..................................................... 31

როდის ხდება ადამიანი საკუთარი ბარაქის გამთვალავი და რატომ არ შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ ნაგვის გადაყრა ..................................................... 32

როგორ შევიცნოთ, შევცვალოთ და განვავითაროთ საკუთარი თავი, რომ მომავალში უკეთესი ცხოვრება შევიქმნათ ................................................. 36

სტალინი მტრების ნაშრომებს გულდასმით ეცნობოდა და მათ წიგნებს ცალკე კარადაში ინახავდა ................... 37

ადვოკატი გირჩევთ......................54

როგორ ვხარჯოთ ბენზინი ეკონომიურად........55

კაცობრიობის გადასარჩენად..........56

მაფიის შვილობილი...........60

როგორ გააცურეს „კაგებე“ ქართველმა მაიორმა და ცირკის აკრობატმა მსახიობმა..............64

რატომ აირჩია სამჯერ ნასამართლევმა მამაკაცმა სექსუალური ძალადობისთვის ნათესავი და როგორ მოხდა გაუპატიურება ბრმა დედამთილის გვერდით..................65

ვინ სთხოვს ქართულ კლუბებში ათუკა ედიშერაშვილს მუსიკის გათიშვასა და სადღეგრძელოს წარმოთქმას და როგორია გართობა დიჯეისთვის..............71

როგორ შექმნა თეატრალური ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა მიხეილ დარსალიამ ყველაზე მოუხელთებელი და სასტიკი ბანდა – „ფანტომასები“......72





გვაქვს თუ არა სარისკო ზონები ვულკანური ამოფრქვევების თვალსაზრისით საქართველოში და შეუძლია თუ არა ადამიანს „ხელი შეუწყოს“ ვულკანის გააქტიურებას ........................................... 73

კომპოზიტორ ნანა დაუშვილის არტ-სტუდიის კიდევ ერთი წარმატება და ქალთა კვარტეტი, რომელიც მსმენელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს .................... 75

როგორ გამოიხატა მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოს დიდი მომავალი საეკლესიო არქიტექტურაში ......................................... 76

ვინ გააუქმა ძველ რომში ბავშვთა მსხვერპლშეწირვა და რით შეცვალა ეს ტრადიცია .................................................. 77

რა არის კრიშნა და ჰყავს თუ არა მას მიმდევრები საქართველოში ................. 79



## წიგნი, რომელსაც ველოდით

**გიყვართ სასიყვარულო რომანები?**

**უმეტესობას უყვარს, დანარჩენებს უყვართ დეტექტივები.**

**იცით, ბოლო ქართული სასიყვარულო რომანი როდის დაიწერა?**

**გასულ საუკუნეში...**

**მაგრამ, ასე იყო გუშინდლამდე!**

**დღეიდან ქართველ მკითხველს აქვს „ალიხანი და ნინა“ – პირველი ქართული თანამედროვე მძაფრსიუჟეტიანი სასიყვარულო რომანი.**

**...ეს ნამდვილი სიყვარულის ამბავი ჩვენს დროში მოხდა. რომანი-სერიალი მძაფრი დეტექტიური სიუჟეტით, ოჯახური საგა, ისტორია ბიზნესიმპერიებსა და საერთაშორისო კრიმინალზე...**




**„ალიხანი და ნინა“ – ეს არის მოგზაურობა თავბრუდამხვევი სიყვარულის ლაბირინთებში, მაღალმხატვრული გასართობი ლიტერატურა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.**

**ყოველ ორ თვეში იხილავთ მომდევნო ტომს.**

**უფრო მეტი „ალიხანისა და ნინას“ შესახებ**
**facebook / ალიხანი და ნინა**

# მონღოლურ-რუსული სიყვარული

## მარცხი ელანძეა

სანამ **დანარჩენი ცივილიზებული სამყარო იმაზე იჭყლეტს ტვინს, რა სანქციები დაუწესონ რუსეთს** და ერთი **ეფექტიანი ვერ მოუგონიათ**, ამასობაში **პრ. პუტინმა მონღოლეთი მოიარა.**

მოიარა და **იმდენად ნაყოფიერად, რომ მხარეებმა მონღოლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის უვიზო მიმოსვლის შეთანხმებასაც მიაღწიეს**.

მთლად **უკიდეგანოსაც არა, მაგრამ მონღოლებსა და რუსებს** (ანუ, მონღოლეთისა და რუსთეის მოქალაქეებს) **ერთმანეთის სამშობლოებში** აწ უკვე **30 დღით შეეძლებათ უვიზოდ შესვლა-დარჩენა.**



ოღონდ **მხოლოდ ამას არ დასჯერებულან და კიდევ 15 შეთანხმებისთვისაც მოუწერიათ ხელი**, მათ შორის, **სამხედრო სფეროში თანამშრომლობისთვისაც**. სახელდობრ, **რფ იღებს ვალდებულებას, რომ მონღოლეთს უანგაროდ გაუწიოს სამხედრო-ტექნიკური დახმარება**, ამასთან, **რფ-მ მონღოლეთიდან მესაქონლეობის პროდუქციაზე დაწესებული შეზღუდვაც გააუქმა**. ზედაც, ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა საზეიმო ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა – ერთობლივად აღნიშნეს საბჭოთა და მონღოლური არმიების მიერ იაპონიის არმიაზე გამარჯვების 75-ე წლისთავი.

მართალია, ეს ის შემთხვევა, ორივე მტკვარში დაგვახრჩობინაო (ისტორიული მწარე სინამდვილის გათვალისწინებით), მაგრამ, **თუ გავიხსენებთ, რომ** მათ შორის, **ყირიმი და სრულად ნახევარი რუსეთი,** არც მეტი, არც ნაკლები, მონღოლების **ოქროს ურდოს ეკუთვნოდა**, წესით, **ძალიანაც არ უნდა მიეძალოს ეს ჩვენი ჩრდილოელი მონღოლეთისთვის სამხედრო დახმარებას**, თორემ, რომ მოძლიერდება, ემანდ **ისტორიული მონღოლური ტერიტორიების შეერთება არ გადაწყვიტოს.** –

# რჩეულთა მოხერხებულობა

## ასანთის ღერებით მოთამაშენი

რაკი **პარლამენტის თბილისური შენობის რეკონსტრუქცია დასრულდა** (სერიიდან – **ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**), პარლამენტის თავმჯდომარემ **იგი ჟურნალისტებთან ერთად დაათვალიერა და ტექნიკური სიახლეებიც გააცნო.**



კერძოდ, **პარლამენტის შენობა თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა,** რაც **დეპუტატებს**, თუ იმ ბედნიერ დღეს მოესწრნენ, როდესაც შესაძლებელი იქნება პლენარული სხდომების თბილისში ჩატარება, **კანონპროექტების ელექტრონული ფორმით გაცნობის საშუალებას მისცემს თვით სასესიო დარბაზში.**

თუმცა ეს **იმ ნოვაციასთან შედარებით, რაც სასესიო დარბაზს შეემატა, ზღვაში წვეთია**: სახელდობრ, **ამიერიდან დაძლეულია თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის სასესიო დარბაზში ხმის მიცემის ღილაკის გაჭედვის პრობლემა**!!!

საქმე ის გახლავთ, რომ **ქუთაისურ პარლამენტში ჩვენს ჩაუქ კანონმდებლებს აღმოუჩენიათ**, რომ **ხმის მიცემის ღილაკში ასანთის ღერის ჩარჭობის შემთხვევაში, ავტომატურად იყო შესაძლებელი ხმის მიცემა**, ანუ პარლამენტარის მოვალეობის შესრულება, **მაშინაც კი, როდესაც ხმის მიცემის ღილაკის პატრონი ხალხის რჩეული დარბაზში არ იმყოფებოდა** (ანუ გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო).

ახლა, თუკი ან როცა **სესიები დედაქალაქში გაიმართება,** ეს **მანევრი აღარ გაჭრის** და **დეპუტატს, თუ ხმის მიცემა უნდა, დარბაზშიც მოუწევს ყოფნა.**

ჩემთვის ძნელია იმის თქმა, **რატომ უნდა ითაღლითოს ასანთის ღერით კანონშემოქმედმა** ან **რა კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე**, მაგრამ, შესაძლოა, **პარლამენტის ერთი-ორი შენობა კიდევ რომ აგვეშენებინა**, საბოლოოდ, **რჩეულებისთვის კანონპროექტების წაკითხვაც გვეიძულებინა**! –

# იძულება მამობისთვის

## ანუ „ვეღარ მოიტაცეს თამარ-ქალი“

შესაძლოა, **ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით,** ან, სულაც, ამ **გავეშებული ძალადობის,** თუ მთლად აღმოსაფხვრელად არა, **შესანელებლად მაინც**, საქართველოს **პარლამენტის კედლებმა უკვე იხილა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი**, რომელიც ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ახალი ნორმების შემოღებას ითვალისწინებს. –

ცვლილებები **„სისხლის სამართლის კოდექსშია“** მოსალოდნელი, რომელსაც ემატება მუხლი – **ქორწინების იძულება** (დაახლოებით, იმ სტილში – ყველაფერი გამიგია, მაგრამ, ეს მოტობურთი რაღააო?!). სახელდობრ, ახალი მუხლით, **ქორწინების, მათ შორის არარეგისტრირებულის, იძულება დაისჯება** საზოგადოებისათვის **სასარგებლო შრომით** – ასე, **200-დან 400 საათამდე** ან, სულაც, **თავისუფლების აღკვეთით – 2-დან 4 წლამდე.**

**ცვლილებები** საშურია, მეტიც, შესაძლოა, **დაგვიანებულიც, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი მონარქი ქალბატონი უვარგის, თან, ჯვარდაწერილ ქმარს, თვით მეთორმეტე საუკუნეში განეშორა!**

თუმცა, ამის პარალელურად, თუ გავიხსენებთ **სავალალო სტატისტიკას,** რომ **ყოველი მესამე უარს ამბობს შვილებისთვის ალიმენტის გადახდაზე**, ვფიქრობ, **საკანონმდებლო ცვლილებებით მამის ფუნქციის შესრულების იძულებაც არ გვაწყენდა**. –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**
პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# ძირს ნაგავი!

თავის დროზე **ნაგვის დაყრის გამო დაწესებული ჯარიმები საზოგადოების ნაწილმა ფრიად მკაცრად გააკრიტიკა** – ერთი ფურცლის გადაგდება 200 ლარად რად უნდა



დაგვიჯდესო, თუმცა **გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნაგავში დახრჩობის მსურველები იმაზე მეტნიც კი ყოფილან** ჩვენ გვერდით, **ვიდრე ნაგვისმყრელებისთვის 200-ლარიანი ჯარიმის დაწესების მოკრიტიკეებს** გვეგონა თუ **ეგონათ.**

## ანუ გაღორდი საკუთარი ხარჯით

უფრო ზუსტად, **ნაგვის ყრისადმი მავნე მიდრეკილებამ განსაკუთრებით 2012 წლის ოქტომბრიდან იჩინა თავი** (სავარაუდოდ, იმ იმედით, ქართველი პოლიციელი, აბა, როგორღა გამიმეტებს რაღაც ნარჩენების გამოო), ხოლო, რაკი ასე მოხდა (ანუ **სისუფთავისადმი ლტოლვის მაჩვენებელი ჯეროვანი არ აღმოგვაჩნდა და**, ვაი რომ, **ოდენ დასჯის შიშით ყოფილა დათრგუნვილი**), გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ **პრემიერ-მინისტრს გარემოს დაცვის სამინისტროსთვის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადება დაუვალებია** – რათა ნარჩენები ხარისხიანად ვმართოთ!

ჯერჯერობით, პროექტის თანახმად, უშუალოდ **ნაგვისმყრელებს ჯარიმები 20 ლარიდან 5-ნიშნა ციფრამდე ელით**, იმის მიუხედავად, **ფეხით მოსიარულეები იქნებიან, იურიდიული პირები თუ ავტოთი მოსრიალენი**.

მე რომ მკითხოთ, ჯარიმების ხუთრიცხვა ნიშნული სწორედ რომ მისწრებაა, ვინაიდან: ღორობა გინდა? გადაიხადე, ანუ, **გაღორდი,** გეთაყვა, ოღონდ **საკუთარ ხარჯზე**! –

# განუწურაქებულები

## მზესუმზირის ფულად

მაშინ, როდესაც საკუთრივ ჩვენ **გული სიამით გვევსებოდა**, ან კი როგორ არ აგვევსება, როდესაც **აქეთ – გაძლიერებულ პაკეტში ვართ, იქით – „ოქროს“ ხუთეულში**, შევიტყვეთ, რომ **„ნატო“ უკრაინას ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებისთვის 15 მილიონი ევროთი დაეხმარება.**

ამის შესახებ **თვით „ნატოს“ გენმდივანმა უელსში უკრაინა-„ნატოს“ კომისიის დასრულების შემდეგ** გამართულ პრესკონფერენციაზე **განაცხადა**.

მეტიც, გვაუწყა, რომ **განა მხოლოდ ამას დასჯერდებიან?!** უკრაინას დაეხმარებიან, რათა: **გაამყაროს უკრაინის ძალოვანი სტრუქტურები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, ლოჯისტიკა, კონტროლი და კომუნიკაცია, ასევე, ბრძოლებში დაღუპული ჯარისკაცების რეაბილიტაცია.**

თუმცა, თუ დასახმარებელი თანხის ოდენობას – **15 მილიონ ევროს გავიხსენებთ** და ზედ, **დანგრეულ-დაჩეხილ უკრაინას დავამატებთ**, სავარაუდოდ, **ეს თანხა მზესუმზირის შესაძენადაა გამიზნული** – მოტივით, **ნერვებს აწყნარებსო.** –

# განსხვავებულით შეთავსებულები

## ანუ საყვარელ ცოლად

მართალია, **წინასწარ ვიყავით შეიარაღებულნი,** ანუ გაფრთხილებულები, რომ, **თუმცა უელსის „ნატოს“ სამიტზე წევრობას ვერ მივიღებდით**, სამაგიეროდ, **რაღაც განსხვავებულს მაინც გამოვკრავდით ხელს** (ყანწს როდის შემოიტანენ?!).

ასეც მოხდა – **განსხვავებულიც შეგვახ-**



**ვედრეს**, გაძლიერებული პაკეტისა და „ოქროს ბარათის“ თვალსაზრისით. ეს ამბავი კი შემდეგს ითვალისწინებს: **საქართველოში გაიხსნება „ნატოს“ ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი,** რომელშიც „ნატოელი“ და პარტნიორი სამხედრო ქვედანაყოფები მოემზადებიან; **თავდაცვის სამინისტროში გამოგზავნიან „ნატოს“ სამხედრო ექსპერტთა ჯგუფს**, რომელიც მზრუნველად მიადევნებს თვალს გაძლიერებული პაკეტის განხორციელებას და, რაც მთავარია, **„ნატო“ მხარს დაგვიჭერს თავდაცვითი შეიარაღების გაძლიერებაში, მოწოდებასა და შესყიდვაში** (და მერე რა, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა და მამაცთა ნებაზე – ომი).

**„ოქროს ბარათი“ კი**, როგორც განგვიმარტეს, **იმის დასტურია, რომ „ნატოს“ სრულად ვეთავსებით**! იმას გარდა, რომ **ნომერ პირველი პარტნიორის სტატუსსაც გამოვკარით ხელი** (ანუ, **თუ მთლად პირველი ცოლი ვერ გავხდებით შაჰის კარზე**, ყოველ შემთხვევაში, **საყვარელი ცოლის სტატუსი გარანტირებული გვაქვს!** – ).

მეორე მხრივ, **თუ უკრაინის ფონსა და პრ. პუტინის განცხადებებს გავიხსენებთ**, რფ არ დაუშვებს თავის სამხრეთ საზღვრებთან „ნატოს“ გაფართოებასო, იმთავითვე **აშკარაა, რომ ჩვენი ხელის თხოვნა,** ანუ წევრად მიღება, **ჩვენვე შეგვიქმნიდა საფრთხეს**. ამას ვინ ჩივის – **სრულიად დედამიწას!**

შესაბამისად, **თუკი ხელისგულზე გვატარებენ, მაინცდამაინც ნუ გამოვეკიდებით კავშირის კანონიერების დამადასტურებელ შტამპს პასპორტში**, ანუ, ნუ დავაძალებთ, გინდა თუ არა, **ვიფსკვნათ ჯვარიოო!** –

# სამთა კავშირი

## „მძლეველნი“

რადგან **ამ ჩვენს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ოკუპანტ რფ-ს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება შემუშავების პროცესშია**, ამ **ჩვენმა ოკუპირებულმა ცხინვალის რეგიონმაც დაასკვნა,** რომ **არც თავადაა ნაკლები თხა** და **აპირებს, ამ ორთა კავშირს მესამე ხმად მიუერთდეს** (პათოსით: ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო?!).



იმის გამო, რომ **მხოლოდაღიარებულებს არ შეუძლიათ, მიუერთდნენ „ოდეკაბეს“,** ვინაიდან, არავინ არ აღიარებს დედამიწის ზურგზე რფ-ის, ნიკარაგუასა და ვენესუელას გარდა, **სამთა ბლოკის შეკვრა აქვთ გუმანში „ნატოსთან“ დასაპირისპირებლად** (ძრწოდე, მსოფლიოვ!).

**თუკი ეს საქმე პროცესშია**, უკვე **გადაწყვეტილია, რომ „იუჟნაია ოსეტიას“ „პრ.“ ლეონიდ თიბილოვი თვით პრ. ვლადიმირ პუტინმა 2015 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასასწრებად მიიწვია.**



**„პრ.“-ს პრესსამსახური იუწყება**: „აღინიშნება რა ეს ეპოქალური თარიღი ჩვენს საერთო ისტორიაში, ჩვენ ვიხსენებთ იმ დიდ ფასს, რადაც დაგვიჯდა გამარჯვების მოპოვება და რაოდენ დიდი იყო „იუჟნაია ოსეტიას“ ხალხის წვლილი ფაშიზმის განადგურებაში (ეტყობა, ზუსტად **იმავე სქემითა და შემართებით აპირებენ „ნატოს“ ძლევასაც**).“



ჩვენ არ ვიცით, რამეთუ **არ ვსხედვართ რფ-ის პრ.-ის ტვინში**, **რა საჭირო იყო მოკავშირე „პრ.“-სთვის 9 თვით ადრე მოსაწვევის გაგზავნა**, მაგრამ, **თუ გავიხსენებთ რუსი კლასიკოსის სიტყვებს,** რომ **აგური შემთხვევით არავის ეცემა თავში**, რა თქმა უნდა, **დაესწრება ღონისძიებას,** ოღონდ, იმ ერთადერთ შემთხვევაში, **თუ 9 მაისამდე მიაწევს**. –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# როგორ ახდა ჯოხარ დუდაევის ყველა წინასწარმეტყველება რუსეთის ქმედებების შესახებ და რა შემთხვევაში ივარაუდა მან მოვლენების გარდაუვლად ბირთვული ომით დასრულება

*როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან გახდა ცნობილი, პრეზიდენტები პუტინი და პოროშენკო ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებულან, თანაც – მინსკში, თუმცა იქ გამართული შეხვედრების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა პრესას განუცხადა, რომ უკრაინელ კოლეგასთან უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე არ უსაუბრიათ, ვინაიდან ეს „უკრაინის შიდა საქმეა“. მაგრამ მალევე რუსეთის პრეზიდენტმა მხარეებს შუამავლობა შესთავაზა (ანუ მოვლენები თითქმის ისე ვითარდება, როგორც 20 წლის წინათ საქართველოში). სულ ახლახან კი ვლადიმირ პუტინმა დონბასისთვის საკუთარი სამშვიდობო გეგმა გაახმაურა, რომლის ძირითადი ლაიტმოტივიც უკრაინის შეიარაღებული ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანაა.*

*მონღოლეთში ვიზიტისას კი რუსეთის პრეზიდენტმა თავისი გეგმის დეტალებზეც ისაუბრა, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, პრეზიდენტ პოროშენკოსთან ერთად განიხილა. კერძოდ: გეგმა 7-პუნქტიანია (ჩვენებური, ანუ სარკოზი-მედვედევის გეგმა 5-პუნქტიანი იყო, თუმცა ამ ორივე გეგმის პათოსი დაახლოებით იდენტურია) და გულისხმობს შემდეგს – დონბასელი სეპარატისტების უკან დახევას, უკრაინული არმიის გაყვანას დასახლებული პუნქტებიდან, საერთაშორისო კონტროლს კონფლიქტის ზონაში, საბრძოლო ავიაციის გამოყენების აკრძალვას, ტყვეების გაცვლას პრინციპით: „ყველა ყველაზე“, ჰუმანიტარული დერეფნების გახსნას, ასევე, ქალაქებსა და სოფლებში დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენას.*

*საინტერესო ის არის, რომ რუსი პოლიტოლოგების ვარაუდით, ახლა საქმე იმაზეა, დათანხმდებიან თუ არა ამ შეთავაზებას ეგრეთ წოდებული დონბასისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები (თითქოს მათთვის კრემლის დირექტივა კანონი არ იყოს).*

*ამის პარალელურად, თვით ვლადიმირ პოზნერიც კი ვარაუდობს, რომ რუსეთი ვერ დაუშვებს თავის სამხრეთ საზღვრებთან „ნატოს“ გაფართოებას. იმის გათვალისწინებით, რომ თვალნათლივ ვხედავთ, როგორ იმსხვრევიან სახელმწიფოები დასავლური ორიენტაციის სურვილის გამო, მაინც იბადება კითხვები: რას ნიშნავს არდაშვება, რუსული ხედვით, სახელმწიფოების სრულ დაშლას თუ ადგილობრივი მოსახლეობის გაყრას? თუ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის 1995 წელს ჩაწერილ ინტერვიუს დავუჯერებთ – საბოლოოდ, მოვლენები ბირთვული ომით დასრულდება. საინტერესოა, რომ 9 წლის წინ მან ყირიმის ბედიც იწინასწარმეტყველა. გთავაზობთ ინტერვიუს ჯოხარ დუდაევთან, რომელიც ესტონეთის კინოჯგუფის შეკითხვებს პასუხობს.*



**სისხლის აღების ჩვენი ტრადიცია არ ვრცელდება სხვა მიწის შვილებზე, სხვა აღმსარებლობის ადამიანებსა და აგრესორებზე. სისხლის აღება მხოლოდ შიდა საქმეა და ამის იქით არ მიდის**

**– ღირს თუ არა ამდენი მსხვერპლი და ნგრევა იმად, რომ ჩეჩნებმა თავისუფლად იცხოვრონ დამოუკიდებელ სახელმწიფოში?**

**ჯოხარ დუდაევი**: თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენთვის სიცოცხლე ან სიკვდილია, იმიტომ რომ შესაძლებელია ხალხთან, ხალხში, სახელმწიფოში, სამეზობლოში ცხოვრება, იქ, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, როდესაც სახელმწიფო ასრულებს თავის ვალდებულებებს, მაგრამ რუსეთი არ ასრულებს არანაირ ვალდებულებას არც ხალხისა თუ სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი მდგომარეობა ჰგავს შემდეგს: ტყეში დაჭერილი ველური დათვი ჩასვეს გალიაში და გვთავაზობენ, შედით მასთან გალიაში, იცხოვრეთ მეგობრულად, თათი გაუწოდეთ და იყავით მის გვერდით. აი, რა არის რუსეთი.

**– რას წარმოადგენს დღეს ჩეჩნეთის ოპოზიცია?**

– მთელმა მსოფლიომ იცის, რომ აქ არ არის და არც ყოფილა არანაირი ოპოზიცია. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს თავისი პროგრამა, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები, უნდა იყოს დარეგისტრირებული, მისი ქმედება უნდა თავსდებოდეს სამართლებრივ ჩარჩოებში, აღიარებული უნდა იყოს მისი ეს სტრუქტურები, მიდგომები. აქ კი მსგავსი არაფერია. რუსეთი აგროვებს სისხლის სამართლის დამნაშავეებს და მათგან ქმნის ბანდფორმირებებს. ამას შემდეგ მეტსახელად უწოდებს „ოპოზიციას“. აიარაღებს კბილებამდე და ამაზე ხარჯავს უამრავ ფულს. წარმოუდგენლად დიდ თანხას ხარჯავენ და უშვებენ შემდეგ ჩვენთან; ყიდულობენ მათთვის ტანკებს, „ბეტეერებს“, თვითმფრინავებს, „სმერჩებს“, „გრადებს“, ამზადებენ მათ თავიანთ ტერიტორიაზე და თვალის ასახვევად რამდენიმე ჩეჩნური წარმომავლობის სისხლის სამართლის დამნაშავეც ჰყავთ და ამ ვინეგრეტს უწოდებენ ოპოზიციას. ეს არის ოპოზიცია რუსულად. სინამდვილეში, ეს ჩვეულებრივი რუსიზმია. ჩვეულებრივი რუსიზმი კი უფრო საშიშია, ვიდრე ფაშიზმი, ნაციზმი, რასიზმი და ყველა ერთად აღებული კაცობრიობისთვის მიუღებელ იდეოლოგიაზე უარესია.

რუსიზმი ფაშიზმზე საშიშია... როდესაც ფაშიზმი გავრცელდა მსოფლიოსა და ევროპაში და კუდზე დაადგა ფეხი რუსეთს, მან პირველმა მოიხმო დანარჩენები: უშველეთ მსოფლიოსო და მთელი მსოფლიო დაუდგა გვერდში, მათ შორის, თავად გერმანელებიც. თავად გერმანელებმა უარყვეს ფაშიზმი, ისევე, როგორც მთელმა მსოფლიომ.

ახლა კი, რუსიზმი ანადგურებს ხალხებს და აღგვის პირისაგან მიწისა, თან, როგორც წესი, ირჩევს ყველაზე უსუსურ მსხვერპლს. მთელი ისტორიის განმავლობაში რუსეთი ირჩევს ყველაზე უმწეო მსხვერპლს, რომ აჩვენოს დანარჩენ მსოფლიოს, აი, რა ძლიერები, რა მტაცებლები ვართო. მთიანი ყარაბაღი – მოსახლეობა გაყარეს და ეს წარმონაქმნი მოსპეს. შემდეგ – აფხაზეთი მოგლიჯეს საქართველოსა და კავკასიას და გაანადგურეს მთელი პოტენციალი. ომი საქართველოსთან, ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რეალურად, იყო ომი რუსული შეიარაღებით, რუსული შეიარაღებული ძალების მეშვეობით, რუსული სპეცსამსახურების მონაწილეობით. სამხრეთ ოსეთი გამოშიგნეს და გაანადგურეს. ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი.... მათ ფიზიკურად გაანადგურეს მთელი ხალხები. რუსული ხელისუფლება, როდესაც უჭირდა, მირბოდა და ხელს აწერდა სხვადასხვა ხელშეკრულებაზე, რომლებსაც შემდეგ არ ასრულებდა და არც არასდროს შეასრულებს. მაგრამ, როგორც კი მოძლიერდებოდა, ამოირჩევდა ყველაზე სუსტს და იმას შეუტევდა. ასეთია რუსეთი – ბოროტების იმპერია, რომელიც იყო და რჩება მტაცებლად, ხარბად, დაუნდობლად, უზნეოდ, სულიერებისგან დაცლილად. მან ამის დემონსტრირება მოახდინა ჩეჩნეთზე. 250

## რამო ალადაშვილის ხსოვნას



კიდევ ერთი კაცური კაცი დააკლდა ახლობლებს, ოჯახს, სოფელს. ვინ იფიქრებდა ასეთი უზომოდ კეთილი 48 წლის ვაჟკაცის დაკარგვას. ულმობელმა სიკვდილმა არ დაგვინდო...

არადა, როგორ გინდოდა სიცოცხლე! შენ ხომ გამორჩეული იყავი შენი სიკეთით, მოყვასის გვერდში დგომით, გულუხვობით და იმ დიდი ოპტიმიზმითა და იუმორით, რითაც ყველას საიმედო მუხტს აძლევდი. ამქვეყნიდან მოულოდნელად წასვლით დიდი სევდა და მონატრება დაუტოვე ოჯახსა და ყველა ახლობელს. ყველას, ვინც გიცნობდა, ყოველთვის ემახსოვრები შენი განსაკუთრებული თვისებებით – ბუნებით ესთეტი, მშრომელი, ენერგიული და ყველას გვერდში მდგომი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

**სოფელ არბოშიკის მცხოვრებთა სახელით, ოთარ კიკილაშვილი**

000 არმია... 5 600 ერთეული ჯავშანტექნიკა... ასეთი რაოდენობის ტექნიკა და შეიარაღებული ძალები არასდროს გამოუყენებიათ ისტორიაში მთის ხალხების წინააღმდეგ. იმ მიკროსკოპულად პატარა ტერიტორიას, რომელსაც რუკაზეც კი ვერ პოულობენ, თავს დაესხნენ, თან, მეორე მხრივ, მსოფლიო დაამშვიდეს, რომ პრობლემას გადაჭრიდნენ მშვიდობიანად და არანაირ ძალისმიერ მეთოდს არ გამოიყენებდნენ. მაგრამ ახალი წლის წინ, ერთმანეთში გადაზილეს ქვიშა, მიწა, ცა, სისხლი და ხორცი ადამიანების და ისინი არ აპირებენ უარის თქმას ასეთ პოლიტიკაზე. აი, ასეთია რუსეთი.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ მსოფლიო ერთობლივად არ გააჩერებს ამ ჭირს, გაცილებით უარესია მოსალოდნელი. დემოკრატია რუსეთში არასდროს იქნება, მაგრამ, თუ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში არ მოაქცევენ რუსეთს, მსოფლიოს ელის უმძიმესი რყევები. დღემდე რუსეთი იბრძოდა ტანკებით, უთვალავი ჯარით, მაგრამ რუსეთს არ ჰყავს ჯარისკაცები და არც ეყოლება.

**– რამდენჯერ დაგესხნენ თავს პირადად თქვენ?**

– სათვალავიც ამერია. არსებითად, რუსეთის ხელმძღვანელობა ღია ტერორიზმს ეწევა, ეს არ არის თავდასხმა. მოფრინდებიან თვითმფრინავები და ხან ერთ კვარტალს ანადგურებენ და ხან – მეორეს. ილუპებიან ქალები და ბავშვები და რუსულად ამას ჰქვია თავდასხმა, რეალურად კი ეს ტერორისტული აქტებია.

**– ჩეჩნეთს რომელი სახელმწიფო წყობა ესადაგება: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა?**

– უპირველესად, დემოკრატია, თუ დემოკრატია არ იქნა ჩეჩნეთში, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაძლებს. როდესაც დემოკრატიული საფუძველი იქნება, იქნება კანონიერებაც. ამის შემდეგ სულერთია, საპარლამენტო რესპუბლიკა შეიქმნება თუ საპრეზიდენტო. მთავარი დემოკრატიაა. ჩვენ გავიარეთ მიწიერი ჯოჯოხეთი: ელცინის მხოლოდ ერთი ბრძანებით გამოიყო 150 მილიარდი რუბლი და 500 მილიონი დოლარი დუდაევის ხელისუფლების ჩამოსაგდებად. და მთელი ეს ძალა – გენერალური შტაბი, სპეცსამსახურები, ოთხი წლის განმავლობაში ემზადებოდა. ნახეთ დოკუმენტი, ნაციის სრული განადგურების როგორი გეგმა აქვთ. მათი მიზანია ჩეჩნეთიდან ჩეჩნების დეპორტაცია და აქ ჰიბრიდების დატოვება, სათქმელად რომ ჰქონდეთ. რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, 4 წლის განმავლობაში აშენებდნენ რუსეთის რეგიონებში ბარაკის ტიპის ქალაქებს, რეზერვაციებს ჩეჩნეთიდან გასახლებული ჩეჩნებისთვის.

**– სად შენდებოდა ეს ბარაკები?**

– სარატოვის, ვოლგოგრადის, ორენბურგის ოლქებში. წელიწად-ნახევრის წინ სთავაზობდნენ იქ მცხოვრებ ჩეჩნურ დიასპორას, გადადით იქ და იცხოვრეთო. მთელი ჩემი უბედურება ის არის, რომ მე ვიცოდი ამ გეგმების შესახებ, იმიტომ რომ ამისთვის 4 წელია, ემზადებოდნენ. ეს სახელმწიფო პროგრამაა, რომელსაც ჩერნომირდინი აწერს ხელს, გეგმას ჰქვია ევაკუაციის, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ჩეჩნების დეპორტაციის გეგმა დაბრუნების უფლების გარეშე. მათი თვითმფრინავები მოფრინდებიან, ჩამოყრიან ბომბებს, ხალხი გაიქცევა, ვითომ მათ განარიდებენ დაბომბვას, ან უშვებენ რაკეტებს, ხალხი გარბის, მათ ვითომ განარიდებენ დაბომბვას, რა თქმა უნდა, თითქოს დუდაევის „ბანდფორმირებების" მხრიდან. ჩვენ ეს ყველაფერი გავიარეთ. ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ მოვედით ჩვენს დემოკრატიასთან, იძულებულები გავხდით დაგვეშალა ის კონგრესი, რომელმაც 2-წლიანი გზა გაიარა და ახალი აგვერჩია, ყველა ჩვენი შეცდომის გათვალისწინებით. იქ შედის ყველა სოფლის წარმომადგენლებით დაწყებული და უხუცესებით დამთავრებული, მოსამართლეებიც. იმიტომ რომ კანონი, სამართლიანობა და დემოკრატია ჩვენი სახელმწიფოს ასაშენებლად სასიცოცხლოდ აუცილებელია. სამწუხაროდ, ახლა სრულადაა პარალიზებული სამართალდამცველი ორგანოები, პროკურატურას უჭირს მუშაობა, სასამართლოც ძალიან მძიმედ მუშაობს. საომარი მდგომარეობის გამო პარალიზებულია სკოლები. არავინ იცის, როდის აღდგება სასწავლო პროცესი, ამიტომ ახლა ჩვენი მეცნიერები ამუშავებენ შერეულ პროგრამას – მათემატიკა, ფიზიკა და ისლამი, რომ ერთად იყოს შერწყმული ბუნებისა და ღვთის კანონები.

**მათი გეგმაა, ჯერ დაამარცხონ ჩეჩნეთი და შემდეგ მიადგნენ ყირიმს. მე ხელთ მაქვს საბუთები, რომ ანალოგიური სცენარი აქვთ ყირიმშიც. და ამას მოჰყვება იგივე სხვადასხვა ტერიტორიაზე**

**– სისხლის აღების თქვენებური ტრადიცია ვრცელდება იმ რუს სამხედროებზე, რომლებიც იბრძვიან თქვენ წინააღმდეგ?**

– სისხლის აღების ტრადიცია არ ვრცელდება სხვა მიწის შვილებზე, სხვა აღმსარებლობის ადამიანებსა და აგრესორებზე. სისხლის აღება მხოლოდ შიდა საქმეა და ამის იქით არ მიდის, მაგრამ შურისძიების აუცილებლობა, იმის გამო, რაც ჩეჩენ ხალხს გაუკეთეს, არსებობს და უფრო და უფრო ძლიერდება. ამას ეხება კონგრესის ბოლო გადაწყვეტილება: სიკვდილის ბატალიონების შექმნის შესახებ.

**– რას ნიშნავს სიკვდილის ბატალიონები?**

– ეს ნიშნავს, რომ ამ სიკვდილის ბატალიონების წევრები, სანამ ცოცხლები არიან, არიან „სმერტნიკები" და მათი ვალია, სისრულეში მოიყვანონ სახალხო სასამართლოს განწაყვეტილება: იძიონ შური!

**– გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა თქვენი უფროსი ვაჟი...**

– კარგა ხნის განმავლობაში გვეგონა, რომ დაიღუპა. კონტუზია აქვს, დაჭრილია, მის შესახებ არაფერი ვიცოდით, მაგრამ გადარჩა.... რომ დაღუპულიყო კიდეც, ეს არც გასაკვირი იქნებოდა და არც ტრაგიკული. პირიქით, ღირსებას შეჰმატებდა ჩვენს ოჯახს. ომში ჩეჩნეთის საუკეთესო შვილებმა გასწირეს თავი და მათ არნახული გმირობები ჩაიდინეს.

**– როგორ ფიქრობთ, რუსეთში არის ძალა, რომელსაც შეუძლია, შეცვალოს ეს დამოკიდებულება?**

– იმ მდგომარეობაში, როდესაც რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში არიან აშკარა ავანტიურისტები, არაფრის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ ეს ტრაგედიად შეუბრუნდება რუსეთს. თუ ასე გაგრძელდება, რუსეთს ელის დაშლა დისკრედიტაცია, როგორც სახელმწიფოს ან ის უნდა აიძულონ, რომ სხვა ტიპის ურთიერთობებზე გადავიდეს. დღევანდელი გზა დამღუპველია რუსეთისთვის: ამას ვაცხადებ, როგორც სამხედრო.

ჩემი აზრით, მათი გეგმაა, ჯერ დაამარცხონ ჩეჩნეთი და შემდეგ მიადგნენ ყირიმს. მე ხელთ მაქვს საბუთები, რომ ანალოგიური სცენარი აქვთ ყირიმშიც. და ამას მოჰყვება იგივე სხვადასხვა ტერიტორიაზე, თუ ამ პროცესს დღეს არ გააჩერებს მსოფლიო თანამეგობრობა და თავად რუსეთის საზოგადოება რუსეთის შიგნით. საბოლოოდ, ეს შეიძლება, დასრულდეს ბირთვული ომით.

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**




**– რამ შეაყვარა აფხაზ ამომრჩეველს მეოთხე ცდაზე რაულ ხაჯიმბა?**

– პრეისტორიას გავიხსენებ: ანქვაბის დროს აფხაზეთში სოციალური ფონი ძალიან დამძიმდა. მოგახსენებთ თავად აფხაზების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ მონაცემებს: აფხაზ ეთნოსში სიკვდილიანობა არის 3 300 ადამიანი წელიწადში, შობადობა – 800 ახალშობილი, ანუ აფხაზი ეთნოსის კლება წელიწადში შეადგენს 2 500 ადამიანს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში არა უმეტეს 50 წელია, ქალებში – არა უმეტეს 70 წელი; აფხაზეთში ნარკომანია არანაკლებ 5 000 ადამიანი. თუ ჩავთვლით, რომ აფხაზი ეთნოსის რაოდენობა აფხაზეთში, დაახლოებით, 50 000-ა, გამოდის, რომ მათი 10 პროცენტი ნარკომანია. შიდსით დაავადებულთა რაოდენობა 2 500-ა, ანუ აფხაზი ეთნოსის 5 პროცენტზე მეტი. არაფერს ვამბობ სხვა დაავადებებზე, კრიმინოგენულ სიტუაციაზე, უბედური შემთხვევების რაოდენობაზე, რომ ჯანდაცვის სფერო, ფაქტობრივად, არ არსებობს. სხვა საკითხია, რატომ შეიქმნა ეს პრობლემები, მაგრამ ფაქტია, რომ ანქვაბის „პრეზიდენტობის" დროს ასეთი მძიმე სოციალური ფონი არსებობდა. ის არ იყო ხელწამოსაკრავი ფიგურა აფხაზეთის რეალობაში, მაგრამ მის მმართველობას ჰქონდა რამდენიმე ხარვეზი: ის ვერ ასცდა კლანურ მმართველობას, ანუ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთი კლანი შეიცვალა მეორით; არანაირი დემოკრატიული რეფორმები არ ჩაუტარებია და მისი მმართველობა გაართულა რუსეთის დამოკიდებულებამაც: 2010-2011 წლებში რუსეთი აფხაზეთს ყოველწლიურად 6 მილიარდ რუბლს აძლევდა, იცით, რომ აფხაზეთის ბიუჯეტი, დაახლოებით, 70 პროცენტამდე დოტაციურია. 2012 წელს შეუმცირა დახმარება მილიარდ ორასი ათას რუბლამდე, 2014 წლისთვის კი ერთი მილიარდის მიცემას დაჰპირდა სესხად. მართალია, მცირე პროცენტად, მაგრამ მაინც კრედიტი გამოდიოდა.

**– ეს, ადრე თუ გვიან, ხომ მოსალოდნელი იყო, აბა, მუდმივად დოტაციაზე ხომ არ ეყოლება რუსეთს აფხაზეთი?**

– ეს არავინ იცის... ასეა თუ ისე, ამ მიზეზებმა ხელი შეუწყო აფხაზ საზოგადოებაში ანქვაბის საწინააღმდეგო განწყობის შექმნასა და გაძლიერებას. რატომ მოხდა ეს? ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ანქვაბს არ ჰქონდა კარგი დამოკიდებლება რუსეთთან.

**– მაგრამ ის აშკარად არ მიდიოდა რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ?**

– არსებობდა 5 საკითხი, რომლებზეც ანქვაბი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ხელისუფლებას. ანქვაბი რუსეთისთვის არ იყო ხელსაყრელი ფიგურა და ეს, განსაკუთრებით, გამოჩნდა ყირიმთან მიმართებაში ახალი პოლიტიკის გამოვლენის შემდეგ. პირველი იყო მიწის საკუთრების საკითხი – თუმცა ამ საკითხის გატანას ვერც ვერავინ შეძლებს აფხაზეთში, იმიტომ რომ აფხაზები წინააღმდეგნი არიან; მეორე საკითხი იყო რკინიგზა – აფხაზები არ იყვნენ მისი გახნის მომხრენი, რადგან, აფხაზი საზოგადოების აზრით, თუ აფხაზეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მისი ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფუძველი უნდა იყოს ტურიზმი, რასაც ვერ განავითარებ, თუ რკინიგზის ლიანდაგი გადის სანაპიროსთან; აი, ამიტომ მთელ აფხაზურ საზოგადოებას მიაჩნია, რომ რკინიგზის გახსნა აფხაზეთს რუსეთზე უფრო დამოკიდებულს გახდის და ტურიზმი ვერ გახდება მათი დამოუკიდებელი ეკონომიკის საფუძველი.

**აფხაზეთში დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და რაულ ხაჯიმბა მეოთხე ვადამდელ ცდაზე „პრეზიდენტიც" გახდა (ორჯერ სერგეი ბაღაფშს შეეჭიდა, მესამედ – ალექსანდრ ანქვაბს). გამარჯვების სიხარული ხეირიანად არც ჰქონდა განცდილი, რომ რფ-ის პრეზიდენტმა კიდეც მიულოცა და კრემლშიც მიიხმო აუდიენციაზე. ამ ფაქტმა აფხაზ საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია; მეტიც, ასეთი შინაარსის მოწოდებებიც გაჩნდა: რუბლი – აფსნის ვალუტა, რუსული ენა – აფსნის სახელმწიფო ენა! რაც, წესით, ძირშივე ეწინააღმდეგება აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეას. ასეა თუ ისე, აფხაზი საზოგადოება ზეპოზიტიური ცვლილებების მოლოდინებითაა სავსე. აქვს თუ არა ამ მოლოდინს საფუძველი და რამდენად შორსაა აფხაზეთის რუსულ წიაღში დანთქმა? – საკითხს თსუ-ს ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის დირექტორ ზურაბ შენგელიასთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ ჩაანაცვლეს გალელებმა აფხაზეთის სომხები, რატომ გადანაწილდნენ აფხაზეთის სიღრმეში და როგორ გაანეიტრალეს „საპრეზიდენტო არჩევნებში" ქართველების ხმები

**– მათ ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ტურიზმითაა შესაძლებელი ეკონომიკის განვითარება.**

– ჩვენ ბორჯომითა და მანდარინით გვეგონა?!

**– იმიტომაც ვამბობ, რომ ეს გულუბრყვილობაა.**

– მეც ამიტომ ვამბობ, რომ ეს მეორე წინააღმდეგობაა, რომელიც ანქვაბს ჰქონდა რუსეთთან; მესამე – სამხრეთ რუსეთის განვითარების გენერალურ გეგმაში იგულისხმებოდა სოხუმში, ქვემო ეშერასა და გუდაუთის ზოლში დიდი სამრეწველო პორტის გაკეთება, საიდანაც მთელი რუსეთი მომარაგდებოდა, ამასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ანქვაბი. გარდა ამისა, ქვემო ეშერაში უნდა აშენებულიყო დიდი ლოჯისტიკური ცენტრი, ანუ საწყობების მთელი სისტემა, სადაც პორტიდან შემოსული პროდუქცია და მასალა დასაწყობდებოდა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადანაწილდებოდა და მეხუთე – კოდორზე საავტომობილო გზის გაყვანა. ამ ხუთ საკითხს ანქვაბი არ თმობდა და ამით ინარჩუნებდა რუსეთისგან დამოუკიდებლობას. აი, ეს იყო წინააღმდეგობა ანქვაბსა და რუსეთს შორის.



სოხუმში არის „ქალაქის ბაზარი" და მის გვერდზე – „გალის ბაზარი". გუდაუთაში მინახავს „გალის ვულკანიზაცია". ეს რას ნიშნავს? იმას, რომ რუსეთიდან შემოტანილი მასალები უფრო ძვირია, ვიდრე ენგურს აქეთა მხრიდან შეტანილი

**– თუ ეს ქმნიდა წინააღმდეგობას ანქვაბსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის, ამ საკითხებს ხომ ახლაც ეწინააღმდეგება აფხაზი საზოგადოება? ხაჯიმბა ამას როგორ გაუკეთებს რუსეთს?**

– ნუ გავუსწრებთ მოვლენებს... ანქვაბი არ მოსწონდა როგორც აფხაზ საზოგადოებას, ისე რუსეთს. ამის პარალელურად, რუსეთმა დაიწყო ახალი პოლიტიკა, იგულისხმება ის, რაც გააკეთა უკრაინაში: ყირიმში შევიდა, ჩაატარებინა რეფერენდუმი და მიიერთა; დონეცკსა და ლუგანსკშიც შევიდა, ჩაატარებინა რეფერენდუმი და არ მიიერთა, მაგრამ ხელში უჭირავს ლეგიტიმური საფუძველი და, თუ დასჭირდა, მიიერთებს. ჯერ კიდევ ყირიმის კრიზისის პერიოდში მოსკოვის „დუმაში" შედგა შეხვედრა რუსეთის „დუმის" დეპუტატებისგან შემდგარ აფხაზ პარლამენტარებთან მეგობრობის ჯგუფისა ანალოგიურ აფხაზურ ჯგუფს შორის, სადაც პირდაპირ განუცხადეს აფხაზებს, თქვენი საკითხი გადაწყვეტილია და ჩვენი ურთიერთობა უნდა იყოს უფრო მჭიდრო რაღაც ფორმითო. პასუხიც კი არ გასცეს აფხაზებს კითხვაზე, ვინ გადაწყვიტა ეს და რატომ არ იცოდნენ მათ ამის შესახებ. ზუსტად იმ პერიოდში ტარას შამბამ, აფხაზეთის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, მოსკოვში გააკეთა განცხადება, რომ აფხაზეთის განვითარებისთვის საუკეთესო ვარიანტია რუსეთთან ასოცირება. მან არ ახსნა, რას ნიშნავდა ეს ასოცირება და ამან ძალიან დიდი მღელვარება გამოიწვია აფხაზეთში. სურკოვი იძულებული გახდა, ჩასულიყო და დაეწყნარებინა აფხაზები. ამის შემდეგ ტარას შამბამაც განმარტა, ვიგულისხმე უფრო მეტი სიახლოვე რუსეთსა და აფხაზეთს შორისო. ამან მისცა პოლიტიკური ბიძგი გაერთიანებული ოპოზიციის შექმნას და ანქვაბის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას. ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში ძალიან ბევრი პოლიტიკოსი შედიოდა, მათ შორის, ხაჯიმბაც, მაგრამ ის არ იყო ამ გაერთიანების ლიდერი. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომ კვლავ გააგზავნეს სურკოვი აფხაზეთში, რომელიც ოპოზიციის ლიდერებს შორის მხოლოდ ხაჯიმბას იცნობდა და ამიტომ დაასახელა ხაჯიმბა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად. ამ გაერთიანებაში იყო სტანისლავ ლაკობაც, რომელიც ხაჯიმბასთან შედარებით ფიგურაა. უცებ სურკოვმა ხელი დაადო ხაჯიმბას, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერს და მოხდა საინტერესო რამ: ძალოვანებმა მხარი დაუჭირეს ანქვაბს. მეორე ტალღა რომ წამოვიდა არეულობის, სურკოვი კიდევ ერთხელ ჩავიდა აფხაზეთში ამჯერად ნურგალიევთან, რუსეთის ყოფილ შს მინისტრთან ერთად და მაშინ უკვე ძალოვნები გადაუდგნენ ანქვაბს. მაგრამ ანქვაბი მოიქცა ძალიან საინტერესოდ: მან 28 მაისს გენერლობა მიანიჭა ბჟანიას, შემდგომში „პრეზიდენტობის" ერთ-ერთ კანდიდატს, და გადადგა. აი, მისი ეს გადადგომა იყო ძალიან მოულოდნელი რუსეთისთვისაც, აფხაზი საზოგადოებისთვისაც და ოპოზციისთვისაც.

**– შევარდნაძის სვლა გაუმეორებია ანქვაბს.**

– და უცებ აღმოჩნდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყო ჩასატარებელი. არ არის გამორიცხული, ამ ნაბიჯით ანქვაბმა სისხლისღვრა შეაჩერა აფხაზეთში, რადგან რუსეთს შეეძლო, ძალით ჩაეტარებინა რეფერენდუმი აფხაზეთში. რუსეთი ძალიან უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა: არ არის ლიდერი და არ იციან, ვისზე დადონ ფსონი. ამასობაში ანქვაბის ხალხი ასახელებს ბჟანიას, რომელიც არასდროს ყოფილა პოლიტიკური ფიგურა.

**– ქართველებს რატომ ჩამოართვეს ხმის უფლება?**

– ამჟამად აფხაზეთის მოსახლეობა, დაახლოებით, 200 000-ა, თუმცა მათი მონაცემებით, თითქოს 240 000-ა. ერთ მაგალითს გეტყვით: სააკაშვილმა, როდესაც გამოაცხადა, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონოდა თავისი „ბუქი", გავუგზავნეთ შეკითხვა აფხაზეთში და მოგვწერეს, რომ 28 000 მოსწავლე ჰყავდათ.

**– „ბუქები" გაუგზავნეთ პირველკლასელებს?**

– არ აიღეს, მაგრამ, რადგან ციფრი გვქონდა, დემოგრაფიაში პირდაპირაა მოცემული ფორმულა და მოსახლეობა არ გამოვიდა 200 000-ზე მეტი. მათგან 60 000 არის ქართველი, 50 000-მდე – აფხაზი, ანუ ქართველები და აფხაზები ერთად უფრო მეტნი არიან, ვიდრე დანა-

# როგორ გახდა „ნატახტარი 2012-ისა“ და „ბარამბო 2010-ის“ დამფუძნებელი შავი ქამრის მფლობელი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ კოპაძე 1980 წლის 12 აპრილსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება, თავდაპირველად, 1996-2000 წლებში საქართველოში, კერძოდ, თსუ-ს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე მიიღო (ბაკალავრიატის საფეხური), შემდგომ კი, 2009-2011 წლებში, უკრაინაში, კიევის ადამიანური რესურსების მართვის საერთაშორისო აკადემიაში (ადამიანური რესურსების მართვა – მაგისტრის საფეხური). მისი სამუშაო გამოცდილება 2000 წელს იწყება საქართველოში „ფილიპ მორისის“ ოფიციალურ წარმომადგენლობაში; 2002 წლამდე იყო „ომეგას“ გაყიდვების მენეჯერი; 2002 წელს ტურისტული კომპანია „პიკნიკი“ დააფუძნა და 2003 წლამდე მის მენეჯერადაც იმუშავა; 2003 წელს საქართველოში „მარსის“ ოფიციალურ წარმომადგენლობაში გადაინაცვლა, ასევე, გაყიდვების მენეჯერად. შემდეგ წლებში მის საქმიანობაში წყვეტაა, თუმცა 2009 წელს შპს „იკა “ დააფუძნა, რომლის დამფუძნებელი დღემდე არის. 2011 წლიდან დღემდე „ბარამბო 2010-ის“ დამფუძნებელიცაა, ხოლო 2012 წელს გადამზიდი კომპანია შპს „ტრანსპორტერი“ და „ნატახტარი 2012“ დააააფუძნა და დღემდეც არის მათი დამფუძნებელი. ამის პარალელურად, 2005 წლიდან 2013-მდე „ნატახტარი 2005-ის“ აღმასრულებელ დირექტორადაც იმუშავა, ვიდრე 2014 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილედ არ დაინიშნა.

მისი ოფიციალური ბიოგრაფია გვამცნობს, რომ ბ-ნი კოპაძე გახლავთ შავი ქამრის მფლობელი, რომელიც მას ევროპის ტაეკვანდოს ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა მიანიჭა. აქედან გამომდინარე, 1996-2001 წლებში იყო ტაეკვანდოში საქართველოს ნაკრების წევრი და კაპიტანი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონიც. 2009-2012 წლებში – საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2012-2013 წლებში, საერთოდაც, საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტი.



ზურაბ კოპაძემ თავისი პირველი და ჯერჯერობით ბოლო დეკლარაცია 2014 წელს შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, 1981 წელს დაბადებული ნინო ასათიანი და, ორი შვილი: 2010 წელს დაბადებული ნოდიკო და 2011 წელს დაბადებული საბა.

ოჯახში უძრავ ქონებას მხოლოდ მინისტრის მოადგილე ფლობს. ზურაბ კოპაძის საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, რომლის ფართობიც, დეკლარაციის თანახმად, 156 000 კვ. მეტრია, რაც, სავარაუდოდ, შეცდომაა; ასევე, იმავე მისამართზე მდებარე მეორე ბინა, რომლის ფართობადაც მითითებულია 98 000 კვ. მეტრი და სამი 15-15 კვ. მ. ფართობის ავტოფარეხი.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას: ზურაბ კოპაძეს ორი ავტომანქანა ჰყავს: 2009 წლის MERSEDES-BENC და 2005 წლის HAMERI H3, ნინო ასათიანის საკუთრება კი გახლავთ 2004 წლის MERSEDES-BENC CEELKA.

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ზურაბ კოპაძეს ჰქონდა – 13 000 ლარი. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას და აქედან მიღებულ შემოსავალს: 2013 წლის განმავლობაში ზურაბ კოპაძემ, როგორც შპს „ნატახტარი 2009-ისა“ და შპს „ნატახტარი 2012-ის“ პარტნიორმა, ვერანაირი შემოსავალი ვერ მიიღო; სამაგიეროდ, როგორც შპს „ბარამბო 2011-ის“ პარტნიორმა, აიღო 81 000 ლარი, როგორც შპს „იკა 2009-ისა“ და შპს „ტრანსპორტერის“ პარტნიორმა – 25 000-25 000 ლარი.

ამას გარდა, 2013 წლის განმავლობაში ზურაბ კოპაძემ, როგორც შპს „ნატახტარი 2005-ის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ხელფასის სახით 142 500 ლარი მიიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც „რედისონ ბლუ ივერიას“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორმა – 45 000 აშშ დოლარი.

ზურაბ კოპაძეს 2013 წელს 50 000 ლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხიც აუღია.

**ნინო ხაჩიძე**

---

რჩენები და პირველად 1992 წლის შემდეგ მათ აღმოაჩნდათ საერთო ინტერესი თემაზე, რომ რუსეთთან ამაზე მეტი სიახლოვე საჭირო არ არის.

**– გამოკითხვის შედეგებს გავეცანი, რის მიხედვითაც, რუსეთთან მიერთების ყველაზე მეტი მომხრე არის აფხაზეთის სომეხ და რუს ეთნოსების შორის.**

– თუ ქართველები და აფხაზები გაერთიანდებოდნენ, რეფერნდუმზე თავის შედეგს ვერ დასვამდა რუსეთი, ამიტომაც 23 000 ქართველს ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა. ახლა დაბალანსდა და მხოლოდ აფხაზები რეფერენდუმის შედეგს, თუ ის ჩატარდა, ვერ შეცვლიან.

**– თუმცა ქართველების პასპორტიზაციის თემა აქტუალური იყო ანქვაბის პრეიდენტობისასაც, ამის გამო ლაკობა გადადგა კიდეც პოსტიდან, თუმცა მაშინ მოტივი იყო, რომ ქართველებისთვის მოქალაქეობის მინიჭება ცვლიდა აფხაზეთში დემოგრაფიულ სურათს. რაკი ხაჯიმბა აირჩიეს, ესე იგი, აფხაზმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა მას და, შესაბამისად, ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევასაც.**

– მაგრამ ხაჯიმბას მხარი დაუჭირა ამომრჩევლის 50 პროცენტზე ოდნავ მეტმა და ეს ყველას ხმა იყო.

**– აფხაზეთის სომეხი მოსახლეობა არ არის ფაქტორი?**

– 33 000-35 000-ა სულ სომეხი, ქართველი გაცილებით მეტია აფხაზეთში. სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით სომხები გავიდნენ, იქ მოეწყვნენ და მუშაობენ. სომხების ადგილი დაიკავეს ქართველებმა. მაგალითად, სოხუმში არის „ქალაქის ბაზარი“ და მის გვერდზე – „გალის ბაზარი“. გუდაუთაში მინახავს „გალის ვულკანიზაცია“. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ რუსეთიდან შემოტანილი მასალები უფრო ძვირია, ვიდრე ენგურს აქეთა მხრიდან შეტანილი. გალელებმა შეიძინეს ფუნქცია: ჩამოდიან ლილოში, ყიდულობენ საქონელს და ჰყიდიან აფხაზეთში. ამიტომ ქართველები გააქტიურდნენ და გადანაწილდნენ აფხაზეთის შიგნით, მაგრამ სომხების გადინება მოხდა. ამდენად, სომხების როლი აქტიური აღარ არის.

**– მაგრამ ისინი ხომ შეიძლება, დაბრუნდნენ და მაშინ დემოგრაფიული ბალანსი მათ სასარგებლოდ შეიცვლება?**

– რატომ უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც უარესი პირობებია, სოჭში ხომ უკეთესი პირობებია და, საერთოდაც, ვარაუდებით ხომ არ ვისაუბრებთ?! აფხაზეთის სომხური მოსახლეობა არ არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია, გადამწყვეტი როლი შეასრულოს. ამჟამად აფხაზეთში რუსები სომხებზე მეტნი არიან, სხვა თუ არაფერი, სამი სამხედრო ბაზა აქვთ და სამხედროების ოჯახებიც იქ ცხოვრობენ. თუ საჭირო გახდება, ხმის უფლებასაც მიანიჭებენ. ამდენად, მის მიერ მიღებული 50,7 პროცენტით არ შეიძლება იმის თქმა, რომ აფხაზმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ხაჯიმბას. საინტერესო ის არის, რომ წინასაარჩევნო პროგრამაში ხაჯიმბამ ზემომოყვანილი 5 პრობლემიდან 2 მოხსნა – რკინიგზის გახსნა და კოდორის გზის გაყვანა.

**– ხაჯიმბასთან ასე სწრაფად შეხვედრით რა აჩვენა ან პუტინმა, ან ხაჯიმბამ?**

– მეორე დღეს დაურეკა და მიულოცა და მეოთხე დღეს შეხვდა... საინტერესოა, რომ იმ პერიოდში, როდესაც ტარას შამბა ასოცირების შეთანხმებაზე ალაპარაკდა, აღმოჩნდა, რომ „მგიმოს“ ჟურნალი „საერთაშორისო პროცესები“ ამუშავებდა სპეციალურ პროექტს, რომელიც ეძღვნება რუსეთ-აფხაზების ურთიერთობის პრობლემატიკას: რა არის ასოცირება, როგორ უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია აფხაზ საზოგადოებას და ასე შემდეგ. ეს ცნობილი გახდა მაშინ, როდესაც ანქვაბი გადადგა.

**– როგორ ფიქრობთ, უნდა ველოდოთ აფხაზეთში რუსეთთან მიერთების მოთხოვნით რეფერენდუმს?**

– არანაირი პრობლემა არ არის არალეგიტიმური რეფერენდუმის ჩატარება, რომელსაც აღიარებს ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, დონეცკისა და ლუგანსკის „რესპუბლიკები“, მაგრამ მე მგონია, რომ ხაჯიმბას მოაწერინებენ ხელს რუსეთთან იმ ახალი ურთიერთობის პაკეტზე, რომელსაც ამუშავებენ.

**– ვთქვათ, ხაჯიმბამ მოაწერა კიდეც ხელი ამას, მაგრამ აფხაზი საზოგადოების უმეტესობა ხომ წინააღმდეგია, მათ რას მოუხერხებენ?**

– ხაჯიმბას აქვს ერთი პლუსი – ის არძინბას მემკვიდრეა, ასე მიიჩნევენ აფხაზები. არძინბა მათი გმირია, რომელმაც დამოუკიდებლობა მოუტანა, ბაღაფშიც გმირია მათთვის, რომელმაც აღიარება მოუტანა, ანქვაბი ვერ გახდა გმირი, იმიტომ რომ მთელი ჭუჭყიანი სამუშაო მასზე გადავიდა. ხაჯიმბა არის ნაციონალური იდეის ბოლო დასაყრდენი, რადგან აქვს არძინბას ზურგი. ეს ის ხავსია, რომელსაც ეჭიდებიან. როგორც კი ჯახიმბა წავა, ჩათვალეთ, რომ აფხაზეთი რუსეთის ნაწილი ხდება.

**– მიიჩნევა, რომ ხაჯიმბას არჩევით სრულად წყდება დიალოგი აფხაზეთთან. ეთანხმებით?**

– ალბათ, მაგრამ, ჩემი აზრით, რა დონის დაახლოებაც მოხდება ჩვენსა და რუსეთს შორის, იმ დონის დაახლოებაზე წავა ხაჯიმბა ჩვენთან. აფხაზები ბევრჯერ ჩამოსულან აქ და, თუ ადრე გვთხოვდნენ, პროექტები მოვიფიქროთ, რომ რუსეთთანაც არ გაგვიფუჭდეს საქმე და ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაც აღვადგინოთო, ბოლო ჩამოსვლისას, ანქვაბის გადადგომის წინ, გვითხრეს, გვიშველეთო.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტი 2013 წლის 2 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და ფუნქციონირება გასული წლის სექტემბრიდან დაიწყო. დეპარტამენტის მთავარი ფუნქციებია: საშუამავლო მომსახურების განვითარება, სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, ფორუმების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელება, შრომის ბაზრის კვლევების ორგანიზება და მრავალი სხვა. როგორ ეხმარება ზემოხსენებული სამსახური დასაქმების მსურველებს, რამდენი ადამიანი დასაქმდა სისტემის მეშვეობით და რა აქტივობებს გეგმავს სახელმწიფო სამუშაო ბაზრისთვის შესაბამისი კადრების მისაწოდებლად და მოსამზადებლად? აქვე გეტყვით, რომ საუბარია იმ სამუშაო ადგილების მაძიებლებზე, რომელთა შრომითი ურთიერთობები საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირდება. ამ და სხვა კითხვებზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის უფროსი თეა სტურუა გვიპასუხებს.**

# რა სერვისს სთავაზობს სამუშაოს მაძიებელ მოსახლეობას სახელმწიფო, სად უნდა გააგზავნოთ თქვენი მონაცემები და რამდენად იზრდება თქვენი დასაქმების შანსი

**– რა ეტაპზეა თქვენი სამსახური და როგორ და სად შეუძლიათ სამუშაოს მაძიებლებს თავიანთი მონაცემების განთავსება?**

– 2013 წლის 25 დეკემბერს სამუშაოს მაძიებელთა ელექტრონული სისტემა WORKNET.GOV.GE გაეშვა და დღეისთვის, დაახლოებით, 22 800 ადამიანია უკვე რეგისტრირებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. სისტემა გახლავთ ონლაინპროდუქტი, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინპროდუქტზე ხელმისაწვდომობა მთელ საქართველოში არ არის თანაბარი, ამ პროცესში ჩართულია სოციალური მომსახურების სააგენტოს 69 რაიონული ცენტრიც. მოქალაქეებს აქვთ საშუალება, მიმართონ სოციალური მომსახურების ცენტრებს, სადაც მათ სპეციალურად დატრენინგებული კადრები დაეხმარებიან ინფორმაციის სისტემაში განთავსებაში. ეს არის მუდმივი პროცესი და ცოცხალი ბაზა. სისტემა თავიდან ბოლომდე სამუშაოს მაძიებლის თავისუფალ ნებაზეა დამყარებული. ანუ უნდა სამუშაოს მაძიებელს, გვაცნობოს, რომ ეძებს სამუშაოს? დარეგისტრირდება; დარეგისტრირდა, მაგრამ არ უნდა, რომ მისი ინფორმაცია გახდეს საჯარო? ის არ გახდება საჯარო და მხოლოდ სისტემას ეცოდინება. ასევე, დასაქმების მსურველს შეუძლია, გააპასიუროს თავისი რეგისტრაცია სისტემაში ან, საერთოდაც, გააუქმოს რეგისტრაცია.



**გამოიკვეთა, რომ შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა ეგრეთ წოდებულ ლურჯსაყელოიან პროფესიებზე, მაშინ, როდესაც სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან მოთხოვნაა ეგრეთ წოდებულ თეთრსაყელოიან პროფესიებზე**

**– თუ გავაუქმე, ხომ შემიძლია, ისევ თავიდან გავიარო რეგისტრაცია?**

– რა თქმა უნდა, როდესაც თავიდან გადიხართ რეგისტრაციას და ერთი თვის ვადას არ სცილდება თქვენ მიერ წინა რეგისტრაციის გაუქმება, სისტემა გეკითხებათ: აღგიდგინოთ ძველი მონაცემები თუ ახალ მონაცემებს შეიტანთ. მე ვამაყობ ამ სისტემით, რადგან, სამუშაოს მაძიებლის თვალსაზრისით, არის უნივერსალური სისტემა და რაც ყველაზე მთავარია, ევროკავშირის ექსპერტებიც კი გაოგნებულები დარჩნენ, იმიტომ რომ სისტემა იმთავითვე ევროკავშირის სტანდარტით დაიგეგმა და მას აღარ სჭირდება ევროკავშირის სტანდარტებთან მორგება.

**– როგორ მუშაობს სამუშაოს მაძიებელთა სისტემა?**

– აპრილიდან დავიწყეთ ურთიერთობა დამსაქმებელთან. მათთან მუშაობა ძალიან რთულია, რადგან დამსაქმებელს უნდა აუხსნა, რომ არ ხარ სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ერევა შენს საქმეებში, არ გაიძულებს, მისცე ვაკანსია და დაასაქმო ესა თუ ის ადამიანი. ამის ახსნას საკმაოდ მოცულობითი სამუშაოს ჩატარება დასჭირდა. მათგან ვითხოვდით ერთადერთ რამეს: არსებობის შემთხვევაში მოეწოდებინათ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, ამასთან, მათ არ ეკრძალებათ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის განთავსება სხვადასხვა საიტებსა თუ გაზეთებში. ჩვენ უბრალოდ იდენტიფიკაციას გავუკეთებდით სამუშაოს მაძიებლებს მათი მოთხოვნების მიხედვით და მეტნაკლებად შესაბამის კადრს გავუგზავნიდით, რომლებიდანაც ის თავად აირჩევდა ან არ აირჩევდა. ივნისის შუა რიცხვებიდან გაბედულმა დამსაქმებლებმა დაიწყეს ინფორმაციის მოწოდება ვაკანსიებზე.

**– რამდენი სამუშაოს მაძიებლის დასაქმება მოასწარით?**

– დღეისათვის არსებული ვაკანსიებიდან ათვისებულია მხოლოდ 40 პროცენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაკანსია უფრო მეტია, ვიდრე ამ ვაკანსიებზე დასაქმების მსურველები გვყავს. უშუალოდ საშუამავლო მომსახურებაზე მუშაობა დავიწყეთ ივნისის ბოლოს და დღეის მდგომარეობით 275 მუდმივი შრომითი ხელშეკრულებაა გაფორმებული.

**– რა ტიპის პროფესიებზეა მოთხოვნა დღეს შრომის ბაზარზე?**

– ჩვენი ერთ-ერთი ფუნქციაა, მოსახლეობას გავაგებინოთ, თუ რა მოთხოვნაა ბაზარზე. უპირველესად გეტყვით, რომ სახელმწიფომ გადაწყვიტა, ჩაატაროს შრომის ბაზრის კვლევა და მოთხოვნის ნაწილის კვლევა, რადგან ეს გვჭირდება არა მარტო ჩვენ, არამედ – განათლების სამინისტროსაც. კვლევის პროექტზე ვმუშაობთ სხვადასხვა უწყებასთან შეთანხმებით: სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ყოველ წელს ჩაატაროს მსგავსი კვლევა. მანამდე კი, გამოიკვეთა, რომ ბაზარზე არის მოთხოვნა ეგრეთ წოდებულ ლურჯსაყელოიან პროფესიებზე, მაშინ, როდესაც სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან მოთხოვნაა ეგრეთ წოდებულ თეთრსაყელოიან პროფესიებზე.

**– ანუ?**

– „თეთრსაყელოიანი“ პროფესიებია საოფისე და ინტელექტუალური სამუშაო; მაგრამ ბაზარზე მოთხოვნაა პროფესიულ განათლებაზე: ეს გახლავთ მოთხოვნა კონკრეტული სპეციალობის და კვალიფიკაციის საშუალო რგოლის ადამიანებზე. იმავე სარესტორნე ბიზნესში, საწარმოო ბიზნესში, მომსახურების ბიზნესში.

**– დავარქვათ სახელები: მიმტანი, მუშა, მტვირთავი?**

– არა მარტო: მიმტანი, მუშა და მტვირთავი დაბალი რგოლია. მაგალითად, პროფესიონალი ელექტრიკოსი, ავტოდიაგნოსტიკოსი, ავტოშემკეთებელი, პროფესიონალი გადამზიდავი მძღოლები, პროფესიონალი მებათქაშეები, დურგლები, ხარატები, ასე განსაჯეთ, პროფესიონალი მკერავების პრობლემა გვაქვს. პროფესიონალი მცხობელების, მზარეულების, სხვადასხვა რანგის მომარაგების სპეციალისტების. ამიტომ ეს კვლევა ცალსახად დაგვანახვებს, რა პროფესიებზეა ქვეყანაში მოთხოვნა. აღარაფერს ვამბობ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე: აგროინჟინრებზე, ზოოინჟინრებზე, ვეტერინარზე... ამ სპეციალისტებს სანთლით ეძებენ და ვერ პოულობენ. ამდენად, ჩვენი სისტემის, „ვორქნეტის“ მიზანია, გავიგოთ თით-

**ისწავლე ჩვენთან, გაიარე მაღალი კვალიფიკაციის კურსი და გახდი ჩვენი გუნდის წევრი!**

ქართულ-ამერიკული კომპანია s-cad Group Georgia თბილისში სამი წელია, ფუნქციონირებს. მისი დამფუძნებელი, ქართველი ამერიკელი მიშა ცინაძე, საქართველოდან 18 წლის წინ წავიდა და ამერიკაში წარმატებული კომპანიის შეფი გახდა. პროგრამა AutoCAD, რომლითაც კომპანია მუშაობს ამერიკულ შეკვეთებზე, არის უნიკალური კომპიუტერული პროგრამა, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია სამშენებლო, საპროექტო, საინჟინრო, არქიტექტურული და მანქანათმშენებელი ფირმების საქმიანობა.

კომპანია ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის, მზარდი ანაზღაურებით იწვევს მაღალი კვალიფიკაციის მხაზველებს, ინჟინრებს, ტექნიკური სფეროებით დაინტერესებულ პირებს. 2015 წლიდან კომპანია S-CAD Georgia განახორციელებს პროექტებს, რომელშიც დასაქმდებიან პროგრამა „ავტოკადისა” და სპეციფიკური სტანდარტების მცოდნე, კვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადებაც მოხდება კომპანიის ბაზაზე არსებულ სასწავლო ცენტრ S-CAD Group Education-ში.

დაგვიკავშირდით! ვაკანსიები შეზღუდულია!

კადრების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით, ყოველ ხუთშაბათს, 30 სექტემბრამდე.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 2-93-55-51; 574-61-44-55.**

ოეული ჩვენი მოქალაქის უნარი. ამიტომ მონაცემების შეყვანისას არის ასეთი გრაფაც: რომელი საქმის შესრულებაში ხართ კომპეტენტური, განათლების მიუხედავად. რა არის ეს? მაგალითად, მთელმა სოფელმა იცის, რომ მიხა პაპა ერთადერთი ადამიანია სოფელში, რომელმაც იცის დამყნობა. მას არც დიპლომი აქვს, არც არსად უსწავლია, მაგრამ, თუკი ვინმეს რამის დამყნობა უნდა, მას მიმართავს.

**– არ ასწავლის ვინმეს?**

– სწორედ ამის ამოქაჩვა გვინდა, ეს ველი ძალიან მრავალფეროვანია სისტემაში, უბრალოდ თქვენ ამას ვერ ნახავთ, რადგან არ არის საჯარო. თავისუფალი ტექსტია, სადაც სამუშაოს მაძიებელს იმის ჩაწერას ვთხოვთ, რაც მიაჩნია, რომ იცის, მიუხედავად განათლებისა. ვიღაც წერს, რომ ძალიან კარგად აცხობს თონეში ნაზუქებსა და თონის პურს. ანუ შრომის ბაზრისთვის არ არსებობს უნარი, რომელიც დასაკარგია. უბრალოდ ჩვენს მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, რომ რაკი ეს უნარი გაქვს, შეგიძლია, განავითარო და ამითი დასაქმდე. ჩვენ კვლევის შედეგად ვეტყვით მას, ამ პროფესიით თქვენი დასაქმების შანსი არის ასეთი, იმ პროფესიით – ისეთი, მაგრამ, თუ ადამიანს, მაინცდამაინც, უნდა რომ ოდესმე გახდეს წარმატებული დიდი კომპანიის იურისტი, მას ბევრი წვალება მოუწევს, სანამ იმ წარმატებული კომპანიის იურისტი არ გაათავისუფლებს სამუშაო ადგილს. რეგისტრაცია WORKNET.GOV.GE-ზე დაწყებულია და ძალიან ბუნებრივად მიდის. დღეში საშუალოდ, 100-150 ადამიანი გადის რეგისტრაციას.

**– და რეგისტრაციის გავლა შეუძლია ნებისმიერს, დასაქმებულია თუ სამუშაოს მაძიებელი.**

– დიახ, იმიტომ რომ ეს არის სამუშაოს მაძიებელთა ბაზა. თუ თქვენ ეძებთ სამუშაოს, სახელმწიფოსთვის ხართ მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის აქტიური წევრი.

**– თქვით, რომ ვაკანსიები არის, მაგრამ სპეციალისტები არ გვყავს, ანუ აუცილებელია ამ სპეციალისტების გადამზადება ან მომზადება, ეს პროექტი უნდა მიებას თქვენს სისტემას?**

– აუცილებლად. სწორედ ამიტომაც არის სასიცოცხლო მნიშვნელობის შრომითი ბაზრის კვლევა, რომელიც იტყვის, რა სპეციალობებზეა მოთხოვნა ქვეყანაში და სახელმწიფო მზადაა, დააფინანსოს პროფესიული მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. თუ ადამიანს სჭირდება გარკვეული უნარების სწავლა, ის უნდა მომზადდეს, თუ იცვლის პროფესიას, ის უნდა გადამზადდეს; თუ ვერ ეწევა ბაზრის მოთხოვნას, კვალიფიკაცია უნდა აიმაღლოს. ოღონდ აქ არის ერთი მომენტი – ჩვენს შემთხვევაში არ დაფინანსდებიან ის პირები, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემის კუთვნილებაა, ანუ ახალგაზრდები, რომლებსაც ისედაც შეუძლიათ, უფასოდ მიიღონ განათლება განათლების სამინისტროს მეშვეობით. ჩვენი პროექტი შეეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ საიმისოდ დრო, რომ 2 ან 3 წელი ისწავლონ და უნდათ, შეიძინონ კონკრეტული უნარი 2-3 ან, მაქსიმუმ, 6-თვიანი კურსების სახით.

**– თქვენი ფუნქცია მხოლოდ სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის დაკავშირებით ამოიწურება?**

– შრომის ბაზარს, როგორც ყველა ბაზარს, აქვს თავისი წესები. არის რაღაც პროდუქტი, სამუშაოს მაძიებელი და მისი მყიდველი, ანუ დამსაქმებელი. მაგრამ ნებისმიერ პროდუქტს სჭირდება შეფუთვა იმისთვის, რომ ბაზარზე გაიყიდოს. სწორედ ამიტომ 27 ივლისიდან დავიწყეთ სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფური კონსულტირებები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შრომის, ქცევის წესების გაცნობისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩავატარეთ უფასო ტრენინგები. ესეც არის პროცესი, რომელიც დაიწყო და არ დამთავრდება. ეს ჯგუფური ტრენინგები მოეწყობა პერიოდულად, მაგრამ ტრენერებს ევალებათ ინდივიდუალური კონსულტირებაც თითოეულ მაძიებელთან. მოსახლეობისთვის ეს ახალი ხილი აღმოჩნდა. თითქოს რა უნდა ამის ცოდნას, მაგრამ დამსაქმებელთა პირდაპირი მოთხოვნა იყო. უჩიოდნენ, რომ სამუშაოს მაძიებლებმა არ იციან „სი ვის“, სამოტივაციოს წერა, გასაუბრებაზე მოქცევის არანაირი წესი და რაც ყველაზე მთავარია, აქვთ არასწორი თვითშეფასება, ვაკანსიას არ შეეფერებიან, მაგრამ მაინც მოგვმართავენო. შემდეგ უკვე, 2015 წლიდან ევროკავშირის დახმარებით

**ჩვენი პროექტი შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც გავედით საგანმანათლებლო სისტემიდან, არ გვაქვს საიმისოდ დრო, რომ 2 ან 3 წელი ვისწავლოთ და გვინდა, შევიძინოთ კონკრეტული უნარი 2-3 ან, მაქსიმუმ, 6-თვიანი კურსების სახით**

ამ ზოგად კონსულტირებას დაემატება პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა. ევროკავშირის წარმომადგენლები მოგვიმზადებენ შესაბამის სპეციალისტებსა და მეთოდოლოგიებს. მით უფრო, რომ 2015 წლიდან გვეცოდინება, რა პროფესიების მოთხოვნაა ბაზარზე, ამ ხალხს მოვამზადებთ, გადავამზადებთ, კვალიფიკაციას ავუმაღლებთ, ამისთვის ბიუჯეტიც მზადაა და სახელმწიფოც.

**– ვთქვათ, გავიარე რეგისტრაცია WORKNET.GOV.GE-ზე. რა ხდება შემდეგ?**

– სისტემა ავტომატურ რეჟიმში აგზავნის შეტყობინებებს თქვენთან ვაკანსიების შესახებ, გნებავთ – გამოეხმაურეთ გნებავთ – არა. ვაფასებთ, ვისი მონაცემები შეეფერება არსებულ ვაკანსიებს. ამის შემდეგ თქვენი თანხმობით დამსაქმებელთან იგზავნება თქვენი ინფორმაცია. ამის შემდეგ დამსაქმებელი თავად წყვეტს, ვის დაუკავშირდეს და ვის – არა. მაგრამ ჩვენც გვაქვს კონტაქტი ორივე მხარესთან, რომ გავარკვიოთ, რა დონეზე მივიდნენ და ამ ყველაფერს ავღრიცხავთ. უკვე დავასაქმეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 12 პირი, დამსაქმებლები ძალიან კმაყოფილები არიან. ასევე, გვაქვს კავშირი პრობაციის სააგენტოსთან და პრობაციონერებსაც ვარეგისტრირებთ.

მეორე მხრივ, არა მარტო სამუშაოს მაძიებლებს სჭირდებათ მომზადება, არამედ პრობლემა აქვთ დამსაქმებლებსაც – მათ უნდათ დიმიტრი გელოვანი თვეში 200 ლარად. სამუშაოს მაძიებლისგან ითხოვენ იმაზე მეტ კომპეტენციას, ვიდრე ესა თუ ის კონკრეტული ვაკანსია მოითხოვს. ჯერჯერობით ქვეყანაში არ გვაქვს დასაქმების სტანდარტი. ეს სტანდარტი ახლა მუშავდება, რომ თავიდან ბოლომდე იყოს შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან. ეს სტანდარტი ამბობს, რომ ესა და ეს პროფესია უნდა იყოს ამა და ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემცველი. თუ დამსაქმებელი ამაზე მეტს მოითხოვს რამეს, მოუწევს დასაბუთება, რატომ.

**– 20 სექტემბერს რა ღონისძიებას მართავთ „ექსპოჯორჯიაში“?**

– დასაქმების ფორუმი არის მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი, როდესაც სამუშაოს მაძიებლები და დამსაქმებლები მასობრივად ხვდებიან ერთმანეთს, რომ მათ შორის კომუნიკაცია არ დაიკარგოს ისევე, როგორ ახლაა დაკარგული. ეს ფორუმი პირველად ტარდება სახელმწიფოს ეგიდით, თუმცა უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ეს გამოცდილება; ექსპოჯორჯიაში 20 სექტემბერს გაიმართება ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 180-მდე დამსაქმებელი და სამუშაოს მაძიებლებს ექნებათ საშუალება, შეხვდნენ მათ, დაუტოვონ თავიანთი „სი ვები“, გაესაუბრონ და ასე შემდეგ. ოღონდ ის განცდა არ უნდა ჰქონდეთ, რომ, რადგან ფოურმზე შემოვიდნენ, იქიდან შრომითი ხელშეკრულებით ხელში გავლენ. ადამიანებს ჰგონიათ, აბა, რისთვის მომიყვანე, თუ არ დამასაქმებდი?! იმისთვის, რომ გააცნო შენი თავი სხვა ადამიანებს, რადგან დამსაქმებლის უფლებაა, აიყვანს თუ არა სამსახურში. იქვე იქნებიან წარმოდგენილნი პროფესიული მომზადების კოლეჯებიც, მათაც ექნებათ საშუალება, დაამყარონ კონტაქტი დამსაქმებელთან და მოთხოვნით მოამზადონ კადრები დასაქმების გარანტიით. ერთადერთი პირობაა, რომ ფორუმში მონაწილეობის მიღების მსურველი სამუშაოს მაძიებელი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული WORKNET.GOV.GE-ზე. რადგან სახელმწიფო არ ემსახურება სამუშაოს იმ მაძიებლებს, რომლებმაც არ აცნობა, რომ სამუშაოს ეძებს.

**ნინო ხაჩიძე**

## თამაზ (მალიშკა) ბურჯანაძის მონატრება



ქუთაისელი კაცი... მთელმა ქალაქმა იცის, რომ მის პიროვნებას სიტყვა „კაცურის” დამატება არ სჭირდებოდა. უყვარდა ყველას, იმიტომ, რომ ყოველთვის და ყველასთან მართალი იყო. დაგვაკლდა სითბო, მისი ვაჟკაცური სიტყვა. უდროოდ წავიდა და დატოვა გამწარებული დედა, რომელმაც ერთადერთი შვილი მიაბარა მიწას. საყვარელი მეუღლე, გულიკო ახვლედიანი, რომელიც მისთვის არა მხოლოდ ცოლი, არამედ, მეგობარი და მესაიდუმლეც იყო; დაობლდნენ მისი ულამაზესი ქალიშვილები – ლიკა და მაკა, რომელთა ბედნიერებას ვერ მოესწრო. ერთადერთი, რითაც მის მოყვარულ ადამიანებს შეგვიძლია, თავი ვინუგეშოთ, ისაა, რომ, მისი მოსახელე, პატარა თაზო, რომელიც ბაბუის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, ისეთივე კაცად გაიზრდება, სიტყვა „კაცურის” დამატება რომ არ დასჭირდება და ამაყად ივლის ბალახვანში, ქუთაისის ყველა უბანში და მთელ საქართველოში.

**ოჯახი**

**სოფელ ილორის შუაგულში (ოჩამჩირის რაიონი) მეთერთმეტე საუკუნეში აგებული ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. მის აღმოსავლეთ ფასადზე საუკუნეების განმავლობაში იყო შემონახული ქართულწარწერებიანი 5 ქვა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება. მეთექვსმეტე საუკუნეში ილორის ეკლესია ლევან მეორე დადიანმა შეაკეთა, 1736 წელს კი, თურქების მიერ გადაწვის შემდეგ, ოდიშის მთავრებმა აღადგინეს. თუმცა, ამ ტაძრის ისტორია ამით არ დამთავრებულა: რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, ქართულ ეკლესიას რუსული გუმბათი დაადგეს, ქართული კვალის წასაშლელად, გარე ფასადი სრულად, ხოლო შიდა – ნაწილობრივ გადაღებეს თეთრად; აღმოსავლეთი მხარე კი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი – მთლიანად შელესეს და, ხუროთმოძღვრების ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს, რომელსაც საუკუნეების წინ კრისტოფორო დე კასტელი იხსენიებს, ნამდვილი იერსახე დაუკარგეს. ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე აფხაზეთის ოკუპაციამდე, ქართულ ენაზე აღევლინებოდა... თუმცა, წლების წინ, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ჩვენმა თანამედროვე მწერალმა და მხატვარმა, დათო გაჩეჩილაძემ შეძლო ღვთისმშობლის მირონმდენი, სასწაულმოქმედი ხატით აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლა და ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოლოცვა, რამდენიმე საათის განმავლობაში უძველეს ქართულ ტაძარში ქართული გალობა და ლოცვა ისმოდა...**

# რა სასწაულები აღესრულებოდა საუკუნეების განმავლობაში ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და როგორ მიდიოდა ყოველ გიორგობას ტაძარში სამსხვერპლო ხარი თავისი ფეხით

**დათო გაჩეჩილაძე**: ყოველ გიორგობას უამრავი ხალხი მიდიოდა ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. როგორც კი დასრულდებოდა გიორგობის მწუხრი, ყველა ტოვებდა ტაძარს. ოდიშის მთავარი, დადიანი, საკუთარი ბეჭდით ბეჭდავდა გალავნის კარიბჭეს. დილით მთავარს ბეჭედი დაურღვეველი ხვდებოდა, ტაძრის ეზოში შესულებს კი სამსხვერპლო ხარი ხვდებოდათ. რა დროიდან ხდებოდა ეს სასწაული, არავინ იცოდა. ზოგი ამბობდა, ადრე ირემი მოდიოდაო ტაძარში; ზოგი კი ასეთ ამბავს ყვებოდა: ვინმე უცხოქვეყნელს წმიდა გიორგის სასწაულები არ დაუჯერებია და სიცილით უთქვამს: „თუ ეს თქვენი წმიდანი მართლა სასწაულმოქმედია, ორას ვერსზე, სახლში, ხარი რომ დავტოვე, აქ მოიყვანოს; თუ ეს მოხდა, თქვენს ღმერთს ვიწამებო“. მეორე დღეს მისი ხარი ილორის ტაძრის ეზოში გაჩენილა. განცვიფრებულ კაცს დაუკლავს პირუტყვი და ხორცი ხალხისთვის დაურიგებია; მერე შინ დაბრუნებულა და, რაკი დარწმუნებულა, რომ ხარი მართლაც მისი იყო, ცოლ-შვილი ოდიშში წამოუყვანია, ქრისტეს რჯულზე მოქცეულა და იქვე დასახლებულა... თავისი ფეხით მისული ხარი ტაძრის ეზოდან გამოჰყავდათ და ადგილობრივ მკვიდრს აკვლევინებდნენ, რომლის ოჯახშიც ინახებოდა საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილი ნაჯახი, რომელსაც გიორგობამდე ხელს არავინ ჰკიდებდა. ორივე რქა და ხორცის დიდი ნაწილი ოდიშის მთავარს ეკუთვნოდა, რომელიც რქებს ოქრო-ვერცხლით ამკობინებდა და დღესასწაულებზე ამ სასმისებით სვამდა ღვინოს; ამის შემდეგ შეწირულ ხარს სამღვდელოება და ოდიშელი დიდებულები ინაწილებდნენ, დანარჩენ ხორცს კი წვრილად ჭრიდნენ და ხალხს ურიგებდნენ. ზოგი იქვე ჭამდა, ზოგი ახმობდა და ავადმყოფობისას წამლად იყენებდა, რადგან, იცოდა, რომ ეს ხორცი ყოველგვარ სნეულებას კურნავდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, როგორ დაიჭერდნენ ხარს: თუ პირუტყვი ხატის მსახურებს არ ნებდებოდა, ირქინებოდა და წიხლებს ისროდა, ამბობდნენ, წელს ომი იქნებაო; თუ მწოლიარეს ან მტვერში ამოგანგლულს იპოვიდნენ – ღომის უხვ მოსავალს ელოდნენ; ხოლო, თუ ხარი ცვრით იყო დანამული – იმ წელს ბევრი ღვინო დაიწურებოდა. 1853 წლამდე სასწაული ყოველ წელს მეორდებოდა. მისი შეწყვეტიდან ოთხი წლის შემდეგ, რუსეთმა ჯერ ოდიშის სამთავრო გააუქმა, შემდეგ – აფხაზეთისა და სვანეთის.

**– როგორც ცნობილია, ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წმიდა გიორგის არაერთი სასწაულმოქმედი ხატი ინახებოდა.**

– ტაძარში ინახებოდა წმიდა გიორგის ნაქონი მშვილდი, სპილენძის ბუკი და დიდმოწამისთვის შეწირული ორპირბოლოიანი ისრები. ძველად, თურმე, თაღიდან სასწაულმოქმედი ოქროს სასწორი ეშვებოდა. მოდავენი მის ქვეშ დგებოდნენ, წმიდანისადმი ლოცვას აღავლენდნენ და სასწორის პინა მართლისკენ იხრებოდა; მაგრამ, ერთხელ, წმინდა გიორგის მოტყუება უცდიათ და წმიდანს სასწორი სამუდამოდ წაუღია ზეცაში. ამის შემდეგ დამკვიდრებულა ეგრეთ წოდებული „გინოჩამა“ – ხატის სამსჯავროზე დამნაშავის გადაცემა. თუ სოფელში ვინმე იქურდებდა ან ცუდ საქმეს ჩაიდენდა, დაზარალებული წინასწარ გააფრთხილებდა და ნაქურდლის დაბრუნებას სთხოვდა; ხოლო, თუ დამნაშავის ვინაობა არ იცოდნენ, საქვეყნოდ გამოაცხადებდნენ: ესა და ეს დამნაშავის ხატზე გადასაცემად მიდისო. მერე რამდენიმე დღე დაიცდიდნენ და, თუ ქურდი მოპარულს არ დააბრუნებდა, ილორის ხატს შესთხოვდნენ: ნაქურდალი ორ კვირაში მოატანინე თავისივე ხელით, თუ არა და, შენი ძალა აჩვენეო. დამნაშავეს ზოგჯერ შეეშინდებოდა და ნაქურდალს ტაძრის ეზოში დაყრიდა ხოლმე, მაგრამ, პატრონს მისი წაღება არ შეეძლო – ეკლესიას რჩებოდა; წყევლა კი უთუოდ უნდა მოეხსნა, რადგან, სწამდათ, რომ, თუ ასე არ მოიქცეოდნენ, ხატი მაწყევარს დაამიზეზებდა.



ხანდახან ხატზე გადაცემული და გადამცემი რიგდებოდნენ კიდეც: დამნაშავე მაწყევარს სახლში მიიწვევდა, კარგად გაუმასპინძლდებოდა, რაიმე ნივთს მისცემდა, მერე ილორის ტაძარში წავიდოდნენ, ხატის წინ წყევას გამოილოცებდნენ და მაწყევარი საწინდარს აბრუნებდა. თუ ხატზე გადაცემული დანაშაულს არ მოინანიებდა, ისჯებოდა – ჭკუიდან ცდებოდა. ხატი ცრუდ მოფიცართაც აგიჟებდა. ასეთები ნათესავებს ტაძარში მიჰყავდათ, მნათე ეშმაკეულს ხატის წინ დააყენებდა, დიდმოწამეს შეავედრებდა და სამჯერ გაატარებდა წმიდა გიორგის მშვილდში. შემდეგ მნათე მიუახლოვდებოდა ავადმყოფს, ბუკში სამჯერ ჩაბერავდა და სულით ავადმყოფი იკურნებოდა.

**ზოგი იქვე ჭამდა, ზოგი ახმობდა და ავადმყოფობისას წამლად იყენებდა, რადგან, იცოდა, რომ ეს ხორცი ყოველგვარ სნეულებას კურნავდა**

წმიდა გიორგის ბორძალსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხი ფიქრობდა, რომ სწორედ ასეთი ისრებით ხოცავდა წმიდანი თავის მტრებს. ამიტომაც, მჭედლებს ყოველწლიურად აჭედვინებდნენ ორპირბოლოიან ისრებს და ილორის ტაძარს სწირავდნენ. ბორძლებს სწირავდნენ ისინიც, ვისაც ხშირი მეხის დაცემისგან ზარალი მოსდიოდა. ამბობდნენ, ისინი შეხებითაც კი კურნავსო. ილორის ტაძარში ბევრი უშვილო ოჯახი მოდიოდა საკლავ-შესაწირავით, უფრო ხშირად ვერცხლის პატარა აკვნებს სწირავდნენ ხატს და შვილიერებას სთხოვდნენ უფალს. უამრავი მლოცველი იდგა წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის წინ. მთავარი, ანუ, თავი ხატი – ვერცხლით მოჭედილი კარედი იყო; ის დღეს დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში. შუაში წმიდა გიორგის ჭედური ხატი იყო ჩასვენებული; მის ფერხთით ხარი და ხატის დამკვეთი, ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟვანიძე იყვნენ გამოსახულნი, კარედის შიგნით, ფრთებზე – ღვთისმშობლის ხარება, ხოლო კარედის წინაპირზე – წმიდა დიმიტრისა და წმიდა თეოდორეს ხატები. კარედს ვერცხლის გრძელი ჯაჭვი ჰქონდა მობმული, რომელიც ჯვრის მტვირთველებს გულზე ჩამოკიდებული უნდა ეტარებინათ. არანაკლებ პატივს მიაგებდნენ წმიდა გიორგის მეორე ხატს და, ასევე, იმ ხატს, რომელიც ლევან დადიანმა წმიდა გიორგის შესწირა. ხატის ცენტრალურ ნაწილზე, ვერცხლის ფირფიტებზე, წმიდა გიორგის ხუთი სასწაული იყო გამოსახული. ხატი 30-იან წლებში, ილორის ტაძრის გაძარცვისას განადგურდა, გადარჩა მხოლოდ ჩარჩოს ქვედა არშიის ფრაგმენტი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

**– წლების წინ შეძელი და მოილოცე ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ტაძარი. ამისთვის საკმაოდ რთული გზის გავლა მოგიხდა და არაერთი სასწაულის მხილველიც გახდი.**

– ზუსტად 25 წლის წინ, მარიამობის დღესასწაულზე, 15 წლის ასაკში, პირველად ავიღე ხელში იარაღი და ცხინვალთან ახლოს, ფრონტის ხაზზე აღმოვჩნდი. ჩემი ისტორია არაფრით იქნებოდა განსაკუთრებული, რომ არა ილორის წმიდა გიორგის მეოხება და შემწეობა. მისი ხატი სამივე ომის განმავლობაში გულისჯიბით დამქონდა და მან არაერთხელ გადამარჩ-

ინა მოსალოდნელ სიკვდილს. წმიდა გიორგისადმი ჩემი ყველაზე დიდი თხოვნა იყო, ამ ომიდან ისე გამოვეტარებინე, რომ ჩემი გული ბოროტებით არ დაბინძურებულიყო, ქრისტეს სიყვარული ბოლომდე მეტარებინა და, თუ მოვკვდებოდი, გმირულად მაინც მოვმკვდარიყავი. ყველა მოვლენის დროს, ჩემთან იყო ილორის წმიდა გიორგის ხატი. რამდენჯერაც ფრონტზე წავედი, იმდენჯერ, ჯერ ოჩამჩირეში გავივლიდი ხოლმე, ილორის წმიდა გიორგის მოვილოცავდი, მისგან ვიღებდი ლოცვა-კურთხევას და რწმენით გაძლიერებული მივდიოდი. ერთხელ აფეთქებისგან დანგრეული სახლის ნანგრევებში მოვყევი და ოთხი დღე და ღამე დამარხული ვიყავი. სასწაულებრივად გადამარჩინა და ცოცხლად დამარხული აღმადგინა წმიდა გიორგიმ – ამაზე მეტი სასწაული ჩემთვის აღარ არსებობს. პირველ დღეს ცეცხლი ვერ ავანთე, რადგან, სახლის სარდაფში მოვყევი, კომპოტები და ღვინოები დასკდა და ყველაფერი დამისველდა. გავაშრე ასანთი, მეორე დღეს ქაღალდებს მოვუკიდე ცეცხლი და, საითაც კვამლი წავიდა, იმ მხარს დავიწყე თხრა. თან, მძიმედ ვიყავი დაშავებული – კონტუზია მქონდა. ვთხრიდი 10-15 წუთი და მერე ვითიშებოდი – ძალა არ მქონდა, დასუსტებული ვიყავი, საშინელი ტკივილებით, მშიერი, მაღალი წნევით, აფეთქებისგან ყურის მემბრანები მქონდა დაზიანებული – სისხლი მდიოდა. მთელი ეს დრო ვლოცულობდი წმიდა გიორგის ხატზე – ის მხოლოდ ტყვეთა განმათავისუფლებელი კი არ არის, არამედ, სამარიდან ამომყვანებელიც. იქ, სადაც ვიყავი დამარხული, ციხეც იყო და, რეალურად, სამარეც. მას შემდეგ, რაც ქრისტემ ლაზარე აღადგინა მკვდრეთით, მკვდრის გაცოცხლება მხოლოდ წმიდა გიორგისთან გვხვდება, რომელიც მაცხოვარს სთხოვს, აღადგინოს წარმართების მღვდელი. სასწაულს არ ახდენს ხატი, სასწაულს ახდენს მხოლოდ და მხოლოდ უფალი, იმ წმიდანის მეოხებით, ვისაც ვესაუბრებით. წმიდა გიორგის კი აქვს იმის კადნიერება, რომ ღვთის წინაშე ასეთი რამ ითხოვოს; მიცვალებულს კი მხოლოდ უფალი აღადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ომიდან სამხედრო წოდებითა და ჯილდოებით ჩამოვედი, მოგვიანებით ჩამოვშორდი სამხედრო საქმიანობას და ჩემი გზა სასულიერო ცხოვრებასა და მეცნიერებას მივუძღვენი. მადლობა ღმერთს სწორი გზა ავირჩიე. 2005 წელს, მარიამობის მარხვაში, მე და ჩემმა ლაზმა ნათლულებმა კაპადოკიიდან საქართველოში შემოვაბრძანეთ ივერიის ღვთისმშობლის ხატი. მთელი მარხვის განმავლობაში გვინდოდა, მოგველოცა სრულიად საქართველო. მოვილოცეთ მოციქული მატათას საფლავი გონიოს ციხეში, გურია, სამეგრელო და როდესაც ზუგდიდში ღვთისმშობლის კვართი მოვილოცეთ, ძლიერი სურვილი გამიჩნდა, გადავსულიყავი აფხაზეთში და მომელოცა ილორი. შევედი ტაძარში, გულმოდგინედ ვილოცე და თითქოს პასუხი მომეცა – მარტო უნდა წავსულიყავი. სასწრაფოდ შევიძინე დავით აღმაშენებლის ხატი, რომელიც იყო „მეფე აფხაზთა, ოვსთა, რანთა და კახთა...“ – მინდოდა, ეს ხატი ილორში დაბრძანებულიყო; ასევე, შევიძინე წმიდა გიორგის ორი ერთნაირი ხატი: ერთი – ილორისთვის შესაწირად და, მეორე, მოლოცვილი, მინდოდა, საქართველოში წამომებრძანებინა. ეს ილორმოლოცვილი ხატი დღეს ქაშუეთშია დაბრძანებული, ჯვარცმიდან ხელმარჯვნივ. მოკლედ, გადავწყვიტე ილორის მოლოცვა. საზღვარზე მისულმა მებაჟეებს გადავხედე და, რომელიც ასაკით პატარა იყო, იმას დაველაპარაკე – მივხვდი, თავის ასაკიდან გამომდინარე, ქართველების სისხლში არ ექნებოდა ხელი გასვრილი და არც აფხაზეთის ომში იქნებოდა ნაბრძოლები. ვუთხარი: მომლოცველი ვარ, ილორის მოლოცვა მინდა და დამეხმარე-მეთქი. დამთანხმდა. მითხრა – ვნახავ, ვინ არის საგუშაგოზე და, როგორც კი მომენტი იქნება, გადაგიყვანო. ვუთხარი: სანამ გადამიყვან, ეს წაიღე-მეთქი – და, ღვთისმშობლის ხატი გავუწოდე, რომელიც ცელოფანში იყო გახვეული. ასეთი გათვლა მქონდა: თუ ვერ გადავიდოდი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გადაბრძანდებოდა აფხაზეთში, მოილოცავდა და დაბრუნდებოდა. თუ არ ინებებდა დაბრუნებას, ესეც მეოხება და შეწევნა იქნებოდა საქართველოსთვის. მოკლედ, დედაღვთისამ ინება, რომ საბაჟოზე გადავსულიყავი. როცა მითხრეს – შენი საბუთებიო, ამ დროს იმ მებაჟე ბიჭმა დაიძახა: ჩემთან ერთად არისო და აღარ შემამოწმეს. მე არა მხოლოდ ვიბრძოდი აფხაზეთში, ვიყავი ის დიქტორი, რომელმაც პირველმა გამოაცხადა კომენდატის საათი, ამიტომ გარკვეულწილად, მტრის სახეც ვიყავი. შესაბამისად, დიდი იყო რისკი, თან, აფხაზეთის კანონმდებლობით, ომის მონაწილე ქართველს 15-წლიანი ციხე ემუქრებოდა. მაგრამ, როცა რაღაცას სარწმუნობით, სიყვარულით აკეთებ, ამ რისკს ვერ გრძნობ და, საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. თან მახლდა ტელეკომპანია „მზის“ ოპერატორი. საქმეში ერთი სხვა მებაჟეც ჩაერთო. ოპერატორმა მითხრა: რაღა ეს კაციჭამია მოგყავს, ყველაზე საზიზღარი



მებაჟეა, ქართველ ქალებს ისეთ დღეში აგდებსო. არსებობს ღვთისმშობლისადმი ლოცვა „მგზავრობის მნებებელთათვის“ – ამ ლოცვით ისე გავიარეთ ყველა საგუშაგო და ისე მივედით ილორამდე, რომ კაციშვილს არ გავუჩერებივართ. მივედით ილორში, სადაც დღემდე მოღვაწეობს აფხაზი ხუცესი, მამა სერგი (ჯოპუა), კეთილშობილი ადამიანი. მონასტრის ეზოში დავრჩით მე, ოპერატორი და ჩვენი „სასტიკი“ მებაჟე. მოვილოცეთ ეკლესიის ეზო; ავედი სამრეკლოზე, საიდანაც ჩანს ზღვა და სოხუმს ღვთისმშობლის ხატით ჯვარი გადავწერე; შევევედრე დედა ღვთისას, რომ მალე დავებრუნებინეთ იქ ქართველები. შემდეგ ჩამოვედი ილორის ეკლესიის ეზოში საფლავების მოსალოცად. იქ არის მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მოღვაწის, არქიმანდრიტ გიორგი (ბულისკირიას) საფლავი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა დედაეკლესიას და იყო ილორის წინამძღვარი. მასთან ერთად დასაფლავებულია მორჩილი ქალი, ვერა, რომელიც თავისი უბრალოებითა და სისპეტაკით გამოირჩეოდა და მათ რაფაელ კარენინი თავის წიგნში: ცოცხალ წმიდანებს უწოდებს. მამა გიორგის შევავედრე ეს აფხაზი, გამცილებელი ბიჭი და, ვთხოვე, მოექცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. მართლაც, ჩვენი საუბარი ისე განვითარდა, რომ ეს კაცთმოძულე მებაჟე ჩემი ოპერატორის ნათლული გახდა, მეორე მებაჟე კი მე მოვნათლე. მამა სერგიმ შეგვიყვანა ტაძარში, სადაც ვიხილეთ მეორე სასწაული: საკურთხევლის კანკელის ყველა ხატს მირონი სდიოდა. მამა სერგიმ გვითხრა: მირონდენა ხატებს თქვენს ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე დაეწყოთ და, მე ვიცოდი, რომ ქართველები უნდა ჩამოსულიყვნენ, რადგან, ივერიის ღვთისმშობელი განსაკუთრებულად ტიროდაო. რა თქმა უნდა, დავაბრძანეთ ხატები და აღვავლინეთ სამშვიდობო პარაკლისი, რომლის დროსაც მოვიმიზეზე: საეკლესიო რუსული არ ვიცი და საკითხავებს ქართულად ვიტყვი-მეთქი. ასე რომ, მამა სერგი ასამაღლებლებს რუსულად ამბობდა, მე კი ქართულად ვლოცულობდი და ვგალობდი. წლების შემდეგ აღვადგინეთ სამართლიანობა და ქართულად ისმოდა ილორში ლოცვა. კარგად მახსოვს მამა სერგის სიტყვები, რომლითაც მან აფხაზ მრევლს მიმართა: ეს ტაძარი ისევეა ქართველების, როგორც აფხაზების. შეხედეთ ამ ფრესკებს და გახსოვდეთ, რომ მეფე დავითი იყო მეფე აფხაზთა და შემდეგ ოსთა, რანთა და კახთა. ჩვენ მტერი ერთი გვყავს: სატანა, რომელიც გვყოფს, ხოლო ქრისტე სიყვარულია, რომელიც გვაერთიანებსო.

შემდეგ გვინდოდა ღვთისმშობლის ხატის რუსეთში გადაბრძანება და, გარდა ამისა, გვინდოდა „შენ ხარ ვენახის“ ხატები და სასაჩუქრე ღვინოები წაგვეღო და მშვიდობიანი მარშით ჩავსულიყავით მოსკოვში. წითელ მოედანზე არის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სამრეკლო, კარიბჭე და, გვინოდა, იქ დაგვებრძანებინა ეს ხატი. თავიდან ვგეგმავდით ცხინვალიდან გადასვლას, რასაც დაპირისპირება მოჰყვა – ფაქტობრივად, ცეცხლი გაგვიხსნეს; ამიტომ, საპატრიარქოდან გვთხოვეს, თავი შეგვეკავებინა. მაშინ, მეორე გზით წამოვედით, მარიამობას დავესწარით გერგეტის სამებაში. შეთანხმებული ვიყავით ჩრდილოეთ ოსეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან – საზღვართან უნდა დაგვხვედროდნენ, მაგრამ, მოხდა მეორე სასწაული: იმ დღეს მესაზღვრეებმა საზღვარი უმიზეზოდ ჩაკეტეს, მხოლოდ ერთი ოსი მაღალჩინოსანი გაატარეს, რომელსაც ვთხოვე: ნებისმიერ თანხას მოგცემთ, ოღონდ ეს ხატი გადააბრძანეთ და იქ დაგხვდებიან-მეთქი. რა პრობლემააო, თუ გინდა, საბაჟოს უფროსს მოვხსნიო. 15-20 წუთის შემდეგ მისი მძღოლი მობრუნდა და ხატი მოგვიტანა: საბაჟოზე არაფერი ჭრის, ამ ხატის შეტანა შეუძლებელიაო. ალბათ, ღვთისმშობელმა არ ინება მაშინ რუსეთში გადაბრძანება. გადაღლილმა, დასუსტებულმა და, ალბათ, ნერვიულობისგან გადატვირთულმა, გონება დავკარგე და ვიხილე: ბევრი სისხლი – საქართველოსა და რუსეთს შორის; რუსეთის ახალი პატრიარქი და, ასევე, ის, თუ როგორ პატარავდებოდა ჩვენი ქვეყანა. შემდეგ ვიხილე მწვანელენტიანი ბოევიკები, რომლებიც ხოცავდნენ ბავშვებს, რუსული ტანკები... ეს ყველაფერი ხევისა და სტეფანწმინდის მაშინდელ ეპისკოპოს პეტრეს (ცაავას) მოვუყევი: რამდენიმე დღეში საშინელი სისხლი დაიღვრება, ჩეჩნები ოსებს დახოცავენ და მერე რუსები ორივეს ერთად ამოხოცავენ; სამი წლის შემდეგ კი რუსეთსა და საქართველოს შორის ომი დაიწყება-მეთქი. ძალიან გამიწყრა მეუფე: როგორ ბედავ ასეთი რამის თქმასო. სინანულში ჩავვარდი... 1 სექტემბრის დილას მოხდა ბესლანის ტრაგედია და აბსოლუტური სიცხადით ამიხდა ყველაფერი, რაც ვიხილე: მწვანელენტიანმა ბოევიკებმა დახოცეს ოსები და შემდეგ რუსებმა ორივე ერთად ამოხოცეს. სამი წლის შემდეგ, 2008 წელს კი, მოხდა ქართულ-რუსული ომის მეორე ეტაპი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეიწირა...

რაც შეეხება ღვთისმშობლის ხატს, მეუფე პეტრეს ლოცვა-კურთხევით გადავაბრძანეთ ვლადიკავკაზში. დავაბრძანეთ მისი უწმიდესობის კეთილშობილი მშობლების სახლში, სადაც დღეს ილია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტერია. ეს ხატი ელოდება თავის მისიას – უნდა ჩაბრძანდეს მოსკოვში. თუმცა, ვინ იცის, რა მიზეზით არ ინება მან მოსკოვში ჩაბრძანება ან როდის ინებებს ამას...

**ნათია უტიაშვილი**

**ყველას თუ არა, ალბათ, ზოგიერთს მაინც, შეგინიშნავთ თბილისის ქუჩებში სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც ულამაზესი ქალბატონი მართავს. როგორც ძირითადად ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ალბათ, თქვენც გაგკვირვებიათ და რამე გაუგებრობა გგონებიათ, მაგრამ, გეტყვით, რომ აქ გაუგებრობა არაფერ შუაშია და ეს ქალბატონი ნამდვილად „სასწრაფოს" მძღოლია, ერთადერთი – საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით. გაკვირვება კიდევ უფრო გაიზრდება, როცა გაიგებთ, რომ ის მხოლოდ სასწრაფოს მძღოლი კი არა, ბაიკერიც გახლავთ და, თან, არაჩვეულებრივი მხედარიც.**

**ექსკლუზიურად „თბილისელების" მკითხველისთვის დეტალები ნანა მამუკაშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.**

# ვინ არის საქართველოს „სასწრაფოს" ერთადერთი ქალი-მძღოლი და რატომ უწოდებენ მის ბრიგადას „ჩარლის ანგელოზებს"

**– ქალბატონი ბრძანდებით და, რატომ გადაწყვიტეთ, ბაიკერი გამხდარიყავით?**

– მე ბაიკერების ოჯახში დავიბადე და ჩემ გარშემო ყოველთვის მოტოებს ვხედავდი. მამაჩემი მოტომოყვარული იყო, ბაბუასაც ჰყავდა მოტოციკლი. ეს სისხლში მაქვს და, იმიტომ არ ამირჩევია, რომ, უბრალოდ, მომეწონა. როგორც კი ოდნავ წამოვიზარდე, მაშინვე მოტოზე დავჯექი. მართალია, ბევრჯერ დავიმტვრიე, მაგრამ, თავი არ დამინებებია.

**– ამ საქმის პროფესიონალი ხართ თუ ეს მხოლოდ მოყვარულის დონეა?**

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიონალი ბაიკერი ვარ. შემიძლია მოტოციკლის მართვა ნებისმიერი სიჩქარით, ფეხზე მდგარს; უამრავ ტრიუკს ვასრულებ და ასე შემდეგ. ძირითადად, მოტოთი ვმოძრაობ – ეს ჩემთვის ახალგაზრდობის ფორმულასავით არის. ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ჩვენი დაშორება წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**– შეჯიბრებებში თუ იღებთ მონაწილეობას?**

– შეჯიბრებებში მიმიღია მონაწილეობა, თამაშებშიც ხშირად ვმონაწილეობ, მაგრამ, სერიოზულ კონკურსებზე არ გავსულვარ, რადგან, ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.



**– როგორი დამოკიდებულებაა საქართველოში ბაიკერი ქალების მიმართ და თუ არიან თქვენ გარდა სხვებიც?**

– ჰოლივუდში, წითელ ხალიჩაზე რომ ძალიან მაგარი მსახიობი მიდის და ხალხი ოვაციებით ხვდება, ისეთი დამოკიდებულებაა ჩვენთან ბაიკერი ქალის მიმართ. ჩემ გარდა სხვა ბაიკერი გოგონებიც არიან, ბევრად პატარები. მე ერთად ერთი ასაკიანი ბაიკერი ვარ, სულ დაახლოებით ექვსნი ვართ.



**ჩემში არის ადამიანების გაკვირვების ამბიცია. მსიამოვნებს, როცა რამე შეუძლებელს, სარისკოს ვაკეთებ. ცოტა მამაკაცური რაღაცეები მომწონს**

**– მამაკაც ბაიკერებს როგორი დამოკიდებულება აქვთ თქვენდამი?**

– ძალიან კარგი, ყოველთვის ყველაფერში გვეხმარებიან და გვერდში გვიდგანან. ძალიან ამაყობენ ბაიკერი გოგონებით. ბევრი კაცი-ბაიკერი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩემ გარეშე არ გადიან „საკატაოდ". ზოგადად, კაცები გაოცებას გამოხატავენ და უამრავი კომპლიმენტით მავსებენ; იგივე რეაქცია აქვთ ბავშვებსაც და მოხუცებსაც და ეს ძალიან მახარებს. ერთი იგავ-არაკი არსებობს: ქალს უნდა, რომ იყოს ყველაზე ლამაზი და ყველასთვის საყვარელი და, ერთხელაც, ჭას მიადგება, რომელიც სურვილებს ასრულებს. სთხოვს: მინდა, ყველას ერთნაირად მოვწონდე – დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაცო და ეს ჭა ბაიკს გაუჩენს ***(იცინის).*** ერთხელ, მახსოვს, ქუჩაში ბაიკით მივდიოდი და რაღაცისთვის გავჩერდი. გვერდზე მანქანიდან საკმაოდ ხნიერი და სოლიდური მამაკაცი გადმოვიდა და დიდი აღფრთოვანება გამოხატა ჩემ მიმართ, დაიჩოქა ჩემ წინ, ხელზე მეამბორა და მითხრა: ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში მაქვს ნანახი და, არ შემიძლია, ამისთვის თაყვანი არ გცეო. ასეთი ფაქტები ძალიან ხშირია, რაც ძალიან მეამაყება.

**– ეს ექსტრემალური სპორტია, რომელიც დიდ საფრთხესთან ასოცირდება. ეს თქვენთვის სირთულეს არ წარმოადგენს?**

– სირთულე და რისკი მართლა ძალიან დიდია, დაზღვეული არასდროს არ ხარ. საქართველოში მოძრაობა ისედაც ძალიან რთულია და, მით უმეტეს, ბაიკს ტრანსპორტად ვერ აღიქვამენ. ეს ბაიკერებისთვის ძალიან რთული თემაა. ბაიკისთვის მოულოდნელად გაჩერება რთულია და მისთვის გზის დათმობა, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია. მე, მაგალითად, დღეში 4-5 საავარიო სიტუაცია სულ მაქვს, რადგან, ძალიან რთული მოძრაობაა. სერიოზულადაც დავმტვრეულვარ მანქანის გამო, მაგრამ, იმდენად მიყვარს ბაიკი, რომ მას შიში ვერ მოერევა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი „შრამი" მაქვს, ამას არასდროს შევუშინებივარ.

**– ინტერვიუმდე მითხარით, რომ გათხოვილი ხართ და 25 წლის ქალიშვილი გყავთ. მეუღლე როგორ გაიცანით და რა რეაქცია ჰქონდა, როცა თქვენი ექსტრემალობის შესახებ გაიგო?**

– როცა გავთხოვდი, მეუღლემ არ იცოდა ბაიკისადმი ჩემი და ჩემი ოჯახის დიდი სიყვარულის შესახებ. ჩვენი დაქორწინებაც ძალიან ექსტრემალურად მოხდა – დები ქორწილიდან მოგვიტაცეს უცნობმა მამაკაცებმა და მეგობრებმა. შემთხვევით სულ უცხო ადამიანის მეუღლე გავხვდი, მაგრამ, ალბათ, დიდი ხნის სიყვარულიც არ წყვეტს ყველაფერს, იმიტომ, რომ ეს ადამიანი ძალიან შემიყვარდა და არაჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს. ძალიან ბედნიერი ვარ და ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ის შემხვდა; რომც მეძებნა, მისნაირს, ალბათ, ვერც ვიპოვიდი. მაშინ პატარა ვიყავი და გათხოვების პრეტენზია არც მქონია. ეს ჩემდა უნებურად მოხდა. ჩვენს დროს ხშირი იყო მოტაცებები, ახლა ასე აღარ არის და, ეს, სისხლის სამართლის მიხედვით, ადამიანის გატაცებაა, რომელიც ისჯება ***(იცინის).*** როცა მე და ჩემი მეუღლე ნათესავების გასაცნობად დავბრუნდით, ვთხოვე, მოტოციკლზე დამჯდარიყო და მეც მივუჯდებოდი, მაგრამ ძალიან გაუჭირდა, კინაღამ დავიმტვერით და მას შემდეგ მოტოციკლეტს აღარ შეხებია. როცა ჩემი დიდი გატაცების შესახებ გაიგო, არ გაუხარდა, მაგრამ, არც დაუშლია. „ჩავარდნებიც" მქონდა – ფეხმძიმობისას და ბავშვის გაზრდის პერიოდში, მაგრამ, შემდეგ ისევ განვაგრძე. დაშლას აზრი არ ჰქონდა, რადგან, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო.

**– კიდევ ერთი საინტერესო საქმიანობა გაქვთ – „სასწრაფოს" მძღოლი ბრძანდებით. იქ როგორღა აღმოჩნდით?**

– რაღაც პერიოდი უცხოეთში ვცხოვრობდი, კუნძულ კვიპროსზე. იქ ჩვენი საკონსულო არ იყო და უსაბუთოდ ოჯახში ვერ იმუშავებდი – ბერძნებს ცოტა სხვა კანონები აქვთ. ამიტომ, მომიწია სიღარიბის დაძლევის კურსებზე ჩაბარება, საიდანაც დავიწყე მუშაობა „სასწრაფოს" მძღოლად ერთ-ერთ კერძო კლინიკაში და, ზუსტად ამან გამაბედვინა, რომ საქართველოშიც შემეძლო იმავეს გაკეთება. პროფესიით იურისტი ვარ, მაგრამ, ჩემი სპეციალობით რომ დამეწყო მუშაობა, გამოცდები უნდა ჩამებარებინა და გადამზადება გამევლო, რასაც დრო სჭირდებოდა, მე კი მეჩქარებოდა და ამ გამოცდილებამ მაპოვნინა სამსახური, რომელიც ჩემს ექსტრემალურ ბუნებასთან ძალიან ახლოს იყო. ქალები მხოლოდ მაღალქუსლებთან არ უნდა ასოცირდებოდნენ. ძალიან ძლიერები რომ ვართ, ეს ფაქტია. ზოგადად, ჩემში არის ადამიანების გაკვირვების ამბიცია და, მსიამოვნებს, როცა რამე შეუძლებელს, სარისკოს ვაკეთებ. ცოტა მამაკაცური რაღაცეები მომწონს. როცა ამხელა მანქანაზე მხედავენ, დიდ გაოცებას გამოხატავენ, იმდენად დიდს, რომ ბაიკზე მჯდარი ქალის დანახვით გამოწვეულ ემოციებსაც გადააჭარბა. მოძრაობა ჩერდება და ხალხი მიყურებს. სირენას რომ ჩავრთავ, ხალხს რეაქცია არ აქვს, სანამ არ დავიწყებ, რომ მეჩქარება და გამატარეთ-მეთქი; გაოცებული სახეებით მიყურებენ. კურიოზიც ყოფილა და დაძაბულ სიტუაციებსაც კი სიცილისა და მხიარულების გარეშე არ ჩაუვლია. ძირითადად, ქალ ექიმებთან მიწევს მუშაობა და „ჩარლის ანგელოზები" შეგვარქვეს. მე ვხუმრობ ხოლმე, რომ, ჩარლის კი არა „ბრაჭულის ანგელოზები" ვართ და ხალხს ვეხმარებით-მეთქი. ხშირად, თავგატეხილ და სხვადასხვა დაზიანების მქონე პაციენტებს სურათებიც კი გადაუღიათ ხოლმე ჩემთან. „ვაიმე, უკვე კარგად ვარ" – ასეც ხშირად უთქვამთ. ბევრჯერ, გამოძახებიდან გამოსულ ექიმებს მე ხალხით გარშემორტყმული დავხვედრივარ – აღარ იცოდნენ, ვის რა მოეტანა და რით ესიამოვნებინა ჩემთვის. ერთხელ, ერთმა ახალგაზრდამ უამრავი „რაფაელო" დაგვახვედრა. ერთხელ ერთმა ასაკიანმა კაცმა ძალიან დიდი აღტაცება და

აქცია
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“
უფასოდ

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის” მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

MOLECULAR DIAGNOSTICS LAB TBILISI
Innovative Analytics from Germany

„MD LAB Tbilisi”

ინოვაციური დიაგნოსტიკა გერმანიიდან!

მოლეკულური PCR ლაბორატორია – თანამედროვე, ევროპული სტანდარტის ლაბორატორია თბილისში

პჯრ მეთოდი ქალებსა და მამაკაცებში გამოიყენება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკისათვის – Chlamydia trachomatis, Mycoplasma hominis, Mycoplasma genitalium, Ureaplasma spesies, Ureaplasma urealiticum/parvum, Trichomonas vaginalis, Neisseria gonorrhoeae, Gardnerella vaginalis, Candida albicans, Herpes simplex v, mun I/II, პაპილომა ვირუსებზე HPV.

ეს არის ყველაზე ზუსტი და თანამედროვე მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა სპეციფიკურად გაიზარდოს ასჯერ და მეტჯერ დაავადების აღმძვრელის დნმ-ის მონაკვეთი გამოსაკვლევ ნიმუშში. პჯრ მეთოდით გამოკვლევის ჩატარების მასალაა, როგორც წესი, ბიოლოგიური სითხეები და ორგანიზმის გამონაყოფი: სისხლი, შარდი, ნერწყვი, ნახველი. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები საშიშია იმით, რომ მათი შედეგი ნეგატიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ადამიანის მდგომარეობაზე, არამედ მისი მომავალი შვილების ჯანმრთელობაზე.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

გაოცება გამოხატა. გაზაფხული იყო, სადღაც ღობეზე აძვრა, მოტეხა ნუშის ტოტები და დიდი თაიგული მაჩუქა. ჩემს დანახვაზე გაოცება იმდენად დიდია, რომ, ვხუმრობ ხოლმე: „მე ვაფართოებ თვალებს წამებში“ ***(იცინის).*** ბევრჯერ უთქვამთ: „ვაიმე, ბეჭედი არ გიკეთიათ? ესე იგი, გათხოვილი არ ხართ. ცოლად ხომ არ გამომყვებით?“ ***(იცინის).***

**– თქვენ მოხიბვლას ცდილობენ ხოლმე?**

– როცა მუშაობა დავიწყე, შემეშინდა, ჩემ მიმართ გამოჩენილი ზედმეტი ყურადღებით მეუღლე არ გამეღიზიანებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულება უფრო საამაყო იყო როგორც საზოგადოების, ისე პოლიციის მხრიდანაც. პოლიციასთან დაკავშირებით ერთი სასაცილო შემთხვევა მახსენდება: გადამყავს ავადმყოფი და, უცებ, პატრული მაჩერებს. გავაჩერე და მითხრეს: – მომეცით საბუთები. რატომ ზიხართ საჭესთან? ვუთხარი, რომ ვმუშაობდი. – „ექიმს საჭესთან ჯდომის უფლება არ აქვს“, – განმიცხადა მან. საბუთებს ვაწოდებ და მეც და ექიმებიც ვუხსნით, რომ ექიმი არ ვარ. „ვის ალადავებთ თქვენ?“ – განაგრძობს შემართებით ***(იცინის).*** მერე, როცა მოწმობა ნახეს, წამოიძახეს: „უი, თქვენ „ა კატეგორიაც“ გაქვთ?“, „უი, ის გოგო ხართ, ბაიკერი?“ ***(იცინის)...*** მძღოლი რომ ვარ, ამაში ხშირად ეპარებათ ეჭვი. ერთხელ გადასასვლელ ხიდთან გოგონა იყო ცუდად. ჩვენს ბრიგადაში ერთი მამაკაცი ექიმი იყო, ერთი – ქალბატონი. გოგონა მანქანაში შეიყვანეს და სინჯავდნენ. მამაკაცი ექიმი სინჯავდა, ქალი რაღაცეებს იწერდა, მე კი საჭესთან ვიჯექი. მოვიდა ერთი, ძალიან გაღიზიანებული მამაკაცი და მეკითხება: „უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ მოგწონთ საჭესთან ჯდომა“? ვერ მივხვდი, რა უნდოდა. „იცით, მე ახლა 112-ზე დავრეკავ და გიჩივლებთ“, – განაგრძო მამაკაცმა. „რატომ?” – ვეკითხები. „მძღოლს ამუშავებთ და თავად საჭესთან ზიხართ, ასე ჩაგრავთ მძღოლებს, ხომ, ექიმებმაც დაიწყეთ მეტიჩრობა?“ – ჩხუბზე გადავიდა. ვუხსნი, რომ მე ვარ მძღოლი, მაგრამ, ჩათვალა, რომ ვაშაყირებდი და კიდევ უფრო გაბრაზდა. არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი და დამემუქრა, რომ სამსახურიდან მოახსნევინებდა ჩემს თავს ***(იცინის).*** ბევრჯერ ქალს უთქვამს კომპლიმენტი და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ბაიკზე რომ მხედავენ, მაშინაც, ბევრ ქალს უთქვამს, რომ ეს მისი ოცნებაა და, ჩემი დანახვით, ოცნების რაღაც ნაწილი აუსრულდათ. ეს ბევრს იზიდავს, მაგრამ, შიში აკავებთ. სულ მეკითხებიან, რატომ არ ვასწავლი შვილს მოტოს მართვას. სწავლებით არ მისწავლებია, მაგრამ ჩემთან ერთად ხშირად მჯდარა მასზე. იმიტომ რომ ეშინია. სადაც შიშია, მიმაჩნია, რომ არ უნდა დააძალო. მე, მაგალითად, სპორტი ძალიან მიყვარს და ტანმოვარჯიშეც ვიყავი. ამის გამო ერთი დანაშაულიც ჩავიდინე – რამდენიმე წელი შვილი დამყავდა ტანვარჯიშზე და ვტანჯავდი, რადგან, ბავშვს არანაირი მონაცემი არ ჰქონდა საამისოდ. ბაიკისადმი შიში რომ არ ჰქონდეს, აუცილებლად ვასწავლიდი.

**– ცხენებისადმი თქვენს დამოკიდებულებაზეც მოგვიყევით.**

– ცხენი არის ის სულიერი, რომელზე ძვირფასიც ცხოველებში არც ერთი არ მეგულება. ის ჩემთვის მხოლოდ ცხოველი არ არის. პროფესიული თვალსაზრისით, მონაწილეობა არსად მიმიღია, თუმცა, საკმაოდ კარგი მხედარი ვარ. ცხენის შეძენა დიდ თანხებს უკავშირდება და ამიტომ არ მყავს, მაგრამ, ბაბუაჩემი კომუნისტების დროს დეპუტატი იყო, ფერმის მმართველი, ცხენები ჰყავდა და ერთი მაჩუქა, რომელიც მე გავზარდე და გავხედნე. მამაჩემს მეორე შვილი ბიჭი უნდოდა, მე კი ვარ ოჯახში მეორე გოგო, ამიტომ, ისე მზრდიდა, როგორც ბიჭს. ბებია მეუბნებოდა ხოლმე, ცისარტყელას თუ გადაახტები, ბიჭი გახდებიო. მეც, მოვაჯდებოდი ცხენს და მივდიოდი ცისარტყელას საძებნელდად. მერე ხშირად გვეძებდნენ ხოლმე მე და ჩემს ცხენს ***(იცინის)...*** ერთხელ, არჩევნებთან დაკავშირებით, უცხოელი დამკვირვებელი მიმყავდა რაიონში, მესხეთისკენ. იქ ძალიან ბევრი სარგებლობს ცხენით. მანქანით მივდიოდი და პატარა ბიჭი შემხვდა, რომელიც ძალიან კარგ ცხენზე იჯდა. თურმე, ჯირითში გამარჯვებული ცხენი ყოფილა. ბავშვს ვკითხე, მანქანის მართვა თუ იცოდა და, რომ მითხრა, კიო, მაშინვე ვთხოვე, ტრანსპორტი გაგვეცვალა. ერთი გზა გვქონდა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა და, თან, ცხენს უნაგირი არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რა სანახავი ვიქნებოდი ***(იცინის).*** ამ კაცის გაოცებული სახე არ მავიწყდება. როცა მივედით, მითხრა: „მე ვნახე ქართველი ამორძალი ქალი და ეს იყო ულამაზესი“... ერთხელ ცხენი სხვისგან ვითხოვე. ჯირითის შემდეგ ცხენი ველარ დავიმორჩილე და თავის სახლში წამიყვანა. იქ ატყდა მეზობლების წივილ-კივილი: ნინა, გამოიხედე, ნახე, რა ხდება, ცხენმა სარძლო მოგიყვანა! ისე ვერ ელირსა შენს შვილს ცოლი და, ნახე, ერთი, რა ქალიაო. მე ვუთხარი: ქალბატონო, მე გათხოვილი ვარ, უბრალოდ, ცხენი ვერ დავიმორჩილე და ასე აღმოვჩნდი თქვენთან-მეთქი. უი, რას ამბობ, არადა, გამიხარდა ჩემმა შვილმა თვითონ ვერ მოიყვანა ცოლი და, იქნებ, ცხენმა მაინც უშველოსო ***(იცინის).*** მოკლედ, ცხენის, მოტოციკლისა და მანქანის სტიქია ბავშვობიდანვე მაქვს – ეს ყველაფერი ჩემთვის ახალგაზრდობის ფორმულაა. ოჯახის მხრიდან ცოტა სხვა დამოკიდებულება რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებებს მივაღწევდი. ახლაც მაქვს გარკვეული მიზნები და მათ განხორციელებაზე უარს არ ვიტყვი.

**ქეთი კაპანაძე**

**15 აგვისტოს, ზუგდიდში, კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის სასამართლო პროცესი დაიწყო. მას შემდეგ, რაც გამოძიებამ ვერ მოიპოვა მტკიცებულებები იმ რეკორდული მაჩვენებლების ბრალდებებზე, რაც კოდორის ყველაზე ცნობილ დამცველს ჰქონდა წაყენებული, მას თერთმეტი ბრალდებიდან ცხრა ბრალდება მოეხსნა. ამის მიუხედავად, ემზარ კვიციანი პატიმრობაში რჩება, რაზეც მისი და, ნორა კვიციანი სინანულით საუბრობს.**

# ვის „დაუტოვა“ ნორა კვიციანმა ციხეში მისთვის დამატებული რკინის კარი და სად დაჰყავდათ ის „კანონიერ ქურდებთან“ ერთად

**ნორა კვიციანი**: ემზარის სასამართლო ძალიან უცნაურად, შემიძლია ვთქვა, უსამართლოდაც მიმდინარეობს. იმის მიუხედავად, რომ მისი პიროვნების და ამ პროცესის მიმართ საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დიდია, ის, რაც პროცესებზე ხდება, მასმედიასა და ტელევიზიაში არ შუქდება. ემზარის მეგობრები, ძველი მებრძოლები, ვინც ამ ქვეყანას იცავდნენ, ხშირად ჩამოდიან ზუგდიდში პროცესებზე. მასმედიაში რომ არ შუქდება, ეს, შესაძლოა, იმის ბრალიცაა, რომ პროცესი ზუგდიდში მიმდინარეობს, რაც ბევრ ტექნიკურ პრობლემასთან არის დაკავშირებული. გამოძიება მიმდინარეობდა მთავარ პროკურატურაში – არ მესმის, რატომ უნდა გამართულიყო სასამართლო პროცესები ასე შორს; ფაქტია, რომ ეს ვიღაც-ვიღაცეების ინტერესში შედის.

**– ემზარ კვიციანს თერთმეტი ბრალდებიდან ცხრა მოუხსნეს, დარჩენილ ორ ბრალდებაზე რა მტკიცებულებები აქვს გამოძიებას და როგორ მიდის სასამართლო პროცესი?**

– ემზარს თერთმეტი ბრალდება ჰქონდა, ცხრა მოუხსნა პროკურატურამ. არც გამიგია, რომ ამდენი ბრალდება ვინმესთვის წაეყენებინოთ. ყველაზე მეტად თაღლითობის მუხლი ამწარებდა და აგიჟებდა – ემზარი და თაღლითი?! ვაჟკაცისთვის ეს ყველაზე მძიმე რამაა. თანხების მითვისებასაც რომ აბრალებდნენ, ამაზეც გიჟდებოდა. რას გვაძლევდნენ, რის მითვისებაზე ლაპარაკობდნენ? ემზარს ორი ბრალდება აქვს დარჩენილი – ამბოხი და შეიარაღებული ფორმირების შექმნა. ორივე მძიმე მუხლია, დიდ სასჯელებთან დაკავშირებული. ჩემი ძმა ყველა პროცესზე ამბობს, რომ მან გამოაცხადა დაუმორჩილებლობა იმიტომ, რომ ხეობის დამთმობი არ იყო; იმიტომ, რომ ფიცი ჰქონდა დადებული, და იცოდა, რომ ხეობის ჩაბარება იყო გადაწყვეტილი. იმ წინააღმდეგობით ამ გადაწყვეტილების შეჩერება უნდოდა. დაუმორჩილებლობა სულ სხვაა, ამბოხი კი – სულ სხვა. შეიარაღებულ ფორმირებაზე რომ ლაპარაკობენ, ვინ იყო ფორმირება – მისი და და დისშვილი?! მე ვიყავი ეს ფორმირება? ეს მუხლი მე ცალკე მქონდა წაყენებული. გამოძიებამაც აჩვენა, რომ ფორმირებაში არავინ არ ყოფილა, „მონადირე” იურიდიულად გაფორმებული ბატალიონი იყო; როცა ბატალიონი გააუქმეს, ემზარი უკვე აღარ იყო რწმუნებული. ჩემი შვილი, ბაჩო არღვლიანია ფორმირების წევრი?! ბაჩო რომ არ ყოფილიყო, კოდორში კიდევ უფრო მეტი სისხლი დაიღვრებოდა. სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოწმეები, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ადამიანები, რომლებიც კოდორში დაიჭრნენ იმ ცნობილი ამბების დროს და ისინი პროკურატურამ დაზარალებულებად ცნო. სასამართლო პროცესზე მათ მისცეს ჩვენებები ადვოკატებისა და პროკურატურის მხრიდან მიერ დასმულ შეკითხვებზე – აქვთ თუ არა მათ პრეტენზიები ემზარ კვიციანთან; ისინი პასუხობდნენ, რომ ჩემს ძმასთან პრეტენზიები არ აქვთ. ექვსივემ განაცხადა, რომ ისინი ემზარისგან არ არიან დაზარალებულები – ამისი არანაირი მტკიცებულება არ აქვს გამოძიებას. ემზარის საქმეში პროკურორი არ შეცვლილა, თენგიზ ხარებავა წინა ხელისუფლებიდან მოჰყვება ამ საქმეს. დაიშოკა, დაზარალებულებმა ასე რომ ილაპარაკეს; ბრალდებას ვერ უმტკიცებენ და, ამბობს, ემზარს სასჯელს მაინც მიუსჯიანო. იმედი მაქვს, რომ მოსამართლე სამართლიანად წარმართავს ამ საქმეს და სამართლიანობა გაიმარჯვებს – ეყოფა ემზარს, რაც იწვალა და იტანჯა. სამართალი გვიან, მაგრამ, აუცილებლად აღსრულდება.



მეც ვიყავი კოდორში, თვეზე მეტხანს დავრჩი, კანონი „შემომერღვა”

**– თავად ბრალდებული რას აცხადებს სასამართლო პროცესებზე?**

– ძალიან იმედიანადაა. ამდენი ხალხია დაკითხული, ერთს არ მიუცია მისი საწინააღმდეგო ჩვენება და სწორედ ამ ჩვენებებიდან გამომდინარე მოეხსნა ეს მუხლები. თვითონ რა უნდა თქვას? ყველამ კარგად იცის, 14 წელი რის ფასად იცავდა კოდორს – არც გზა იყო, არც არაფერი და, ასეთ მძიმე პირობებშიც კი დაცული იყო ხეობა. კბილებით იცავდა ემზარი თითოეულ გოჯ მიწას. მოსამართლესაც უთხრა და დაზარალებულებსაც – მე რომ სროლა მდომოდა, ისე ვისროდი, დღეს არც ერთი აღარ იქნებოდით ცოცხალი, არც ერთ კოდორელს არ უსვრია თქვენთვისო. ემზარს დაფიცებული ჰქონდა, რომ ხეობას არ დათმობდა. მტერი – მტერია, რა მნიშვნელობა ჰქონდა, საიდან მოადგებოდა ის კოდორს?! ემზარმაც ის წინააღმდეგობა გაუწია, რაც შეეძლო, თუმცა, მიხვდა, რომ ხეობა ჩაბარებული იყო.

**– როცა ემზარ კვიციანი ჩამოვიდა საქართველოში და ჩაბარდა სამართალდამცველებს, ბევრს საუბრობდნენ გარიგებაზე ახალ ხელისუფლებასთან. რა მოლოდინი გქონდათ თქვენ?**

– ემზარი 28 თებერვალს ჩამოვიდა და იმ დღიდან ამბობდნენ, რომ ახალ ხელისუფლებასთან გარიგება მოხდა. გარიგება რომ ყოფილიყო, ახლა ციხეში იქნებოდა?! დეპუტატები, გენერლები დაუდგნენ თავდებში და ესეც არ გაითვალისწინეს. ყველაზე დიდი „გარიგება” და გარანტია არის სიმართლე, რაც ჩემი ძმის მხარეზე იყო. თუ იმ ადამიანებისთვის შეიძლება თავისუფლებაზე ყოფნა, რომლებმაც ამდენი უბედურება ჩაიდინეს ხალხის წინაშე, ემზარი რისთვის ისჯება? მისი გარეთ ყოფნა არის საფრთხე? თავისი ფეხით ჩამოვიდა, ჩაბარდა, ვითანამშრომლებ გამოძიებასთანო – განაცხადა და, ესაა მისი სასჯელი?! იცოდა, რომ დააკავებდნენ, მაგრამ, ახალი ხელისუფლების იმედი ჰქონდა, რომელიც ბევრს საუბრობდა სამართლიანობის აღდგენაზე. ემზარი გარედანაც შეძლებდა თავისი სიმართლის დადგენას; თავისი ფეხით ჩამოსული კაცი სადმე გაიქცეოდა?! ეს არის პოლიტიკური დაკავება – ამაზე ხომ ორი აზრი არ არსებობს. თუკი ოქრუაშვილს შეუძლია, იყოს თავისუფალი და დღემდე არ არის დასმული შეკითხვები მისი მისამართით, რატომ არ შეიძლება, თავისუფალი იყოს ემზარი და ისე წარიმართოს გამოძიება? აგერ, ბატონო, დაიკითხნენ ის მფრინავები, მათ მისცეს ისეთი ჩვენებები, რომლის მიხედვითაც ოქრუაშვილის მისამართით შეკითხვები უნდა იყოს დასმული, ასეთი ბრძანებებია გაცემული, – ასე შეიძლება ამ ჩვენებების დატოვება?! თუ ემზარის საქმე ასე გაგრძელდა, მერე ის უკვე ამ ხელისუფლების პატიმარიც გამოვა და ეს ძალიან ცუდი იქნება.

**ემზარს შეკლული ვყავდი ხელში, მთელი ცხოვრება დენთის კასრზე გაგვატარებინა**

**– კოდორში ცხოვრობენ თქვენი შვილი და თქვენი ბევრი ახლობელი. რა ინფორმაცია გაქვთ მათგან, რა ხდება კოდორში აფხაზეთში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ?**

– ჯერჯერობით კოდორში არაფერი შეცვლილა, მშვიდობაა; ვნახოთ, რა იქნება მომავალში. პოლიტიკა ისეთი უბედური რამეა, წინასწარ რას გაიგებ. ჩემი რძალი და ბავშვი ახლა კოდორში არიან – ბაჩოსთან წავიდნენ. ერთი თვით, სტუმრად, ყველას ოჯახის წევრს შეუძლია ჩასვლა სპეციალური საშვით. შარშან მეც ვიყავი ჩასული, მაგრამ, მე უფრო დიდხანს დავრჩი – ისე მენატრებოდა იქაურობა, კანონი „შემომერღვა” ***(იცინის).*** ახლა ემზარის სასამართლოს გამო ვერ წავედი. ასე ვერ დავტოვებ ჩემს ძმას, ასეთ დროს ვერ მივატოვებ.

**– გაქვთ პატიმარ ძმასთან საუბრის საშუალება?**

– არა, აბა, საიდან. სასამართლო სხდომებზე რომ ვხედავ, სულ ეგაა. პატარა გოგოს ნახვა უნდოდა, მაგრამ, არ გამოვიდა. გაბრიელა ყველაზე მეტად ენატრება, ერთხელ ნახა პროცესზე, იცი, როგორ უჭირს პატიმარს, პროცესზე ოჯახის წევრებს რომ ხედავს და მერე საკანში უნდა დაბრუნდეს? მაგრამ, იმდენ უბედურებას გადავურჩით, ამასაც გავუძლებთ. თვითონ ემზარი მხნედ არის როგორც ფიზიკურად, ისე სულიერადაც. სულ ვარჯიშობს. მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს კაცი საპატიმროში – ეს ჩემს თავზე მაქვს გავლილი. ახლა ისე გამოიყურება, ყმაწვილ ბიჭს ჰგავს – წლებსა და კილოგრამებს ტოვებს საკანში. ვეხუმრები, ასაკოვანი შეხვედი ციხეში და მაქედან 25 წლის ბიჭივით გამოხვალ-მეთქი. აღარც წვერი აქვს, გამხდარია, ბევრს ვარჯიშობს. ეტყობა, რომ სულიერად კარგადაა. მე, ქალმა არ შევიმჩნიე ციხის სირთულე და, ემზარი შეიმჩნევს?! მაგაში გამოტყდება?! ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ჩემები არ მიხვედრილიყვნენ, რა დღეებს გავდიოდი. მეუფე ნახულობს ხოლმე ხშირად. ამას წინათაც მითხრა, რაც ციხეში მოხვდა, უფრო მიხვდა, შენ რა გზა გაიარეო; ადვოკატიც იმას მეუბნება, შენზე ბევრს დარდობს, შენ ეცოდებიო. მის მიმართ მეც განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. რვა დედმამიშვილში ემზარი ნაბოლარა იყო და ძალიან ლაღად გავზარდეთ. მამაჩემმა სიკვდილის წინ ანდერძად დაგვიბარა – ემზარს მოუარეთო. ისეთი ცოცხალი და აქტიური იყო, ხიფათიანი; იმდენი რამ აილო თავის თავზე; დენთის კასრზე გაგვატარებინა ცხოვრება, მაგრამ, არაფერს ვნანობ. მე ყველაზე მეტად შეკლული ვყავდი ხელში, მისმა დევნილობამ ხომ ცხოვრება ჯოჯოხეთად გვიქცია. პატიმარი რომ ვიყავი, სულ მეშინოდა, არ ჩამოსულიყო, არ ჩაბარებოდა ჩემ გამო – მე რომ იქ არ ვყოფილიყავი. შემოვუთვალე: კაცო, რას მერჩის ეს ჩემი ძმა, რამდენი განცხადებას გააკეთებს, აქ რკინის კარს ამატებენ და დაცვას აძლიერებენ-მეთქი. „კანონიერ ქურდებთან” ერთად დავყავდი სასამართლოზე ***(იცინის).*** ის ჩემთვის დამატებული კარები ჩემ შემდეგ ვანო მერაბიშვილს გამოადგა – ასეა ეს ცხოვრება.

**თამუნა ნიჟარაძე**

**ამჟამად თბილისის ტერიტორიაზე დგას რამდენიმე შენობა, რომლებიც ადრე ეკლესიები იყო და მათში, ჩვეულებრივ, წირვა-ლოცვა აღევლინებოდა. დღეს კი სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება. ძირითადად, საცხოვრებელ სახლებად არის გადაკეთებული (თუმცა, არა მხოლოდ...)**

**ამ ტაძრების ძირითადი ნაწილი აგებულია ან განახლებულია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ყველასთვის კარგად ცნობილ კომუნისტების დროს კი, ისინი გადააკეთეს და სხვადასხვა საჭიროებისამებრ გამოიყენეს.**

# იგეგმება თუ არა თბილისში ნატაძრალი შენობების აღდგენა და რა სირთულეები ახლავს ამ პროცესს

ნებისმიერი ქრისტიანი ერისთვის ეს დიდი შეურაცხყოფა და მიუტევებელი ცოდვაა უფლის წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტს ვერ გავექცევით. ჩვენს ისტორიაში იყო, ძალით თუ ნებით ეგრეთ წოდებული „ულმერთობის ხანა“, რომლის შედეგებს დღესაც ვიმკით. მაგრამ უფრო სამწუხაროა, ის რომ დღეს, იმ დროიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, ვერ ხერხდება ამ ტაძრებისთვის პირვანდელი ფუნქციის დაბრუნება, რადგან ეს ბევრ პრობლემასა და დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. თუმცა, სურვილი – საპატრიარქოს, სახელმწიფოს და ბუნებრივია, ეკლესიის შენობაში მცხოვრებთა მხრიდან დიდია.

როგორც შევიტყვე ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ ერთი მხარის მიერ, შეუძლებელია. აქ საჭიროა საზოგადოების აქტიური ჩართულობაც. ამიტომ გადავწყვიტე, მკითხველისთვის აქტიურად მიმეწოდებინა ამგვარ, ნატაძრალ შენობებზე ინფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი ეკლესია არაერთია. ამჯერად მე თქვენს ყურადღებას ერთ-ერთ მათგანზე – ავლაბრის წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის ნატაძრალზე შევაჩერებ, რომელიც მთავარანგელოზის № 23-ში დგას. პირველ ცნობას ავლაბრის წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის შესახებ ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერში, რომელიც 1815-1816 წლებში მღვდელ დავით ინანიშვილის მიერ არის გადაწერილი და ჩამატებულია ცნობები. იქ ნათქვამია, რომ ისანში ორი უგუმბათო ეკლესიაა – ერთი წმიდა მარიანასი და „მეორე მთავარანგელოსთა, რომელი აწ აღაშენა და განაახლა, მეტეხის დეკანოზმა იესემ, და ჰყო სასაფლავოდ წელს 1808“ (ქართლის ცხოვრება ტ. IV).

ტაძრის აგების თარიღისა და მაშენებლის შესახებ, ინფორმაციას გვაწვდის ეგნატე იოსელიანიც. ის ტაძრის მაშენებლად მხოლოდ ზემონახსენები დეკანოზის იესეს შვილებს – ზაქარიას და იოსებ სულხანიშვილებს მოიხსენიებს. მამა და შვილები ხშირ შემთხვევაში ერთად მოღვაწეობდნენ და არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაშიც ასე ყოფილიყო და ერთად აეგოთ ეს ეკლესია. ორივე წყარო ხაზს უსვამს, რომ წმიდა მთავარანგელოზი სასაფლაოს ეკლესიაა და რომ მისი აშენება თუ აღდგენა, პირდაპირ უკავშირდება სასაფლაოს მოწყობას.

დავით ინანიშვილის ცნობებიდან ასევე ჩანს, რომ აქ უფრო ადრეც ყოფილა ეკლესია, მაგრამ როდის და ვინ ააშენა ის, ან რა ბედი ეწია, უცნობია.

1800-იან წლებში მისი არქიტექტურის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. თბილისის გეგმების თანახმად, ის სწორკუთხა გეგმის პატარა შენობა ჩანს, ალბათ, დარბაზული. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ტაძარი უკვე ველარ იტევდა გაზრდილ მრევლს და თანაც, როგორც ჩანს, ცუდ მდგომარეობაში იყო, რის გამოც გადაწყდა მის გვერდით ახალი ეკლესიის აგება. პროექტის გეგმაზე, ასაშენებელი ეკლესიის გვერდით, მის სამხრეთ-დასავლეთით, დატანილია ძველი ეკლესიაც, რომელიც იმ დროს, მართალია, დაზიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა. ამჟამად მისი კვალი პირწმინდად არის გამქრალი. აგურის ახალი ეკლესია განსაზღვრული იყო 200 კაცისთვის და ზომით დაახლოებით ორჯერ სჭარბობდა ძველს. ტაძრის მშენებლობა, სავარაუდოდ, 1903 წელს დასრულდა.

1915 წელს შედგენილ საბუთში ეკლესია შეტანილია რუსულ ეკლესიათა ჩამონათვალში, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აქ წირვა რუსულად ტარდებოდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მთავარანგელოზის ეკლესიაში ქართველი მღვდელი განაწესეს. ამ პროცესებს ასახავს 1918 წლის ჟურნალი „ახალი



**ეკლესიაში ცხოვრება არ შეიძლება. აქ რომ შემოდიხართ, საფლავის ქვებია, შენობა ეკლესიისაა. ყველამ იცის, რომ ეს არასწორი საქციელია. საპატრიარქო ამბობს, რომ ჯერჯერობით თანხა არ აქვს ჩვენს დასაკმაყოფილებლად. აქ ბევრი ოჯახი ცხოვრობს და რაღაც უნდა ქნან, აქ ცხოვრება არ შეიძლება**

სიტყვა“. „თბილისის ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც შარშან „იერიშით“ აიღეს და მიისაკუთრეს რუსებმა, პატრიარქ კათოლიკოზის მოსაყდრემ მიტროპოლიტმა ლეონიდემ უკვე დაიბრუნა და ჩააბარა კანონიერ წინამძღვარს, დეკანოზ დ. იაშვილს. ექს. წინამძღვარი ხიტროვი უადგილოდ დარჩა“ („ახალი სიტვა“ № 13, 1918, გვ. 8).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შენობა ჩამოერთვა ეკლესიას და მას შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა ფუნქცია. ერთხანს მასში განთავსებული იყო ქალაქის სასამართლო, შემდეგ პოლიკლინიკა, ბოლოს საცხოვრებელი ბინები. შენობა გადაქცეულია სარდაფიან სამსართულიან სახლად, რომელიც მეტწილად შეიცავს 1903 წლის ეკლესიის გარე კედლებს. გადაკეთებების მიუხედავად, ფასადებს მეტ-ნაკლებად შემორჩა ეკლესიის თავდაპირველი დეკორი. მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოსა და ქუჩაზეც დღემდეა შემორჩენილი ძველი საფლავის ქვები (ეს მასალა მომზადებულია ჟურნალ ACADEMIA-ის 2011 წ. №2. გვ. 92-96, მანონ ლილუაშვილის წერილზე დაყრდნობით).

საკითხში უკეთ გასარკვევად ამ ეკლესიის ბინადრებს გავესაუბრეთ:

**დავით ჩუბინიძე** *(ერთ-ერთი მცხოვრები):* „აქვე იყო პურის საცხობი, რომელიც უკავშირდებოდა სატრანსპორტო კომპანიას. ეკლესიის შენობა სწორედ ამ სატრანსპორტო კომპანიას გადაეცა საცხოვრებლად. მე 1988 წელს შემომიყვანეს აქ. ეს შენობა, სადაც მე ვცხოვრობ, კომუნისტებმა ააშენეს. თავიდან არ იყო, მაგრამ ახლა, ფაქტია, ეკლესიის ტერიტორიაზეა, მის გალავანშია მოქცეული. 90-იან წლებში მეზობლები შევიკრიბეთ და მივწერეთ პირველ პრეზიდენტს არსებული მდგომარეობის შესახებ. გვინდოდა, აქედან გასვლა. უზენაესი საბჭოს წევრი ვალტერ შურღაია თვითონ აქ, ეკლესიის მესამე სართულზე ცხოვრობდა. დადგინდა, რომ გაგვიყვანდნენ, თუმცა მერე რა პერიოდიც დაიწყო საქართველოს ისტორიაში, იცით და ჩვენი საკითხი ვერ გადაიჭრა. შევარდნაძის მთავრობის დროსაც, ვითხოვდით ყურადღებას, მაგრამ არავინ მოგვაქცია. ასევე, სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც. მე პირადად, შევიტანე ეკლესიის შენობაში მცხოვრები 22 ოჯახის სახელზე კოლექტიური განცხადება და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოვითხოვეთ. დაკანონებით ამას არ გვიკანონებენ, ჩაწერით გვწერენ. არჩევნების დროს უნდა ნახოთ, რამდენი კაცია აქ ჩაწერილი. ნაციონალების დროს 1 500 კაცი იყო. მერე ნელ-ნელა გავაცხრილინეთ და ახლა რამდენია, ზუსტად არ ვიცი. ჩემ მიერ შეტანილ განცხადებაზე ნორმალური პასუხი არ მიმიღია. ერთმანეთში ვერ გაარკვიეს, ვის ეკუთვნოდა ეს ტერიტორია – საპატრიარქოს თუ სახელმწიფოს. დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ ჯერჯერობით ხედავთ, რომ შედეგი არსად ჩანს.

სხვა მცხოვრები:

„ეკლესიაში ცხოვრება არ შეიძლება. აქ რომ შემოდიხართ, საფლავის ქვებია, შენობა ეკლესიისაა. ყველამ იცის, რომ ეს არასწორი საქციელია. საპატრიარქო ამბობს, რომ ჯერჯერობით თანხა არ აქვს ჩვენს დასაკმაყოფილებლად. აქ ბევრი ოჯახი ცხოვრობს და რაღაც უნდა ქნან“.

ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს მივმართეთ. გვითხრეს, რომ საპატრიარქო ყოველთვის იყო ამ საკითხით დაინტერესებული, მაგრამ ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი დახმარება ვერ ხერხდებოდა. დაახლოებით ექვსი თვის წინ კი, კიდევ უფრო აქტიური მუშაობა დაიწყო ამ საკითხზე და ახლა უკვე ერთად, საპატრიარქო, სახელმწიფო და საზოგადოება – ყველა მათგანის ჩართულობით იგეგმება მისი მოგვარება. ამ საკითხს დედა ანასტასია უძღვება.

**– დედაო, ვის ეკუთვნის ეს ეკლესია – სახელმწიფოს თუ საპატრიარქოს?**

– ამჟამად ყველა ეკლესია ეკუთვნის საპატრიარქოს. მაგრამ, ეს ეკლესია ჯერ არ არის დარეგისტრირებული და ფაქტობრივად, ახლა ვარეგისტრირებთ.

**– აქვს თუ არა საპატრიარქოს სურვილი, რომ აქ აღადგინოს ტაძარი?**

– რა თქმა უნდა, ეს მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევაა და ყველა მიესალმება.

**– რა ბედი ელის მოსახლეობას, ისინი ალტერნატიული საცხოვრებლებით დაკმაყოფილდებიან?**

– თავისთავად. ყველანაირად შევეცდებით, გავათავისუფლოთ ამ ცოდვისგან. თვითონ მცხოვრებნი მოგვმართავენ და გვთხოვენ, გათავისუფლებას. ეკლესიაც გათავისუფლდება და დაიბრუნებს თავის პირვანდელ სახეს.

**– ახლა თუ გაქვთ რეალურად მოლაპარაკება მოსახლეობასთან?**

– როგორ არა. ისინიც ცოდვაში არიან, ამას გრძნობენ და უნდათ გასვლა.

**– თუ შეგიძლიათ თქმა, დაახლოებით რა დრო დასჭირდება ამ საკითხის გადაჭრას?**

– ეს მაინც საზოგადოებრივ საწყისებზე იქნება დამოკიდებული. აქ ხალხიც უნდა ჩაერთოს. გაიხსნება ტაძრის ანგარიში და მერე უკვე დავიწყებთ ამის მოგვარებას. კონკრეტული დრო არავინ იცის. ღმერთის ნებით ჩვენი და ხალხის ერთობლივი მონდომებით გამოვა, თავისი წვლილი ყველამ უნდა შეიტანოს ამ საქმეში.

**ქეთი კაპანაძე**

**„როცა ამ პროექტში შევედი, გამარჯვებაზე ხუთი პროცენტით ვფიქრობდი, ნაკლებად მქონდა იმედი. დათოს გუნდში ისეთი ძლიერი ბავშვები ვიყავით, ვერ გამოარჩევდი, ვინ ვის სჯობდა. გარდა ამისა, სხვა მწვრთნელების ბავშვებიც არანაკლებ ძლიერები იყვნენ. პირველ ლაივზე, როდესაც დათომ გადამარჩინა, მივხვდი, რომ მან ჩემში ის პოტენციალი დაინახა, რომელიც ფინალისტს გამოადგებოდა. სწორედ მაშინ დავფიქრდი ჩემს შესაძლებლობებზე და უფრო შემართებით დავიწყე ბრძოლა, რადგან, ძალიან მინდოდა გამარჯვება. ეს წუთები დაუვიწყარია, თუმცა, მძიმე მომენტებიც იყო. ამ დროს გამარჯვების ფაქტს აღარ განიხილავ, უფრო მეტს ფიქრობ: რომ არ გავიმარჯო, მერე რა იქნება, ხომ არ დავყრი ფარ-ხმალს, – ანუ, ასეთ წვრილმანებზე იწყებ ფიქრს”... – ეს სიტყვები მარიამ ჩაჩხიანს ეკუთვნის, რომელიც იანვარში „ახალი ხმის“ გამარჯვებული გახდა. მას შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა და მარიამის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ცოტა ხნის წინ ის „შალვა რამიშვილის შოუშიც“ გამოჩნდა და მომავალში უცხოეთშიც გეგმავს მუსიკალური კარიერის გაგრძელებას.**

# რა სერიოზულ შეხვედრებზე იმყოფებოდა გერმანიაში მარიამ ჩაჩხიანი და რა ბედი ეწია მის გოგონების კვარტეტს – „პომადას“

**მარიამ ჩაჩხიანი**: „ვოისის“ მოგების შემდეგ გადმომცეს ამსტერდამის საგზური, სადაც ზაფხულის დასაწყისში გავემგზავრე. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ დავესწარი ჰოლანდიის „ვოისის“ ბრმა ქასთინგების ჩაწერას. გაოგნებული დავრჩი, ისეთი მაღალი დონეა; ყველაფერი საუკეთესოდ არის გაკეთებული. მომინდა, კიდევ ერთხელ ხომ არ გამოვიდე „ვოისზე“-მეთქი, ოღონდ, უცხოეთში. თუ რომელიმე კონკურსში მივიღებ მონაწილეობას, ეს უცხოეთში მოხდება – საქართველოში თითქმის ამოვწურე ყველაფერი. ამსტერდამში დათო და ანნა იმედაშვილებთან ერთად ვიყავი.

**– პირველად იყავი?**

– არა, პირველად 2007 წელს ჩავედი, როდესაც პირველი საბავშვო „ევროვიზია“ ჩატარდა. ტრიო გვქონდა მე, ჩემს დას და ნინი გველესიანს. 12 კაცს შორის მოვხვდით, საკმაოდ წარმატებულად გამოვედით. რადგან „ევროვიზიისთვის“ შევიკრიბეთ, მერე აღარ გაგვიგრძელებია. ასე რომ, ამსტერდამში მეორედ ვიყავი. ძალიან კარგი ქალაქია: სრული თავისუფლება გაქვს და განტვირთვისთვის იქ ჩასვლა ყველაზე კარგი წამალია. დაახლოებით ერთი კვირა ვიყავი, დავდიოდით აქეთ-იქით, მუზეუმებში, კარგად ვერთობოდით. შემდეგ გერმანიაში ვიყავი სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.



**დღესაც რომ ვფიქრობ, თითქოს უფრო მეტად „დავიქოქე“. ადრე ერთ ხაზზე ვიყავი გაჩერებული მანამდე, სანამ „ვოისში“ გამოვიდოდი**

**– რა გეგმები გაქვს?**

– სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მქონდა შეხვედრები. უბრალოდ, ჯერჯერობით ამის შესახებ ვერ ვისაუბრებ, თუმცა, ვიტყვი, რომ მუსიკალურ კარიერას უკავშირდება. თვითონ ვაგვარებ ყველაფერს, ეს საქმე არავის ეხება, მხოლოდ მე.

**– შეიძლება, გერმანიაში გაგრძელდეს შენი კარიერა?**

– დიახ, შეიძლება, თუმცა, ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, რა იქნება. ღმერთმა ქნას, რომ დიდხანს გაგრძელდეს ყველაფერი, მაგრამ, ახლა ზუსტად არ ვიცი დეტალები, ჯერ მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რაც მთავარია, მნიშვნელოვანი გეგმები მაქვს. მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდი, სხვადასხვა კონცერტში მომიწია მონაწილეობის მიღება, მიხარია, რომ დასაქმებული ვარ.

**– „შალვა რამიშვილის შოუშიც“ დაიწყე მუშაობა.**

– დიახ, დათო ფორჩხიძემ მიგვიყვანა მე და მარიამ პავლიაშვილი. ჩვენ ერთ გუნდში ვიყავით და კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, რაც ძალიან მიხარია. კონკურენცია არც „ახალ ხმაში“ მიგრძნია და არც, მით უმეტეს, ახლა. ადრეც ვმუშაობდი იუმორისტულ გადაცემაში „თქვენი შოუ“, გოგონების კვარტეტი გვქონდა – „პომადა“, მუსიკალურ სკეტჩებში გამოვდიოდით. სხვათა შორის, საკმაოდ წარმატებული ჯგუფი იყო. სახელი ერთ-ერთმა წევრმა დაარქვა და ჩვენც მოგვეწონა. რაც შეეხება „შალვა რამიშვილის შოუს“, როდესაც დათომ გვითხრა, იწყება ახალი შოუ, სადაც, შეიძლება, შენ და მარი იყოთო, ძალიან გამიხარდა. ამ ადამიანს არასდროს ვავიწყდები, მპატრონობს და მისი მადლობელი ვარ. რამდენჯერმე თქვა ჩემზე: ის არ არის უბრალო მონაწილე, ჩემი შვილიაო და, მართლაც ასეა, მიშვილა. მიხარია, რომ ასეთ ნიჭიერ ადამიანებთან ერთად მიწევს მუშაობა. ძალიან კარგი ბენდი გვყავს, ყველანი ძალიან მაგრები არიან. ყველაზე დიდ გამოცდილებას და, რაც მთავარია, სიამოვნებას, ვიღებ იმით, რომ ყველაფერი ცოცხლად ხდება.

**– მახსოვს, „ახალ ხმაში“ ავტომობილი გაჩუქეს. აიღე მართვის მოწმობა?**

– დიახ, მაჩუქეს. ჯერჯერობით არ ამიღია მართვის მოწმობა, ახლა ვცდილობ ავიღო, მაგრამ, არ ვიცი, გამომდის თუ არა. ავტომობილი კი მყავს, თუმცა, უპატრონოდ არის იმ მხრივ, რომ არ მაქვს მართვის მოწმობა. ავტომატიკის ტარება კი ვიცი, მაგრამ, მექანიკის – არა. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა იცი, რომ შენი შრომით გაქვს მოგებული. ერთხელ ვატარე კიდეც, მაგრამ, იმის მერე აღარ გავკარებივარ. როცა ვაპირებ, თეორიას ჩავუჯდე, დრო არ მაქვს – უნივერსიტეტი, გადაცემა და, მოკლედ, ვერ მოვახერხე.

**– მას შემდეგ, რაც „ვოისში“ გაიმარჯვე თითქმის ნახევარ წელზე მეტი გავიდა. ახლა, ამ გადასახედიდან, რას ფიქრობ, რა შეიცვალა კონკურსის შემდეგ შენს ცხოვრებაში?**

– დღესაც, რომ ვფიქრობ, თითქოს უფრო მეტად „დავიქოქე“. ადრე ერთ ხაზზე ვიყავი გაჩერებული მანამ, სანამ „ვოისში“ გამოვიდოდი. უცხოეთში კი მიწევდა კონკურსებში მონაწილეობა, რაც დიდ გამოცდილება მაძლევდა, მაგრამ, ისეთი სტიმული, რაც „ვოისმა“ მომცა, არაფერს მოუცია. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, ამ პროექტში რომ მივიღე მონაწილეობა. რა თქმა უნდა, თავდაჯერებულობაც მომემატა, უფრო შრომისუნარიანიც გავხდი.

**ხუმრობით იმასაც ვამბობ: არ მოვკვდები, სანამ „თუმოროულენდზე“ ფეხს არ დავდგამ-მეთქი. ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ოცნება**

ზოგადად, საქართველოში, არ გვაქვს იმის პირობები, რომ ყოველთვის ყველაფერი იდეალურად გავაკეთოთ, მაგრამ, რაც შემიძლია, ვცდილობ. რაც მთავარია, დათო ფორჩხიძემ დამიწერა ახალი სიმღერა, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მაგარია: ტემპიანი, ამგდები, ხალისიანი, ენერგიული – ძალიან მომწონს. უკვე ჩავწერეთ, ამსტერდამშიც წავიღე ეს სიმღერა და გერმანიაშიც.

**– იქ ვინმეს მოასმენინე?**

– დიახ, გერმანიაში ძალიან კომპეტენტურ ხალხს მოვასმენინე, მუსიკოსებს, რომელთა აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ცოცხლადაც შევასრულე რამდენიმე სიმღერა და, სიმართლე რომ გითხრათ, ვერ დამალეს აღფრთოვანება. გარდა ამისა, ორი სიმღერა მაქვს კიდევ მზად, ვმუშაობ. მოკლე პერიოდში, გვინდა, ორივე სიმღერა გავაკეთოთ. ერთ-ერთზე კლიპის გადაღებას ვაპირებთ, დავით გოგოხია გვეხმარება. მოკლედ, მუშაობის პროცესში ვარ ჩართული. ეს ორი სიმღერა უცხოელმა კომპოზიტორმა გვაჩუქა დავით გოგოხიას წყალობით. მუსიკასაც ეტყობა, რომ უცხოელის გაკეთებულია – ძალიან კარგია, თინეიჯერული, ყველას მოსწონს.

**– ეს რაც კარიერას შეეხებოდა; რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში? თაყვანისმცემლების რაოდენობა ხომ არ გაიზარდა კონკურსის შემდეგ – ეს ხშირად ხდება ხოლმე.**

– ალბათ, კონკურსის შემდეგ გაიზარდა „მოთხოვნა” ჩემზე.

**– შენი მოთხოვნებიც გაიზარდა?**

– არა, ჩემი მოთხოვნები იგივე რჩება. ისეთი არავინ გამოჩენილა, ვისზეც შეიძლება, იმედები დავამყარო, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში გამოჩნდება.

**– როგორი უნდა იყოს?**

– აუცილებლად ჩემნაირი უნდა იყოს, სხვანაირს ვერ გავუძლებ. მე ყველა საკითხს იუმორით ვუდგები და ისიც ასე უნდა იყოს. ბევრი საერთო უნდა გვქონდეს, განსაკუთრებით – ინტერესები; უნდა ვგავდეთ ერთმანეთს. მუსიკაც დაახლოებით ისეთი უნდა მოსწონდეს, როგორიც მე მომწონს. აუცილებლად უნდა მოსწონდეს „თუმოროულენდი“, რადგან, ჩემი ოცნებაა იქ წასვლა. ხუმრობით მეგობრებში იმასაც ვამბობ, არ მოვკვდები, სანამ „თუმოროულენდზე“ ფეხს არ დავდგამ-მეთქი – ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ოცნება.

**– გისრულდება ხოლმე ოცნებები?**

– დიახ, მისრულდება ხოლმე. რა თქმა უნდა, ყველაფერი არა, მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია, ისინი მისრულდება და, იმედი მაქვს, ამ ოცნებასაც ავისრულებ.

**ნათია უტიაშვილი**

**ვინც ვახტანგ რჩეულიშვილს იცნობს, იცის, რომ თბილისში ერთ დროს „პოპულარულ და ეგრეთ წოდებულ „კაი ბიჭების" რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც სულ რაღაც ხიფათებში ეხვეოდა, ამ სიტუაციებიდან გამოძრომის კარგი საშუალება კი ისევ ოჯახი იყო. ბატონი შალვა რჩეულიშვილი, ბუნებრივია, შვილის დასახმარებლად ყველაფერს აკეთებდა, რადგან, ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა – ის თბილისში ძალიან ცნობილი და გავლენიანი ადვოკატი იყო. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩვენი ახალი რუბრიკის სტუმარია ვახტანგ რჩეულიშვილი თავის საინტერესო ამბებით.**

# რა ბიზნესიდან რჩებოდა თვეში ოცდაათი ათასი დოლარი ვახტანგ რჩეულიშვილს და თავისი ცხოვრების რა ეტაპი „ჩახურა" მან 24 წლის ასაკში

**– ბატონო ვახტანგ, თბილისში საკმაოდ პოპულარული ბიჭი იყავით, ცნობილი ოჯახიდან და, გარკვეულწილად, ახლაც იმ დროის შთაბეჭდილებებით ახსოვხართ საზოგადოებას; მერე გამოჩნდა მაია და თქვენი ერთობლივი ბიზნესი; სულ ბოლოს, პროექტ „ორ ვარსკვლავში" აღმოჩნდით... მოკლედ, თქვენი წარსულიც და აწმყოც ყველას აინტერესებს, განსაკუთრებით ყველა ის განსაცდელი, რომელიც გამოიარეთ. დაიწყეთ, გისმენთ.**

– განსაცდელი აბსოლუტურად ნორმალური პროცესია და, საერთოდ, სიცოცხლის განვითარების მთავარი მექანიზმი. ამის ნათელი მაგალითია ყველა ერი, განსაკუთრებით – ებრაელები, ისინი სწორედ განსაცდელმა აქცია უნიკალურ ხალხად და განსაცდელმა გადაარჩინა ქართველებიც. დღესაც მახსოვს, ბავშვობაში სათამაშო რომ წამართვა მეზობლის ბიჭმა, როგორ განვიცადე. ესეც თავისებურად აყალიბებს ხასიათს, თუმცა, პირველი სერიოზული განსაცდელი იყო ქუჩის ჩხუბი, რომლის დროსაც ტყვია მომხვდა თავში, მაგრამ, გადავრჩი და ციხესაც გადავურჩი.

**– თავში ტყვიის მოხვედრის ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი, მაგრამ, ვიცი, რომ იყო პერიოდი, როცა თქვენ ნარკოტიკზე იყავით დამოკიდებული და ამას არც მალავთ; ასეთი პერიოდი თქვენი შვილის, გუკას ცხოვრებაშიც იყო. როგორ დააღწიეთ თავი ამ პრობლემას?**

– კი ბატონო, იყო; „ქუჩის რომანტიკას" მოჰყვა ნარკოტიკებით გატაცება, მაგრამ, ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი 24 წლისამ ჩავხურე, როგორც კი მაიაზე დაქორწინება გადავწყვიტე.

**– მოიცათ ბატონო ვახტანგ, მაიამდე რომ ცოლი გყავდათ, ამაზეც გვიამბეთ.**

– დაახლოებით სამი წელი მყავდა მეგობარი ქალი, მაგრამ ამაზე საუბარი საჭირო არ არის; მეორე ხანმოკლე ეტაპი იყო მეცნიერება, რომელიც სულ რამდენიმე წელი გაგრძელდა, როდესაც ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა (პაპაჩემის, ლეო რჩეულიშვილის ინიციატივით) დახურეს რუსეთის სარესტავრაციო ლაბორატორიასთან ყველა საერთო თემა, მათ შორის ჩემიც – „ათენის სიონის კედლის მხატვრობის კვლევის ფიზიკური მეთოდები", გული ველარ დავუდე და შევეშვი. მერე პოლიტიკურ კარიერას მივყევი. ვინაიდან საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, დამნიშნეს კომკავშირის „ცეკას" ლექტორთა ჯგუფის თავმჯდომარედ. მალე დავინიშნე პარტიის „ცეკას" უცხოეთის განყოფილების ინსტრუქტორად, რაც კომუნისტურ იერარქიაში ახალგაზრდა კაცისთვის საკმაოდ მაღალი თანამდებობა იყო (მინისტრის მოადგილის დონის). ეს პერიოდიც სულ სამი წელი გაგრძელდა, ახალ განსაცდელამდე.

**– ახალ განსაცდელამდე?**

– 1985 წელს დააპატიმრეს ცნობილი ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი. მაშინ ახალი დაწყებული მქონდა პოლიტიკური კარიერა. პროკურორმა, რომელიც კლიენტის ინტერესების დაცვისას შალვამ სიყალბეში ამხილა, პროვოკაცია მოუწყო და დაიჭირა შეთითხნილი ბრალდებით. არავის სჯეროდა შალვასი, ჩემი და მაიას გარდა, რომ სრულ გამართლებას მიაღწევდა. მე დავტოვე „ცეკაში" სამსახური და გადავედი პოლიტოლოგიის ინტიტუტში, პროფესორ ნოდარ კიკვაძესთან. წელიწად-ნახევარი ვიბრძოლეთ, შალვამ შიგნიდან, ჩვენ – გარედან. 1987 წელს ის გაათავისუფლეს ციხიდან და სრულ რეაბილიტაციას მიაღწია. მე გავაგრძელე მუშაობა ეგრეთ წოდებულ მშვიდობის დაცვის კომიტეტში და ერთ-ერთი ყველაზე კარგი, ორწლიანი პერიოდი დაიწყო ჩვენს ცხოვრებაში: პრაქტიკულად, კომპარტია დაიშალა; სიტყვის თავისუფლება შეუზღუდავი იყო, ხელფასები და სოციალური გარანტიებიც ხალხს დარჩა. მაშინ მოვიარე მთელი მსოფლიო: დაახლოებით ათჯერ ვიყავი ამერიკაში, სადაც 32 შტატი შემოვიარე და ვცხოვრობდი ამერიკელების ოჯახებში. საქართველოს ტელევიზიაში მიმყავდა საერთაშორისო გადაცემა.



**თუ კარგი პატრონი არ გყავს, არც უნდა იბლატავო, ტვინი უნდა გაანძრიო, რომ მთელი ცხოვრება თავზე არ დაგემხოს**

**– ამბობენ, სწორედ მაიას დამსახურებაა, რომ თქვენ, თითქოსდა, გამოსწორების გზას დაადექით.**

– ჩემი ცხოვრების ყველაზე ერთგული მეგობარი მაიაა. საერთოდ, რომ არ ყოფილიყვნენ ის და მამაჩემი, შეიძლება, ცხოვრება მართლა ძალიან ცუდადაც დამემთავრებინა.

**ტყვია მომხვდა თავში, მაგრამ, გადავრჩი და ციხესაც გადავურჩი**

**– რას ნიშნავს – „ცუდად დაგემთავრებინათ"?**

– იმას, რომ, როგორც უკვე ვთქვი, მე და ჩემი მეგობრები ერთმანეთის გამო ბევრ გაუგებარ და რთულ სიტუაციაში ვეხვეოდით და ყოველთვის მამაჩემი გვეხმარებოდა. პირადად მე ბევრჯერ გადავურჩი ციხეს, მაგრამ, ჩემს ერთ მეგობარს, გიგა ხუთაიძეს კი, რომელიც მამაჩემთან ძმაკაცობდა, ხშირად იჭერდნენ და სულ შალვა ეხმარებოდა. ერთ დღესაც, გიგას საკანში გვერდით შალვა რომ მოუსვეს, გადაირია, თვალებს არ უჯერებდა თურმე. ვისაც ძველბიჭობა კარგი ჰგონია, ძალიან მაგრად ცდება. თუ რამეს დავაშავებდი, ვიცოდი, რომ მამაჩემი და დედაჩემი ციხეში არ გამიშვებდნენ. თუ პატრონი არ გყავს, არც უნდა იბლატავო; ტვინი უნდა გაანძრიო, რომ მთელი ცხოვრება თავზე არ დაგემხოს.

**– თქვენ და მამა მეგობრობდით, ხომ? მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ანერვიულებდით...**

– ჰო, აუცილებლად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მამაჩემმა თავისი წელიწადნახევრიანი უკანონო პატიმრობის დროს, არა მხოლოდ თავი იმართლა, არამედ, 26 სხვა პატიმარი გაათავისუფლა ციხიდან – იქიდან ადვოკატობდა. მე და მამა ვმეგობრობდით, ისევე, როგორც დღეს მე და გუკა. ეს ერთადერთი გზაა ნდობის ჩამოსაყალიბებლად თაობებს შორის. თან, სულ ვიცოდი, რომ სალი კლდესავით გვედგა არა მარტო მე და მაიას, მთელს ჩვენს ოჯახს და მეგობრებსაც. მისთვის ადამიანის დახმარება ისეთივე მოთხოვნილება იყო, როგორც ექიმისთვის. თუ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს სჭირდებოდა, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს შეეძლო, მიემართა დახმარებისთვის. დღეს უნივერსიტეტში მისი სახელობის ბიბლიოთეკაა გახსნილი იურიდიულ ფაკულტეტზე. იმდენად ჰგავს თავის დიდ პაპას, ივანე ჯავახიშვილს, რომ, სტუდენტებს, ვინც წარწერას არ კითხულობს, ჰგონიათ, რომ ივანე ჯავახიშვილის სურათია.

**– მაინც უნდა გკითხოთ იმ ჩხუბის შესახებ, თავში ტყვია რომ მოგხვდათ, ისე ვერ მოვისვენებ. შეგიძლიათ, ის დღე გაიხსენოთ, რა და როგორ მოხდა?**

– განზრახ მკვლელობა იშვიათი იყო, დაჭრა – საკმოდ ხშირი, მათ შორის, იარაღითაც. სხვადასხვა „საძმაკაცოების" დაპირისპირება ზოგჯერ წლობით გრძელდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს, აღმოჩნდა, რომ ყველას იარაღი ედო ჯიბეში და ერთ გასროლას ნამდვილი ომი მოჰყვა – სამი თუ ოთხი ბიჭი დაიჭრა, მათ შორის მეც. სასწაულად გადავრჩი – ტყვიამ ნახევარი წარბი წამათალა, კანქვეშ გაიარა და ყურში გამოვიდა, ისევ კანქვეშ; ვილაც სამუდამოდ დაკოჭლდა, მაგრამ, არავინ მომკვდარა. ამის შემდეგ შევრიგდით, ვინაიდან, დაპირისპირების შემდგომი გაგრძელება აუცილებლად მსხვერპლით დამთავრდებოდა, თან, საქმე გახმაურებული იყო და აუცილებლად დაგვიჭერდნენ. ჩვენ დროს ასეთ შემთხვევაზე მთელი თბილისი წლობით ლაპარაკობდა, იმდენად იშვიათად ხდებოდა. მაგრამ, იმას, რაც უკვე „მხედრიონის" დროს წამოვიდა – „დატრუპვა", „კონტროლკა" და ასე შემდეგ. მაშინ კიჩოში თუ ნახავდი. ვისთანაც ეს შეჯახება მოგვივიდა, მათთან ჩვენი გზები მალე საერთოდ გაიყარა – ზოგი „კანონიერი ქურდი" გახდა, ზოგი „ძველი ბიჭი" დარჩა და დღესაც ავტორიტეტით სარგებლობს ქუჩაში; ზოგმა ბიზნესს მიაშურა, ჩემი ამბავი ხომ, მოგეხსენებათ... რამდენიმე მათგანი ცოცხალი აღარ არის. ცხადია, გასვენებაში ვიყავი და, უკვირდათ, პარლამენტის ვიცე-სპიკერი „კანონიერი ქურდის" გასვენებაში რომ მნახეს. მაგრამ, არც ქურდად იბადება არავინ და არც პოლიტიკოსად. ერთი თბილისური უბნის – პლეხანოვის შვილები ვიყავით ყველა. აი, ეს იყო ჩემი ქუჩის ეტაპი, რომელიც მაიაზე დაქორწინების შემდეგ ისტორიას ჩაბარდა, თუმცა, ცხადია, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო და, რაც ასაკში შევდივარ, ნოსტალგია მიპყრობს, მაგრამ, არა ჩხუბებისა და ნარკოტიკის, არამედ, ჩემი ახალგაზრდობის. ბედნიერი ვარ, რომ იმ მრავალრიცხოვან ადამიანებს მივეკუთვნები, ვინც ერთხელ და სამუდამოდ გადააგდო ნარკოტიკი ახალგაზრდობაშივე.

**– როგორ დაიწყეთ ბიზნესი? როგორც ვიცი, მამათქვენის წყალობით. რომ არა მისი დანატოვარი უძრავი ქონება და გავლენა, ალბათ, გაგიჭირდებოდათ იდეის განხორციელება, თუმცა, სწორედ ამ რთულ და საჭირო დროს აღმოჩნდა თქვენ გვერდით ისევ მაია, რომელმაც, როგორც აღვნიშნე, რადიკალურად შეცვალა თქვენი ცხოვრება.**

– 1989 წლის 9 აპრილი. ზვიად გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლებაში ბევრი ოჯახისთ-

(გაგრძელება 35-ე გვერდზე)

# აქვს თუ არა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში მნიშვნელობა სიყვარულს და რას აღარ აკეთებენ ქალები ოჯახის შესანარჩუნებლად



**თუ ცოლ-ქმარს შორის სიყვარული აღარ არის, ჯობია, ერთად არ იცხოვრონ, „წყვილი“ – მხოლოდ სიტყვა არ არის, ეს ცნებაა და კარგად უნდა იქნეს გაგებული – ზუსტად და სრული პასუხისმგებლობით. სიყვარულიც არ არის მარტივად გასაგები. ეს არის ბევრი შემადგენელი კომპონენტის ერთობლიობა. პარტნიორთან უნდა გაკავშირებდეს ურთიერთგაგება, პატივისცემა, სითბო, ლტოლვა და მოთმინების ნიჭი – სხვანაირად, დამაკავშირებელი ძაფი წყდება და ცოლ-ქმარს შორის ჩნდება გაუცხოება. ასეთ დროს ძალიან ადვილია, გამოჩნდეს ვიღაც მესამე და, არავინ იცის, როგორ მოიქცევიან ისინი.**

დიანა *(34 წლის):* გავთხოვდი 28 წლის. აზრი არა აქვს იმაზე ლაპარაკს, როგორ ვიყავი დარწმუნებული ჩემი არჩევნის სისწორეში. მჯეროდა, რომ კუბოს ფიცრამდე ერთად ვიქნებოდით და უზომოდ გვეყვარებოდა ერთმანეთი. მეტყვით, რომ ყველა ახალგათხოვილი ქალი სწორედ ასე ფიქრობსო, მაგრამ, მთლად ასეც არ არის საქმე. იცით, როგორ მიყვარდა ჩემი ქმარი? მეგონა, ვერ ვისუნთქებდი მის გარეშე. ბავშვიც არ ვიყავი, რომ მეფიქრა, რაღაც დამემართა-მეთქი და ყველაფერი სპონტანური გრძნობისთვის დამებრალებინა. საკმაოდ გამიზნულად, ცივი გონებით და ურთიერთობის დროში გამოცდით მივიღე გადაწყვეტილება.

**– რამდენი ხნის განმავლობაში ხვდებოდით ერთმანეთს?**

– ორი წლის განმავლობაში, მაგრამ, ძალიან ტრადიციული შეყვარებულები ვიყავით, ყოველგვარი ფიზიკური სიახლოვის გარეშე, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. მიმაჩნია, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც მე ახლა მაქვს, აქედან არის წამოსული. ყველაფერი ძალიან გამირთულდა და გამოსავალსაც ვერ ვპოულობ. ქალისთვის რთულია ასეთ რეალობასთან შეგუება, თანაც, ისეთი ქალისთვის, როგორიც მე ვარ – ქმარიც მყავს და საყვარელიც, რასაც ძალიან განვიცდი.

**– ქმარი გყავთ, პარალელურად საყვარელიც და ეს მათი თანხმობით ხდება?**

– არა, რას ამბობთ, რა თანხმობაზე მელაპარაკებით! ქმარმა არაფერი იცის და საყვარელიც დარწმუნებულია, რომ გათხოვილი არ ვარ – არ მითქვამს მისთვის, პრობლემას მოვერიდე. ისედაც საკმარისზე მეტი სირთულე შევუქმენი საკუთარ თავს. ვნანობ იმასაც, რომ ქმარს ერთი წლის შემდეგ არ გავშორდი – მაშინვე, როცა მის მიმართ ლტოლვა გამიქრა. ახლა ეს უკვე შეუძლებელია.

**– რატომ?**

– სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, შევეცდები, აგიხსნათ, როგორ მივედი აქამდე. ვინ დამიჯერებს, თუ ვიტყვი, რომ მე ასეთი ცხოვრება არ მინდოდა? ჩემი საყვარელი ცოლიანია და სულ ცდილობს, დამიმტკიცოს, როგორ ვუყვარვარ. რა თქმა უნდა, არ მჯერა მისი. ყველა ცოლიანი კაცი, რომელსაც საყვარელი ჰყავს, ზუსტად ასეთი ტექსტებით ლაპარაკობს, არანაირი განსხვავება არ არის. ჩემი ქმარი კი საკმაოდ ერთგული ადამიანია. ის, ალბათ, ვერასდროს მიხვდება, რა ხდება მის თავს. სამი წელი დავკარგე ქმართან ურთიერთობაში. პირველ წელს დაკარგულად არ მივიჩნევ, იმიტომ, რომ მაშინ მართლა მიყვარდა. გაუცხოება და განურჩევლობა მერე მოვიდა და სამი წელი უშედეგოდ ველოდებოდი, რომ სასწაული მოხდებოდა.

**– რა სასწაულზე ლაპარაკობთ?**

– გრძნობის დაბრუნების სასწაულზე. მართლა არ ვიცი, რა მოხდა. ფაქტი ის არის, რომ გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ სერიოზული დეპრესია დამეწყო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: კარგი ქმარი მყავდა, ვუყვარდი და თავს მევლებოდა; საყიდლებზე ერთად დავდიოდით; ცდილობდა, რაღაცით გავეხარებინე; ზედმეტად არ მაწუხებდა... ვიცი, იტყვით, რაღა უნდოდა ამ ქალს მეტიო, მაგრამ, როგორ აგიხსნათ... ასე მარტივად არ არის საქმე. მერჩივნა, ეყვირა და სახლში ქარიშხალი დატრიალებულიყო, ვიდრე ჩვენ შორის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩამქრალიყო. დეპრესია საშინელება იყო. თითქმის არ ვჭამდი, არაფერი მიხაროდა; აღარც თმის დავარცხნა მინდოდა, აღარც ლამაზად ჩაცმა...

**ქმარმა არ იცის, რომ საყვარელი მყავს, საყვარელს კი ჰგონია, რომ გათხოვილი არ ვარ**

**– თქვენი მეუღლე ვერ ამჩნევდა ამას?**

– ამჩნევდა და ამ ყველაფერს იმას აბრალებდა, რომ შვილი არ მიჩნდებოდა. საწყალი, მეუბნებოდა, ტყუილად ნერვიულობ. მოგვარდება ეს პრობლემა, გვეყოლება შვილი, ასე ნუ განიცდიო. ჩუმად ვიყავი, რა მეთქვა, როგორ ამეხსნა რეალური მიზეზი? ვერ გაიგებდა.

**– და, რა იყო რეალური მიზეზი?**

– ის, რომ მის მიმართ ვნება, ლტოლვა გამიქრა. ცხოვრების ხალისი დავკარგე. ვგლოვობ საკუთარ თავს. ფაქტობრივად, ჩემში სიცოცხლის სხივი ჩაქრა. ჯერ ისევ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, რომ ცხოვრება დამემთავრებინა; პირიქით, უნდა მოვქცეულიყავი ისე, რომ ხელახლა განმეცადა მძაფრი გრძნობები. თავიდან ვცდილობდი, ჩემში ის ხმა ჩამეხშო, რომელიც ჩამჩიჩინებდა, დროა, შენს თავზე იფიქრო, რატომ უნდა შეეწირო მსხვერპლადო.

**– ანუ, საყვარელი გაიჩინეთ, შინაგანმა ხმამ გიკარნახათ?**

– ასე არასწორად ჟღერს... „შინაგანმა ხმამ მითხრა“ და ასეთი რაღაცეები დაცინვას ჰგავს, მე კი ძალიან სერიოზულად ვუყურებ ამ ყველაფერს. საყვარელი რომ გავიჩინე, ეს მოხდა სრულიად შემთხვევით და, მერე მივხვდი, რაც მჭირდა. როგორც უკვე გითხარით, მე სახლიდან თითქმის არ გამოვდიოდი – ისე გამოვიყურებოდი, როგორ შეიძლებოდა, ვინმეს მოვწონებოდი?! ჩემმა ერთ-ერთმა დაქალმა, რომელიც დაახლოვებით ხვდებოდა, რა იყო ჩემი უბედურების მიზეზი, ძალით წამათრია რაღაც წვეულებაზე. წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ, არ მომეშვა. ქმარმაც მთხოვა, წადიო. მრცხვენია, როცა ვიხსენებ, როგორ დიდსულოვნად მოიქცა და იქცეოდა ყოველთვის. სწორედ ამიტომ ვერ ვეყრები და ვერ ვეუბნები სიმართლეს. კარგი ადამიანია, გული როგორ გავუტეხო? მამაკაცისთვის ხომ ეს ძალიან დამამცირებელია! როცა ამაზე ვფიქრობ, ვაცნობიერებ იმას, რომ ჩემი მდგომარეობა უიმედოა, მუდმივად ასე იქნება და არაფერი შეიცვლება. თუმცა, აღარაფერს ვაკეთებ ოჯახის შესანარჩუნებლად; უფრო სწორად, მე ვფიქრობ, რომ აღარაფერს ვაკეთებ.

**– მეუღლეს რომ დაელაპარაკოთ?**

– და, რა ვუთხრა, აღარ მაინტერესებ, აღარ მიზიდავ და აღარ მაქვს შენ მიმართ ლტოლვა-მეთქი? ძალიან რთულია ეს ყველაფერი. გავიცანი ის ადამიანი და მივხვდი, რა მჭირდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ქმარს ყველანაირად ვუგებ. ჩემი საყვარელისთანა მამაკაცს კი არასოდეს ვისურვებდი ქმრად. ვიცი, უცნაურად მოგეჩვენებათ ჩემი სიტყვები, მაგრამ, აბსოლუტურად სხვადასხვა რამეა ლტოლვა და ურთიერთგაგება. ქმარს ბევრ რამეში ვუგებ, ერთად კარგად ვართ... თუმცა, პირადი ცხოვრება საერთოდ არ მქონდა; როგორც ქალი,

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, ვინც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?!

***მკითხველის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ის ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული და მასზე საოცარ ისტორიებს ყვებიან. ქალბატონი ნინოს შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრჯერ დაწერილა, რადგან, მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც რომ არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. ნინო ვარსიმაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ უიღბლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.***

***ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგიერთები, ვისაც ქალბატონი ნინო ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, მადლიერების სათქმელად მოსულან, ზოგი კი აქ პირველადაა, მაგრამ, ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ შთაბეჭდილებებს არ მალავს. ჩვენ გავესაუბრეთ ამ ადამიანებს.***

**მანონი ს-ძე** *(40 წლის, რუსთავი):* ნინო ვარსიმაშვილი წლების წინ გავიცანი, მასთან დედაჩემმა მომიყვანა. დედა ქალბატონი ნინოს კლიენტი იყო და ჩვენს ოჯახს საგვარეულო ჯადოს მოხსნაში დაეხმარა. ცხონებული, სულ იმას ამბობდა თავის ნაცნობებში, ამ ქალს ბადალი არ ჰყავს; ისეთ რამეებს გეტყვის წარსულიდან, თითქოს შენთან ერთად ცხოვრობდა და მომავალზეც ისეთ დეტალებს „ხედავს," ვერც კი წარმოიდგენთო. ახლა აქ ფინანსურმა პრობლემებმა მომიყვანა: ჩემი ქმარი სამსახურს ვერ შოულობს, თან, იპოთეკური ვალი გვაქვს და, ვიცი, რომ ნინოს დახმარებით ამ პრობლემებს მოვაგვარებთ. ბარაქაზე საოცარ, შედეგიან პროცედურებს აკეთებს. უკვე მესამე ვიზიტია და, ვგრძნობ, რომ ჩვენი საქმე უკეთესობისკენ მიდის. მადლობა, ქალბატონო ნინო!

**მალხაზ დ-ძე** *(61 წლის, ბათუმი):* ნინო ვარსიმაშვილის შესახებ ერთ-ერთ გადაცემაში შევიტყვე, მერე გაზეთში წავიკითხე მასზე სტატია. ხომ იცით კაცების ამბავი, ჩემმა ცოლმა ძალით გამომაგდო. ერთი თვეა, აქ დავდივარ და ხალხისგან ისეთ ამბებს ვისმენ, გაოცებული ვარ. ერთი კახელი კაცი ყვებოდა, 40 წლის გოგო გამითხოვა, ხელი რომ გვქონდა ჩაქნეული და ახლა ღვინო მოვუტანეო. კიდევ, ერთი ქალი იყო, რომელსაც, თურმე, საყვარელთან გაქცეული ქმარი დაუბრუნა. მოდი და ნუ დაიჯერებ კაცი! ჩვენც ოჯახური პრობლემები გვქონდა და აშკარად ყველაფერი გამოსწორდა.

**ნუნუ დ-შვილი** *(57 წლის, თბილისი):* პირველად ნინო ვარსიმაშვილთან ჩემმა თანამშრომელმა ქალმა მომიყვანა, რომელსაც წლების წინ დაკარგული შვილი აპოვნინა. რამდენიმე წლის მერე ჩვენ დაგვჭირდა ქალბატონი ნინოს დახმარება – ჩვენი საქმეები უცებ ცუდად წავიდა და ამიტომ მოვედით აქ. ნინომ გვითხრა, რომ სახლში უმძიმესი ჯადო გვქონდა გაკეთებული. ისეთი რამეები მოგვიყვა ჩვენი ოჯახის შესახებ, ვიფიქრე, ალბათ, ვინმე საერთო ახლობელი გვყავს და იმან უამბო-მეთქი. მერე კი მივხვდი, რომ, თურმე, ამ ქალს საოცარი, ფენომენალური ნიჭი აქვს. ახლა პატარა პრობლემა შეექმნა ჩემს შვილიშვილს და წარმატებაზე მინდა შელოცვა – ნინოს თილისმებს დიდი ძალა აქვს.

**ნინო ვარსიმაშვილი**: ჩვენ ბოროტი ძალების გააქტიურების ხანაში ვცხოვრობთ, ამიტომაც, ყველანაირად უნდა დავიცვათ თავი. სამი ათეული წელია, ვცდილობ, დავეხმარო ადამიანებს იმ პრობლემების მოგვარებაში, რაც მათ აწუხებთ. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე; ვკურნავ სხვადასხვა სახის შიშებს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან, ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, სადაც იმ ადამიანების თხოვნითა და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კავშირით ვახერხებ.

***ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 597 82-68-68; 5 99 003-006 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

## ვერ ვეყრები, ვერ ვეუბნები სიმართლეს, არადა, აღარ მიზიდავს, აღარ მაინტერესებს, მის მიმართ ლტოლვა აღარ მაქვს

მე აღარ ვარსებობდი... რომ გითხრათ, ჩემმა ახალმა ნაცნობმა ძალიან ბევრი იწვალა ჩემს მოსახიბლავად-მეთქი, ტყუილი იქნება. რაღაც კაცური ძალა იგრძნობოდა მასში და, ისეთი ლტოლვა ვიგრძენი მის მიმართ, რომ ზუსტად ვიცოდი, როგორც კი სიახლოვეს შემომთავაზებდა, უარს ვერ ვეტყოდი. ასეც მოხდა.

**– როგორც მივხვდი, ქმარი, როგორც მამაკაცი, აღარ გაინტერესებთ. თუმცა, მასთან თანაცხოვრებაზე უარს არ ამბობთ.**

– ვიცი, ძნელი გასაგებია. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა... ძალიან მინდა, ჩემს ქმარშიც ვხედავდე იმ თვისებებს, რომლებიც საყვარელში დავინახე. ის მე სიცოცხლისკენ მაბრუნებს; იმას მაძლევს, რაც ქალს აცუილებლად უნდა ჰქონდეს – ყველა ნორმალურ ქალს, რა თქმა უნდა. ვიცი, ორმაგი ცხოვრება კარგს არაფერს მომიტანს და სულ ვფიქრობ იმაზე, რა შეიძლება მოხდეს ხვალ, ზეგ... ოდესმე რომ დავდგე გულახდილობის გუნებაზე და ქმარს მოვუყვე, საყვარელი რომ მყავს – ეს კატასტროფა იქნება, მაგრამ, ამ ვერსიასაც არ გამოვრიცხავ. მირჩევნია, მან არაფერი გაიგოს – რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს ვერსია გაცილებით მისაღებია. მინდოდა, ნორმალური ოჯახი მქონოდა. არ მინდა განქორწინება. როცა იქნება, შვილის გაჩენაც მომინდება ჩემი ქმრისგან და საკუთარ თავზე ნაკლებად ვიფიქრებ. ქმარი ჯერ კიდევ არ არის ჩემთვის უცხო ადამიანი და, იქნებ კიდევ გამოგვივიდეს რამე. საერთო ინტერესები, საღამოს საუბრები, განვლილი დღის ამბების მოყოლა, მზრუნველი გამოხედვა და ხელის ჩაკიდება – ეს ყველაფერი არაჩვეულებრივია და, არ მინდა, ბოლო შანსი ხელიდან გავუშვა. იქნებ, ცხოვრება ბედნიერი სცენარით განვითარდეს. ვის უნდა, არეული ურთიერთობები ჰქონდეს?!

**– როგორ ფიქრობთ, ვინ იყო დამნაშავე იმაში, რომ ერთმანეთის მიმართ ლტოლვა გაგიქრათ?**

– როგორ დავაბრალო ეს ჩემს ქმარს? შეიძლება, დამნაშავე ორივე ვართ, ან, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები არსებობს... ერთი სიტყვით, არ ვიცი და ჯერჯერობით არაფრის შეცვლას არ ვგეგმავ – არ შემწევს ამის უნარი.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**რატომ არიან კაცები ასეთი უმადურები?! ჩემს ქმარს ზედ ვყვები, თვალებში შევცქერი და მისგან ჯერ მადლიერების ერთი სიტყვაც არ გამიგონია. თითქოს კარგი ტიპია და ვუყვარვარ, მაგრამ, წარმოდგენა არ აქვს, რეალურად რა მჭირდება. ელემენტარული ყურადღება, სითბო და ალერსი მაკლია. როცა ამას ვეუბნები, მპასუხობს ჭირვეული და პრეტენზიული ხარო. რა გავაკეთო?**

**გამოხმაურება:** მაინც საუბარია გამოსავალი – მშვიდი, უემოციო და კონსტრუქციული. პრეტენზიულ ტონზე და საყვედურებზე უარი უნდა თქვათ. შეეცადეთ, უფრო კარგად დააკვირდეთ, რა ღირსებები აქვს მას და გაითვალისწინოთ ეს პოზიტიურად აისახება თქვენს ურთიერთობაზე. ზოგჯერ ითამაშეთ, რომ დაუცველი ხართ და გჭირდებათ მისი დახმარება, თანადგომა – მოსინჯეთ ეს მეთოდი...

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ყველასთვის კარგად ცნობილი და საყვარელი მომღერალი ზუკა ხუციშვილი დაახლოებით ნახევარი წელია, რაც ამერიკიდან დაბრუნდა, სადაც სასწავლებლად იყო წასული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო თავისი სპეციალობით. ამჟერად ის უფრო კარიერაზეა ორიენტირებული და, მიაჩნია, რომ გამოცდილებისა და წინსვლისთვის, მუსიკის გარდა, სხვა გზის გავლაც საჭიროა. მაგრამ, მუსიკას მის ცხოვრებაში მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და, გადაწყვეტილი აქვს, ამ სფეროში რამე ახალი და ხარისხიანი გააკეთოს, თუმცა, როდის – ეს კონკრეტულად ჯერ არ გადაუწყვეტია.**

# როდის აღმოაჩინა ზუკა ხუციშვილმა, რომ ჭურჭელი თავისით არ ირეცხებოდა, რა მოუტანა მას ამერიკაში ცხოვრებამ და თქვა თუ არა უარი სიმღერაზე

**– ახლახან დაბრუნდი საქართველოში. დასასვენებლად იყავი?**

– დიახ, ერთი კვირა ვიყავი საბერძნეთში, მეგობრები ვაპირებდით წასვლას, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმემ ვერ მოახერხა წამოსვლა და ბოლოს მე და ჩემი ერთი მეგობარი გავემგზავრეთ როდოსზე. მანამდე ორივე ძალიან აქტიურად ვმუშაობდით, რომ იტყვიან, „გადამწვრები" ვიყავით და იქ ძალიან კარგად დავისვენეთ.

**– საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობ. რამდენი ხანია, რაც სახელმწიფო სამსახურში ხარ?**

– ზამთარში ჩამოვედი საქართველოში. დაახლოებით ნახევარი წელია, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროში, პროტოკოლის დეპარტამენტში ვმუშაობ, დელეგაციების დახვედრა და გაცილება მევალება. როცა დელეგაცია საქართველოში ჩამოდის, ჩვენი მოვალეობაა, ყველაფერი კარგად დაგეგმილი დავახვედროთ. ამ პროცესში ძალიან ბევრი ხალხი გავიცანი.

**– ეს ნიშნავს, რომ მუსიკაზე უარი თქვი?**

– მუსიკაზე უარის თქმა უკვე დიდი ხანია, გამომივიდა. ჯერ გარდატეხის პერიოდი მქონდა, შემდეგ სწავლა დავიწყე და ცოტა ხნით აქედან წავედი. სურვილი, რომ მუსიკას ჩამოვშორებოდი, ნამდვილად არ მქონია, უბრალოდ, ფიზიკურად ასე გამოვიდა. იმის მიუხედავად, რომ ბევრი საქმე მაქვს, ძალიან მინდა, ამ მხრივ რაღაც გავაკეთო. მუსიკისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ, თუმცა, შეიძლება, ისე აქტიურად აღარ ვიმუშაო ამ სფეროში, როგორც ეს ადრე, ბავშვობაში იყო. ისე, ისეთი აქტივობით დღეს აღარც არაფერი ხდება შოუ-ბიზნესში, მაგრამ, პატარა რაღაცის გაკეთება მაინც მინდა. შეიძლება, ბენდი შევქმნა და კლუბებში საღამოები მოვაწყო, ოღონდ, მინდა, რომ ყველაფერი ხარისხიანად გავაკეთო.



**რომ ჩამოვედი, ბებიაჩემთან მივედი, ჩავეხუტე და ვუთხარი, საჭმელი მაჭამე-მეთქი. თითქოს ორი წლის მშიერი ვყოფილიყავი. მართლა ძალიან დაღლილი ვიყავი არაჯანსაღი პროდუქტით**

**– ქართულ შოუ-ბიზნესში რომ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, ამიტომაც ხომ არ გადაწყვიტე, კარიერა სხვა მიმართულებით გაგეგრძელებინა?**

– მაგის ბრალი, ფაქტობრივად, არ ყოფილა. გარდატეხის ასაკში, განსაკუთრებით – ბიჭებში, პაუზა აუცილებელია. მე ეს პერიოდი 14-დან 20 წლამდე მქონდა.

**– ამბობდნენ, რომ ხმა დაკარგე.**

– ჰო, ეს ჭორები იყო ხმის დაკარგვასთან დაკავშირებით. უბრალოდ, გარდატეხის ასაკში არ შეიძლება სიმღერა, შესაძლოა, ხმა ჩაგიწყდეს. შემდეგ ის პერიოდი დაემთხვა, როცა შოუ-ბიზნესი უკან წავიდა – ეს ყველასთვის ცნობილია. ასე რომ, ჩემი გადაწყვეტილებით არ მოვშორებივარ ამ სფეროს.

**– ახალი სამსახური თუ მოგწონს?**

– დიახ, რა თქმა უნდა. მე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დავამთავრე. ხალხთან ურთიერთობაა ჩემი სამსახური, რომელიც მიადვილდება და მეხერხება. ყოველთვის ვამბობდი, რომ სიმღერა არის ჩემი ცხოვრება. სამსახური – სამსახურია, მაგრამ, როცა ოჯახში ან მეგობრებთან ერთად ვარ, სიმღერა ყოველთვის გამორჩეული ნაწილია. სამსახური სულ სხვა რამეა. ვფიქრობ, კარგია, მარტო სიმღერას რომ არ გავყევი.

**– ამ სამსახურს თავისი მკაცრი ჩარჩოები აქვს. ხელოვანი ადამიანისთვის რთული არ არის მათზე მორგება?**

– დიახ, იქ ნამდვილად ყველაფერი ჩარჩოებშია, სიმღერა და სცენა კი უფრო კრეატიულია, შემოქმედებითია. ჩემი სამსახური ასეთი არ არის, მაგრამ, ცხოვრებაში ესეც აუცილებელია გამოცდილებისა და წინსვლისთვის.

**– ორი წელი ამერიკაში სწავლობდი, არ გაგიჭირდა აქაურობასთან განშორება?**

– თავიდან, პირველი-ორი სამესტრი გავძელი, მერე კი უკვე ძალიან გამიჭირდა. ვინც ამერიკაში ცხოვრობდა, როცა ერთკვირიანი არდადეგები გვქონდა, ოჯახებში მიდიოდა. მე ორი დღე გზაში მჭირდებოდა და, ამიტომ, აზრი არ ჰქონდა ჩამოსვლას. მხოლოდ ახალ წელს და ზაფხულში ჩამოვდიოდი. ამერიკასთან შეგუება მართლა რთული იყო, მაგრამ, იმდენად კარგი დრო გავატარე, იმდენი რამ ვისწავლე, ნამდვილად ღირდა, მით უმეტეს – მარტო ცხოვრება. რომ მეგონა, ჭურჭელი თავისით ირეცხებოდა, ასე არ ყოფილა *(იცინის)*. სასაცილო მომენტებიც იყო, მაგალითად, პროფესორებისთვის ჩემი სახელის და, მით უმეტეს, გვარის წარმოთქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ამიტომ ყოველ სემესტრში ახალ პროფესორთან შეხვედრა და გაცნობა სასაცილო იყო. წაკითხვისას ცოტა ხანს ჩერდებოდნენ და, უკვე ვხვდებოდი, რომ ჩემს გვარს მიადგნენ *(იცინის)*. იქ ბევრი რამ ვისწავლე და ბევრ რამეზე შემეცვალა აზრი. ყოველთვის კარგია სხვა ქვეყნის გაცნობა. ბევრ სიახლეს იგებ, ზოგს – ცუდს, ზოგს – კარგს და მერე შენ უნდა მოახერხო მათი გაფილტვრა. ეს არის გამოცდილება, მეტი არაფერი.

**– ამერიკა ჩვენგან ძალიან განსხვავებული ქვეყანაა კულტურით, მენტალიტეტით. ამხელა სხვაობასთან შეგუება არ გაგიჭირდა?**

– იმდენად მეგობრული ხალხია, გიადვილდება ეს პროცესი. ჩვენ, ქართველები, სახლში ძალიან მეგობრულები ვართ, მაგრამ, ამ ბოლო დროს, ქუჩაში რომ გადიხარ, იქ ცოტა სხვანაირად არის. ამერიკაში – პირიქით, ქუჩაში ვინც არ უნდა შეგხვდეს, რომ არ გაგიღიმოს და არ მოგესალმოს, არ შეიძლება. იმათთან სახლშია პირიქით – მათ პირადს არ უნდა შეეხო. ეს დიდი განსხვავებაა და, რომ გავერკვიე, მერე აღარ მიჭირდა.

**– ყველაზე მეტად ვინ ან რა გენატრებოდა?**

– ოჯახი, მეგობრები და... საკვები. ძალიან გამხდარი არც ახლა ვარ, მაგრამ, იქ ძალიან მოვიმატე წონაში. ორი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ჯანსაღი საკვები არ მიმიღია, სულ პიცას და ჰამბურგერებს ვჭამდი, რაც დამეტყო კიდეც.

**– ცნობილი მამის შვილი ხარ, რაც ზოგს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის. შენ თუ გქონია კომპლექსი ამის გამო?**

– არა, ეგ პრობლემა ცხოვრებაში არ მქონია. მამის გამო დაკომპლექსებული არასდროს ვყოფილვარ, მე ყოველთვის ვსწავლობდი მისგან. დედა ყველაზე ძალიან მიყვარს, მაგრამ, ბიჭი ყოველთვის მამისგან სწავლობს. მიხაროდა, როცა ვხედავდი, რას აკეთებდა; მიხაროდა მისი პოპულარობა. ახლა როგორიც ვარ, ეს მამაჩემის დამსახურებაა. ერთხელ, თვითმფრინავში ძალიან მოუნდა მოწევა და თქვეს: მოაწევინეთ, ზუკას მამააო. ძალიან გაბრაზებული იყო – ამდენი რამის მერე ზუკას მამობით მცნობენო... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით *(იცინის)*.

**– შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება ამ დროისთვის?**

– არაფერი. ძებნაში ვარ, ძალიან აქტიურ ძებნაში *(იცინის)*. ამისთვის დრო ფიზიკურადაც არ მქონდა. ამერიკაში ვცხოვრობდი და იქაური გოგო რომ ჩამომეყვანა, ალბათ, თავში ჩამარტყამდნენ რამეს *(იცინის)*. ჯერჯერობით ისეთი სერიოზული ურთიერთობა არ მქონია, რომ საქმე ოჯახის შექმნამდე მისულიყო. მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ ადრეა ამისთვის.

**– ისე, რამე რომ ხდებოდეს, გვეტყოდი?**

– დიახ, რამე რომ იყოს, აუცილებლად გეტყვით.

**– ზოგადად, როგორი გოგონები მოგწონს?**

– ძალიან ჩვეულებრივი. კონკრეტული კრიტერიუმები არ მაქვს ჩამოწერილი, თუმცა, უფრო წესიერი გოგონები მომწონს. ახლა რომ წამოვიდა ცოტა აქტიური გოგონების ტენდენცია, მე ეს ცოტა მაშინებს *(იცინის)* – მაგ საკითხში ცოტა ძველმოდური ვარ. ვფიქრობ, ურთიერთობაში კაცმა უნდა გამოიჩინოს თავი და გოგონასთვის თავის შესაყვარებლად ყველაფერი უნდა გააკეთოს.

**– ფიზიკურად როგორი უნდა იყოს, აქ თუ გაქვს კონკრეტული კრიტერიუმები?**

– ფიზიკურად, რა თქმა უნდა, ლამაზი უნდა იყოს. რაღაც საოცრებას არ ვითხოვ, შეიძლება, ულამაზესი არ იყოს, მაგრამ, ადამიანს პირველად რომ ხვდები, თავიდან გარეგნობა მოგწონს. ამაზე წინასწარ საუბარი მაინც რთულია, რადგან, არ იცი, ვინ რით მოგაწონებს და შეგაყვარებს თავს. ახლა კი ვამბობ, დაქორწინებას ჯერ არ ვაპირებ-მეთქი, მაგრამ, შესაძლოა, ისეთი ადამიანი შემხვდეს, ცხოვრება „გადამიტრიალდეს" და... ამიტომ, წინასწარ მაინც ვერაფერს ვიტყვი ამ საკითხზე.

**– შეყვარებული ბევრჯერ ყოფილხარ? როგორი ხარ ხოლმე ამ დროს?**

– სხვათა შორის, კი. „შეყვარება" ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ, მოწონებით ძალიან ბევრჯერ მომწონებია. ემოციური ვარ და ხშირად მომწონს, მაგრამ, სერიოზულად – ჯერ არავინ. ხვდებიან ხოლმე, როცა შეყვარებული ვარ – ამ დროს სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ. საქმეს, რომელიც იმ მომენტში მაქვს, ვაკეთებ, მაგრამ, მაინც ყველა ხვდება, რომ ცაში, ღრუბლებზე ვარ. „შეყვარებული ხომ არ ხარო" – რომ მეკითხებიან, ხშირად მართლდება.

**– რამე განსაკუთრებული თუ გაგიკეთებია ამ დროს?**

– არა, მაგრამ, ყოველთვის მინდოდა, რაღაც გამეკეთებინა. ელემენტარული, რაც წესია – ყვავილები, საჩუქრები – ამის გარეშე არასდროს მივსულვარ საყვარელ ადამიანთან, სადღაც დაპატიჟებაც ყოფილა, უფრო მეტი კი – არა. მაგრამ, გპირდებით, რომ აუცილებლად გავაკეთებ, როცა ის ადამიანი შემხვდება.

**– რადგან გვპირდები, ესე იგი, ამას ყველა გაიგებს?**

– ბევრი გაიგებს – ალბათ, გავრცელდება ინფორმაცია.

**ქეთი კაპანაძე**

**მოცეკვავე სალომე ჭაჭუას ცხოველები ბავშვობიდან უყვარს, თუმცა, მათ მიყვანას სახლში დედა უშლიდა. ახლა კი, რაც გათხოვდა და ქმართან ერთად ცალკე გადავიდა საცხოვრებლად, ოცნება აისრულა და უსაყვარლესი ჰასკის ჯიშის ძაღლი იყიდა. მართალია, დროებით მასთან განშორება მოუწია, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, სპეციალისტის მიერ გაწვრთნილ ბუბუს სულ მალე დააბრუნებს სახლში და, ისიც, გაზრდილი და ჭკუაში ჩავარდნილი, შესაბამისად მოიქცევა.**

# როგორი „მამა" გამოდგა გიორგი ვარდოსანიძე ცოლის ნაჩუქარი სიურპრიზისთვის და რატომ ვერ გაბედა მოსწავლის ნაჩუქარი „ბოთეს" სახლში მიყვანა სალომე ჭაჭუამ

**სალომე ჭაჭუა**: ყველანაირი ცხოველი და ფრინველი მიყვარს, თუმცა, სახლში არასდროს მყოლია. დედას ბავშვობაში ძაღლმა უკბინა და იმ დღის შემდეგ ცხოველის სახლში ყოლის წინააღმდეგია, მე კი სულ მინდოდა, პატარა ცუგა მყოლოდა. არ დამავიწყდება, ჩემმა მოსწავლემ მაჩუქა უსაყვარლესი და ულამაზესი კოკერსპანიელის ლეკვი, „ბოთე" დავარქვი. მაგრამ, დედაჩემისთვის რომ სახლში მიმეყვანა, გადაირეოდა და, ამიტომ, „თელას" სტუდიაში ვზრდიდით.

**– ახლა, უსაყვალესი და ულამაზესი, თეთრი და ცისფერთვალება ხასკის ჯიშის ძაღლი რომ გყავს, დედას აღარ ეშინია?**

– სანამ გავთხოვდებოდი, ვერ მიმყავდა სახლში ძაღლი, თორემ, ახლა მე და გიორგი ცალკე ვცხოვრობთ და, ეს ულამაზესი და უსაყვარლესი ძაღლი ჩვენი ოჯახის წევრია. სხვათა შორის, მე პატარა, ფუმფულა, „ბოს" ჯიშის ძაღლის ყოლა მინდოდა, მაგრამ, გიორგიმ თავი გაიგიჟა – ჰასკი მინდაო და, ჩუმად გადავწყვიტე, სიურპრიზი გამეკეთებინა და ვალენტინობის დღეს ვაჩუქე.

**– თეთრი ჰასკის მოძებნა საქართველოში არ გაგიჭირდა? თან, მგონი, საკმაოდ ძვირი ღირს.**

– სხვათა შორის, ძალიან გამიჭირდა და ძალიან ბევრი ვეძებე. ძლივს ვიშოვე და 200 დოლარად ვიყიდე. არ დამავიწყდება, ბოლოს რომ ვიკამათეთ – მე ბო მინდა და მე ჰასკიო და, არ ელოდა ჩემგან გიორგი, თუ მის ოცნებას ავახდენდი და ვუყიდიდი. სატელევიზიო შოუში ვიყავით „ვალენტინობას" მიწვეულები და ვიფიქრე, პირდაპირ ეთერში გავუკეთებ სიურპრიზს-მეთქი. ვეკითხებით: აბა, გიორგი, ყველაზე მეტად რა გინდა, ამ დღეს რომ გაჩუქონო და, გვიპასუხა – დანაო. კიდევ ვკითხეთ: აბა, კიდევ რა გინდაო და, ვერა და ვერ ვათქმევინეთ ძაღლიო *(იცინის)*, არადა, ბუბუ კართან ელოდებოდა. ბოლოს, რომ შემოუყვანეს და დაინახა, კინაღამ გაგიჟდა. რას წარმოიდგენდა, იმ დღის ჩხუბის შემდეგ – მე ბო მინდა და მე ჰასკიო, ასეთ სიურპრიზს თუ გავუკეთებდი. სახლში რომ მივიყვანეთ, ორი დღე ტიროდა ბუბუ და გიორგი გიჟს ჰგავდა – ახლა ამას გადავაგდებო *(იცინის)*, მაგრამ, როგორც კი მე ავიყვანდი ხელში, ეგრევე ჩუმდებოდა და, ამაზე გიორგი სულ გადაირია – იეჭვიანა. ბუბუ სამი კვირის იყო, პირველად რომ ვნახე: ბურთივით მრგვალი, თეთრი და ცისფერთვალება ისეთი ლამაზი იყო, მაშინვე შემიყვარდა *(იცინის)*. ბევრი არ გვიფიქრია, ჩვენს გოგოს, ბუბუ დავარქვით და ისეთი ცელქი და რთული აღსაზრდელი გამოდგა, რომ მწვრთნელთან გვყავს გაშვილებული. წარმოიდგინეთ, ჯოხს რომ გადავუგდებდით და ვეტყოდით, მოიტანეო, შეურაცხყოფად მიაჩნდა, იბუზებოდა, იბუტებოდა და სამი დღე მის შემორიგებას ვცდილობდით *(იცინის)*. ძალიან ამაყი და გრაციოზულია და ახლა მწვრთნელი ასწავლის, როგორ მოიქცეს და დაგვიჯეროს. ბევრს გაუკვირდება, მაგრამ, ადამიანივით ესმის ყველაფერი და შესაბამისი რეაქციებიც აქვს.



ვეკითხები: აბა, გიორგი, რა გინდა ყველაზე მეტად, რომ გაჩუქო-მეთქი და, მიპასუხა, დანაო; კიდევ ვკითხე, კიდევ რა გინდა-მეთქი და, ვერა და ვერ ვათქმევინე ძაღლი, არადა, ბუბუ კართან ელოდებოდა

**– ახლა რამხელაა ბუბუ და ვისი გვარი უწერია პასპორტში?**

– პასპორტი ჩვენ ავუღეთ. ახლა ბუბუ 6 თვისაა და ვარდოსანიძის გვარს ატარებს, ერთი სიტყვით, მამიკოს გოგოა *(იცინის)*. ორი თვეა, უჩვენოდ არის და როგორ დარბის და დახტის. რომ ვნახულობთ, ისე უხარია, უნდა ნახოთ, ყოველკვირა მივდივართ მე და გიორგი მის სანახავად, ვასეირნებთ და ვეფერებით, მაგრამ, რომ ვემშვიდობებით და მოვდივართ, გვეტირება, საწყლად წკმუტუნებს. თავიდან, მწვრთნელთან რომ მივიყვანეთ ცხოველების სასტუმროში, ისეთი არანორმალური და მაიმუნია, რომ სუფრა შეჭამა და გადასხმები დასჭირდა. სახლშიც ასეთი იყო – ფეხსაცმელებს გვიღრღნიდა. დივანზე ბალიშები გვიდევს, აძვრებოდა და იმას ჭამდა, მარტო როცა რჩებოდა სახლში. ცოტა რომ წამოიზარდა, სახლიდან რომ გავდიოდით, აივანზე ვტოვებდით. არ დამავიწყდება, ერთ დღესაც, სახლში მივედი და ჩემი ბოტასი ისეთი დაღრღნილ-შეჭმული დამახვედრა, გაბრაზებულმა მეორეც მივუგდე – აჰა, ესეც დააყოლე-მეთქი *(იცინის)*. გიორგის თავის სახლში „დვარნიაშკა" ანუ, უჯიშო ძაღლი ჰყავს, მაგრამ, მაგარ „ვიდზეა" და ედი ჰქვია. მაგარი ავია და, რაც კი შრამი აქვს გიორგის, სულ ედის დამსახურებაა. გიორგი დღესაც არ მიშვებს ახლოს ედისთან, რომ არ დამკბინოს. მართალია, არ მახსოვს, ცხოველი ჩემკენ საკბენად გამოწეულიყო, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. თუმცა, ახლა გამახსენდა, პატარა რომ ვიყავი, სოფელში ვარიას დავედევნე და მამალმა ისეთი ჩამინისკარტა, რომ მახსენდება, ახლაც მტკივა თავი *(იცინის)*. ბუბუმაც რომ ღრენა დაუწყო თავიდან, ამბობდა, ესეც თუ ედის დაემსგავსა, გავაგდებ სახლიდანო; მე კი არც მიღრენდა, პირიქით, მეხუტებოდა. დრო რომ გავიდა, გიორგისაც მიეჩვია, თან, მე დილით არ მეცალა, გიორგის გაჰყავდა გარეთ და, ალბათ, დრო სჭირდებოდა, რომ ამასაც მისჩვეოდა. ბუბუს თავისი ადგილი მივუჩინეთ აივანზე და იქ ეძინა, თავის პატარა საწოლში. ახლა, სანამ სახლში დაბრუნდება, ახალ, დიდ სახლს ვუშენებთ აივანზე – ეს სიურპრიზია მისთვის და, იმედია, მოეწონება.

**ბუბუს ჯოხს რომ გადავუგდებდით და ვეტყოდით, მოიტანეო, შეურაცხყოფად მიაჩნდა, იბუზებოდა, იბუტებოდა და სამი დღე მის შემორიგებას ვცდილობდით**

**– როდესაც შენ და გიორგი ერთად ხართ, ბუბუ არ ეჭვიანობს?**

– ადრე, პატარა რომ იყო, ეჭვიანობის გრძნობა არ ჰქონდა, ახლა კი უკვე გაზრდილი დაბრუნდება ჩვენი გოგო სახლში და როგორ იქნება ამ მხრივ საქმე, ჯერ არ ვიცით *(იცინის)*. ხომ ამბობენ, ცხოველები თავის პატრონებს ემსგავსებიანო? მეც მჯერა ამის და ვაკვირდებოდი ბუბუს, იქნებ მსგავსება ვიპოვო-მეთქი, მაგრამ, ოთხი თვის იყო, რომ მივაბარეთ მწვრთნელს და ამას ვერ ვამჩნევდი. ახლა, რომ დაბრუნდება სახლში, კარგად დავაკვირდები და, იმედია, აღმოვაჩენ მსგავსებას *(იცინის)*.

**– მართალია, შენი გოგო ჯერ პატარაა, მაგრამ, გათხოვების დრო რომ მოუვა, საქმროს თავად შეურჩევ?**

– რასაკვრიველია! ჩემი გოგო სამეფო ჯიშის ძაღლია და, მინდა, ჩემი სიძეც ასეთივე წმინდა, სამეფო ჯიშის იყოს. როგორც გითხარით, ბუბუ ძალიან ცელქია და არ გვიჯერებს. რომ გვაგიჟებს, გიორგის ვეუბნები, ხომ გინდოდა ჰასკი, ჰოდა, შენ მოუარე-მეთქი *(იცინის)*. გიორგი კარგი მამა გამოდგა – ისე აბანავებს, ასეირნებს და უვლის ბუბუს, როგორც ნამდვილ შვილს უვლიან. ჩვენს გოგოს ძალიან უყვარს ბანაობა და, ტბაზე რომ წავიყვანეთ, იმდენი იცურავა და იყვინთავა, ძლივს მოვწყვიტეთ წყალს. ბუბუ ბუნებით ძალიან თბილია, უყვარს სტუმრები, განსაკუთრებით კი – გიორგის ერთი მეგობარი, რომელსაც ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვს. მას რომ დაინახავს, ახტება და გვერდიდან აღარ შორდება. ვეხუმრებით ხოლმე – ეტყობა, მსგავსება ნახა და ამიტომ მოიწევს შენკენო *(იცინის)*. რომ ვიცოდე, ბუბუ არ იეჭვიანებს, სიამოვნებით ვიყიდდი ბოს ჯიშის ძაღლს და გავზრდიდი ჩემს ჭკუაზე. ვნახოთ, იქნებ, დედმამიშვილისთვის შევამზადო ჩემი გოგო და ოჯახური იდილია კიდევ უფრო გავამყარო *(იცინის)*.

**ნონა დათეშიძე**

**სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ეკლესიებში მრევლის ნაკლებობა შეინიშნება, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი თანამედროვე სასულიერო პირების მრევლისადმი და საეკლესიო საკითხებისადმი დამოკიდებულებაა. ამ ყველაფრის შესახებ საუბარი ვთხოვეთ ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, მამა საბას (ბიკაშვილს):**

# რატომ იკლო ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვმა და როდის ხდება სასულიერო პირი მათი დაბრკოლების მიზეზი

– უპირველეს ყოვლისა, ეს დამოკიდებულია იმაზე, ამ საკითხს ვინ როგორ მიუდგება. თუ ამის შესახებ 100 სასულიერო პირს ვკითხავთ, იქიდან 90 იტყვის, რომ ამ ყველაფრის გამომწვევი ბევრი მიზეზი არსებობს, მაგალითად: სოციალური პრობლემები, ცხოვრების რიტმი, უსამსახურობა ან ისეთ რეჟიმში მუშაობა, რაც ადამიანს არ უტოვებს ეკლესიაში სიარულის დროს. რაც დრო გადის, ადამიანი ნელ-ნელა ინფანტილური ხდება სულიერი ცხოვრების მიმართ. ობიექტურობა მოითხოვს ჩვენგან, სასულიერო პირებისგან, ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი ბრალიც არის, სასულიერო პირების. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ, როცა სასულიერო პირებთან დაკავშირებით, ანუ, როცა საქმე მრევლის ცხოვრებას ეხება და რაღაც ცუდი ხდება, ეს ეკლესიის ბრალია. ასეთი ფორმულირება, თავისთავად, არასწორია, რადგან, აქ ეკლესია არაფერ შუაშია. ეკლესია გაცილებით დიდი ცნებაა და ამაზე საუბარს აღარ დავიწყებთ. ასეთ დროს ის კი არ უნდა ვთქვათ, რომ ეკლესიაა დამნაშავე, არამედ, სწორია თუ ვიტყვით, რომ ეკლესიის მესვეურები, ანუ მსახურნი ვართ დამნაშავეები, ისინი, ვინც ეკლესიაში ვმოღვაწეობთ. თუმცა, რადგან ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, ვიღაცას შეეშლება, ვიღაცას არ შეეშლება, ვიღაც გამოსწორდება, ვიღაც – არა და ეს ჩვეულებრივი პროცესია, თუმცა, ეს არ გვათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისგან, რაზეც ახლა ვსაუბრობ. ჩვენ, სასულიერო პირები, უფრო მეტს ვაშავებთ, ჩვენი მიზეზით უფრო მეტი ადამიანი ბრკოლდება, არ მოდის ეკლესიაში, ვიდრე სხვა გარეგნული მიზეზების გამო. რა თქმა უნდა, გარეგნულ მიზეზებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი შინაგანი მდგომარეობაა. მთელი ეკლესიის არსებობის განმავლობაში ადამიანებს ჰქონდათ ერთი უდიდესი იმედი – ეს არის რწმენა, არა მხოლოდ ღმერთის, არამედ, დედამიწაზე მისი ინსტიტუტის, ანუ – ეკლესიის, ვგულისხმობ სასულიერო პირებს. მადლობა ღმერთს, რომ დღეს კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ისევ გააჩნიათ ამ ყველაფრისადმი რწმენა, იმედი, მაგრამ, ეს იმედი ძალიან ბევრს აღარ აქვს, ჩვენი არასწორი ქმედებებიდან გამომდინარე. ბევრი ფიქრობს იმაზე, რომ, როგორც კი მივა ეკლესიაში, მაშინვე პოვებს ნუგეშს, მაშინვე დაინახავს ღმერთს. თუ ვიტყვით, რომ ღმერთი სულია და მისი დანახვა შეუძლებელია, მაშინ მისი აღქმა, შეგრძნებაა აუცილებელი. მაგრამ, ადამიანი აქამდე ვერ მივა, თუ მას წინ არ უსწრებს რელიგიურობის განცდა, სურვილი, ეკლესიაში ისწავლოს რწმენის განცდა. ამას კი ვინ ასწავლის? რა თქმა უნდა, სასულიერო პირი. ასე რომ, სასულიერო პირი მედიატორია ადამიანსა და ღმერთს შორის; ის პიროვნებაა, რომელმაც, პრიმიტიულად რომ ვთქვათ, უნდა იცოდეს სწავლება ცოცხალი ღმერთის შესახებ, თუ რას სთხოვს ღმერთი ადამიანს და არა მოითხოვს მისგან. არაერთხელ მითქვამს, რომ, თუ ადამიანი ჯერ ადამიანობას ვერ ისწავლის, ის ქრისტიანი ვერ გახდება, ანუ, ადამიანი ამ ყველაფერს ეკლესიაში სწავლობს და ამას მას სასულიერო პირი უნდა ასწავლიდეს. როცა პედაგოგი მოსწავლეს ასწავლის, ის თავის მოსწავლეზე, სულ მცირე, ათი თავით მაღლა უნდა იდგეს თავისი ცოდნითა და პასუხისმგებლობით; ასევე უნდა იყოს სასულიერო პირის შემთხვევაშიც, რომელსაც არა მხოლოდ ცოდნა და სარწმუნება უნდა გააჩნდეს, არამედ, უბრალოება და უშუალობაც. სხვისი გადმოსახედიდან, მისი თვალებიდან უნდა ჭვრეტდეს არსებულ სიტუაციას, იმ სულიერ პრობლემას, რაც მას აწუხებს, სხვა შემთხვევაში, ვერ გაუგებს და, ის რასაც მას ეკლესია ასწავლის, მისთვის გაუგებარი დარჩება.



**ჩვენ, სასულიერო პირები, უფრო მეტს ვაშავებთ, ჩვენი მიზეზით უფრო მეტი ადამიანი ბრკოლდება და არ მოდის ეკლესიაში, ვიდრე სხვა გარეგნული მიზეზების გამო**

**– სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი არ აღიარებს, რომ სწორედ მათი ქცევისა და დამოკიდებულებების გამო ტოვებენ ქრისტიანები ეკლესიას.**

– სამწუხაროდ, ამას ძალიან ცოტა აღიარებს. რატომღაც, არა მხოლოდ სასულიერო პირები, არამედ, თითქმის ყველა, ნებისმიერ საკითხში სხვას ვადანაშაულებთ. მე ვამბობ, რომ ბევრი რამ ჩვენი ბრალია, თუმცა, ყველა სასულიერო პირს არ ვგულისხმობ. მოძღვრები სხვას ვასწავლით საკუთარ თავში ჩაფიქრებას, ანალიზის გაკეთებას და, ბუნებრივია, თუ სხვას ვასწავლით, ეს არ ნიშნავს იმას, ჩვენ თვითონ რომ ამისგან თავისუფლები ვართ და არ გვეხება. უნდა გავითვალისწინოთ წმიდა მამების სწავლებები, ყოველთვის აქედან უნდა გამოვდიოდეთ, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დღეს სხვა დროა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათი სწავლებები აღარ გვჭირდება. სწავლება ერთია და მიდგომა – სხვა, რომელიც უნდა იყოს შესაფერისი იმ მდგომარეობის, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. უნდა დავიცვათ საეკლესიო ტრადიციები, მაგრამ, მიდგომები განსხვავებული უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ იღებს ამ ყველაფერს. ხშირად კომუნიკაცია ადამიანსა და სასულიერო პირებს შორის დღეს ძალიან ჭირს და ერთმანეთის იშვიათად თუ ესმის ვინმეს; ხშირად, ჩვენ რასაც ვლაპარაკობთ, იმას არ ვაკეთებთ. როგორც პედაგოგისგან, ისე სასულიერო პირისგანაც, ადამიანმა უნდა ისწავლოს არა რამე კონკრეტული საგანი, არამედ, უნდა ისწავლოს ქცევა ზნეობის, პატიოსნების, ადამიანობის ჭრილში. როცა მოძღვარი გამოდის და ქადაგებს ადამიანების გვერდში დგომაზე, სიყვარულზე, დახმარებაზე, პატივისცემაზე, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში თავად უნდა იყოს მაგალითის მიმცემი. თუნდაც ფინანსურად გვერდში დგომა რომ ავიღოთ, ამას წელიწადში ერთხელ კი არ უნდა აკეთებდეს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, არამედ, ასეთი ცხოვრება მისი მოწოდება უნდა იყოს. სამწუხაროდ, დღეს უმრავლესობა არ ვართ ისეთები, როგორადაც საკუთარი თავი წარმოგვიდგენია და, ამიტომაც, სხვას ვთხოვთ ყველაფერს. არადა, ჩვენ ათჯერ უკეთესები უნდა ვიყოთ. რადგან მოძღვარი გავხდით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღარ გვჭირდება შრომა, ცოდნის მიღება, მუშაობა. იოანე ოქროპირი ამბობს: ბევრი ხდება სასულიერო პირი იმიტომ კი არა, რომ მას ღმერთი გამოარჩევს, არამედ, ბევრი ხდება მოძღვარი ადამიანური პატივმოყვარეობის გამო. და თუ ასე ხდებოდა მეოთხე საუკუნეში, დღეს, სამწუხაროდ, ასიდან ოთხმოცია ასეთი და, რა თქმა უნდა, მე საკუთარ თავსაც ვგულისხმობ. ამიტომაც, ვერ ვიტყვი, რომ დღეს სასულიერო დასში ყველაფერი კარგადაა და საგანგაშო არაფერია. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და ძალიან ბევრი პრობლემაა; თუნდაც, ხილული მაგალითი რომ ავიღოთ: თუ ადრე ეკლესიაში ასი კაცი დადიოდა, ახლა ოთხმოცი დადის. ქრისტიანები ჩვენში ველარ პოულობენ მაგალითს, აღარ ვართ მაგალითები, თუმცა, მე ყველა სასულიერო პირს არ ვგულისხმობ. უბრალოდ, ობიექტურობა მოითხოვს ჩვენგან, ვთქვათ, რომ ბევრი ჩვენგანი ვერ იტვირთავს იმ ღირსებასა და პასუხისმგებლობას, რასაც სასულიერო პირობა ჰქვია. როცა ადამიანი ეკლესიაში მოდის, ჩვენ, ჩვენი ქცევით, ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე, ვაბრკოლებთ მას: მოდის ნუგეშისთვის და ვერ იღებს; დახმარება უნდა და, პირიქით, ჩვენ აქეთ ვითხოვთ დახმარებას; მას სულიერი საზრდო სჭირდება და ჩვენ მას ვერ ვაძლევთ, რადგან, თავად არ ვართ სულიერები. ბევრს, შეიძლება, ანაფორა არ ეცვას, წვერი არ ჰქონდეს ჩვენსავით დაყენებული, მაგრამ, ჩვენზე სულიერი იყოს. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ბევრი იმისთვის მოდის ეკლესიაში, რომ ცუდი დაინახოს და გაიქცეს, რომ მერე თავი გაიმართლოს. მაგრამ, აქ ერთი „მაგრამ" რჩება: ეს სიტუაცია ხომ ისევ ჩვენ შევქმენით? თუ სხვა ადამიანებს ვთხოვთ, რომ იყვნენ გულისხმიერები, ჯერ ჩვენ უნდა ვიყოთ გულისხმიერები და, არა მხოლოდ იმათ მიმართ, რომლებსაც ფული აქვთ და ვიცით, მერე კარგ შესაწირს გაგვიკეთებენ, როგორც დღეს 100-იდან 90 მოძღვარი იქცევა, მათ შორის – კარგი მოძღვრებიც. ამ დროს, ვიღაც ბოგანო, გაჭირვებული რომ მოვა, იმას, შეიძლება, ზედაც არ შევხედოთ ან რიგში ჩავაყენოთ; ამას ხედავენ სხვა ქრისტიანები და ბრკოლდებიან; მეორე: როცა სხვას სთხოვ, მოსიყვარულე იყოს, ამ დროს ისიც იმავეს მოითხოვს შენგან. არ შეიძლება, ადამიანს უქადაგო, რომ არ იყოს ვერცხლისმოყვარე, თავად კი ოქროსმოყვარე იყო. არადა, დღეს, მღვდელსაც და ეპისკოპოსსაც, აუცილებლად უნდა ჰყავდეს კარგი ავტომობილი. კარგი, ჰყავდეს ის ერთი კარგი ავტომობილი, მაგრამ, როცა ორი-სამი ან ათი ძვირად ღირებული ავტომობილი ჰყავს, ან, ერთი ისეთი, რომ იმის ფასში რვა-ცხრა ავტომობილს იყიდი, მაშინ, მორალური უფლება არ აქვს, ვინმეს ელაპარაკოს იმაზე, რომ მან გაჭირვება უნდა დაითმინოს და გაუძლოს სიდუხჭირეს – ეს არასწორია.

**– სამწუხაროდ, დღეს სასულიერო პირები ბევრ პრობლემაზე არ იღებენ ხმას, სამაგიეროდ, სხვა დანარჩენ საკითხებზე აკეთებენ კომენტარს, რაც ხშირად სასაცილოც ხდება და ადამიანებს მათთან ურთიერთობის სურვილს უკარგავს.**

– წმიდა მამები ამბობენ: მღვდლის ცხოვრება ისე არ განიხილება სამსჯავროს წინაშე, როგორც ის, თუ რას ქადაგებს. ხშირად სასულიერო პირები პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებენ, პირდაპირ მოუწოდებენ მრევლს, ვის მისცენ არჩევნებში ხმა და ამით ისინი ხშირად ერის გახლეჩასაც ემსახურებიან; გარდა ამისა, მათ თავისუფალ არჩევანს ვუზღუდავთ, რისი უფლებაც არ გვაქვს. როცა მოძღვარმა არ იცის სახარება, ის იგონებს თავის კანონებს და ამას ქრისტეს სახელით ასაღებს, ეს კი არის დიდი ლტოლვა ძალაუფლებისკენ, რაც ეკლესიაშიც უკვე გაჩნდა, ამის მიზეზი კი უსიყვარულობაა. თუკი აღარ გვაქვს ჭეშმარიტი სიყვარული ღმერთის შემეცნებისა და, აქედან გამომდინარე, ადამიანების მსახურებისა, უკვე გადავდივართ ფუნდამენტალისტურ აზროვნებაში, რომელიც უკვე წილნაყარია ფანატიზმთან, სიკვდილითან, შურის, არეულობის დათესვასთან, ადამიანებისადმი და ეკლესიისადმი გაუცხოებასთან. ამიტომ, დროა, ყველამ დავიკავოთ წმიდა ილია მართლის პოზიცია: ჩვენი ნაკლი ჩვენვე უნდა განვაქიქოთ, გავამზეუროთ, რომ მერე ვუშველოთ. არ უნდა გვქონდეს ისეთი დამოკიდებულება, რომ თუ რამეს არასწორად გავაკეთებთ, ღმერთი დაგვსჯის, ღვთისმშობელი მადლს წაიღებს ჩვენგან. რატომღაც, გვავიწყდება, რომ ამ მადლს ჩვენ ვქმნით, ადამიანები, ანუ, ჩვენ ვიღებთ მას და, მივიღებთ თუ არა, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

**ნათია უტიაშვილი**

## წმიდა ნიკოლოზის აღსრულებული სასწაული და მისი სასწაულმოქმედი ხატები

წმიდანთა ცხოვრება და, საერთოდ, მთელი საეკლესიო ცხოვრება, დაფუძნებულია რწმენასა და სიყვარულზე. წმიდა ნიკოლოზი მართლაც საოცრად დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში. მას ყველა სასოებით უხმობს გასაჭირის ჟამს და ისიც მსწრაფლ შეეწევა მათ, მაგრამ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შეწევნა ჩვენი რწმენისაებრ გვეძლევა. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ერთმა უშვილო ცოლ-ქმარმა ლოცვით გამოითხოვა შვილი უფლისგან. ოჯახის მამამ გადაწყვიტა, ოქროს ჭურჭელი შეეწირა ტაძრისთვის და ხელოსანს მისი დამზადება სთხოვა. ნამუშევარი რომ იხილა, ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა, მეორე ჭურჭელიც შეეწირა ეკლესიისთვის. სმირნასა (ოსმალეთში, დღევანდელი ქალაქი იზმირი) და ლუკიაში ის ამ ორი ჭურჭლით წავიდა – სურდა, მოელოცა ტაძარი და თაყვანი ეცა წმიდა ნიკოლოზის უხრწნელი ნაწილებისთვის. მან შვილს, რომელიც ჯერ კიდევ პატარა იყო, დაავალა, წყალი ოქროს ჭურჭლით მოეტანა. ბავშვმა თავი ვერ შეიკავა, ჭურჭელთან ერთად გადავარდა ზღვაში და დაიხრჩო. დამწუხრებულმა კაცმა ხომალდზე გამოიტირა თავისი ძე, მაგრამ, დიდი იყო მისი რწმენა და სიყვარული უფლისადმი. ის არ მობრუნდა შინ და გზა განაგრძო, რათა ერთი ჭურჭელი მაინც შეეწირა ტაძრისთვის და თაყვანი ეცა წმიდა ნიკოლოზის საფლავისთვის. როდესაც ის წმიდა ნიკოლოზის ხატთან მივიდა, რაღაც ძალამ ორჯერ მოისროლა იქიდან. ამ დროს კარი გაიღო და ტაძარში მისი ვაჟი შემოვიდა იმ ჭურჭლით ხელში, რომლითაც მან ბავშვი წყლის მოსატანად გაუშვა.

რაც შეეხება წმიდა ნიკოლოზის ხატებს, მათი სასწაულმოქმედების შესახებ ერთი ამბავი მინდა მოგითხროთ: ბერძენს ბარბაროსი ჰყავდა ტყვედ და დაჰპირდა, რომ, თუ გამოსასყიდს მიუტანდა, გაათავისუფლებდა მას, მაგრამ გამოსასყიდად არავინ მოვიდა და არც თავდებად დაუდგა ვინმე. მაშინ ქრისტიანმა ის წმიდა ნიკოლოზის ხატთან მიიყვანა და უთხრა: „წმიდა ნიკოლოზი იქნება თავდები იმისა, რომ შენ გამოსასყიდს მომიტან"... – და გაათავისუფლა ბარბაროსი. ის გახარებული წავიდა სახლში, თან ეცინებოდა ქრისტიანის გულუბრყვილობაზე. გამოსასყიდის მიტანის დრო რომ გავიდა, მან სიზმრად წმიდა ნიკოლოზი იხილა, რომელმაც უთხრა: „წადი და გადაიხადე შენი გამოსასყიდი". გამოღვიძებულმა ბარბაროსმა არაფრად ჩააგდო წმიდა მამის სიტყვები. შემდეგ მას გზაში შეხვდა ერთი ბერიკაცი, რომელმაც გააფრთხილა, რომ ქრისტიანისთვის გამოსასყიდი მიეტანა. არც ამ შემთხვევას მიაქცია ყურადღება. მოგვიანებით ის ჯირითში იღებდა მონაწილეობას და ცხენზე ამხედრებული ისეთი სიმძლავრით დაენარცხა მიწას, რომ რამდენიმე დღე უგონოდ იწვა. გამოფხიზლებულმა გააცნობიერა, რომ გამოსასყიდი უნდა გადაეხადა. მივიდა წმიდა ნიკოლოზის ხატთან, თაყვანი სცა მას და შენდობა სთხოვა, შემდეგ კი საჭირო თანხაზე ორჯერ მეტი გადაუხადა ქრისტიანს; თავადაც მოინათლა და მადლობას სწირავდა უფალსა და წმიდა ნიკოლოზს სასწაულისთვის, იმ გზის ჩვენებისთვის, რომელსაც კაცი ცხონებისკენ მიჰყავს.

*ამოკრებილია ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურ იოანე კვანჭიანის ქადაგებიდან*

# მოძღვარი გვირჩევს

***კითხვა***: **ბოლო დროს ძალიან შემოვიდა მოდაში ბევრი ნათლია და ზოგს ექვსი ნათლიაც კი ჰყავს. ეკლესიურად განსაზღვრულია თუ არა ნათლიების რაოდენობა?**

**პასუხი**: ნათლიების რაოდენობა განსაზღვრული არ არის, შეგიძლიათ, ბავშვი მონათვლინოთ როგორც ერთ, ასევე რამდენიმე ადამიანს, თუმცა აქაც, ისევე, როგორც ყველაფერში, ზომიერება დაიცავით და გაითვალისწინეთ ისიც, რომ ნათლიას უდიდესი მოვალეობა ეკისრება ნათლულის მიმართ. მან უნდა იზრუნოს თავისი ნათლულის სულიერებაზე და ეს ერთ ადამიანსაც შეუძლია.

***კითხვა***: **როგორ უნდა მივიღოთ საქებარი სიტყვები, რომლებსაც ჩვენი მისამართით ამბობენ, რომ ხიბლში არ ჩავვარდეთ?**



**პასუხი**: ამის შესახებ წმიდა ფილარეტ მოსკოველი გვმოძღვრავს: როდესაც თქვენს ქებას გაიგონებთ, გაიხსენეთ საკუთარი ნაკლოვანებები.

***კითხვა***: **რატომ მოეთხოვება მორწმუნეს ცოდვილთა სიყვარული?**

**პასუხი**: ქრისტიან ადამიანს უნდა უყვარდეს ცოდვილნი მათი მძიმე ცოდვების მიუხედავად, რადგან ცოდვილებიც ჩვენს მოყვასებად რჩებიან. მათ შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი და მხოლოდ უფალმა უწყის, ვინ აღმოჩნდება ზეციური სასუფევლის ღირსი. ქრისტიანს უნდა უყვარდეს ცოდვილი ადამიანები, მაგრამ უნდა სძულდეს მათი ცოდვები.

***კითხვა***: **ყოველთვის უნდა ვთქვათ თუ არა სიმართლე?**

**პასუხი**: ვინც იცის სიმართლე და დაფარავს მას, ცრუმოწმეს ემსგავსება. მაგრამ ადამიანი უნდა სდუმდეს მაშინ, თუკი იცის, რომ მის ნათქვამ სიმართლეს უბედურება მოჰყვება.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ღვთისმოყვარე ჰონორატი

### წმიდა გრიგოლ დიოლოღოსის მონათხრობი

სამნიის ოლქში (იტალია) ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ჰყავდა შვილი, სახელად ჰონორატი. ყრმობიდანვე თავშეკავებული ცხოვრებისადმი სიყვარულმა ბავშვი ზეციური სამშობლოსადმი მისწრაფებით აღაგზნო. იგი ამაო საუბრებს განრიდებული სხეულს თავშეკავებით წვრთნიდა.

ერთხელ მისმა მშობლებმა ნადიმი გამართეს. სხვადასხვა ნუგბარს შორის, ხორციც იყო მომზადებული, მაგრამ ჰონორატმა ხორცის მიღება არ ისურვა. მშობლებმა ის გაამასხარავეს: „ჭამე. ნუთუ ფიქრობ, რომ წავალთ და შენთვის ამ მთებში თევზს დავიჭერთ?" ეს იმიტომ თქვეს, რომ იმ მხარეში, თევზი საერთოდ არ მოიპოვებოდა. ამტყდარ სიცილ-ხარხარში მსახური წყლის მოსატანად გაგზავნეს... ჭურჭელში კი, რომლითაც მან წყალი მოიტანა, თევზი აღმოჩნდა. სახლში დაბრუნებულმა მსახურმა ყველა სტუმრის თვალწინ გადმოაქცია წყალი, რომელშიც თევზი დაცურავდა, თანაც, ისეთი ზომის, რომ ჰონორატს საჭმლად მთელი დღე ეყოფოდა. ყველა გაოგნდა. ჰონორატის მშობლებიც იძულებული გახდნენ, ხუმრობა შეეწყვიტათ. მოზარდის თავშეკავება, რომელიც მანამდე დასაცინი იყო, პატივსაცემი გახდა და სასწაულებრივად გაჩენილმა თევზმა ღვთის ყრმა დაცინვისგან იხსნა.

უფრო და უფრო ვრცელდებოდა ხმა ჰონორატის ღვთისსათნო ცხოვრებაზე. მას მოგვიანებით უფლება მისცეს ერთ-ერთ ადგილზე, რომელსაც ფუნდს უწოდებდნენ, მონასტერი დაეარსებინა, სადაც იგი თითქმის 200-მდე განდეგილის ხელმძღვანელი გახდა.

ერთხელ მონასტრის თავზე დაკიდებული მთიდან უზარმაზარი კლდე მოწყდა. კლდე მთის ფერდობზე დაეშვა. მონასტერს დანგრევა, ძმებს კი განადგურება ელოდათ. ეს რომ წმიდა მამა ჰონორატმა დაინახა, მაშინვე მაცხოვარს მოუხმო და მომწყდარ კლდეს ჯვარი გამოსახა. კლდე კი, რომელიც მონასტერს უახლოვდებოდა, მყისვე ციცაბოზე გაჩერდა.

დღემდე შეუძლია ნახოს იქ მისულმა მნახველმა კლდის ეს უზარმაზარი ლოდი, რომელიც ისეა დაკიდებული, თითქოს, ეს-ესაა, უნდა ჩამოვარდესო.

## წარმართთაგან მოკვდინებული ორმოცი გლეხი

ერთხელ წარმართებმა ორმოცი გლეხი ჩაიგდეს ტყვედ და მათ ნაკერპავი საჭმლის მიღება აიძულეს. როცა გლეხები მტკიცედ აღუდგნენ წინ ბოროტს და არ მოისურვეს, ბილწ საკვებს შეხებოდნენ, წარმართები მათ სიკვდილით დაემუქრნენ.

ტყვეებმა მარადიული ცხოვრება ამჯობინეს მიწიერსა და დროებითს, ბოლომდე უფლის ერთგულნი დარჩნენ და ამგვარი სიმტკიცისთვის წარმართთაგან სიკვდილით დაისაჯნენ. ამ ადამიანებმა, აკრძალული საკვების მიღებით, შემოქმედის შეურაცხყოფას სიკვდილი არჩიეს და ჭეშმარიტებისთვის ნამდვილი მოწამენი შეიქნენ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# 2014 წლის ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები მსოფლიო ფეხბურთში

*ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში არაერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. რა თქმა უნდა, ყველაზე აქტიურები სატრანსფერო ბაზარზე კვლავ ორი ესპანური გრანდი – „ბარსელონა" და „რეალი" და, ასევე, ინგლისის პრემიერლიგის ტოპ-კლუბები იყვნენ.*

*გთავაზობთ 2014 წლის ზაფხულის ათ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერს.*

### ლუის სუარესი

ურუგვაელი სუპერვარსკვლავი „ბარსელონამ" „ლივერპულიდან" დაახლოებით 70 მილიონ ევროდ გადაიბირა. ოფიციალურად ტრანსფერის შესახებ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. სუარესმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა კატალონიურ გრანდთან და, მისი თქმით, უდიდესი ოცნება აუსრულდა, რადგან, ის ბავშვობიდან ოცნებობდა ესპანეთში თამაშსა და ცხოვრებაზე.

### ხამეს როდრიგესი

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და აღმოჩენა, 23 წლის კოლუმბიელი ვუნდერკინდი, „რეალმა" ფრანგული „მონაკოდან" დაახლოებით 80 მილიონ ევროდ შეიძინა. ხამესმა ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა მადრიდულ კლუბთან და ხელფასის სახით წელიწადში 7 მილიონამდე ევროს მიიღებს.

### ტონი კროოსი

გერმანელი მსოფლიო ჩემპიონის, ტონი კროოსის ტრანსფერი „რეალს" 25-30 მილიონამდე ევრო დაუჯდა. „ბაიერნის" ექსფეხბურთელმა ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასის სახით წელიწადში 12 მილიონამდე დოლარი ექნება. კროოსის ტრანსფერი ერთ-ერთ ყველაზე მოულოდნელ ტრანსფერად დასახელდა, რადგან, „ბაიერნისთვის" ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.



### ალექსის სანჩესი

ჩილელი ფორვარდის ტრანსფერი „არსენალს" 44 მილიონი ევრო დაუჯდა. „ბარსელონის" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი იდეალურად მოერგო არსენ ვენგერის სათამაშო სტილს და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, რამაც ის უკვე აქცია ლონდონელი ქომაგებისთვის საყვარელ ფეხბურთელად.

### სესკ ფაბრეგასი

„ბარსელონის" კიდევ ერთი ფეხბურთელი გახდა ლონდონური კლუბის, თუმცა ამჯერად „ჩელსის" წევრი. სესკ ფაბრეგასმა არჩევანი „არისტოკრატების" სასარგებლოდ გააკეთა და აბრამოვიჩის გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის მისვლით, ჟოზე მაურინიოს გაწვრთნილი „ჩელსი" საგრძნობლად გაძლიერდა.



### დიეგო კოსტა

ბრაზილიური წარმოშობის ესპანელი ბომბარდირი დიეგო კოსტა ასევე რომან აბრამოვიჩის გუნდის წევრი გახდა. ლონდონელებმა კოსტას სანაცვლოდ მადრიდის „ატლეტიკოს" 38 მილიონი ევრო გადაუხადეს. კოსტა მალევე იქცა „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნების გმირად, რადგან, პრემიერლიგაში ჯერჯერობით გოლის გარეშე არ დაუტოვებია მოედანი.

### ანხელ დი მარია

„მანჩესტერ იუნაიტედის" ამ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერებიდან ეს ერთ-ერთი გამორჩეულია – არგენტინელ გარემარბ ანხელ დი მარიაში „რეალმა" 59,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო, რაც პრემიერლიგისთვის სარეკორდო თანხაა.

### დავიდ ლუიზი

ბრაზილიელი დავიდ ლუიზი ამ მომენტისთვის მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული მცველია, რომელშიც „პარი სენ-ჟერმენმა" ლონდონის „ჩელსის," სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით 45-50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. დავიდ ლუიზი ჟოზე მაურინიოს გეგმებში არ შედიოდა და ის საკმაოდ სარფიანად გაყიდეს.

### მარიო ბალოტელი

სკანდალურად ცნობილი მარიო ბალოტელი ინგლისის პრემიერლიგაში დაბრუნდა, ამჯერად – „ლივერპულში", სადაც მას ლუის სუარესის შეცვლა მოუწევს. „მილანში" გატარებული არცთუ წარმატებული სეზონის შემდეგ, ის შეეცდება, დაამტკიცოს, რომ კვლავ ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად.

### რადამელ ფალკაო

ეს 2014 წლის ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი და, ამავე დროს, საინტერესო ტრანსფერია. „მონაკოს" კოლუმბიელ გოლეადორს ფეხბურთის ქომაგები „რეალში" ან „იუვენტუსში" ელოდნენ, თუმცა, ფალკაო „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, სადაც, უეინ რუნისთან და რობინ ვან პერსისთან ერთად, მძლავრ თავდასხმის ხაზს შექმნის.

## აზია კატაკლიზმის წინაშე

მყინვარებმა ტიბეტში, რომლებიც წყლით უზრუნველყოფენ კონტინენტური აზიის მილიონობით მცხოვრებთ, უკანასკნელი 2 000 წლის განმავლობაში მაქსიმალურ ტემპერატურას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში აქ ტემპერატურის ზრდის ტემპი ორჯერ აღემატება მსოფლიოს შესაბამისი მონაცემის საშუალო დონეს. ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ტიბეტის პლატოს კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, სწორედ ამის გამო, მყინვარებმა „უკან დაიხიეს" და 15 პროცენტით შემცირდნენ, რის გამოც დაკარგეს დაახლოებით 8 000 კვადრატული კილომეტრის ტოლი ფართობი. შესაბამისად, იკლო აზიის ძირითადი მდინარეების წყლით მომარაგებამ, რომლებიც სათავეს ტიბეტის პლატოზე იღებენ, მათ შორისაა: ხუანხე და იანძი, ინდოეთის ბრაჰმაპუტრა, აგრეთვე, სალუინი და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის უდიდესი მდინარე – მეკონგი, ეს კი კონტინენტის გაუდაბნოებას გამოიწვევს. ჩინელი მეცნიერების მოხსენებაში მოყვანილია მტკიცებულებები, რომ კლიმატური ცვლილებები და ანთროპოგენული ქმედებები თავდაპირველად, დიდი ალბათობით, გამოიწვევს წყალდიდობებსა და მეწყერებს ამ რეგიონში. თუმცა, აღნიშნავენ, რომ დათბობამ სასიკეთოდ იმოქმედა ადგილობრივ ეკოსისტემაზე.

მკვლევრებმა მოუწოდეს მთავრობას, გამოიმუშაონ ზომები ადამიანის დამანგრეველი ქმედების შესამცირებლად რეგიონის ბუნებაზე, თუმცა, პეკინი უარს არ ამბობს გიგანტურ გეგმებზე – ტიბეტის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ასათვისებლად. მას არც ინდოეთი ჩამორჩება და ბრაჰმაპუტრაზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდაზე 100-მდე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განცხადება განიხილება.

## პიკე და შაკირა მეორე შვილს ელოდებიან

კოლუმბიელმა სუპერვარსკვლავმა შაკირამ დაადასტურა ცნობა, რომ ის და „ბარსელონის" ტიტულოვანი მცველი ჟერარდ პიკე მეორე შვილს ელოდებიან. „დიახ, ჩვენ მეორე შვილს ველით. დიდი მადლობა კეთილი სურვილებისთვის," – დაწერა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე შაკირამ. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 22 იანვარს ვარსკვლავურ წყვილს პირველი შვილი, ვაჟი, სახელად მილანი გაუჩნდა.

## „ბარსელონის" ვარსკვლავები და ალესანდრა ამბროზიო

შაკირას პარალელურად, „ინსტაგრამის" საკუთარ გვერდზე ცნობილმა მოდელმა ალესანდრა ამბროზიომაც განათავსა ცნობა, რომელიც ჟერარდ პიკეს უკავშირდება. არ იფიქროთ, რომ ისიც ფეხმძიმედაა პიკესგან, მოდელმა, უბრალოდ, ფოტო განათავსა, რომელზეც ის გადაღებულია „ბარსელონის" ფეხბურთელებთან, კერძოდ, ნეიმართან, ივან რაკიტიჩთან, ანდრეს ინიესტასთან, ლუის სუარესთან და უკვე ნახსენებ პიკესთან ერთად. ფეხბურთელები და მოდელი ჯინსის ქურთუკებში არიან გამოწყობილები და, სავარაუდოდ, ფოტო სარეკლამო ხასიათს ატარებს.

## უეინ რუნი – ინგლისის ახალი კაპიტანი



მას შემდეგ, რაც სტივენ ჯერარდმა საერთაშორისო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, ინგლისის ნაკრების კაპიტნის თანამდებობა ვაკანტური იყო. სულ რამდენიმე დღის წინ, ინგლისელთა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა დაადასტურა, რომ ინგლისის ნაკრებს „მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერი, უეინ რუნი უკაპიტნებს, რომელიც სამკლავურს „ლივერპულის" ლეგენდისგან, სტივენ ჯერარდისგან გადაიბარებს. შეგახსენებთ, რომ, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ჯერარდმა და ნაკრების აწ უკვე ყოფილმა ვიცე-კაპიტანმა ფრენკ ლამპარდმა საერთაშორისო კარიერა დაასრულეს.

## „ბაიერნი" ლუდს არეკლამირებს

გერმანული ფეხბურთის ფლაგმანმა, მიუნჰენის „ბაიერნმა" ლუდსახარშ „პაულანერის" სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. კლუბის ფეხბურთელებმა და სამწვრთნელო შტაბმა სახალისო ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. მათთან ერთად ფოტოსესიაში მონაწილეობდა, ასევე, „ბაიერნის" სახელოვანი ახალწვეულიც, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ესპანელი ჩაბი ალონსოც. ნაციონალურ ბავარიულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ფეხბურთელებმა ლუდით ხელში იპოზიორეს და გაერთნენ.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ყველაზე სექსუალური პოლიტიკოსი ქალების ტოპ-შვიდეული

***ჩეხურმა გამომცემლობამ Jenpromuze-მ შეადგინა პლანეტის ყველაზე მიმზიდველი და სექსუალური პოლიტიკოსი ქალების რეიტინგი.***



პირველ ადგილზე **ბარბარა სტიმანი** დასახელდა. ეს მშვენიერი ქერა ქალი სულაც არ არის ჰოლივუდელი მსახიობი. ბარბარა პოლიტიკოსია, რომელიც ბელგიის ერთ-ერთი ოლქიდან 40 ათასმა ადამიანმა აირჩია. 2005 წელს მან „მის ბელგიის“ ტიტული მოიპოვა.



მეორე ადგილი **ემა კიერნანმა** დაიკავა. პოლიტიკურად ძალზე მშვიდი ირლანდიის 6,2 მილიონი მცხოვრებისთვის „ფეისბუქზე“ განთავსებული მისი ერთადერთი ფოტო ნამდვილი ფურორი აღმოჩნდა. სწორედ ამ სკანდალმა მისცა ბიძგი არჩევნებში მის გამარჯვებას.

მესამე ადგილზე გასული **ვერა ლიშკა** ავსტრიის განათლების, სპორტისა და გარემოს დაცვის კომიტეტების წევრია და ქალთა საკითხებზეც მუშაობს.



მეოთხე ადგილზეა **ანა-მარია გალოიანი** – ესტონური გასართობი პორტალის ყოფილი რედაქტორი და პოლიტოლოგი. როდესაც ის საზოგადოებრივი თანხის მითვისებაში დაადანაშაულეს, მან სპეციალურად გადაიღო შიშველი ფოტოები „ფლეიბოისთვის“.

მეხუთე ადგილზე ჩეხი **იანა პარიჟკოვაა**. ის პარლამენტში მუშაობს. თავიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებით იყო დაკავებული, ახლა კი სოციალურ საკითხებს კურირებს.

მეექვსე ადგილი ტანმოვარჯიშე **ალინა კაბაევამ** დაიკავა, რომელიც 2007 წელს გამოეთხოვა სპორტს და პოლიტიკაში მოსინჯა ძალები – ის რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატია.

მეშვიდე ადგილი იტალიელ მინისტრს, **მარია კართაგენას** უკავია. ყოფილ მოდელსა და ტელეწამყვანს იურიდიული განათლება აქვს მიღებული და ახლა იტალიის პარლამენტში მთავრობას წარმოადგენს.

# უცნობი რობინ უილიამსი

მსოფლიო კინომოყვარულებს ძალიან დასწყვიტა გული ყველასთვის საყვარელი მსახიობის, რობინ უილიამსის გარდაცვალებამ. ნიჭიერი მსახიობი ოდნავ მოჭუტული, კეთილი, ცისფერი თვალებით დიდ სითბოს გამოსცემდა და, ალბათ, კიდევ არაერთხელ მიანიჭებდა სიამოვნებას ახალი როლებით, თუნდაც, პატარებს, ისევე, როგორც მის მიერ განსახიერებული მისის დაუდფაიერი, რობოტი და მრავალი სხვა... თუმცა, არავინ იცის, რა ხდებოდა მის გულში, როდესაც სიცოცხლეს ეთხოვებოდა.

ბავშვობაში რობინ უილიამსი ძალიან მსუქანი იყო. სწორედ მაშინ დაიწყო პატარა რობინმა სხვადასხვა ხმით ლაპარაკი, რომ ოდნავ მაინც დაეფარა თავისი მარტოსულობა.

სანამ მსახიობი გახდებოდა, ის ქუჩის მიმი იყო.

1974 წელს, როდესაც როლზე სინჯავდნენ, „მორკი და მინდის“ რეჟისორმა ჰარი მარშალმა სთხოვა, სკამზე დამჯდარიყო. რობინი მაშინვე თავით დაერჭო სკამზე და... მარშალმა ყოველგვარი სასინჯი გადაღების გარეშე აიყვანა, თან, განაცხადა კიდეც, რომ უილიამსი იყო ერთადერთი უცხოპლანეტელი, რომელსაც ოდესმე შეხვედრია.

„შინდლერის სიის“ გადაღების დროს სტივენ სპილბერგს საშინელი დეპრესია ჰქონდა. რობინ



უილიამსი მას ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე ურეკავდა და ხუმრობებითართობდა. სპილბერგმა, თავის მხრივ, ტელეფონს დინამიკები მიუერთა, რომ რობინის ხუმრობებით გადამღები ჯგუფის მსახიობებიც გაეხალისებინა

ანიმაციურ ფილმ „ალადინში“ ჯინის გახმოვანებისთვის რობინ უილიამსს მხოლოდ 75 000 დოლარი გადაუხადეს 200-მილიონიანი შემოსავლიდან და მადლობის გამოსახატავად პიკასოს ნახატი აჩუქეს.

მსახიობი რობინ უილიამსი 5-ჯერ იყო ერაყში, ავღანეთში კი 6-ჯერ – ჯარისკაცების გასართობად.

რობინს ისე უყვარდა ვიდეოთამაშები, რომ, „ზელდას ლეგენდების“ მიხედვით, თავის ქალიშვილს პრინცესას სახელი – ზელდა დაარქვა.

რობინ უილიამსი ბოლო დროს ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე იყო დამოკიდებული. როდესაც სარეაბილიტაციო ცენტრში მოხვდა, იხუმრა: საავადმყოფო სპეციალურად ავირჩიე მელვინეობის ოლქში – სათადარიგო ვარიანტი აქვეაო...

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# მხოლოდ ფაქტები

* საჰარის უდაბნოში შეხვდებით ქალაქს, სადაც სახლებს ქვამარილის კედლები აქვთ. ეს ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ადგილია დედამიწის ზურგზე.

* უინსტონ ჩერჩილის წინაპარი დედის მხრიდან წითელკანიანი ინდიელი იყო.

* საბჭოთა კავშირის დროს საბჭოთა და ავტონომიური რესპუბლიკები ასტეროიდებს თავის სახელებს არქმევდნენ, მაგალითად: ასტეროიდ „780-ს“ სომხეთი ჰქვია, „1284-ს“ – კარელია, „1541-ს“ – ესტონეთი, 1351-ს...

* ქალაქ ლუისში აკრძალულია სხეულზე მოტმასნილი შარვლით ქუჩაში გამოსვლა.

* საფრანგეთში ჯარიმდება ყველა, ვინც პოლიციელს ან პოლიციის მანქანას გადაუღებს სურათს.

* საშუალო ასაკის ამერიკელი თავისი სიცოცხლის 6 თვეს გზაჯვარედინზე, მწვანე შუქის მოლოდინში ატარებს.

* 1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ, გაყინული ატომური ელექტროსადგურების მშენებლობები აღადგინა.

* ცნობილი მეცნიერი დიმიტრი მენდელეევი მრავალმხრივი ადამიანი იყო: ის ამზადებდა ჩემოდნებს, დაფრინავდა საჰაერო ბურთით, შეეძლო განესაზღვრა არყის სიმაგრე... აღსანიშნავია, რომ მისი ქალიშვილი პოეტ ალექსანდრ ბლოკის მეუღლე იყო.

* ესკიმოსებს თოვლის 20 დასახელება აქვთ.

* დედამიწის მოსახლეობის 60 პროცენტი ზღვიდან 20 წუთის სავალზე ცხოვრობს.

* ყველაზე მეტი კროსვორდი ადრიან ბელმა შეადგინა – მან 1930 წლიდან 1980 წლამდე გაზეთ „თაიმსს“ 4 520 კროსვორდი გაუგზავნა.

* ვიქტორიის პროვინციაში ბრაიტონ ბიჩის პლაჟზე ბანაობა დაშვებულია საცურაო კოსტიუმში, რომელიც სხეულს ყელიდან მუხლამდე ფარავს.

* ავსტრალიის ვიქტორიაში ნათურების შეცვლის უფლება მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე ელექტრიკოსს აქვს.

* დღეისთვის დედამიწაზე 100 წელს გადაცილებული ასი ათასი ადამიანი ცხოვრობს.

* ტუჩის საცხის ბევრი სახეობის შემადგენლობაში ერთ-ერთი კომპონენტი თევზის ქერცლია.



## ოხრახუშს სამკურნალო თვისებები აქვს

100 გრამი ახალმოკრეფილი ოხრახუში შეიცავს C ვიტამინისა და კაროტინის ორი დღის ნორმას. ეს მწვანილი, აგრეთვე, მდიდარია სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მინერალური ნივთიერებებითაც, კერძოდ, რკინით, კალიუმითა და კალციუმით.

ოხრახუშისგან მომზადებული პრეპარატები ამაღლებს შინაგანი ორგანოების, კერძოდ კი, საშვილოსნოს, შარდის ბუშტის, ნაწლავებისა და კუჭის ტონუსს, შლის ქვებს და გამოდევნის ქვიშას სადინარების საშუალებით. ასევე, აქვს ნაღველმდენი და სპაზმოლიზური ეფექტი. გულის დაავადებების, პროსტატიტის, დისპეფსიის, კოლიტების დროს ოხრახუში ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ოხრახუშის ნაყენს, მისი დამზადების რამდენიმე ხერხი არსებობს: 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით 1 საათის განმავლობაში თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე.

* აიღეთ 1 სადილის კოვზი ოხრახუშის გამომშრალი ფესვები, დააქუცმაცეთ, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში დაახლოებით 3 საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ.

* ახალგამოწურული ოხრახუშის წვენი შეგიძლიათ მიიღოთ, როგორც ნაღველმდენი საშუალება, თითო სადილის კოვზი, დღეში ორჯერ.

* ოხრახუშის დაღეჭვა პირში ცუდ სუნს აქრობს, ასევე, მინიმუმამდე ამცირებს ბაქტერიებს.

ხალხურ მედიცინაში, ოხრახუში უძველესი დროიდან გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად და თირკმელების დაავადებათა სამკურნალოდ. ის, ასევე, აღადგენს ძალებს, ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას და ამაგრებს ღრძილებს.

## ორგანიზმში რკინის უკმარისობა საშიშ დაავადებებს იწვევს

ორგანიზმისთვის რკინა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ლითონია. ის შედის ბევრი ფერმენტის შემადგენლობაში, რომელთა წყალობითაც ნორმალურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. ამ მიკროელემენტების დაახლოებით 60 პროცენტი არის ჰემოგლობინში, დანარჩენს კი, ადამიანის ორგანიზმი ინახავს ღვიძლში, ელენთასა და სხვა ორგანოებში.

რკინის უკმარისობის დროს, ადამიანის ორგანიზმში საგრძნობლად ქვეითდება ჰემოგლობინის დონე. ამას რკინადეფიციტური ანემია, ანუ სისხლნაკლებობა ჰქვია. ამ დროს მკვეთრად ირღვევა ორგანიზმის ფუნქციები. განსაკუთრებით საშიშია რკინის ნაკლებობა ორსულ ქალებსა და ბავშვებში. თუ კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკრთალე, მომატებული გადაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, სისუსტე, აპათია, ყურადღების მოდუნება, ხშირი გაღიზიანება, მსხვრევადი ფრჩხილები, პრობლემური კანი, სუსტი თმა, პირის კუთხეებში ნახეთქები, თავბრუხვევა, ყურებში შუილი, მარილიანი, მწარე, ცხარე კერძების სიყვარული აგეკვიატათ, ესე იგი, უნდა ივარაუდოთ, რომ ორგანიზმში რკინა გაკლიათ.

ორგანიზმი რკინას საკვებთან ერთად იღებს, მასზე მოთხოვნა კი დამოკიდებულია ასაკსა და სქესზე. საკვებით ორგანიზმს ყოველდღე მიეწოდება 15 მილიგრამამდე რკინა. ყველაზე კარგად რკინის ათვისება ხდება უცხიმო, წითელი ხორციდან, საქონლის ღვიძლიდან, ქათმის კვერცხიდან, წიწიბურადან, ლეღვიდან, მსხლიდან, ვაშლიდან, ასკილიდან და სოკოდან.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები აღგენიშნებათ, სასწრაფოდ ჩაიტარეთ სისხლის ანალიზი და დაადგინეთ ზუსტი დიაგნოზი, რათა რკინის ნაკლებობამ სერიოზული პრობლემები არ შეგიქმნათ მომავალში.

## რატომ არის ჯანმრთელობისთვის საშიში სუნთქვის გახშირება და ქოშინი

სუნთქვის გახშირება და ქოშინი მაშინ ვითარდება, როცა ორგანიზმი ცდილობს, სისხლში სასიცოცხლოდ აუცილებელი ჟანგბადის რაოდენობა შეინარჩუნოს.

ქოშინის მიზეზი შესაძლოა, იყოს ჭარბი წონა, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების დაავადებები. ქოშინი იშემიური დაავადებების, კერძოდ, სტენოკარდიის ან ინფარქტის თანმდევია და სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ან ფილტვების შეშუპების მანიშნებელია. თუ ქოშინი ადამიანს უეცრად დაეწყება, ეს ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს და დროულად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა. უცბად აღმოცენებული ქოშინი, შესაძლოა, ფილტვის არტერიის დახშობის ან მისი ქსოვილის დაზიანების შედეგიც იყოს.

ღამით განვითარებული ქოშინი გულის რიტმის დარღვევის, ჰაერის მწვავე უკმარისობის, კარდიალური ან ქრონიკული ასთმის შეტევას უკავშირდება. ასევე, ქოშინი მძაფრ და უეცარ ემოციასაც სდევს თან. თუმცა, ემოციის ჩაცხრომასთან ერთად, გახშირებული სუნთქვა და ქოშინიც ქრება.

აგრეთვე, შესაძლოა, ქოშინი ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ან შაქრიანი დიაბეტის დროსაც განვითარდეს და უკონტროლოდ მიღებულმა მედიკამენტებმაც გამოიწვიოს.

გადაღლით გამოწვეული ქოშინი კი იმდენად საშიში არ არის, როგორც სუნთქვის უეცარი გახშირება.

## თუ კეფაში სიმძიმეს გრძნობთ, დალიეთ ერთი ჭიქა მაწონი და მიირთვით ვაშლი

თავის ტვინი ადამიანის ერთადერთი ორგანოა, რომელშიც ტკივილის რეცეპტორები არ არის, თუმცა, რამდენიმე მტკივნეული წერტილი მასზე მაინც არსებობს.

ტკივილის მიმართ უკიდურესად მგრძნობიარეა ტვინის გარსი და სისხლძარღვები, რადგან მათში ბევრი ნერვული დაბოლოებაა. გაითვალისწინეთ, რომ ტკივილგამაყუჩებელი წამლები მხოლოდ ტკივილის აღქმას ახშობს და ტკივილის აღმოცენების მთავარ მიზეზს, კერძოდ, სისხლძარღვების სპაზმს ან შიდა ქალის წნევის მომატებას არ აღმოფხვრის.

თუ კეფაში სიმძიმეს გრძნობთ, ქვემოთ მოცემული რჩევები გაითვალისწინეთ.

საფეთქლები და ცხვირის ფუძე ენერგიულად დაიზილეთ, რომ თავის სისხლძარღვები რეფლექტორულად გაფართოვდეს.

დალიეთ ერთი ჭიქა მაწონი. მიირთვით ვაშლი ან დალიეთ ჩაი. ეს ტვინის გარსიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას ეხმარება და ტკივილს აყუჩებს.

## არის თუ არა მასტოპათია კეთილთვისებიანი დაავადება

მასტოპათია სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებაა, რომელიც ვლინდება ჯირკვლის ქსოვილის პათოლოგიურ ზრდაში. დაავადების მიზეზია ქალის ორგანიზმში ჰორმონული დისბალანსი. მასტოპათია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალის გუნება-განწყობაზე, რიგ შემთხვევაში გადაგვარდება სარძევე ჯირკვლის კიბოდ. დაავადება იწყება შემაერთებელი ქსოვილების ზრდით, ამასთან, წარმოიქმნება პატარა კვანძები. მასტოპათიის ამ ფორმას დიფუზიური ეწოდება. მისი ძირითადი გამოვლინებაა ტკივილები მკერდის არეში, რომელიც აღინიშნება კრიტიკული დღეების დაწყებამდე და წყდება ციკლის დაწყებისთანავე. ასევე, პერიოდულად აღინიშნება პატარა, მრგვალი კვანძები, ანუ გამაგრებები მკერდის ზედა ნაწილში.

ხშირად ქალები ყურადღებას არ აქცე-

ვენ აღნიშნულ სიმპტომებს და ექიმს ძალიან გვიან მიმართავენ. რითაც თავს საფრთხეში იგდებენ. ეს დაავადება ადრეულ პერიოდში ძალიან ადვილად ემორჩილება მკურნალობას, დაავადების განვითარების გვიან პერიოდში კი სარძევე ჯირკვლებში წარმოიქმნება გაცილებით დიდი ზომის კვანძები. მასტოპათიის ამ ფორმას კვანძური ეწოდება. ამ პერიოდში ტკივილები მკერდის არეში უფრო ინტენსიურია, რომელიც გადაეცემა მხრისა და იღლიის არეს. მკერდზე ოდნავი მიკარებაც კი ტკივილს იწვევს. ძუძუს თავებიდან შეიძლება აღინიშნებოდეს გამჭვირვალე ან სისხლიანი გამონადენი. მასტოპათიის კვანძური ფორმის დროს, კრიტიკული დღეების დაწყებისას, ტკივილი არ ქრება. ამ პერიოდში სასწრაფოდ უნდა იმოქმედოთ.

მასტოპათია ვიბროკისტოზური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს სარძევე ჯირკვლის ქსოვილის ცვლილებებით. ქსოვილის უჯრედები ან ძალიან სწრაფად მრავლდება, ან ეს ცვლილებები რეგრესირებადია. ეს არის ეპითელური და შემაერთებელი ქსოვილების არანორმალური თანაფარდობის შედეგი.

მასტოპათია ქალებს 25-55 წლის ასაკში უვითარდებათ. იშვიათად, ეს დაავადება მამაკაცებსაც აწუხებთ. მამაკაცებში მასტოპათიას გინეკომასტია ეწოდება. დაავადების მიზეზი ძირითადად ნერვული სისტემის მოშლილობაა, კერძოდ – სტრესი, დეპრესია, ნევროზი.

მასტოპათიის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გენეტიკური, ასევე, ცხოვრების წესი და გარემო ფაქტორები. დიდი მნიშვნელობა აქვს შთამომავლობით ფაქტორს, ანუ, რამდენად იყო განვითარებული დედის მხრიდან ნათესაობაში კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნეები. ასევე, მნიშვნელოვანია საშვილოსნოს ანთება, რომლის დროსაც ირღვევა სასქესო ჰორმონების გამომუშავების პროცესი, რაც, შესაძლოა, მასტოპათიის მიზეზი გახდეს. ბევრ ქალს, რომელსაც ეს დაავადება აწუხებს, აღენიშნება ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები. ამ უკანასკნელის ჰიპოფუნქცია მასტოპათიის განვითარების რისკს ერთიორად ზრდის.

არცთუ იშვიათად, დაავადების განვითარების მიზეზი ხდება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინარების დაავადებები. ერთ-ერთი მათგანია სიმსუქნე, განსაკუთრებით კი – დიაბეტთან ერთად. ამ დროს რისკის ფაქტორი საგრძნობლად იზრდება. კიდევ ერთი რისკის ფაქტორია იოდის დეფიციტი ორგანიზმში.

ამ დაავადების დიდი რისკი აქვთ ქალებს, რომლებიც ხშირად განიცდიან სტრესს, აქვთ ნევროზი, დეპრესიული მდგომარეობა. ასე რომ, მასტოპათიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ხანგრძლივი ფსიქოლოგიური სტრესი. ასევე, უნდა აღვნიშნოთ არარეგულარული სქესობრივი ცხოვრებაც, ალკოჰოლი, თამბაქო, გენმოდიფიცირებული საკვები და მომატებული რადიაციული ფონი – როგორც არაპირდაპირი რისკის ფაქტორები.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: რა დაავადებას იწვევს „ებოლის ვირუსი"?**

**პასუხი**: ებოლის ვირუსი ჰემორაგიულ ცხელებას იწვევს. ძლიერ გადამდებია, ახასიათებს მძიმე მიმდინარეობა და პრაქტიკულად 100-პროცენტიანი სიკვდილიანობა. დაავადებული ადამიანი გარშემო მყოფებისთვის ძალზე საშიშია – ვირუსი გამოიყოფა ცხვირიდან, ლორწოთი, ასევე – შარდით და სისხლით (უკანასკნელი მიზეზის გამო ის განსაკუთრებით საშიშია მედიცინის მუშაკებისათვის). დაავადების საინკუბაციო პერიოდი 2-დან 16 დღემდე მერყეობს.

დაავადება იწყება მწვავედ, ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე მომატებით, ხშირად – შემცივნებითაც. პირველივე დღეებიდან ვითარდება ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნები: თავის ტკივილი, სისუსტე, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, მოთენთილობის შეგრძნება. რამდენიმე დღის შემდეგ ყოველივე ამას ერთვის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება, იწყება ფაღარათი, სხვადასხვა ინტენსივობის სისხლდენა სხვადასხვა ადგილიდან. თანდათან ვითარდება გაუწყლოება, შეიძლება ადამიანს გონებაც დაებინდოს. დაავადებულთა ნახევარს აღენიშნება გამონაყარი, რომელიც მოიცავს სახეს, ხელისგულებსა და ფეხისგულებს. იშვიათად აღინიშნება ქავილიც. მძიმე შემთხვევებში სიკვდილი მეოთხედან ოცდამეშვიდე დღემდე დგება (ყველაზე ხშირად – მე-10 დღეს). დაავადების დიაგნოსტიკა ძნელია. მკურნალობა ტარდება სპეციალურ ბოქსებში სიფრთხილის წესების მკაცრი დაცვით.

**კითხვა: რა მივიღოთ, როცა ლეიკოციტები ნორმაზე დაბალია და ჰემოგლობინიც აგრეთვე დაბალი? სასურველია, ხალხური რეცეპტები.**

**პასუხი**: ჰემოგლობინის დაქვეითება ხალხური მეთოდებით აწევას არ ექვემდებარება – საჭიროა, უპირველესად, ანემიის ტიპის დადგენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩვა შესაბამისი მედიკამენტი. რაც შეეხება ლეიკოციტების დაქვეითებას – აქაც შესაფასებელია მისი დაქვეითების ხარისხი. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს იმუნური სისრტემის დასუსტებით.

**კითხვა: მარჯვენა და მარცხენა მკერდს შორის შესამჩნევი სხვაობა (ზომის და ფორმის) რის გამო შეიძლება, იყოს გამოწვეული და რა მეთოდით მოხერხდება უბრალოდ და მარტივად იყოს ორივე ერთმანეთთან მიახლოებული (საჭიროებს თუ არა ოპერაციას და რა სახის).**

**პასუხი**: თუ ასეთი ცვლილება ბოლო პერიოდში განვითარდა, აუცილებელია მამოლოგთან ვიზიტი. სხვა შემთხვევაში, ასიმეტრიის დროს საქმეს შველის განსაკუთრებული თეთრეული, რომელიც ამ ასიმეტრიის დაფარვის საშუალებას იძლევა ან პლასტიკური ქირურგია.

**კითხვა: ვარ 5 თვის ორსული, ფეხებზე მიჩნდება თეთრი ლაქები, თითქოს „მფოთლავს," განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდხანს მიწევს ფეხზე დგომა და ფეხები მიმძიმდება. რა უნდა იყოს?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში, უნდა მიმართოთ ანგიოლოგს. სავარაუდოდ, ეს ქვედა კიდურთა ვენების უკმარისობის სიმპტომი უნდა იყოს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

სერიოზული გართულება შეიძლება მოჰყვეს მკერდის ტრავმას. საშიშია მიკროტრავმები, აბორტები, გადაციება და ასე შემდეგ.



დაავადება, შესაძლოა, განვითარდეს დიეტის დროსაც. ამის მიზეზი, ასევე, შეიძლება იყოს უძილობა, გვიანი პირველი ფეხმძიმობა, ძუძუთი კვების ხანმოკლე პერიოდი...

ამ დაავადების დამცველად ითვლება 20-25 წლის ასაკში მშობიარობა, ძუძუთი კვება, ხშირი მშობიარობა და ასე შემდეგ.

თუ მასტოპათია რთული ფორმით არ მიმდინარეობს და ქალებში არ იწვევს სერიოზულ ჩივილებს, ჯობია, დროულად მიმართოთ ექიმს.

დიფუზიური მასტოპათიის მკურნალობა ემყარება დაავადების წარმომქმნელი ძირითადი მიზეზების, კერძოდ, ჰიპოფიზის ფუნქციის მოშლის; საკვერცხეების, ღვიძლის და ნერვული სისტემის დაავადებების აღმოფხვრას. ჰორმონული თერაპიისთვის იყენებენ ანტიესტროგენებს.

მასტოპათია განიხილება როგორც კიბოს წინამორბედი, ამიტომ, საჭიროა ნატურალური ანტიოქსიდანტების, C და D ვიტამინების, იოდის, ბეტაკაროტინის, ფოსფოლიპიდების, სელენის მიღება; ასევე, სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში. უკუჩვენება აქვს საუნას, სოლარიუმს, ბაზიოპროცედურებს, სტრესებს.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

# რატომ ამოაჭრევინა ჯაბა იოსელიანმა ქირურგს ნაწლავი ციხის საავადმყოფოში და ვის ამოუგდო მან ცალი თვალი

„...ხშირად ამბობენ: ჩვენ, ალბათ, დიდი ცოდვა გვაქვს ღვთის წინაშე, ასე რომ ისჯება ქართველი ხალხი. ამას კიდევ ვარაუდი სჭირდება? 70 წელს ვცხოვრობდით უღმერთოდ – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მერე კი მოვინანიეთ ჩვენი მამა-პაპისა და საკუთარი ცოდვები? შემწყნარებლობის, ერთიანობის, ურთიერთპატივისცემის მაგივრად, ჰუმანური არაფერი შევისისხლხორცეთ. 1990 წლის 19 მარტს „მხედრიონის" მიერ ჩატარებულმა მიტევებისა და ურთიერთშემწყნარებლობის ხალხმრავალმა აქციამ არავითარი გაგრძელება არ ჰპოვა. ეგ კი არა, გია აბესაძის გმირულმა აქტმა – დაპირისპირებისა და შიდამტრობის საპროტესტოდ თავის დაწვამ, უყურადღებოდ ჩაიარა – თითქოს, ქორწილიდან მომავალი მთვრალი ხრამში გადაიჩეხა"...



ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ის არ მოსწონდა და, ალბათ, არც გარდაცვლილის ხსენება ესიამოვნებათ, თუმცა, არიან ადამიანები, რომლებისთვისაც იგი ძალიან საინტერესო პიროვნება იყო, თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე. მართლაც, თუ კაცს ახლოს არ იცნობ, ძნელია მასზე ზოგადი შთაბეჭდილებებით საუბარი. ჯაბა იოსელიანი თავად გაგაცნობთ ახლოდან საკუთარ თავს, მაგრამ, არა „მხედრიონისა" და პოლიტიკური გადმოსახედიდან. მაშ ასე, მწერლისა და დრამატურგის, ჯაბა იოსელიანის მოგონებებში გაცოცხლებული ყველაზე ცხელი, ციხის ცხოვრების შიდა კადრები:



„... მახსენდება ჩელიაბინსკის ციხე. 1950 წელი. კამერაში შემოდიან რიგით ჩხრეკაზე და მართმევენ ჩემი მომავალი მეუღლის ფოტოსურათს. ეს უკანონობაა – პატიმარს უფლება აქვს, ჰქონდეს ახლობლების სურათი. ყველა კამერაში ჰკიდია ხის ჩარჩოში ჩასმული „პრავილა" – თვით შინაგან საქმეთა მინისტრის, ბერიას მიერ დამტკიცებული წესები... პროტესტს ვაცხადებ. კარს მიჯახუნებენ და მაგინებენ. ვიწყებ ბრახუნს. ცოტა ხნის შემდეგ გავყავარ რეჟიმის უფროსს ოთახში. „რატომ ხულიგნობ?" „მე ვითხოვ იმას, რაც წესით მერგება." „რაც გერგება, ყველაფერი დიდ ქვაბში დევს." „პრავილა" აქაც კიდია, აი, – ვეუბნები, – ეს ხომ კანონია... კიდევ არ იღებს თავს, რაღაცას წერს და დოქტორალურად მეუბნება: „კანონი კანონია, მაგრამ, ჩვენ კიდევ ინსტრუქციები გვაქვს." მერე, თუ ის ინსტრუქციები მე მეხება, რატომ არ ჩაწერეთ ამ წესებში. მე ხომ უნდა ვიცოდე, რა შეიძლება და რა – არა? წამაკითხეთ!"

იქვე მდგარ კორპუსის უფროსს აწვდის ქაღალდს – „წაუკითხე!" კორპუსის უფროსი კითხულობს: „კამერაში ხულიგნური გამოხდომისთვის და ზედამხედველებთან უცენზურო შეპასუხებისთვის 10 დღით გადაიყვანეთ კარცერის რეჟიმზე". ეგრევე მესვეიან სამი ზედამხედველი და კორპუსის უფროსი და მიმაჩაქჩაქებენ სარდაფში, სადაც კარცერებია განლაგებული. ვაცხადებ სასიკვდილო შიმშილობას. ვითხოვ ზედამხედველ პროკურორს. 9 დღე მშიერი და მწყურვალი, სიცივეში, ცემენტის იატაკზე ვაგდივარ, კაციშვილი არ მაკითხავს, მხოლოდ დილ-დილაობით, პურის დარიგების დროს აღებენ კარში დატანებულ „კარმუშკას" და მეკითხებიან: „პურს აიღებ?" „არა!" – ვპასუხობ.

ახალგაზრდა ვარ, ილუზიები საბჭოთა ჰუმანურ საზოგადოებაზე ჯერ კიდევ მთლად არ გამქრალა... ერთი დღელა მაკლია და კარცერიდან საერთო კამერაში გადამიყვანენ. ფეხზე ველარ ვდგები, თავბრუ მეხვევა. ვანგარიშობ, რამდენი სისხლი აქვს დალეული ამ მაიორს – რეჟიმის უფროსს. მე ხომ, სულ ცოტა, 4-5 კილო დავიკელი. აქედან სუფთა სისხლი რამდენი იქნება? – დავუშვათ, ორასი გრამი... ახლა, დღეში რამდენი კაცია ჩემისთანა – დიდი ციხეა, უზარმაზარი, სულ ცოტა ათი კაცი. ესე იგი, ათ დღეში ორი ლიტრი. თვეში 6 ლიტრი ადამიანის სისხლი გააშრო ანუ დალია ამ ვამპირმა. მეცხრე დღეს მოდის ექიმი: „თუ შიმშილობას გააგრძელებ, ხელოვნურ კვებაზე უნდა გადაგიყვანო, თუ არა და, ახალავე წახვალ კამერაში." იქვე მდგარი „კეთილი" ზედამხედველი მირჩევს: „რად გინდა, თავს რომ იწამებ? მაინც ვერაფერს მიაღწევ. ადი ახლა კამერაში და მორჩი"... სუსტია მაინც ადამიანი. უცებ წარმოვიდგინე კამერა, ბევრი ხალხი, თუთუნი, პური, სითბო, ცხელი კერძი... არადა, მართლაც, ვის რას დაუმტკიცებ. ათი დღე ხვალ ისედაც გადის. ასე სამარცხვინოდ ვთანხმდები. გუნებაში ერთი სანუგეშო, თავის გასამართლებელი მოწოდება მიტრიალებს: „ჯაბა, არ დაივიწყო, არ დაივიწყო!.." აკი დავივიწყე და, აჰა, „კაგებეს" ხელახლა ვაშენებ!.. ვაკეთებ იმას, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება ერთპიროვნულად ვიბრძოდი. ადამიანი ყველა შემთხვევაში თავს იმართლებს საკუთარი თავის წინაშეც კი. არა უშავს, ეს „კაგებე" დემოკრატიულ პრინციპებზე იმუშავებს...

...1958 წლის 240 დღე კარცერში გავატარეთ, ესე იგი, თითქმის შვიდი თვე ულოგინო ცემენტის იატაკსა და 300 გრამ შავ პურზე ვიყავით; 80 დღე ვიშიმშილეთ, სიკვდილის კარიბჭესთან რამდენჯერმე გადაგვიჭირეს „დასამშვიდებელი პერანგი," რამდენიმე ათეული საათი კი გალურჯებამდე მოჭერილ ხელბორკილებში გვამყოფეს და, ეს



ყველაფერი – ერთ წელიწადში. მე, 183 სანტიმეტრი სიმაღლის კაცი, 54 კილოგრამს ვიწონიდი, როცა ჩემი ნორმალური წონა 90 კილოგრამი იყო. ბოლოს და ბოლოს, ორი წლის შემდეგ მოგვეშვნენ როგორც ელემენტებს, რომლებსაც არ სურთ, დაადგნენ გამოსწორების გზას, თუმცა, ეს კიდევ ერთ სასამართლო პროცესად და დამატებითი სასჯელის მიღებად დამიჯდა. ჩემი 25 წლის პატიმრობის ვადის ათვლა ხელახლა დაიწყო, ვინაიდან, ჩემს ერთ-ერთ მტანჯველს, კორპუსის უფროსს, შეპირებული შევუსრულე – ცალი თვალი ამოვუგდე. ყველაფერმა ამან, რაღა თქმა უნდა, ფიზიკურის გარდა, ფსიქიკური დანახარჯებიც მოიტანა – დამჩემდა ქრონიკული უძილობა... არ ვიცი, ღირს კი სიცოცხლის გაგრძელება? მერვე წელია, ვზივარ და კიდევ 25 წინ მაქვს. კითხვითაც ველარაფერს ვკითხულობ. რაც ჩემ ირგვლივ ხდება, აღარ მაინტერესებს... ცხონებული დედაჩემი თბილისში ჩამოსულ ხრუშჩოვს დადარაჯებია და წყნეთის გზაზე, თურმე, მანქანას გადაუდგა. ხრუშჩოვს შეუმჩნევია და უკითხავს: „რა უნდა მაგ მოხუცებულს?" დედაჩემს არზა ჰქონია ხელში, რომლითაც ციხიდან ციხეში ჩემს გადაყვანას თხოულობდა. სწორედ იმ დღეს შევარდნაძესაც ქაღალდი ეჭირა ხელში, სადაც მისასალმებელი სიტყვა ეწერა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით: „ნაშ დოროგოი ნიკიტა სერგეევიჩ"... არ ვიცი, მოეწონა თუ არა საქართველოს კომკავშირის „ცეკას" მდივნის სიტყვა, მაგრამ, ჩემს შემთხვევაში, ხრუშჩოვმა „დიდსულოვნება" გამოიჩინა და თხოვნას დაადო დამაკმაყოფილებელი რეზოლუცია; ხოლო, მაგარი ის იყო, რომ, ადგილობრივი „ჩეკა" წელიწად-ნახევარი აჯანჯლებდა თვით ხრუშჩოვის განკარგულების შესრულებას, ვიდრე საქმეში არ ჩაერთნენ სერგო ზაქარიაძე, ბესო ჟღენტი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ბოლოს, როგორც იქნა, ნოვოჩერკასკის დაკეტილი ციხიდან თბილისის დაკეტილ ციხეში გადმომიყვანეს. საქართველოში ჩემი ყოფნა მალე კვლავ პრობლემა გახდა, რადგან, ციხის რეჟიმის დამთავრების შემდეგ, ჩემი მოსათავსებელი ადგილი არ აღმოჩნდა ჩემი ტიტულის – „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის" გამო. საქართველოში ასეთი „კლიენტი" პირველი ვიყავი და, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. როგორც იქნა, გადაწყვიტეს, გავეშვი რუსთავის ტუბერკულოზური საავადმყოფოს ტუბზონაში, რომელიც სულ მალე ქსანში გადავიდა. ტუბზონაში მაშინ სასჯელს იხდიდა, ასე ვთქვათ, ქურდული ელიტა... ბანაკში არეულ-დარეული სიტუაცია დამხვდა, ქურდები ერთმანეთის მტრობდნენ და ეს სხვა პატიმრებზეც მოქმედებდა; ნებისმიერი გა-



# ვინ ეძებს მამას ესტონეთიდან თბილისში და რატომ დაკარგა ერთმანეთი მამა-შვილმა

*32 წლის კრისტელი ეძებს 58 წლის ნიკო გაბუნიას.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს – 58 წლის ნიკო (ან ნიკოლოზ) გაბუნიას. ჩემი მშობლები ერთმანეთს ჩემი დაბადების შემდეგ მალევე დაშორდნენ და მამაჩემი თავის სამშობლოში, საქართველოში დაბრუნდა. მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, რადგან, ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ის ბოლოს ვნახე. მთელი ჩემი ცხოვრება მამის პოვნასა და მის გაცნობაზე ვოცნებობ. გთხოვთ, დამეხმარეთ მის მოძებნაში. თავად მე ესტონეთში ვცხოვრობ და დამოუკიდებლად მამას ვერ ვპოულობ. მაქვს მისი ერთადერთი სურათი, რომელზეც მე და მამა ვართ. იმედია, ის გამომეხმაურება და თქვენი დახმარებით ჩვენ ვიპოვით ერთმანეთს.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია პირველად ჩემი ესტონელი მეგობრის, ესტონური „ჟდი მენიას“ რედაქტორისგან, ირის სალურისგან შევიტყვე. ესტონური სამძებრო სამსახური აქტიურად ეძებს ნიკო გაბუნიას, რომელსაც ესტონეთში ჰყავს შვილი, სახელად – კრისტელი. მათ მე მთხოვეს დახმარება. იმედი მაქვს, ნიკო (ნიკოლოზ) გაბუნია საქართველოში იმყოფება და ის ჩვენ დაგვიკავშირდება. ჩემს ესტონელ კოლეგებს ძალიან უნდათ, რომ, ნიკოს პოვნის შემთხვევაში, მამა-შვილი ერთმანეთს შეახვედრონ.

**– კრისტელ, გვიამბე შენი ისტორია – როგორ ან რა მიზეზით დაკარგეთ ერთმანეთი მამა-შვილმა?**

– ჩემმა დედ-მამამ ერთმანეთი ესტონეთში გაიცნო. როგორც დედისგან ვიცი, მამაჩემი მაშინ ესტონეთში ჯარში მსახურობდა და სწორედ ამ პერიოდში გაიცნო დედა. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და, შედეგად, 1982 წლის იანვარში, მე დავიბადე. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ მამა ისევ საქართველოში დაბრუნდა და მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს. ჩემს დედ-მამას რამდენიმე ხანს ჰქონდა მიმოწერა, მაგრამ შემდგომ წერილებიც შეწყდა და ჩვენ არაფერი ვიცით მის შესახებ. იმ მისამართზე, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, წერილები აღარ მიდის, უფრო სწორად, უკან გვიბრუნდება პასუხით, რომ მოცემულ მისამართზე ეს ადამიანი აღარ ცხოვრობს.



**– კიდევ რა იცით მამის შესახებ?**

– სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ, დაზუსტებით შემიძლია გითხრათ მისი დაბადების თარიღი – ის დაბადებულია 1956 წლის 2 მაისს. ასევე, ვიცი, რომ, იმ პერიოდში, როდესაც ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, მამა თბილისში ცხოვრობდა. სხვა ინფორმაცია მის შესახებ მე არ გამაჩნია და, იმედია, რომ, ის, რაც ვიცი, რამეში მაინც გამოგადგებათ. მამას დიდი ხანია ვეძებ. დამოუკიდებლად მხოლოდ იმის გაგება შევძელი, რომ თითქოს ის ცხოვრობს საქართველოში, ახუთში (მაგრამ, არ ვიცი, რამდენად სწორია ეს დასახელება. არც ის ვიცი, ქალაქია ეს თუ სოფელი).

**– ესე იგი, შენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია შემოწმებული არ გაქვს. ის თუ იცი, აქვს თუ არა მამაშენს ოჯახი და ჰყავს თუ არა შვილები?**

– მამის შესახებ მეტი არაფერი ვიცი და, დიდი იმედი მაქვს, რომ მის პოვნაში თქვენ დამეხმარებით. სავარაუდოდ, მამას აქვს თავისი ოჯახი და შვილებიც ეყოლება, ანუ, მე მყავს ნახევარდაძმები და ძალიან მინდა მათი გაცნობაც. მამას პოვნის შემთხვევაში, თუკი მათ ენდომებათ ჩემთან დაკავშირება, ამას არაფერი აჯობებს.

**– მამას რა ხერხებით ეძებდით?**

– რა ხერხს არ მივმართე, მაგრამ, უშედეგოდ. არც იმ ინფორმაციის სისწორეში ვარ დარწმუნებული, რომელიც თითქოსდა გავარკვიე, ანუ, არსებობს თუ არა საქართველოში ასეთი სოფელი ან ქალაქი, სახელწოდებით – ახუთი? რამდენიმე ხნის წინ მე დავუკავშირდი ესტონურ სამძებრო სამსახურს, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთის პოვნაში ეხმარებიან და მათგან გავიგე, რომ თქვენ არაერთ ადამიანს დახმარებიხართ ახლობლისა თუ ნათესავის პოვნაში და მეც იმედი მომეცა.

**– მამის პოვნის შემთხვევაში, აპირებ თუ არა მასთან შეხვედრას და სად ისურვებდი ამის გაკეთებას?**

– მამის პოვნის შემთხვევაში, მისი ნახვის დიდი სურვილი მექნებოდა და, თუკი მასაც იგივე ენდომება, ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეცდებით, ვნახოთ ერთმანეთი. ჩემთვის სულერთია, ჩვენი შეხვედრა სად და როგორ მოხდება, მთავარია, მოხდეს. რა თქმა უნდა, მამაჩემის სამშობლო ძალიან მაინტერესებს – მე არასდროს ვყოფილვარ საქართველოში, მაგრამ, ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა. ჩემს ძარღვებშიც ხომ ქართული სისხლი ჩქეფს და, ალბათ, ესეც თამაშობს გარკვეულ როლს საქართველოს სიყვარულში.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

დაწყვეტილება მატერიალური გამორჩენით იზომებოდა, საერთო ფულის შემოსავალ-გასავლის კონტროლს კი ვერავინ ბედავდა. ზონაში ღია ბატონობის განუკითხავი ცხოვრება მიმდინარეობდა. ვისაც შეეძლო, სხვა ზონაზე გარბოდა. ვინც ვერ შეეგუა სამართლიან, წესიერ ცხოვრებას, ზოგს ყურები მოეხა, ზოგს სხვა ლაგერში მოუხდა გადაბარგება... ფული რომ გაუჩნდათ, დაიწყეს ზონაში სასმლის შემოტანა, დროდადრო ჩუმად ქალებიც მოჰყავდათ, ზოგმა ნარკოტიკების გაყიდვა-მოხმარებას მიჰყო ხელი... ეს ყველაფერი, რასაკვირველია ფარულად ხდებოდა...

...ერთ საღამოს აურზაური ატეხეს – გინდა თუ არა, მეზობელ კამერაში გაგვიშვითო. რაც კი ხელთ მოხვდათ, უბრახუნეს და უბრახუნეს კარს, შემდეგ „კარმუშკა" გაანგრიეს. მოვიდნენ უფროსები, მაგრამ, ვერაფრით ვერ დააწყნარეს. მე არ ვერევი. ეგენი, მგონი, ჩემს ჯინაზე უფრო იქცევიან ასე. უფროსობა წავიდა და რაღაც საეჭვო სიჩუმე ჩამოვარდა. ერთი საათის შემდეგ დერეფანში ატყდა ჩექმების ბრახუნი, სინათლე გამოირთო, შემოცვივდნენ დივიზიონის ჯარისკაცები და დაიწყო უმოწყალო ცემა-ტყეპა. დამესივნენ აქეთ-იქიდან. ვხედავ, ამათ ვერ გავუმკლავდები, ამიტომ, ერთ-ერთი ამოვირჩიე და ყრონტში ვტაცე ხელი – გამიშვით, თორემ, დავახრჩობ-მეთქი, – ვყვირი. უკნიდან რაღაც ჩამარტყეს თავში, ყვითელი ბრჭყვიალები აციმციმდნენ და გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, მთლად სველი ვეგდე კარცერში. ეტყობა, წყალი მასხეს და აქ ჩამომათრიეს. თავი გახეთქილი მაქვს. მივაბრახუნე. კარცერის კამერებში, ყველგან, ჩვენი ნაცემი ხალხია. ესეც არ გვაკმარეს, საქმე აღძრეს და ბუნტის მოთავედ მე გამოვყავარ. კიდევ კარგი, ბიჭებმა ინამუსეს და ჩემზე ცუდი ჩვენება არ მისცეს... გათავისუფლებამდე ათი დღე დარჩა. უკვე გეგმებს ვადგენ, სად წავალ, პირველად ვისთან მივალ, ვინ უნდა ვნახო, სად გავჩერდე და...



უცებ, ძილის წინ, მოდის მთავარი ზემდეგი და მეუბნება: ჩააბარე, რაც ჩასაბარებელი გაქვს, გაემზადე, ხვალ დილიდან სასამართლოზე მიდიხარო. რის სასამართლოზე-მეთქი, – დამცეცხლა თავში. მოწმედ მიჰყავხარ, აქ იქნებ აღარც კი დაგაბრუნონო... იციან, რომ, როგორც მოწმე, ჩვენებას არ მივცემ და ორ წელს მომისჯიან. რა ვქნა? არ წახვალ და, ძალით წაგიყვანენ. სასწრაფოდ ავადმყოფობა უნდა მოვიგონო, მაგრამ, რა?! მომიხარშეს თამბაქო, ვსვამ, მწვანედ მაღებინებს, სიცხეს მაძლევს – 38 გრადუსი მაქვს. ვიწყებ ოხვრასა და ყვირილს, აპენდიციტის შეტევას ვიგონებ – ვუთხარი, მესამე შეტევაა-მეთქი. „როცა თადარიგს დაგიჭერენ, მაშინ არ მისცე რეაქცია, როცა აგიშვებენ, მაშინ იყვირე," – მარიგებს ვალოდკა „მალაფეიკა" ჩემი მეგობარი. „ისე, სულ შენი ბრალია, ყველა მაიმუნს თავს უყადრებ. უნდა მოგეხია ყურები მაგ პარჩაკებისთვის და აქამდე არ მივიდოდა საქმე!" – იგინება ჩემი თანამოსაკნეების მისამართით. მოდის ექიმი. მე უფრო ხმამაღლა ვიწყებ ოხვრას. „არავითარი სასამართლო არ ვიცი, პასუხს მე ვაგებ. ახლავე გაამზადეთ ტრანსპორტი, საოპერაციოა. სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეთ"... ღამის ორ საათზე საოპერაციო მაგიდაზე ვწევარ მოკრუნჩხული და ვკვნესი. ვაითუ გადაიფიქრონ; მგონი, მე თვითონაც დავიჯერე, რომ სასტიკად მტკივა. ქირურგი თბილისსა და ბაქოში ნაცხოვრები გერმანელია, ორი ღერი ქართული იცის. ომის დროს გადმოუსახლებიათ და 8 წელი აქ გაატარა. გათავისუფლების შემდეგ წასასვლელი არსად ჰქონდა და დარჩა... ათი დღე მაქვს დარჩენილი და ახლა აქ უნდა მოვკვდე-მეთქი – თავს ვისაწყლებ. როგორც კი დანა დამადო, დავწყნარდი... „ახლა ცოტა გეტკინება, მოითმინე," – მითხრა. კრინტს როგორ დავძრავ. ამოჭრა, მაჩვენებს პაპიროსის ხელა სუფთა ნაწლავს. „ეს რა არის, ბიჭო?" – მეკითხება ქართულად. ყველაფერს გულახდილად ვუყვები. იცინის: „გეთქვა და არ ამოგაჭრიდი, იქნებ კიდევ დაგჭირდეს, რა იცი"... ჰაიჰაი, რომ დამჭირდა და მერე რამდენჯერ, მაგრამ, სადღა იყო..."

**ეკა პატარაია**

# როდის ხდება ადამიანი საკუთარი ბარაქის გამთვალავი და რატომ არ შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ ნაგვის გადაყრა

**ოჯახის, ფუძის ანგელოზზე ისტორიები უძველესი დროიდან მოდის და მათ მფარველობას ბევრი ჩვენგანი გრძნობს. ჩვენს წინაპრებს მის არსებობაში ეჭვი არასდროს შეჰპარვიათ, უფრო მეტიც, იცოდნენ თუ როგორ ესიამოვნებინათ მისთვის, რომ ოჯახიდან არ წასულიყო. ასევე, როგორც ეზოთერიკოსი, ქალბატონი მედეა ამბობს, არსებობს წესები, რომელთა გათვალისწინებითაც ადვილად შეგვიძლია მოვიზიდოთ ფინანსები და მატერიალურად პოზიტიური ცხოვრება დავიბევოთ.**

**მედეა**: სახელწოდება „ფუძის ანგელოზი" ხალხური თქმულებიდან არის აღებული. სინამდვილეში არსებობს მფარველი ანგელოზი, რომელსაც ადამიანს ნათლობის შემდეგ მოუვლენს უფალი, სახლს კი – კურთხევის შემდეგ და იცავს მათ ყველანაირი ბოროტისგან. დღეს, სამწუხაროდ, ბევრი ხშირად სჩადის ცუდ საქციელს და ამით ეშმაკს ემსახურება. ასეთი ადამიანები საკუთარ თავს თვითონ უბიძგებენ ნეგატიურისკენ. არადა, მფარველი ანგელოზი ყოველ ჩვენგანს მფარველობს და, ჩვენც უნდა გავუფრთხილდეთ მას, რომ საცხოვრებლიდან არ გავიდეს.

**– როგორ სახლში არ ჩერდება მფარველი ანგელოზი?**

– მფარველი ანგელოზი არ ჩერდება ისეთ ოჯახებში, სადაც ქრისტიანული წესით არ ცხოვრობენ; არის გამუდმებული აყალმაყალი, ჩხუბი, გინება; ხდება გარყვნილება. გეტყვით იმასაც, რომ მფარველი ანგელოზი სხვა არაფერია, თუ არა დადებითი ენერგიის მატერიალიზებული ნაკრები, რომელიც სახლში წლების განმავლობაში გროვდება. მას, როგორც სულიერ არსებას, ჩვენი მოქმედებით ვქმნით. მაგალითად, როცა ადამიანი ახალ ბინას ყიდულობს და იქ გადადის, სიხარულის განწყობა ეუფლება, ამით კი იქ დადებითი ემოცია შეაქვს. დროთა განმავლობაში ეს ენერგეტიკა იქ მყოფ საგნებს გადაეცემა, ანუ, ენერგეტიკის გაცვლა ხდება და ამ საგნების დანახვისას ან შეხებისას, კარგი განწყობა გეუფლებათ. ასეთი დადებითი მუხტის მქონე საგანი ერთგვარი თილისმის როლს ასრულებს. დადებითი ენერგიის ნაკრები კი იძენს ფორმას და სულიერებას; მას აქვს ძალაც, რომლითაც ადამიანებს ეხმარება. სწორედ ის ხდება ოჯახის დამცველიც. უსულო ენერგეტიკული ნაკრები დროთა განმავლობაში სულიერი არსება ხდება. ანგელოზი კი ყოველთვის კეთილია. თუმცა, ზოგჯერ ისიც ბოროტდება და მისი გაბოროტების მიზეზი ხშირად თვითონ ადამიანია. ასე რომ, გირჩევთ, როცა ახალ ბინაში შედიხართ, უპირველესად, ბოროტი ძალებისგან გაწმინდოთ ის და უარყოფითი ენერგია გაანეიტრალოთ. ახალ ბინაში ენერგიებისგან ახალი ფუძის ანგელოზის შექმნას გარკვეული დრო სჭირდება, მანამდე კი ადამიანი ენერგეტიკულად დაუცველია და მისი ცდუნება და ბოროტისგან „ჩაჭერა" ადვილია.

**– არ გეწყინოთ, მაგრამ, მსგავსი რამეების უმეტესობას არ სჯერა.**

– არ მწყინს და ვიცი, მაგრამ, როცა ვამბობთ, ფუძის ანგელოზი არ არსებობსო, ამით მას დადებით ენერგიას ვაცლით და მის კეთილგანწყობასაც ვკარგავთ. ასეთ დროს აუცილებელია, დროზე მოვიდეთ გონს, სანამ ჩვენი ცხოვრება სატანჯველს არ დაემსგავსება. დამიჯერეთ, ფუძის ანგელოზი მისადმი მიმართულ დადებით ენერგიას გრძნობს და უკანვე გვიბრუნებს. თუ სახლი ნეგატიური ენერგიითაა გაჯერებული, ფუძის ანგელოზი იქ არ გაჩერდება. ის ძალიან მგრძნობიარეა და ვისგანაც კეთილგანწყობას გრძნობს, მას უერთდება და იცავს. ასე რომ, არ შეიძლება, მფარველი ანგელოზის უარყოფა. უმჯობესია, მას მოვეფეროთ, თბილად და ტკბილად მივმართოთ, ამით კი მისი გულიც მოვიგოთ და საკუთარი სიცოცხლეც დავიცვათ.

**– ქალბატონო მედეა, გამიგია, რომ ეზოთერიკაში არსებობს გარკვეული წესები, რომელთა დაცვითაც ადამიანი ფინანსურად მეტად წარმატებული ხდება. შეგიძლიათ, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რეკომენდაცია მისცეთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს?**



– დიდი სიამოვნებით. მე გასწავლით ფულის მაგიის რამდენიმე ხერხს, რომლებიც საკმაოდ მარტივი შესასრულებელია და, ამავდროულად, ნამდვილად მოქმედებს. მაგალითად, მზის ჩასვლის შემდეგ ნურაფერს მისცემთ უცხო ადამიანს საკუთარი სახლის კარიდან; ასევე, ნუ დაიწყებთ სახლის კარიდან იატაკის მოწმენდას; რადგან ეს უბედურებას მოასწავებს; მაგიდაზე არ დადოთ ფული და ნურც დანას დატოვებთ ღამით მაგიდაზე, რადგან ამას მეორე დილითვე უსიამოვნებები მოჰყვება; არასდროს შეიჭრათ თმა თვითონ, რადგან ამან ფინანსური დანაკარგი იცის; სასურველია, მაგიდის სუფრის ქვეშ ყოველთვის იდოს გარკვეული თანხა, რათა მოიზიდოთ ბარაქა. თუ ვალი აიღეთ, ეცადეთ, იმაზე წვრილ კუპიურებად დაუბრუნოთ, ვიდრე ისესხეთ. ასევე, უმჯობესია, ვალი თვის პირველ ნახევარში აიღოთ და თვის მეორე ნახევარში დააბრუნოთ. ფული ყოველთვის გამოართვით მარცხენა ხელით და დააბრუნეთ მარჯვენა ხელით; ნუ გასცემთ ფულს მზის ჩასვლის შემდეგ, თუ ვალის აღება მოგიწიათ, ჯობია, ეს მოასწროთ შუადღემდე. და, ვალის აღებასთან ერთად, გულში თქვით: „წარმატებისთვის და სწრაფი დაბრუნებისთვის, ამინ!" კვირას ფულს ვალში ნუ გასცემთ, რადგან მისი დაბრუნება გაუჭირდებათ, ან, შეიძლება, საერთოდ არ დაგიბრუნონ. ორშაბათს ნურც გაასესხებთ ფულს და ნურც ვალს დაუბრუნებთ, თორემ ბარაქას გამოგაცლით.

**თუ სახლი ნეგატიური ენერგიითაა გაჯერებული, ფუძის ანგელოზი იქ არ გაჩერდება, ის ძალიან მგრძნობიარე არსებაა და, ვისგანაც კეთილგანწყობას გრძნობს, მას უერთდება და იცავს**

თუ მათხოვარს აძლევთ ფულს, არავითარ შემთხვევაში არ უყუროთ თვალებში; თუ გინდათ, რომ არ დარჩეთ უფულოდ და მოიზიდოთ ბარაქა, არ დააწყოთ ქუდი და ხელთათმანები მაგიდაზე და არც ჩამოჯდეთ მაგიდაზე – ამან სიღარიბე იცის.

**– ძველი ხალხი ნაგავს არასდროს ყრიდა მზის ჩასვლის შემდეგ და არც ფულს ითვლიდნენ. ამბობდნენ, ამას უბარაქობა მოჰყვებაო. ესეც სიმართლეა?**

– დიახ, სიამართლეა. ამიტომ, თუ გსურთ, საკუთარი ბარაქა არ გათვალოთ, არასოდეს გაიტანოთ ნაგავი სახლიდან ღამით; ასევე, სამწუხარო რეალობაა დღეს, ფანჯრიდან ნაგვის გადაყრა და გაფრთხილებთ: ნუ გადაყრით ნურაფერს ფანჯრიდან – ეს ბარაქას გამოგაცლით და, ამას რომ თავი დავანებოთ, თქვენს უკულტურობაზე მეტყველებს. აგრეთვე, ნუ დაითვლით ფულს მზის ჩასვლის შემდეგ, დაითვალეთ ფული დილით.

**– ფრჩხილის მოჭრაზეც ხომ ამბობენ, გარკვეულ დღეებში ცუდიაო? ესეც ფინანსებს უკავშირდება?**

– ახლავე მოგახსენებთ ამაზეც. დაიჭერით ფრჩხილები სამშაბათს და ხუთშაბათს, რადგან, ასე ფულს მოიზიდავთ. ბევრი იმასაც მეტყვის, სად ფრჩხილი სად ფულიო, მაგრამ, ასეა და რა ვქნა?! *(იცინის)* ასევე, უმჯობესია, სახლში ერთი ცოცხი იყოს – ესეც მატერიალურ კეთილდრეობაზეა გათვლილი. ხოლო, თუ რამეს ყიდით, კარგია, თუ პირველი მყიდველი მამაკაცი იქნება.

**– ახალ ბინაში შესვლამდე რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ მატერიალური კეთილდღეობა დავიბევოთ საცხოვრებელში?**

– ახალ ბინაში შესვლის დროს, იატაკზე ვერცხლის მონეტები მოაბნიეთ.

თუ სახლში სუფრაა გაშლილი, სტუმრების წასვლის შემდეგ, აუცილებლად ყველა სითხე გადაღვარეთ ბოთლებიდან, სულერთია, ღვინოა ეს, არაყი, ლიმონათი თუ მინერალური, არ დაგენანოთ. ახალ მთვარეს დაანახვეთ ფულის მსხვილი კუპიურა, რომ ეს თანხა ისე გაიზარდოს, როგორც მთვარე. არასდროს არ გადმოწმინდოთ მაგიდა ხელით; ერიდეთ თქვენი თანხების დემონსტრირებას უცხო ხალხთან, რადგან ასე თვალს აიღებთ და ზარალს ნახავთ; ნუ დაუსტვენთ სახლში, თორემ ჯიბეში სიცარიელე გექნებათ.

**– ღამით სახლის დალაგება რატომ არ ვარგა?**

– ვინც ეზოთერიკაში ცოტათი მაინც ერკვევა, იცის, რომ ღამის საათებში სახლის დალაგება არ ვარგა. განსაკუთრებით საშიში და არასასურველია ამ დროს სახლის გამოგვა, რადგან, უბარაქობა იცის.

**ნონა დათეშიძე**

## პირადი, მაგრამ საერთო...

რატომ ეშინიათ ქალებს პირადი სივრცის? – ანუ, იმის, რომ ქმარმაც და თავადაც, ერთად ცხოვრების დროს რაღაც თავისთვის დაიტოვოს. „ერთ სულ და ერთ ხორც ყოფნა" ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს შესწევთ უნარი, იცხოვრონ და იარსებონ პარტნიორით. ხედავდნენ იმას, რასაც ის ხედავს... ესმოდეთ ის, რაც მას ესმის... მოსწონდეთ ის, რაც მოსწონს იმას და ასე შემდეგ. ყველას ვერ ექნება აღმატებული და ზეჰარმონიული ურთიერთობა. ამას არც მხოლოდ სიყვარული ყოფნის. უბრალოდ, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ადამიანები ჭეშმარიტად ერთმანეთისთვის იბადებიან. ისინი ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ცდილობენ, ყველგან და ყოველთვის იყვნენ ერთად. სხვანაირად, უბრალოდ, ვერც წარმოუდგენიათ. თუ ასეთი მოთხოვნილება არ გაქვთ, სულაც არ ნიშნავს, რომ ერთმანეთი არ გიყვართ. ზოგჯერ სიყვარულს ჰაერი სჭირდება, რომ ალი გაძლიერდეს და ახალი ძალით იფეთქოს „ცეცხლმა". ხშირ შემთხვევაში, როცა თუნდაც ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანები დიდ დროს ატარებენ ერთად, ჩნდება საშიშროება მოწყენისა. ურთიერთობას ეს ნამდვილად არ წაადგება. არაფერია იმაში ცუდი, თუ მეუღლეებს საკუთარი ინტერესები ექნებათ და მეგობრების პირადი წრე ეყოლებათ. ოჯახის ჰარმონიულობა ამით არ დაირღვევა. პირიქით, თუ პირადი თავისუფლება სწორად იქნება გაგებული და აღქმული, მხოლოდ წაადგება.

## ისე არა, როგორც ყოველთვის...

გინდათ, ურთიერთობა საყვარელ მეორე ნახევართან იმაზე უკეთესი გქონდეთ, ვიდრე რეალურად გაქვთ? – ძალიან კარგია, რომ ასეთი სურვილი უკვე გაგიჩნდათ, მაგრამ, იცით კი, რა უნდა გააკეთოთ?! არცთუ იშვიათად, ვირყებთ ძალიან სასიკეთო განზრახვით – შევცვალოთ ყველაფერი უკეთესობისკენ, მაგრამ, ან უარესობისკენ მივდივართ, ან ყველაფერი ისევ ისე რჩება. ძალიან დიდი შანსი არსებობს იმისაც, რომ ურთიერთობა მკვეთრად გაგიფუჭდეთ.

ხშირად მამაკაცს საერთოდ არ ესმის, თუკი ადრე ცოლს ისეთი მოსწონდა, როგორიც ის არის, მერე რატომღა გაუჩნდა პრეტენზიები; რატომ საყვედურობს ისეთი ჩვევებისა და საქციელის გამო, რომლებიც ადრე მას, პირიქით, ახალისებდა. თუკი შეყვარებულობის პერიოდში მისაღები იყო ეს ყველაფერი, ახლა რა შეიცვალა?!

ზოგადად, ამის გამო ჩუმად განაწყენება და გაბუტვა არაფრის მომცემია. მამაკაცი არ იფიქრებს და, რომც იფიქროს, მაინც ვერ მიხვდება, რა გეწყინათ და რამ გაგაბრაზათ. რას იზამთ – კაცები ძალიან უყურადღებოები არიან, ან, არ არიან ისეთი ყურადღებიანები, როგორებიც ჩვენ გვინდა, რომ იყვნენ. ერთი სიტყვით, სანამ სერიოზულად გადაწყვეტთ პარტნიორთან ურთიერთობას, მანამდე კარგად დააკვირდით – ხომ არ აქვს ისეთი თვისება, რომელსაც მერე ვერ შეეგუებით. გახსოვდეთ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არ არის მარტივი და მარტო სიყვარული ამას ვერ მოერევა; საჭიროა კეთილგონიერებაც, მოთმინებაც, ტაქტიც და, ზოგჯერ – სულ ცოტა ეშმაკობა...

## გაექეცით კონფლიქტს

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეყვარებული ადამიანები არასდროს ჩხუბობენ, ჩვეულებრივი მითია, თანაც, საკმაოდ საშიში მითი. ნებისმიერ წყვილს შორის ჩნდება უთანხმოება და დაძაბულობა – ეს გარდაუვალია. განა არსებობს ადამიანი, რომელიც არ ღიზიანდება და არ გამოხატავს ემოციას საჯაროდ? ასევე, არსებობს და ყოველთვის იარსებებს ინტერესთა კონფლიქტიც. ეს არ არის პრობლემა, არც კამათია ტრაგედია და, ბოლოს და ბოლოს, არც ჩხუბი. საშიში არის მცდელობა, ყველა საშუალებით გაექცე ამ ყველაფერს. რა თქმა უნდა, მცდელობა თავიდანვე მარცხისთვის არის განწირული, რადგან, რეალობას ჯერ ვერავინ გაჰქცევია. პრობლემას სხვანაირად უნდა მიუდგეთ. დაიხსომეთ, რომ უარყოფითი ემოციები გარეთ უნდა გამოუშვათ, მათი დაგროვება გაცილებით უარესია – უფრო ძლიერდება და ურთიერთობას მომავალში მაინც გააფუჭებს; ნერვულ სისტემას რომ დააზიანებს – ეს კიდევ ცალკე თემაა. გეწყინათ? პირდაპირ უთხარით ამის შესახებ. მუდმივად იგნორირება წყენისა, ერთ დიდ, სერიოზულ სკანდალამდე მიგიყვანთ, ან, მოხდება ის, რომ ერთ დროს საყვარელი მამაკაცი მუდმივად გაგაღიზიანებთ, უმნიშვნელო წვრილმანიც კი გამოგიყვანთ მოთმინებიდან და ყოველდღიური ჩხუბი გარანტირებული გექნებათ.

წყენის გამოხატვა თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ სიტუაცია გამოასწოროთ, მაგრამ, ამ გამოხატვასაც აქვს თავისი დაუწერელი კანონები: ეს უნდა გააკეთოთ მშვიდად, აგრესიული ტონის, შეურაცხმყოფელი სიტყვების გარეშე; წუწუნიც არ გამოგადგებათ. ზოგადად, რთულია, ადამიანი უკვე გამჯდარ ჩვევას გადააჩვიო და ხელი აალებინო თუნდაც ელემენტარულ ახირებაზე, მაგრამ, ნელ-ნელა და მოთმინებით, ასევე კორექტული მეთოდებით, ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

## ენდე, მაგრამ, არა ყოველთვის!

ზედმეტი გულუბრყვილობა არვარგა. თუ ვინმეს მეტისმეტად მიამიტი ჰგონიხართ, ეს ცუდია, ამიტომ, არ მიიღოთ კომპლიმენტად, საწყენი უფროა და ეს უნდა გააცნობიეროთ. დაიწყეთ საკუთარ თავზე მუშაობა: არ დაიჯეროთ ყველაფერი, რასაც გეტყვიან. სხვათა შორის, „ყველაფერში" კომპლიმენტებიც იგულისხმება. მოუსმინეთ, გაუღიმეთ და... არ დაიჯეროთ! რაშია პრობლემა? ხშირად, ერთი შეხედვით საკმაოდ უწყინარი ფრაზა, შეიძლება, ძალიან ნეგატიურად აისახოს თქვენს ფსიქიკაზე, მარტივად რომ ვთქვათ, დაგაკომპლექსოთ. „უი, როგორ არ გიხდება ეს კაბა, მსუქანს გაჩენს". „მოკლე კაბა შენთვის არ არის, საყვარელო", – შეიძლება, არც ერთი არ შეესაბამებოდეს სიმართლეს, არც მეორე. თქვენ კი იდარდებთ და ძალიან დაკომპლექსდებით.

მეორე ვარიანტი: ბოლომდე საკუთარი თავის ნდობაც არ შეიძლება. თუ პარტნიორს ზედმეტად ენდობით, იმედგაცრუება თითქმის გარდაუვალია. არავინ გეუბნებათ, რომ უკან სდიოთ და მისი ყოველი ნაბიჯი ამოწმოთ, მაგრამ, ზოგჯერ აუცილებელია, რაღაც-რაღაცეებში კარგად დარწმუნდეთ. იყავით ყურადღებიანი: დაუკვირდით სიტყვებს; უყურეთ ადამიანს თვალებში და „გაშიფრეთ" მისი გამომეტყველება – რატომ უნდა იყოთ მოტყუებული?! მოსაუბრის მიმიკაც საკმაოდ ბევრის მთქმელია. ადამიანებს, სამწუხაროდ, არ უჭირთ ტყუილის თქმა, მაშინ, როცა ეს სჭირდებათ. არ არის აუცილებელი, ფსიქოლოგი იყო, რომ ეს ტყუილი „აღმოაჩინო." მთავარია, ბრმად არავის ენდო და საკუთარ თავს გულუბრყვილობა რეცეპტივით არ გამოუწერო.

## გაიცანი ადამიანები

თუ მეზობელი ყოველ შეხვედრაზე თავაზიანად გიღიმით და გულითადად გესალმებათ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ გამო წყალში გადავარდება. ამიტომ, ნამდვილად არ ღირს, ფული დაუფიქრებლად ასესხოთ. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ადამიანზე, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც გაიცანით. გამოსაცდელი ვადა ყველას და ყველაფერს სჭირდება, ურთიერთობასაც და, მით უფრო, ადამიანებს – ჩვენ ხომ ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ, ჩვენი ნაკლოვანებებითა და შეცდომებით. „გამოსაცდელ ვადაში" ცუდი არაფერია. ნდობას დამსახურება სჭირდება, დამსახურებას კი – საკმაო დრო, თუმცა, შეიძლება, დროით მოპოვებული ნდობა ერთ წუთში ნამსხვრევებად იქცეს. თუ მამაკაცი გიმტკიცებთ, რომ შეყვარებულია თქვენზე, როგორ ლამაზ და გულში ჩამწვდომ სიტყვებსაც არ უნდა გეუბნებოდეთ, ადვილად ნუ დაუჯერებთ. მიაქციეთ ყურადღება იმას, რამდენად ხშირად ინტერესდება თქვენი პრობლემებით, გულწრფელია თუ არა ის ამ დროს, როგორი თანაგრძნობა და თანადგომა შეუძლია... ზოგს საერთოდ არ ეხერხება ლამაზი სიტყვების თქმა, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ძლიერი სიყვარულის უნარი არ აქვს ან ერთგულება არ შეუძლია.

აუცილებლად დააკვირდით იმასაც, ახარებს თუ არა მას თქვენი წარმატებები; შემოგყურებთ თუ არა აღტაცებული მზერით საუბრისას; გისმენთ თუ არა ყურადღებით, როცა რაღაც პრობლემაზე ან წუხილზე ესაუბრებით – ამ ყველაფერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხშირად ვიღაც გულს გვტკენს, ჩვენ კი ვწუწუნებთ, რომ მივეცით ყველაფერი, რისი მიცემაც შეგვეძლო, მაგრამ მან ეს არ დააფასა. რატომ არ ვფიქრობთ მანამ, სანამ ამას გავაკეთებთ – აქვს კი მას დაფასების უნარი საერთოდ?!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# განტვირთვა ორ დღეში ერთხელ

*ეს საკმაოდ ადვილი დიეტაა, უბრალოდ, წინა დღეს უნდა მოიმარაგოთ ყველა საჭირო პროდუქტი.*

*თუ 2 თვის განმავლობაში, კვირაში სამჯერ (დანარჩენ დღეებში შეგიძლიათ, ჩვეულებრივად იკვებოთ), ზუსტად დაიცავთ ამ განტვირთვის დღეებს, შედეგით იმდენად კმაყოფილი დარჩებით, რომ კიდევ არაერთხელ გაიმეორებთ. სხვათა შორის, შეგიძლიათ, შუალედები არ გააკეთოთ.*

### ბრინჯის დღე

ველური და რუხი ბრინჯი რთული ნახშირწყლების ნამდვილი მადანია. ეს ის ნივთიერებაა, რომელიც ენერგიით გვავსებს. ასევე, სასარგებლოა ჩვეულებრივი, არარაფინირებული ბრინჯი – ის შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმს, რომელიც არეგულირებს სისხლის წნევას და ანეიტრალებს ორგანიზმზე მარილის ზემოქმედებას, რასაც ჩვენ სხვა პროდუქტების მეშვეობით ვიღებთ.

ბრინჯის დღე შეგიძლიათ „გაილამაზოთ" უცხიმო კეფირით (ან მაწვნით) და ვაშლით. ანუ, დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ: ბრინჯი – რამდენიც გსურთ; კეფირი (მაწონი) – 1 ლიტრი; მწვანე ვაშლი (ფაფაში და კვების შუალედებში) – 3-4 ცალი; წყალი – განუსაზღვრელი რაოდენობით და, კიდევ რამდენიმე პროდუქტი – მცირე რაოდენობით.

***საუზმე***: უცხიმო რძითა და ბრინჯით მოამზადეთ ფაფა (უშაქროდ) და ჩაახეხეთ 1 ცალი ვაშლი.



***სადილი***: ოდნავ მარილიან წყალში მოხარშეთ ბრინჯი და შეურიეთ ცალკე მოხარშული 1 ცალი მომცრო ზომის დაჭრილი ან გახეხილი სტაფილო, 2 სადილის კოვზი მოხარშული მწვანე ბარდა, 2 ძირი მწვანე ხახვი და 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი.

***სამხარი***: 1 ნაჭერი მოხარშული თევზის ფილე, 1 ჩაის ჭიქა კეფირი (მაწონი), დაჭრილი კამა და ოხრახუში (რამდენიც გინდათ).

***ვახშამი***: დაძინებამდე სამი-ოთხი საათით ადრე – 1 ჩაის ჭიქა კეფირი.

### სმუზის დღე

***სმუზის*** ტყუილად არ შეარქვეს „თხევადი კერძი." ამ ბლანტი კოქტეილის ერთი ჭიქაც კი ისე ანაყრებს, როგორც სრულყოფილი სადილი; ვიტამინების შემცველობით კი ის ყველა კულინარიულ შედევრს აჭარბებს. მისი საიდუმლო ინგრედიენტებშია: უჯრედისის გარდა, ხილი და ბოსტნეული მდიდარია ჟანგბადით, რომელიც აქტიურებს ცხიმების დაწვას. ზოგადად, სმუზი ძალიან სასარგებლოა, მაგრამ, თუ კუჭთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, აუცილებლად დაეკითხეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

განტვირთვის დღის განმავლობაში ნებადართულია 3-4 სმუზი. ის უნდა დალიოთ ძალიან პატარა ყლუპებით ან მიირთვათ ჩაის კოვზით – ასე უფრო სწრაფად იგრძნობთ დანაყრებას. შუალედებში დალიეთ წყალი (რაოდენობა განუსაზღვრელია, მაგრამ, 2,5 ლიტრზე ნაკლები ცხელ დღეებში მიზანშეწონილი არ არის). თუ ბოსტნეულის სმუზის მიირთმევთ, შეგიძლიათ, ოდნავ შეაზავოთ მარილითა და პილპილით, შაქარი კი საერთოდ გამორიცხეთ.

### იოგურტის დღე

***საუზმე***: უზმოზე დალიეთ 1 ჩაის ჭიქა თბილი წყალი 1 ჩაის კოვზი თაფლით; 30 წუთის შემდეგ მიირთვით 100 მილილიტრ ხილიან იოგურტში შერეული 100 მილილიტრი უცხიმო რძე.

***სადილი***: მოამზადეთ სალათა 2 საშუალო ზომის კიტრითა და კამით და მოასხით 100 მილილიტრი იოგურტი.

***სამხარი***: 100 მილილიტრი იოგურტი + 200 გრამი ნებისმიერი სეზონური ხილი.

***ვახშამი***: მსხლისა და ატმის სალათას მოასხით კრემი: ერთად დააბლენდერეთ 200 მილილიტრი იოგურტი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 1 ჩაის კოვზი თაფლი.

ამჯერად გირჩევთ, სახლში ყოფნის შემთხვევაში, ყოველი კვების შემდეგ გაიკეთოთ იმ ხილის, ბოსტნეულის ან რძის ნაწარმის ნიღაბი, რომელსაც მიირთმევთ; ჩვეულებისამებრ, გაიჩეროთ 20 წუთი, ჩამოიბანოთ გრილი წყლით და წაისვათ შესაბამისი მკვებავი.

შუალედურ დღეებში კი (ანუ, მაშინ, როცა ჩვეულებრივად უნდა იკვებოთ), მოუხშირეთ ფეხით სიარულს, ნუ დანაყრდებით საღამოს 6 საათის შემდეგ და, შეეცადეთ, იყოთ ხალისიან განწყობაზე – ეს დააჩქარებს თქვენს ჯანმრთელად გახდომას.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **ვარ საშუალო სისქის – არც გამხდარი არც მსუქანი, მაგრამ, არ მომწონს ჩემი აღნაგობა. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე სახის დიეტა ან ვარჯიშები, რომლებიც შემიცვლის სხეულის აგებულებას?**

**პასუხი**: ასეთი ვარჯიშები არ არსებობს. თითოეული ჩვენგანი იბადება ინდივიდუალური ძვლოვანი სისტემითა და მეტაბოლიზმით – ეს ფაქტია. ამიტომ, აღნაგობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევის შედეგად.

დიეტითა და სპეციალური ვარჯიშებით შესაძლებელია მხოლოდ გახდომა, სხეულის პროპორციები კი იგივე რჩება.

არ დაუჯეროთ მწვრთნელებს, რომლებიც გპირდებიან ისეთი ვარჯიშების კომპლექსის შერჩევას, რომლის შედეგადაც მკერდი გაგეზრდებათ. ვარჯიშებს შეუძლია მხოლოდ მკერდის ოდნავ გამკვრივება და არა გაზრდა ან ფორმის შეცვლა.

**კითხვა**: **რა ასაკში ჩნდება პიგმენტური ლაქები და საშიშია თუ არა ის ჯანმრთელობისთვის? ასევე, მაინტერესებს, რა არის მათი გაჩენის მიზეზი?**



**პასუხი**: პიგმენტური ლაქები შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ასაკში და ჯანმრთელობისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. პიგმენტაციად ითვლება ჭორფლი, ხალები, ქლოაზმები, ასაკობრივი ლაქები და სხვა ფორმები, რომელთა გაჩენის ძირითადი მიზეზებია: გარემო ფაქტორების ზემოქმედება (ულტრაიისფერი სხივები, კანის არასწორი მოვლა, დაბინძურებული ჰაერი და ასე შემდეგ); ასევე, შინაგანი (ჰორმონული ფონის შეცვლა) ფაქტორი მელანინის პიგმენტზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანში გენეტიკურადაა ჩადებული დიდი ან არასაკმარისი რაოდენობით და, მისი შემცველობის შეცვლა (გაზრდა ან შემცირება) შეუძლებელია. კანის გადანერგვაც კი, მხოლოდ დროებით შედეგს იძლევა, რომ აღარაფერი ვთქვათ კოსმეტიკურ პროცედურებზე.

**კითხვა**: **ვარ საშუალოდ „ფუმფულა", მაგრამ, მაქვს ბრტყელი დუნდულები, რაც ჩემს აღნაგობას არაპროპორციულს ხდის და, შესაბამისად, საშინელ დისკომფორტს მიქმნის. რამდენჯერმე დიეტაც დავიცავი და საკმაოდ გავხდი კიდეც, მაგრამ, ჩემს პრობლემას არაფერი ეშველა. რას მირჩევთ?**

**პასუხი**: დუნდულების ფორმა გენეტიკური მოცემულობაა და ქირურგიული ჩარევის გარეშე მას ვერ შეცვლით. ვარჯიშებით დუნდულების მხოლოდ გამკვრივებაა შესაძლებელი, და არა ფორმის შეცვლა, ანუ, ოცდაოთხი საათი რომ ივარჯიშოთ, მაინც ვერ „მიიღებთ" მრგვალ „ბრაზილიურ" დუნდულებს. ასეთ შემთხვევაში არც დიეტას გირჩევთ, რადგან, ცხიმების დაწვის შემდეგ, საერთოდ გაქრება ოდნავი სიმრგვალეც კი. ამიტომ, ან უნდა შეეგუოთ თქვენი სხეულის ფორმას და ნაკლი გარკვეული სტილის ტანსაცმლით შენიღბოთ, ან იმპლანტანტები უნდა ჩაიდგათ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### მონობას არ ვაპირებ

ჩემი წერილით, ალბათ, ყველა ქართველი ქალის სატკივარს შევეხები. ზუსტად ვიცი, რომ ამ პრობლემას ამით მაინც ვერ გადავწყვეტ, მაგრამ, მაინც უნდა გამოვხატო აღშფოთება იმ ეგრეთ წოდებული „ქართული მენტალიტეტის“ მიმართ, რამაც ჩვენ, ქართველი ქალები (ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა) რაღაც შეთხზული, გამოგონილი და, მე ვიტყოდი, უკანონოდ დამკვიდრებული ტრადიციის მონებად გვაქცია. ვგულისხმობ გათხოვილი, შვილებიანი ქალის უპირობო მორჩილებას ქმრის წინაშე.

ეს თემა ჩემს წერილში იმიტომ წამოვჭერი, რომ, პირადად მე, ორჯერ ვარ გათხოვილი და ორჯერვე გავშორდი ქმარს, რის გამოც, ჩემი უახლოესი ნათესავებით დაწყებული და მეზობელ-ნაცნობებით დამთავრებული, ყველა საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის ქალად განმიხილავს ხოლმე პირად საუბრებშიც და ამ განწყობას არც ჩემთან ფარავენ – ხან როგორ „შემეხუმრებიან“ ხოლმე ამ თემაზე და, ხან – როგორ. არადა, ყველას ხომ არ ჩამოვივლი და არ მოვუყვები, რომელს რატომ გავეყარე. ვის უნდა ვუთხრა, ან, რატომ უნდა ვუთხრა, რომ პირველმა ქმარმა ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე გამაცნო ვიღაც გოგო, როგორც თავისი ძმაკაცის და და ბავშვობის მეგობარი, რომელიც მერე ძალიან დამიმეგობრდა და ერთ-ერთ მეჯვარედაც წამომყვა და, რომელიც, მისი საყვარელი ყოფილა. ეს კიდევ არაფერი, იმ გოგომ შვილიც გაუჩინა, ჩემი მშობიარობიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ. ეს ყველაფერი რომ გავიგე, არ ვაპატიე და ბავშვიანად წამოვედი სახლიდან. დედაჩემით დაწყებული, ყველა იმას ჩამჩიჩინებდა, რომ ამის გამო ოჯახი არ უნდა დამენგრია; რომ ბავშვს მამა სჭირდებოდა; რომ განათხოვარ ქალს ადვილად შეიძლება გაუტყდეს სახელი და ასე შემდეგ. კარგი, ვთქვათ, ჩამეყლაპა ეს შეურაცხყოფა და არ გავშორებოდი „ოჯახის შენარჩუნების“ სახელით... ვინ უნდა მომეტყუებინა, საკუთარი თავი?! ან, რა ოჯახია ის ოჯახი, რომელშიც ცოლი და ქმარი ერთნი არ არიან? ისე გამოდის, რომ ჩემს ქმარს, მაპატიეთ და, ბოზებში უნდა ეგულავა, ყველა პუტანკასთან შვილები ეკეთებინა, მე კი, იმათგან მოსულს, დაღლილსა და გამოფიტულს, მხიარულად უნდა დავხვედროდი, ფეხები დამებანა და მომეელო?! ან, რაში სჭირდება ჩემს შვილს ასეთი მამა, რას ისწავლიდა მისგან, ღალატსა და აფერისტობას?! უკაცრავად და, ისიც ფეხებზე მკიდია, რას მომიგონებენ როგორც ქმარგაყრილ ქალს, უსაქმური და ჭორიკანა მეზობლები. მე მინდა, ჩემი შვილი მშვიდ გარემოში გაიზარდოს; ხედავდეს, რომ მის ოჯახში სიყვარული და ურთიერთპატივისცემა სუფევს და თვითონაც ისწავლოს ეს. სხვათა შორის, რაც ერთმანეთს გავშორდით, ჩემს ქმარს სულ სამჯერ ჰყავს ბავშვი ნანახი, იმ პუტანკასთან გაჩენილ შვილს კი თან ჰყვება. მართალია, ის ქალი ცოლად არ შეურთავს (ალბათ, იმიტომ, რომ დედამისი არ უშვებს სახლში), მაგრამ, სხვა მხრივ, არაფერს აკლებს არც დედას და არც შვილს. ერთმა მითხრა, ეტყობა, შენ არ უყვარდი, იმაზე კი დღემდე გიჟდებაო. თუ მე არ ვუყვარდი და იმაზე აბოდებდა, რატომ შემირთო, დავაძალე თუ ავეკიდე?

მეორე ქმარს რაც შეეხება, იმასთან სხვა პრობლემა შემექმნა. თითქოს ცუდი ადამიანი არ იყო, მეც და ჩემს შვილსაც ნორმალურად გვექცეოდა, ვერც ძუნწობას დავაბრალებ, მაგრამ, რომ მეგონა, სწორედ ეს არის ის კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებდი-მეთქი, ასე არ აღმოჩნდა. თუ სადმე მივდიოდით, ყველგან მხიარული იყო, აქტიური, მღეროდა, ცეკვავდა, ხუმრობდა, სახლში კი, ისე გავიდოდა მთელი დღე, შეიძლება, ერთი სიტყვაც კი არ ეთქვა ჩემთვის. არც ჩემსას მეკითხებოდა, არც თავისას მიყვებოდა. საკმაოდ გვიან მივხვდი, რომ არაფერი საერთო არ გვქონდა – არც ინტერესები, არც ხასიათი, უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით და არ ვჩხუბობდით. თუ სახლიდან გავიდოდა, არც თვითონ მეუბნებოდა, სად მიდიოდა და არც მეკითხებოდა, სად მიდიხარ ან სად იყავიო. ძალიან ბევრი ვეცადე, რომ დავახლოებოდით ერთმანეთს, მაგრამ, პირდაპირ მითხრა – მე ასეთი ვარ და, თუ ჩემთან ცხოვრება გინდა, უნდა შეეგუოო. მე კი ვერ შევეგუე და, ერთ დღესაც, დავსვი და ვუთხარი: ან რაღაც უნდა შევცვალოთ ჩვენს ურთიერთობაში, ან უნდა დავშორდეთ, რადგან, ძალიან მიჭირს ასე ცხოვრება; ამ სახლში სამადლოდ შემოხიზნულ უცხო ადამიანად ვგრძნობ თავს და მეტი აღარ შემიძლია-მეთქი.

თუ აღარ შეგიძლია, წადი, მე არ გაკავებო, – მიპასუხა და კომპიუტერს მიუჯდა. არც კი შეწუხებულა ჩემი მდგომარეობით.

მშობლებთან რომ დავბრუნდი, ორივე გადაირია. მამაჩემმა კი პირდაპირ მომახალა: ქუჩის ქალი გამიზრდიხარ! შენ ჩემს სახლში არ იცხოვრებ, სადაც გინდა, იქ წადიო. იმ დღესვე წავედი მეგობართან დროებით (ცხადია, ბავშვიანად), რამდენიმე დღეში კი ბინა ვიქირავე და ახლა ცალკე ვცხოვრობ. ხანდახან დედა მოდის ხოლმე მამაჩემის ჩუმად და ბავშვს იტოვებს, როცა სამსახურიდან მაგვიანდება.

მართალია, ორჯერ დამენგრა ოჯახი და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება, მაგრამ, გაცილებით უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე ჩემი მამიდაშვილი, რომელიც, ვითომ სიყვარულით გათხოვდა, მაგრამ, მისი ქმარიც საკმაოდ უჟმური და რეგვენი აღმოჩნდა – სამი წლის წინ შეუღლდნენ და, როგორც ვიცი, პრაქტიკულად აღარ აქვთ ინტიმური ურთიერთობა, იმდენად ვეღარ იტანენ ერთმანეთს, თუმცა, მაინც ერთად არიან – ოჯახს ხომ არ დაანგრევენ ისეთი „სისულელის“ გამო, რასაც სიყვარული, ერთგულება და ურთიერთგაგება ჰქვია?! თან, ის ბიჭი ერთი პერიოდი საკმაოდ ცუდ წრეში იყო ჩავარდნილი და იმ წუმპიდან ცოლმა ამოიყვანა დიდი ბრძოლის შედეგად, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ახლა ქმარს ვეღარ იტანს, თუმცა, მაინც არ შორდება – „კარგ ოჯახობანას“ თამაშობენ. სამაგიეროდ, მთელი ჩვენი სანათესაო აქებს თაკოს – ხედავ, რა ქალი გამოდგა? ქმარიც კაცად აქცია და ოჯახიც შეინარჩუნაო. ის კი არავის აინტერესებს, თვითონ თაკო რას გრძნობს, რას განიცდის, რა სტკივა.

ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს, მე კი ნამდვილად არ ვაპირებ მუნჯი მონის როლის მორგებას – თუ კიდევ გავთხოვდი და ისევ ვერ შევეწყვე ქმარს, იმასაც გავეყრები და, სულ არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის ჩემზე.

**ნეკო, 26 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

(მე-19 გვერდიდან)

ვის განსაცდელად იქცა, მათ შორის – ჩვენი ოჯახისთვისაც. სამსახურიდან გაათავისუფლეს მაიას დის, რუსუდან კერვალიშვილის მეუღლე ზაზა დარასელი, „მეორე არხის“ დამფუძნებელი. ამ განსაცდელზე პასუხი გამოვნახე ბიზნესში წასვლით და ამისთვის მთელი ჩემი საგარეო კავშირები გამოვიყენე. მალე ჩემმა შემოსავალმა თვეში 30 000$ დოლარს გადააჭარბა. საქართველოდან გამქონდა საქონლის ტყავი და თურქეთიდან შემომქონდა პროდუქტები. ცეზარ შევარდნაძესთან ერთად დავიწყე თბილისში „მარიოტის“ ქსელის შემოყვანა და „რამდა ინტერნეიშენალთან“ ერთად დავგეგმეთ სასტუმროს მშენებლობის პროექტი იმ ადგილას, სადაც დღეს ბიძინა ივანიშვილის სახლია. ცხადია, სამოქალაქო ომმა ყველა ინვესტიცია შეაჩერა. ჩემი შემდეგი რთული პერიოდები დაკავშირებულია უკვე ედუარდ შევარდნაძესთან და ჩემს პოლიტიკურ საქმიანობასთან, რის შესახებაც საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული – ტერაქტი, ვარდების რევოლუცია და ასე შემდეგ. საბოლოოდ, ყველაზე დიდი განსაცდელი აღმოჩნდა „ცენტრ პოინტის“ ქონების მითვისების მცდელობა „ნაციონალების“ ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ, რაც „დექსუსის“ მეშვეობით თითქმის გააკეთეს კიდეც, მაგრამ, სულზე მოგვისწრო ხელისუფლების შეცვლამ – ამან გაგვაძლიერა, თუმცა, ამავდროულად, დიდი ტრავმაც მოგვაყენა.

## რა ბიზნესიდან რჩებოდა თვეში ოცდაათი ათასი დოლარი ვახტანგ რჩეულიშვილს და თავისი ცხოვრების რა ეტაპი „ჩახურა“ მან 24 წლის ასაკში

**– ალბათ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იმ დაჭერებს გულისხმობთ, რომელთა ტალღაში თქვენც მოჰყევით, იმ სასამართლო პროცესებს, რომლის მერეც მაია და რუსუდანი 300 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.**

– მაგრამ, ფაქტია, რომ, სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, მაიას სწორი სტრატეგიული ხედვების წყალობით გადავრჩით. თქვენ, ალბათ, არ იცით, „ნაციონალების“ პერიოდში რვა მსხვილი სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელმა მოიკლა თავი იმის გამო, რომ მთელი ქონება წაართვეს და ვალებში ჩაგდეს ისე, რომ უამრავი ადამიანი დარჩა ბინით დასაკმაყოფილებელი. 100 მილიონი დოლარის ზარალს საქართველოში, ბუნებრივია, ვერავინ გადაიტანდა „ცენტრ პოინტის“ გარდა. კარგი იქნება თუ ამას დღევანდელი ხელისუფლება შეაფასებს და ის მაინც დაგვიჯერებს მშენებლობის დარგის აღორძინების საკითხებში. ერთი სიტყვით, განსაცდელის გარეშე ცხოვრება არ არსებობს!

**– ცეზარ შევარდნაძე... უთხარით საზოგადოებას, ვინც არ იცის, ვინ არის იგი?**

– ცეზარ შევარდნაძე ედუარდის ძმისშვილია. იმ პერიოდში მშვიდობის დაცვის კომიტეტის საგარეო ეკონომიკურ ასოციაციაში მუშაობდა. ზვიადის პერიოდში მას საქართველოში ხელისუფლება არ სწყალობდა, მაგრამ, საერთაშორისო პარტნიორობისთვის, საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ძმიშვილის სახელი კონტაქტების დამყარებაში გვეხმარებოდა. „ფიატის“ კონცერნის სამშენებლო კომპანიის მოწვევით (ჩვენს პარტნიორობაზე დათანხმდნენ საქართველოში სასტუმროების ქსელის მშენებლობაში) იტალიაში რომ ჩავედით, გაზეთებში პირდაპირ ასე იხსენიებდნენ: Shevardnadze’s nephews. თითქმის ორი წელი ვმუშაობდით ერთად.

**ეკა პატარაია**

**ასტროლოგია გვეხმარება ჩავწვდეთ ცხოვრებისეულ სირთულეებს და მივაგნოთ წარმატების მოპოვების გზებს. როგორც ასტროლოგი თორნიკე ბიძინაშვილი ამბობს, ყველამ უნდა იცოდეს პირადი ჰოროსკოპი, რათა ღრმად შეიცნოს საკუთარი პიროვნება, გააცნობიეროს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოახერხოს მატერიალურ სამყაროში რეალიზება და შეასრულოს თავისი კარმული მისია.**

# როგორ შევიცნოთ, შევცვალოთ და განვავითაროთ საკუთარი თავი, რომ მომავალში უკეთესი ცხოვრება შევიქმნათ

**თორნიკე ბიძინაშვილი**: ყველა ადამიანი იმსახურებს ბედნიერებას, თუმცა, სამწუხაროდ, უამრავი შეჭირვებული და დანაღვლიანებული ადამიანი დადის ჩვენ გარშემო. ასტროლოგიაში არსებობს წესები და კანონები, რომლებიც ჩვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს და მათი გათვალისწინებით მეტად იღბლიანები და წარმატებულები ვხდებით. მაგალითად, ქარსა და წყალს უდიდესი ენერგია აქვს, რაც დადებითი აურით გვავსებს, გვეხმარება, ცხოვრებას ოპტიმისტური თვალით შევხედოთ და ჩვენ ირგვლივ ჰარმონიული ენერგიის, წყლისა და ჰაერის მსგავსი ნაკადი შევქმნათ. ბევრს არ სჯერა, მაგრამ, ასტროლოგია იძლევა რჩევებს ცხოვრების წესის გასაუმჯობესებლად და სულიერი ჰარმონიის მისაღწევად. აქვე მოგაწვდით რამდენიმე მარტივ რჩევას, რაც საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების დანახვასა და შეგრძნებაში დაგეხმარებათ:



თქვენი გულიდან, ფილტვებიდან და ხელისგულებიდან გასული ენერგია, ეხება და სცდება ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდებათ

1. ჩაიხედეთ გულში და იყავით მართალი თქვენს თავთან – ეს ერთადერთი გზაა, შეიცნოთ, შეცვალოთ და განავითაროთ საკუთარი თავი.

2. მხრებში გასწორდით, გაშალეთ ხელისგულები, დახუჭეთ თვალები, კონცენტრირდით თქვენს „მე"-ზე, გაეთიშეთ გარესამყაროს ყველა გამოხატულებას და ასწიეთ ხელები მაღლა, თითქოს ელით, რომ ვიღაცამ უნდა აგწიოთ – ეს საჭიროა სამყაროსთან ერთიანობის შესაგრძნობად.

3. წარმოიდგინეთ თქვენი გულიდან, ფილტვებიდან და ხელისგულებიდან გასული ენერგია, რომელიც ეხება და გასცდება ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდება.

4. თქვენი შინაგანი ენერგია გაგზავნეთ თქვენი სხეულიდან სამყაროს ყველაზე მაღალ, მიუწვდომელ ადგილებში.

5. ხმამაღლა გაიმეორეთ სიტყვები: „მე მზად ვარ ნებისმიერი სახის დადებითი ცვლილებისთვის".

მთავარია, გჯეროდეთ ამის. გახსოვდეთ, რომ, რისიც გჯერათ, ის ახდება და იმას დაგიბრუნებთ სამყარო; გჯეროდეთ, რომ, შეგიძლიათ, გახდეთ გაცილებით უკეთესები, დაინახოთ სამყარო ჰარმონიულად და იცხოვროთ ჰარმონიაში; შეიცნოთ მისი ჰარმონიულობა უფრო ღრმად და დატკბეთ მისით; გჯეროდეთ და იყავით მზად ცვილებებისთვის უკეთესობისკენ.

**– რომ ამბობენ, კუთხეში დაჯდომა არ შეიძლება, ამან გაუთხოვრობა იცისო; ან, გაბზარულ სარკეში ჩახედვით ბედს ითარსავო – ეს ასტროლოგიასთან რა კავშირშია?**

– ნებისმიერი კუთხე – მაგიდის, კარადის, ოთახის თუ სხვა, იღებს მთელი ოთახის ნეგატიურ ენერგიას და, შესაბამისად, მას მიიღებს ის, ვინც კუთხეში მოხვდება. სახლის კუთხე არის სახლის ენერგოვამპირი – ის ართმევს ადამიანს ენერგიას. რაც შეეხება სარკეს, მავნებელია არა მარტო გაბზარულ, გატეხილ ან მოზაიკურ სარკეში, არამედ, მსუბუქად მოხატულში ჩახედვაც კი. სარკე, რომელიც ირეკლავს ადამიანს უბრუნებს მას დანაწევრებულ გამოსახულებას, რაც, პირველ ყოვლისა, ცუდად მოქმედებს ენერგეტიკაზე და ქმნის ჯანმრთელობის პრობლემებს. ასევეა, კარი – ეს არის ადგილი, რომელიც ყოფს ორ სამყაროს, სახლისა და გარესამყაროს „ჩემად" და სხვისად". ნივთების ენერგიაც, შიგნით და გარეთ სხვადასხვაა. გაურკვეველი ადგილიდან ადამიანთან ენრგეტიკული კონტაქტი ტოვებს გაურკვეველ ემოციას ქვეცნობიერშიც. ამიტომ, როცა მეგობარი ზღურბლიდან გემშვიდობება, არაა კარგი.

**– გამიგია, რომ, ზოგადად, ადამიანის აურა აგებს ბევრ საკითხზე პასუხს და, თუ ის დაბინძურებულია, რაც გარემო პირობების შესაბამისად ხდება, მაშინ პრობლემები და ავადმყოფობებიც იჩენს თავს. ისიც გამიგია, რომ აურის გაწმენდა წყლით შეიძლება. სწორია თუ არა ეს მოსაზრება და როგორ უნდა შევძლოთ აურის გაწმენდა?**

– თუ რატომ ავადმყოფობს ადამიანი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია; სამაგიეროდ, ნათელია ერთი რამ: სულიერი წონასწორობა და ჰარმონიული გარემო აღადგენს შერყეულ ჯანმრთელობას. გაიხედეთ ფანჯარაში: რას ხედავთ? პარკს, ბავშვების სათამაშო მოედანს? – ესე იგი, გაგიმართლათ. მაგრამ, თუ თქვენი ფანჯრის წინ საავადმყოფო ან სასაფლაოა, მაშინ, რაღაც უნდა იღონოთ. თუ უახლოეს მომავალში ბინის შეცვლას არ აპირებთ, ეცადეთ, შეასუსტოთ და გაანეიტრალოთ ცუდი გარემო: ფანჯარაზე ახალი, კუბოკრული შტორები დაკიდეთ, რაფაზე კი ხასხასა წითელყვავილებიანი ქოთნები დადგით. სახლში კარგი გარემოს შესანარჩუნებლად, პირველ ყოვლისა, უნდა გადაყაროთ ყველა ის ნივთი, რომლებიც არ გჭირდებათ ან არ გსიამოვნებთ; იქონიეთ მცენარეები, ოღონდ, განათავსეთ ისინი სწორად, ასტროლოგიური წესების გათვალისწინებით. ჯანმრთელობის გაუარესება მაშინაა მოსალოდნელი, თუ ბინას, რომელიც ვინმესგან იყიდეთ, ძველი პატრონები „ახსოვს". ამიტომ, გირჩევთ, ასეთი ბინა გადასვლამდე გაწმინდოთ და დროდადრო „განბანოთ".

> **მიმართულების შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია საწოლის დასადგმელად, თუნდაც დროებით**

**– ბინის „განბანა" როგორღა ხდება?**

– ერთ ვედრა წყალში გახსენით რამდენიმე წვეთი ვარდის წყალი და გაწმინდეთ კარი, ფანჯრის რაფები და ავეჯის ზედაპირი. თუ ბინას ხშირად გაანიავებთ და დაალაგებთ, ნეგატიური ენერგიისგან განიწმინდება. ასევე, სახლებში არსებობს ზონები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ნაწილზეა პასუხისმგებელი:. ჯანმრთელობის სექტორი აღმოსავლეთით მდებარეობს, ასე რომ, უპირველესად, წესრიგი იქ დაამყარეთ. ეს ხის სექტორია, ამიტომ, რაც მეტ ხის ნივთს, ცოცხალ ყვავილებსა და მწვანე დეტალს შეჰმატებთ ბინის ამ კუთხეს, უკეთესია. აქვე განალაგეთ აკვარიუმები, პეიზაჟიანი და მარინისტული სურათები. სექტორის გაძლიერება სიმბოლური ნივთებითაც შეიძლება. ტრადიციის თანახმად, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მოაქვს წეროს, ირემს, ატამს, ფიჭვს და, რა თქმა უნდა – ბამბუკს. ყველა ეს ნივთი ავადმყოფობას აგაცილებთ თავიდან. გარდა ამისა, ერიდეთ მახვილ კუთხეებს, ეგრეთ წოდებულ გამოშვერილ კონსტრუქციებს, მით უფრო, თუ ის თქვენკენაა მომართული. ასეთებია: თაროები, სტელაჟები, კოჭები და ასე შემდეგ. ეცადეთ, ოჯახში ყველა ნივთს მომრგვალებული კუთხე ჰქონდეს.

**– ასტროლოგიაში არსებობს ტერმინი „მოხეტიალე ვარსკვლავები". რას ნიშნავს ეს და როგორ მოქმედებენ ისინი ჩვენზე?**

– დიახ, ჩვენს ბინებს ხშირად „ესტუმრებიან" ხოლმე „მოხეტიალე ვარსკვლავები" და ისინი ყოველ წელს იცვლიან სექტორების მდებარეობას. მათ შორის არიან „კეთილი ვარსკვლავები", რომლებსაც ბინის პატრონებისთვის ჯანმრთელობა და წარმატება მოაქვთ, მაგრამ, ზოგიერთი მტრულად არის განწყობილი ჩვენ მიმართ. ამიტომ, ყოველ წელს გადააადგილეთ ავეჯი. წელს ნეგატიური ვარსკვლავები აღმოსავლეთ და სამხრეთ სექტორებშია თავმოყრილი. თუ ამ მონაკვეთებში გაქვთ საძინებელი მოწყობილი, ეცადეთ, სხვა ადგილას გადაიტანოთ – ამით შეძლებთ „უსიამოვნო სტუმრების" გაუვნებელყოფას. ამ ვარსკვლავების სტიქია დედამიწაა, ესე იგი, სწორედ ის უნდა შეასუსტოთ. ზემოთ აღმოსავლეთ სექტორზე მოგახსენეთ, სადაც მთლიანად გადაჭრის ამ პრობლემას ხე – ის ხომ დედამიწას არღვევს. სამხრეთითაც ჯობია ხის სტიქიის გაძლიერება, თუმცა, ასეთ დროს თავი აარიდეთ წყალს – ნუ დადგამთ აკვარიუმებს, ხელოვნურ ჩანჩქერებს და ასე შემდეგ.

**– ის, რომ ყველას თავისი ციური მკურნალი ჰყავს, როგორ გავიგოთ?**

– ახლავე მოგახსენებთ. უძლიერესი ინსტრუმენტია ჯანმრთელობის ინდივიდუალურად გასაუმჯობესებელი „ციური მკურნალი". ყველას თავისი „ციური მკურნალი" ჰყავს და ეს მის დაბადების დღეზეა დამოკიდებული. თავდაპირველად უნდა გამოთვალო საკუთარი რიცხვი, ეგრეთ წოდებული „გუა:" ამისთვის უნდა შეკრიბოთ დაბადების წლის ბოლო ორი ციფრი. თუ ორნიშნა ციფრს მიიღებთ, დაიყვანეთ ერთნიშნამდე, ანუ, ისინიც შეკრიბეთ. მამაკაცებმა მიღებული ციფრი უნდა გამოაკლონ 10-ს; ქალებმა კი მიუმატონ – 5-ს. შედეგი ისევ ერთნიშნა ციფრამდე დაიყვანეთ – სწორედ ეს იქნება თქვენი ციფრი. რა ციფრიც მიიღეთ, ის იქნება თქვენი ჯანმრთელობის წარმმართველი: 1 – აღმოსავლეთი; 2 – დასავლეთი; 3 – ჩრდილოეთი; 4 – სამხრეთი; 5 – დასავლეთი მამაკაცებისთვის და სამხრეთ-დასავლეთი ქალებისთვის. 6 – ჩრდილო-აღმოსავლეთი; 7 – სამხრეთ-დასავლეთი; 8 – ჩრდილო-დასავლეთი; 9 – სამხრეთ-აღმოსავლეთი. მიმართულების შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია საწოლის დასადგმელად, თუნდაც დროებით. გირჩევთ, ავადმყოფობის დროს მაინც გადადგით საწოლი საჭირო სექტორში, „ციური მკურნალის" შესაბამისად.

**ნონა დათეშიძე**

# სტალინი მტრების ნაშრომებს გულდასმით ეცნობოდა და მათ წიგნებს ცალკე კარადაში ინახავდა



როცა სტალინი გარდაიცვალა, მისი პირადი ბიბლიოთეკა 20 ათას წიგნს შეადგენდა. რამდენიმე ასეული წიგნი, რომლებიც სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკიდან იყო გამოტანილი, ადრინდელ პატრონებს დაუბრუნეს. 11 ათასი წიგნი მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის კუთვნილება გახდა. 1 500 ნაშრომი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს გადასცეს, დაახლოებით 500 – აგიტპუნქტსა და საშეფო სკოლას, 400 წიგნი კი – ძირითადად, მისი შვილების ძველი სახელმძღვანელოები, უბრალოდ, გადაყარეს. ზოგიც უკვალოდ დაიკარგა. ის წიგნები, რომლებიც 30-იანი წლების დასაწყისიდან მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა, და, ამდენად, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ცხოვრების შემსწავლელთათვის დიდ ინტერესს არ შეადგენდა, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციას გადაეცა.

დარჩა დაახლოებით 5,5 ათასი წიგნი, ასე ვთქვათ, ის ნაშრომები, რომლებიც სტალინს თავისი სიცოცხლის ამა თუ იმ პერიოდში ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ეს გახლავთ სხვადასხვა ლექსიკონი და ენციკლოპედია, მათ შორის, რევოლუციამდელი გამოცემებიც; დალის პოპულარული ლექსიკონი, გრანატის ენციკლოპედია, პავლოვსკის გერმანულ-რუსული ლექსიკონი, 1917 წლის შემდეგ გამოცემულთაგან – დიდი და მცირე საბჭოთა ენციკლოპედიები, სრული გერმანულ-რუსული ლექსიკონი, სამხედრო, პედაგოგიკური, სამედიცინო და სხვა ენციკლოპედიები.

ამჯერად არ შევჩერდებით მხატვრულ ლიტერატურაზე. სტალინის დამოკიდებულება ამა თუ იმ დიდი მწერლისადმი ხომ კარგად არის ცნობილი, ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი „კარადა“, სადაც სტალინის მტრების (ხშირ შემთხვევაში, ყოფილი მოკავშირეების) ნაშრომებია თავმოყრილი. ისინი კი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ. დიახ, სტალინს პირად ბიბლიოთეკაში ჰქონდა გრიგორი ზინოვიევის სამოცდაათზე მეტი, დაახლოებით სამოც-სამოცი – ლევ ტროცკის, ლევ კამენევისა და ნიკოლაი ბუხარინის ნაშრომი; 25 – ალექსი რიკოვს ეკუთვნოდა. მათი უმეტესობა, რომ იტყვიან, საგულდაგულოდ იყო შესწავლილი, ფერადი (წითელი და ლურჯი) ფანქრით შენიშვნებით აჭრელებული. ოდესღაც ასევე აჭრელებდა გვერდებს კარლ მარქსი, რომელიც წიგნებს „თავის მონებს“ ეძახდა. რაც შეეხება სტალინის უშუალო მასწავლებელს – ლენინს, მას ასეთი ჩვეულება არ ჰქონია.

გასაგებია, რომ ამ ავტორების წიგნების შენახვას მსოფლიოს მეექვსედის ვერც ერთი მოქალაქე ვერ გაბედავდა, სტალინს კი ისინი არ ავიწყდებოდა. კითხულობდა, ეკამათებოდა კარგა ხნის წინ მოუსავლეთში წასულებს... მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი, ხანდაზმული სტალინი ნამდვილ საგონებელში აგდებდა თავის მუდმივ თანამოსაუბრეებს – მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩსა და სხვებს (რომლებიც ოდესღაც მისი თანამებრძოლები იყვნენ), შემდეგი კი თანდათანობით უბრალო კარის კაცებად იქცნენ), როცა ბუხარინს თითქოს მეგობრული ტონით მოიხსენიებდა: მე და ნიკოლაი ივანოვიჩი... რა თქმა უნდა, თანამოსაუბრეებმა აღარც კი იცოდნენ, თავი როგორ დაეჭირათ.

გრიგორი ზინოვიევი (ნამდვილი გვარი რადომილსკი სხვა ვერსიით – აპფელბაუმი) სხვა უამრავ ამბავთან ერთად, სტალინს განსაკუთრებით იმიტომ აღიზიანებდა, რომ საკუთარ თავს ის მარქსიზმის დიდ მცოდნედ მიიჩნევდა (ესაა მიზეზი ზინოვიევის წიგნების ესოდენი სიმრავლისა). თავის დროზე ზინოვიევი იყო ლენინთან. ციურიხში ემიგრაციის დროს მისი უახლოესი მრჩევლისა და თითქმის პირადი მდივნის როლსაც კი ასრულებდა, რუსეთში გერმანიის სკანდალური გავლით მასთან ერთად დაბრუნდა (სტალინი ამ დროს ციმბირში იმყოფებოდა). როცა პერსპექტივაში ლენინის მემკვიდრეობის საკითხი დადგა, ამ მხრივ, ზინოვიევი ძირითად მეტოქედ ლევ ტროცკის (ბრონშტაინს) მიიჩნევდა. ამით აიხსნება ზინოვიევისა და მისი მუდმივი მოკავშირის, ლევ კამენევის (ნამდვილი გვარი როზენფელდი) დაახლოება სტალინთან, ეგრეთ წოდებული ტრიუმვირატის ჩამოყალიბება ტროცკის წინააღმდეგ. რევოლუციის შემდგომ წლებში ზინოვიევს მართლაც დიდი გავლენა ჰქონდა. ის იყო კომუნისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე. დესპოტურად მართავდა პეტროგრადს, სადაც ინტელიგენციის ნამდვილი „ტოტალური ტერორი“ მოაწყო. დახვრიტეს გამოჩენილი პოეტი ნიკოლაი გუმილიოვი. ცნობილი მწერალი ალექსანდრ ამფითეატროვი დიდი რისკის ფასად ნავით გაიქცა ფინეთში, ხოლო ევროპული სახელის

**მს წიგნი უცხოეთში ბევრმა წაიკითხა, საბჭოთა კავშირში კი არავინ, ცხადია, მისი მთავარი გმირის გარდა**

მქონე მწერლები – დიმიტრი მერეჟკოვსკი და მისი მეუღლე ზინაიდა გიპიუსი კონტრაბანდისტის დახმარებით გადავიდნენ პოლონეთში. დგებოდა ცნობილი „აგარაკების“ სოლოვკისა და კოლიმას დრო, იმ კოლიმასი, სადაც, თუ ტუსაღების ცნობილი სიმღერის ავტორს დავესესხებით, „12 თვე ზამთარია, დანარჩენი კი ზაფხული“. ამ ტერორთან თვით მაქსიმ გორკიმაც კი ვერაფერი გააწყო (ლეონმა, მართალია, შენიღბული ფორმით, ზინოვიევს დაუჭირა მხარი) და მოუხდა ხანგრძლივი ემიგრაცია... სორენტოში (იტალია) ამ ემიგრაციასთან დაკავშირებით, თუმცა სულ სხვა დროსა და პირობებში, უკვე დიდი მხედართმთავრის, ლეონიდ ბრეჟნევის ზეობის წლებში, გვახსენდება ცნობილი მწერლის ვიქტორ ნეკრასოვის ხუმრობა, უწინ ციმბირში ასახლებდნენ, ახლა კი – პარიზში.

დღეისთვის შეიძლება, უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ ზინოვიევი და კამენევი ერთხანს სტალინს თავიანთ უმცროს პარტნიორად თვლიდნენ, რაც მათ დიდ პოლიტიკურ ალღოზე არ მეტყველებს. სწორედ ისინი დაეხმარნენ მას პარტიის გენერალური მდივნის პოსტის მიღებაში, და გასაგებია, მწარედ მოტყუვდნენ.

ზინოვიევის ნაშრომებთან ერთად, სტალინი ყურადღებით კითხულობდა კამენევის წიგნებსა და წერილებსაც. ეს გასაგებია. კამენევი, რომელიც ავადმყოფ ლენინს დროებით ცვლიდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე და მიჰყავდა მთავრობის სხდომები, საერთოდ უმიზნებდა ამ თანამდებობას, მაგრამ... წარმოშობით ის „მუშათა არისტოკრატიის“ წრიდან (მამამისი მემანქანედ მუშაობდა) იყო, ერთხანს თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, დაუპირისპირდა თავის ცოლის ძმას. ტროცკი თავს დიდ თეორეტიკოსად არ მიიჩნევდა, თუმცა წერდა, რომ მასაც უყვარდა... კიდევ უფრო უყვარდა ლენინის სხვა მოწაფეებისგან განსხვავებით, მდიდრული ცხოვრება.

სტალინი გაეცნო ლევ ტროცკის ერთეულ ნაშრომს, ამათგან რვას ფანქრით შენიშვნაც მიაწერა. მას გასაგებია, ის ფაქტი დააინტერესებდა, რომ ტროცკიმ ემიგრაციაში დაწერა თავისი მტრის ორტომიანი ბიოგრაფია – „სტალინი“. ეს წიგნი უცხოეთში ბევრმა წაიკითხა, საბჭოთა კავშირში კი არავინ, ცხადია, მისი მთავარი გმირის გარდა. დღეისთვის რომ ვინმემ აიღოს და ერთმანეთს შეადაროს სტალინის ოფიციალური ბიოგრაფია (რომლის თუ მთლად ავტორი არა, „პასუხისმგებელი რედაქტორი“ მაინც თვითონ არის) და ტროცკის ეს წიგნი, იქ საერთოს ვერაფერს ნახავს. პირველი სრულიად აპოლოგეტური ნაშრომია, მეორე – განდიდების ცდა. ტროცკის გამოჩენილი პუბლიცისტის სახელი ჰქონდა, მისი ბიოგრაფი – ისააკ დოიჩერი არჩევს უამრავ მის ნაშრომს, მაგრამ არა „სტალინს“, რომელიც თუმცა გარკვეული თვალსაზრისით საინტერესოა, მაგრამ მეტისმეტად არაობიექტური და სუსტია. თავი რომ დავანებოთ სტალინის დახასიათებას, მისი ღირსება-ნაკლოვანებების განსჯას, ნაშრომის დონეზე თვალნათლივ მეტყველებს თუნდაც ასეთი ფრაზა: „ქართველები ყველაზე გაუნათლებელი ხალხია ამიერკავკასიაში“. ამ წიგნით, როგორც ცნობილია, ტროცკიმ განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს და მისი მოსპობა დროის საკითხიღა გახდა.

იმ პიროვნებებს შორის, რომელთაც ლენინის მემკვიდრეობის მეტ-ნაკლები პრეტენზია ჰქონდათ, ალექსი რიკოვი, ეტყობა, ყველაზე უფერულია. იდეოლოგიის სფეროში მას სხვა „მემკვიდრეებისგან“ განსხვავებით, ნაკლები „ღვაწლი“ მიუძღოდა, რაც სათანადოდ აისახა კიდეც სტალინის ბიბლიოთეკის შესაბამის კარადაში. რიკოვი გარკვეულ პერიოდში სტალინის პოლიტიკური მოკავშირე, ენაბლუ და ალკოჰოლიკი, უფრო დემოკრატიული ფიგურა იყო. თუმცა, ლენინის დროსაც ჰქონდა სახალხო კომისრის „რანგი“, შემდეგ კი თვითონ ლენინიც შეცვალა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

დაბოლოს, სტალინის მეტოქეთა და მტრების „კარადაში“ სათანადო ადგილი ნიკოლაი ბუხარინის ნაშრომებს უკავია. ბუხარინს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა თეორეტიკოსისა და მარქსიზმის მცოდნის სახელი, რაც სტალინისთვის განსაკუთრებით უსიამოვნო უნდა ყოფი-

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

# ეძიე კაცი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-35(714)**

– მერე, რა გითხრა?

– მაგას აღარ აქვს მნიშვნელობა. მე ეს უკვე გადავწყვიტე და აღარაფერი შეიცვლება.

– იქნებ, კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყავი? იცოდე, მერე შეიძლება ინანო, მაგრამ, უკვე გვიან იქნება. შენ უყვარხარ შენს ცოლს.

– შენ რა იცი, ვუყვარვარ თუ არა, ასე ხუთწუთიანი ცეკვის დროს ისეთი რა ამოიკითხე მის თვალებში, რომ შუამავლობა დაიწყე? და, საერთოდ, ვერ გავიგე, ექსტრასენსი ხარ თუ ერთი შეხედვით გრძნობ, რას ფიქრობს და რას გრძნობს ადამიანი? – გაღიზიანდა რეზო.

– ექსტრასენსი არა, ფსიქოლოგი ვარ პროფესიით და ფსიქოთერაპიაც შევისწავლე თავის დროზე – ოდესღაც ეს დარგი ძალიან მაინტერესებდა და საკმაოდ კარგად დავეუფლე. სულ რამდენიმე წელია, რაც ეს საქმე მივატოვე, მაგრამ, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას, სუფთა სპორტული ინტერესის და, კიდევ, ერთგვარი ნოსტალგიის გამო, ხშირად ვიყენებ ცხოვრებაში. ისე კი, მენდე, ძალიან იშვიათად ვცდები ხოლმე.

– კარგი, ვთქვათ, გენდე, ამით რა შეიცვლება?

– არ ვიცი, მაგრამ, კარგს იზამ, ერთხელ მაინც თუ იცეკვებ შენს ცოლთან ერთად, მით უმეტეს, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ერთმანეთისთვის თვალი არ მოგიშორებიათ, თუ, რა თქმა უნდა, ამით შენს ტურფას არ განარისხებ.

– ვიცეკვო?

– ჰო, რა მოხდა, არ იცი ცეკვა?

– ცეკვა როგორ არ ვიცი, ბავშვობაში ქართულ ცეკვებზე დავდიოდი.

– მარტო ქართულ ცეკვებს გასწავლიდნენ?



– იქ – მარტო ქართულს, მაგრამ, ქორწილის წინ ცოტა ხანს ვიარეთ მე და ნათიამ მასწავლებელთან და იმან გვასწავლა „ვალსი” და კიდევ ერთი-ორი რაღაც, ქორწილში რომ გვეცეკვა – აქ ეს მოდაში შემოვიდა. მაგრამ, იმდენი ხანია...

– არავითარი „მაგრამ“. მითხარი, რომელი ცეკვა გირჩევნია და მუსიკოსებს ვთხოვ, ის დაუკრან – მინდა, რომ შენს ცოლთან იცეკვო. თან, ვატყობ, რომ ეს შენც გინდა... – მაგრამ, ტომასს თხოვნა აღარ დასჭირდა – დამთავრებული არ ჰქონდა წინადადება, რომ რომელიღაც „ტანგოს” ცეცხლოვანი მელოდია გაისმა და რეზომ უცბად იგრძნო, როგორ ჩაჰკიდა ხელი ვიღაც ქალმა, როგორ აეკრა მთელი სხეულით და დარბაზის შუაგულისკენ გაიტაცა. ქალისგან ისეთი ვნება მოდიოდა, რეზო, რომელმაც მოგვიანებით აღიქვა, რომ ეს ქალი ნათია იყო, უნებურად აჰყვა, მიუხედავად იმისა, რომ „ტანგო” ცხოვრებაში არ უცეკვია. ნათიას არ აინტერესებდა, უშვებდა თუ არა შეცდომებს, მაგრამ, მთელი არსებით იყო შესული ცეკვაში, ანთებული თვალებით შესცქეროდა გაოგნებულ ქმარს სახეში და, კაცმა იგრძნო, რომ ნათია იქ, ამდენი ხალხის თვალწინ, მთლიანად სთავაზობდა საკუთარ თავს და ამის არ რცხვენოდა.

ტომასის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია აღფრთოვანებულ მაყურებლებს შორის მდგარი ახალგაზრდა ქალის გაავებული მზერა და ბოროტად მოწკურული ტუჩები. მაშინვე იცნო – ის ქალი იყო, ვისაც ცოტა ხნის წინ რეზო ფანჯარასთან ელაპარაკებოდა და ვისთანაც აპირებდა წასვლას ამ საღამოს შემდეგ. ტომასმა ორი ფუჟერი შამპანურით შეავსო, ღიმილით მიუახლოვდა ქალს, ფუჟერი მიაწოდა და გაეცნო:

– მე ტომასი ვარ, თქვენი ამერიკელი პარტნიორი, თქვენ რა გქვიათ?

ქალმა მექანიკურად გამოართვა სასმისი, მაგრამ მოცეკვავეებისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ინგლისურად ლაპარაკობთ? – არ მოეშვა ტომასი.

– ისე, საშუალოდ. რა გნებავთ? – უკმაყოფილოდ მიუგდო პასუხი ქალმა.

– თქვენი გაცნობა მინდა. რა გქვიათ?

– ირმა, – ტომასის ახალი ნაცნობი ისევ ვერ აშორებდა თვალს ნათიასა და რეზოს ცეკვას.

– მართლაც კარგად ასრულებენ „ტანგოს”. ხომ ხედავთ, მათ მერე ვეღარავინ გაბედა, ეცეკვა და ყველა აღფრთოვანებული შესცქერის.

– დიდი არაფერი, ბევრ შეცდომას უშვებენ, – ტუჩი აიბზუა ირმამ.

– მაგას არ აქვს მნიშვნელობა, ტანგოში მთავარი გრძნობაა – ვნება, ლტოლვა, სიყვარული. საერთოდ, ტანგო ხელოვნებაში გამოხატული სექსია და, ასეთი ლამაზი სექსი ფილმებშიც კი არ მინახავს, ეტყობა, ძალიან უყვართ ერთმანეთი, – უთხრა ტომასმა ირმას და ოდნავაც არ უგრძნია სინდისის ქენჯნა, რომ ასე თამამად და დაუკითხავად ჩაერია პრაქტიკულად უცხო ადამიანების პირად ცხოვრებაში.

ირმამ გაბოროტებით შეხედა ამ არამკითხე ამერიკელს, ფუჟერი ხელში მიაჩეჩა და გაგულისებული სახით გაეცალა. ამ დროს ტომასმა ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელსაც პატარა ვიდეოკამერა მისკენ ჰქონდა მიმართული და იღიმებოდა, შემდეგ კი უცბად შებრუნდა და თავის ობიექტივში მოცეკვავე წყვილი მოაქცია.

„რა ლამაზი ქალია, ეტყობა, რომელიღაც ტელევიზიიდან ჰყავთ ჟურნალისტი მოწვეული“, – გაიფიქრა ტომასმა და თვითონაც გახედა მოცეკვავეებს, რომლებიც მონუსხულებივით შესცქეროდნენ ერთმანეთს და გარშემო ვეღარავის ამჩნევდნენ; მერე ისევ ჟურნალისტისკენ მობრუნდა, მაგრამ, იქ აღარავინ იდგა. „ნეტავი, სად გაქრა?” – გაიფიქრა ტომასმა და დარბაზი მოათვალიერა თუმცა, ქალი ვეღარ დაინახა.

მუსიკა შეწყდა თუ არა, წყვილმაც შეწყვიტა ცეკვა და აპლოდისმენტები და აღფრთოვანების შეძახილები გაისმა. ცეკვა ისე დაასრულეს, ვნებაატანილებს ერთმანეთისთვის სიტყვაც კი არ უთქვამთ და, მხოლოდ ახლა, როცა ოდნავ გამოერკვა, რეზომ გადაწყვიტა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ეთქვა ცოლისთვის, მაგრამ, სანამ გუნებაში ფრაზა ჩამოაყალიბა, ნათია მის გვერდით აღარ იდგა. თვალი მოავლო დარბაზს და დაინახა, რომ ის გასასვლელისკენ მიდიოდა ძალიან სწრაფი ნაბიჯით, უკან კი თითქმის სირბილით მიჰყვებოდა სპორტულად ჩაცმული ქალი და, ეძახდა, მოიცადეო.

„მია?! – გაუკვირდა რეზოს, – მიას აქ რა უნდა?“

მერე, ის იყო, დააპირა, დასწეოდა ცოლს, რომ, ვიღაცამ ჯერ ხელი მოჰკიდა მკლავზე, მერე კი ზურგზე მიეხუტა. რატომღაც, ეგონა, ნათია იყო, მაგრამ, რომ შებრუნდა, ირმა შერჩა ხელში, რომელიც აშკარად ნაძალადევად ულიმოდა და თან გამომცდელი მზერით შესცქეროდა თვალებში.

– დაიღალე? – ჰკითხა მოგონილი მზრუნველობით.

– არა, არც ისე.

– ძლივს სუნთქავ. წამოდი, ცოტა ხანს დავსხდეთ მაგიდასთან. თან ვილაპარაკოთ, თან დაისვენებ.

– ჰო, მაგრამ, ტომასი უნდა მოვძებნო. სასტუმროში მე უნდა მივიყვანო, – რეალობას დაუბრუნდა რეზო.

– და, მერე წავიდეთ, ხომ? – შეახსენა ირმამ.

– სად წავიდეთ? – უცბად ვერ გაიხსენა რეზომ.

– ჩემთან, – ირმამ წყენა და სიბრაზე ერთად გადაყლაპა.

– ჰო... – მექანიკურად დაეთანხმა რეზო, – მაგრამ, შეიძლება, დღეს ვერ მოვახერხო წამოსვლა.

– რატომ? – უცბად გაკაპასდა ირმა, – ერთმა ცეკვამ გული აგიჩქროლა?

რეზოს ჩხუბისა და ახსნა-განმარტების თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ, შეძლებისდაგვარ-

ად მშვიდად უპასუხა:

– ასეა თუ ისე, დღეს ჩვენი ქორწინების ათი წლისთავია და ნათიას ასე დამცირებაც არ მინდა. ამიტომ, ალბათ, უფრო ხვალ წამოვალ. ახლა კი ტომასი უნდა მოვძებნო, თან, გაგაცნობ კიდეც.

– უკვე გავიცანი, უფრო სწორად, თვითონ გამეცნო. დიდი მეტიჩარა ტიპია, ვერ ვიტან ასეთ კაცებს.

– რამე გითხრა? – დაინტერესდა რეზო.

– არაფერი, უბრალოდ, როგორც ყველა ამერიკელი, ზედმეტად დარწმუნებულია თავის თავში, – ირმამ საჭიროდ არ ჩათვალა, გაეგო მის საყვარელს, რა უთხრა ტომასმა.

– აი, ტომასიც! – დაიძახა უცებ რეზომ, რომელმაც თავისი ახალი მეგობარი ქალების გარემოცვაში დაინახა და გაეცინა: – თავის სტიქიაშია, მაგრამ, მაინც მომიწევს დაძახება.

– მე თვითონ მოგიყვან, – უთხრა ირმამ და ამერიკელისკენ ირონიული ღიმილით წავიდა: – მისტერ ტომას, თქვენთან საქმე აქვთ, – ქალმა ხელით ანიშნა რეზოსკენ.

ტომასმა მომხიბლავი ღიმილით მოუხადა ქალბატონებს ბოდიში, დაემშვიდობა და რეზოსკენ გაემართა, თან ხუმრობით საყვედურიც მიაყოლა:

– ის არ გეყო, რომ მთელი საღამო გვერდზე არ გამახედე და ყურები გამომიჭედე ლაპარაკით, ახლა გაარშიყებასაც აღარ მაცლი?

– ტომას, ჩემი აზრით, უკვე წასვლის დროა. ჩვენ ახლა ჯერ ირმას მივაცილებთ სახლამდე, მერე კი შენ მიგიყვან სასტუმროში.

ამ სიტყვების გაგონებაზე ირმა უსიამოვნოდ შეიშმუშნა, მაგრამ, არაფერი თქვა.

– რეზო, მენდობი? – ჰკითხა უცბად ტომასმა.

– გააჩნია, რაში, – უპასუხა რეზომ ღიმილით.

– მაშინ, მოდი, ასე მოვიქცეთ: მე ჯერ არ დავღლილვარ, თან, მთლიანად გამოვფხიზლდი და ძალიან მინდა, ქალაქში ფეხით გავისეირნო. თუკი მანდობ, მე გავაცილებ ირმას, შენ კი ძალიან მოგეკიდა სასმელი და სახლში წადი, დილამდე გამოიძინე.

რეზო უცებ ჩასწვდა ტომასის ჩანაფიქრს, გაუკვირდა ამ უცხო ადამიანის ასეთი მიხვედრილობა და კაცური თანადგომა და გულში მადლიერება იგრძნო, მაგრამ, მაშინვე მაინც არ დაეთანხმა:

– ჯერ ერთი, არ ვიცი, უნდა თუ არა ეს ირმას, თანაც, არ მინდა, რომ ღამით მარტომ იარო – რა ვიცი, ვინმე არანორმალურს არ გადაეყარო.

– ირმას ისე გავართობ, ნამდვილად არ ინანებს; რაც შეეხება მარტო სიარულს, არ მომიწევს – ირმას სახლთანვე გავაჩერებ ტაქსის და სასტუმრომდე ის მიმიყვანს, – დაამშვიდა ტომასმა, – ირმა, ხომ მომცემთ უფლებას, მე მიგაცილოთ სახლამდე?

ირმას სხვა გზა არ ჰქონდა, უკმაყოფილო სახით დაეთანხმა და რეზოს მკაცრად გახედა, თუმცა, უცხო კაცთან მაინც არ იკადრა სცენების მოწყობა, მხოლოდ ორი სიტყვა მიუგდო საყვარელს – იცოდე, გელოდებიო, – და გასასვლელისკენ გაემართა.

ხალხი უკვე იშლებოდა. ტომასი ყველას დაემშვიდობა და ირმა შენობიდან გაიყვანა.

***

მიას ნელა მიჰყავდა მანქანა და თან სახეზე აკვირდებოდა დაქალს, რომელიც აჩქარებით სუნთქავდა და ხმას არ იღებდა.

– ცუდად ხომ არ ხარ? – ჰკითხა შეშინებულმა.

– პირიქით, ასე კარგად დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, – გაეცინა ნათიას, – მგონი, გამოვაფხიზლე ჩემი ქმარი, მაგრამ, ჯერ სად არის, ჯერ კიდევ არ იცის, რა ელის, – თქვა აღგზნებით და უცბად ნერვიული სიცილი აუტყდა. მერე ცოტა დამშვიდდა და მიას ძალიან სერიოზულად ჰკითხა: – აბა, როგორი ვიყავი? ოღონდ, არ მომატყუო, მართალი მითხარი, მე ძალიან მჭირდება სიმართლე.

– სუპერ, სუპერქალი იყავი! მეც კი ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ გამოგივიდოდა! – აღფრთოვანებით შესძახა მიამ.

– შენ რა ქენი, მთელი საღამო გადაიღე?

– არა, მხოლოდ ის ეპიზოდები, რომლებიც შენ და რეზოს გეხებათ, – გაეცინა მიას, – შენ არ იცი, რა მაქვს ჩაფიქრებული.

– რა? – შეეშინდა ნათიას.

– რა და, მე ამ მასალას ამაღამვე დავამუშავებ, დავამონტაჟებ, მერე ფლეშკაზე გადავწერ და შენს პატივცემულ მეუღლეს მივართმევ საჩუქრად.

– რის აღსანიშნავად?

– თქვენი ქორწინების ათი წლისთავის აღსანიშნავად. ვითომ მე არაფერი ვიცი თქვენი უსიამოვნების შესახებ და ძალიან ბუნებრივი გამოვა.

– რა ვიცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, – ცოტა ხნის ორჭოფობის შემდეგ დაეთანხმა ნათია და ამასობაში სახლსაც მიადგნენ.

– მე არ ამოვალ, დღეს აღარ ვარ საჭირო. აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი და უკან არაფერზე დაიხიო, – გაამხნევა მიამ სადარბაზოს კართან მისული დაქალი და მანქანა ადგილიდან დაძრა.

ნათიამ სასწრაფოდ აირბინა კიბეები. ბინაში შევიდა თუ არა, მაშინვე შხაპი მიიღო, ოღონდ ისე, რომ მაკიაჟი არ წაშლოდა. მერე თავისი ყველაზე სექსუალური ღამის პიჟამა ჩაიცვა და ზემოდან აბრეშუმის ხალათი მოიცვა. ამ ყველაფერმა ცოტა მოთენთა და ძილი მოჰგვარა, მაგრამ, ახლა არაფრით არ შეიძლებოდა დაძინება; ამიტომ, სასწრაფოდ მოიდუღა მაგარი ყავა, ბარიდან კონიაკი გამოიღო, სიგარეტიც მოიმარაგა და სავარძელში მოკალათდა.

ზუსტად არ იცოდა, მოვიდოდა თუ არა რეზო, რადგან, ჩანთა თავისი ნივთებით დილასვე ჩადო მანქანაში, მაგრამ, გული უგრძნობდა, რომ მათი ათწლიანი ცოლქმრობა „ტანგოთი" არ უნდა დამთავრებულიყო. ძალიან არ უნდოდა, რომ ასე მომხდარიყო, რადგან, როლში შეჭრილს, კიდევ ერთი „პენალტის" დარტყმა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ქმრის მოლოდინში თითქმის ნახევარი ბოთლი კონიაკის დალევა და რამდენიმე ღერი სიგარეტის მოწევა მოასწრო. სასმელი საკმაოდ მოეკიდა და, მეორე ფინჯანი ყავის მიუხედავად, მაინც ჩათვლიმა, მაგრამ, უცებ კარის გაღების ხმა გაიგონა და შიშისგან კინაღამ გული გაუსკდა.

– ვინ არის? – იყვირა და სავარძლიდან წამოხტა, მაგრამ, დაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა.

– მე ვარ, ნუ გეშინია, – ხელი შეაშველა ოთახში შემოსულმა რეზომ, – კარი ღია დაგრჩენია.

– რატომ მოხვედი? – ქალი ცდილობდა, გულგრილი ტონი შეენარჩუნებინა, თუმცა, აშკარად არ გამოსდიოდა.

– რაღაც დამრჩა, – უაზროდ უპასუხა რეზომ, ცოლი ისევ სავარძელში ჩასვა და გაკვირვებულმა ჰკითხა: – შენ რა, სახლშიც დალიე?

– უფრო სწორად? – კითხვაზე პასუხი არ გაუცია, ისე ჩაეკითხა ქალი და დააზუსტა, – ანუ, რატომ დაბრუნდი?

– კარგი, სიმართლეს გეტყვი – დასამშვიდობებლად მოვედი. მაპატიე, ასე რომ გამოვიდა.

– უკვე გაპატიე, – ნათიამ სიგარეტს მოუკიდა და რგოლები ჭერისკენ გაუშვა.

– ბავშვს რას ეტყვი?

– რამეს მოვიფიქრებ, ნუ ნერვიულობ.

– ჰო, შენი იმედი მაქვს, – რეზო უხერხული ნაბიჯით გაემართა კარისკენ, მერე ნათიასკენ მობრუნდა და ჩუმი ხმით ჰკითხა: – კარამდე არ გამაცილებ?

– აუცილებლად დღეს უნდა წახვიდე? – წამოსცდა ნათიას და მაშინვე ენაზე იკბინა, რადგან, გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ეთხოვა დარჩენა – არ უნდოდა, საცოდავ, მიტოვებულ ცოლს დამსგავსებოდა, რომელიც მოღალატე ქმარს კალთებს აგლეჯს, არ დამტოვოო.

– ჰო, უნდა წავიდე... თავს გაუფრთხილდი, – ჩაილაპარაკა რეზომ და კარი გამოაღო.

– ნახვამდის, – თქვა ნათიამ და დაბნეულობისგან ხელი გაუწოდა, თითქოს სტუმარს ემშვიდობებოდა.

რეზომ მექანიკურად ჩამოართვა ხელი და ლოყაზე კოცნა დაუპირა, მაგრამ, როგორც კი შეეხო, ნათიამ მის ტუჩებს ტუჩები შეაგება და გაგიჟებულმა დაუწყო კოცნა.

– კარგი, დაწყნარდი, გთხოვ, – ეუბნებოდა რეზო და საკმაოდ უძლურად ცდილობდა, მოეშორებინა კისერზე შემოჭდობილი ცოლის ხელები, მაგრამ, უნებურად, თვითონაც კოცნითვე პასუხობდა და ველარ შორდებოდა.

– არა, გთხოვ, უკანასკნელი თხოვნა მაქვს შენთან, – ნიავივით ჩუმად ჩასჩურჩულა ქმარს სასმლით და ვნებით მთვრალმა ნათიამ, – ეს ერთი ღამეც გაატარე ჩემთან, უკანასკნელი ღამე... ხანდახან მაინც რომ გაგახსენდე ხოლმე... აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავით ერთად... გთხოვ, ხვალ დილითვე წადი, ოღონდ ამაღამ ჩემთან დარჩი... ეს შენი გამოსათხოვარი საჩუქარი იქნება – დღეს ხომ ჩვენი იუბილეა... ბავშვს გეფიცები, ოდესმე კიდევ თუ გთხოვო ჩემთან დარჩენა...

ამ ხვევნა-კოცნაში, ნათიას მცდელობით თუ თავისთავად, პიჟამაზე შემოცმული აბრეშუმის ხალათი მხრებიდან ჩამოუცურდა და რეზომ თავის წინ მდგარი ცოლი დაინა-



ხა – გამჭვირვალე პიჟამით, თითქმის მთლიანად შიშველი, აწეწილი თმითა და ვნებისგან მიბნედილი თვალებით და... ვეღარ გაუძლო – ჯერ იქვე, ღია კარის წინ დაუკოცნა მთელი სახე, ყელი და მკერდი, მერე ხელში აიტაცა და, ისე ფრთხილად გაიყვანა საწოლ ოთახში, თითქოს ფაიფურის თოჯინა ეჭირა და გატეხის ეშინოდა; მერე ნელა დააწვინა საწოლზე და თვითონაც სასწრაფოდ გაიხადა ტანისაცმელი.

... რეზომ ვერ გაიგო, როგორ დაათენდათ თავზე. ასეთი ღამე არასდროს ჰქონია; ცხოვრებაში არც ერთ ქალთან არ განუცდია ასეთი ბედნიერება, მათ შორის, არც თვითონ ნათიასთან, მაშინაც კი, როცა სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი. მაშინ თვითონ იყო ხოლმე რეჟისორიც და დირიჟორიც, ახლა კი საზღვარი არ ჰქონდა ნათიას ვნებასა და ფანტაზიას და ისიც მთლიანად აჰყვა და დაემორჩილა.

მზე უკვე ამოსული იყო, როცა ჩათვლიმა. არ ახსოვს, რამდენ ხანს ეძინა, მაგრამ, თვალი რომ გაახილა, ნათია საწოლში აღარ დახვდა. სამზარეულოში გავიდა, რომ ცივი წყალი დაელია. გულში ფიქრობდა, სამზარეულოში შესულს, ცოლი ისევ კისერზე ჩამოეკიდებოდა, ალერსით დაახრჩობდა და ამისთვის შეემზადა კიდეც, მაგრამ, ისეთი სურათი დახვდა, გაოცებისგან ხმა ვეღარ ამოიღო: ჩაცმულ-დახურული და წასასვლელად გამზადებული ნათია სერიოზული სახით იჯდა მაგიდასთან და ყავას სვამდა – წუხანდელი ვნების ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა.

– ადექი? – მშვიდად შეხედა ქმარს, – ყავა თუ გინდა, თვითონ მოიდუღე და დალიე, მე სამსახურში მეჩქარება. თუ კიდევ რამე გაქვს წასაღები, ახლავე წაიღე, რომ მერე ყოველდღე არ ირბინო წინ და უკან. კარგს იზამ, გასაღებსაც თუ დატოვებ – აღარ დაგჭირდება. ბავშვის ნახვა როცა მოგინდება, დამირეკავ და ისე მოხვალ.

– ნათია... მე გადავიფიქრე, არსად აღარ მივდივარ, შენთან მინდა დარჩენა...

– მე რომ აღარ მინდა?! – უპასუხა ნათიამ და გაიცინა.

– ახლა მივხვდი, რომ შენ მიყვარხარ, – განაგრძო რეზომ, თუმცა, ნათიას მოკლე და ირონიულმა პასუხმა ძალიან გააკვირვა, რადგან, ვერ წარმოიდგენდა, ნათიასგან ოდესმე ამას თუ გაიგონებდა.

– მეც ახლა მივხვდი, რომ აღარ მიყვარხარ, – უკვე სერიოზულად უთხრა ცოლმა, – უფრო სწორად, წელან, ყავას რომ ვადუღებდი, მაშინ.

– აღარ გიყვარვარ?! – გაოცებისგან ძლივს ამოიხრიალა რეზომ, – აბა, ის რა იყო?

– რა – „ის"? – ვითომ ვერ მიხვდა ქალი.

– ის ყველაფერი, წუ... წუხელ, – ენა დაება რეზოს.

– ის ყველაფერი იყო მამაკაცს მონატრებული ნასვამი ქალის მოზღვავებული ვნებათაღელვა, პლუს, უარყოფილი და დამცირებული ცოლის სურვილი, დაუმტკიცოს მოღალატე ქმარს, რომ ის ასეთი ცოლის ღირსი არ არის, – ფიზიკის რომელიღაც კანონივით ჩამოურაკრაკა ნათიამ და ნიშნისმოგებით გაუღიმა.

– და შენ ეს შესანიშნავად გამოგივიდა, მაგრამ, მაინც გთხოვ, მაპატიე. გემუდარები, დავივიწყოთ, რაც იყო და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. შენ მეტი არც ერთი ქალი არ მინდა. თან, წუხელ მივხვდი, რომ შენც ისევ გიყვარვარ, თანაც, უფრო მეტად.

– მოგჩვენებია. ეს მხოლოდ სექსი იყო, მეტი არაფერი, – ნათია მაინც ანერვიულდა და სიგარეტს მოუკიდა.

– დავრჩები, გთხოვ, – რეზო მზად იყო, ყველანაირად დაემცირებინა თავი, ოღონდ კი გამეხებული ცოლის გული მოეგო. რატომღაც, ეგონა, რომ ნათია ქალურად ჭირვეულობდა და ბოლოს მაინც შეურიგდებოდა, მაგრამ, მისდა გასაკვირად, ასე არ მოხდა.

– მერე, ირმა?! – დასცინა ცოლმა.

– გადაიტანს როგორმე. მე შენ მინდიხარ.

– მე რომ არ მინდიხარ?! შენ წარმოიდგინე, შენი დანახვაც კი აღარ მინდა. კარგად იყავი და, რაც უფრო იშვიათად დამენახვები, მით უფრო უკეთესი იქნება, – ნათია წამოდგა, ჩანთა და ქურთუკი აიღო და ისე გავიდა ბინიდან, უკან აღარ მოუხედავს.

რეზო კარგა ხანს ვერ გამოერკვა გაოგნებისგან – ვერასდროს წარმოიდგენდა იმას, რაც მოხდა. იმასაც მიხვდა, რომ ნათიას მართლა აღარ უყვარდა და აღარ უნდოდა მასთან ცხოვრება – ეს, რომ იტყვიან, კანითაც იგრძნო და მის თვალებშიც ამოიკითხა. უცებ ტომასის სიტყვები გაახსენდა: თუ გინდა, რომ გაიგო, რას ფიქრობს ადამიანი, თვალებში უნდა ჩახედო და კარგად დააკვირდეო. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გარშემო უმწეოდ მიიხედ-მოიხედა და იგრძნო – უცბად ისეთი უცხო გახდა ბინა, რომელშიც ათი წელი გაატარა ცოლშვილთან ერთად, რომ, უხერხულად შეიშმუშნა, თითქოს სხვის ბინაში შემოვიდა ჩუმად და ახლა ეშინოდა, მოულოდნელად სახლის პატრონი არ დასდგომოდა თავზე. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე მომენტალურად გამოფხიზლდა, თითქმის სირბილით გავიდა საწოლ ოთახში, ჩაიცვა და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

მანქანა სადარბაზოს გვერდით ჰყავდა გაჩერებული. ჩაჯდა და სამსახურში წავიდა – ირმას დანახვაც არ შეეძლო. მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, როგორ შემოერიგებინა ცოლი, ვისთვის ეთხოვა ამ საქმეში დახმარება.

„მია! – გაახსენდა უცებ, – მია თუ მიშველის! ისიც იყო წუხელ წვეულებაზე, თანაც, ნათიას დაქალებიდან მია უფრო აქტიური ტიპია!" – ამ ფიქრმა ოდნავ დაამშვიდა. მანქანა ავტოსადგომზე დააყენა და ოფისში შევიდა. ის იყო, თავის ოთახს მიუახლოვდა, რომ მია დაინახა. ისე გაუხარდა, რომ ეცა და გადაეხვია.

– რა გჭირს? – გაეცინა მიას.

– შენზე ვფიქრობდი და გამიხარდა, აქ რომ დამხვდი.

– ჰო, საიუბილეო საჩუქარი მოგიტანე, – უთხრა მიამ და „ფლეშკა" გადასცა.

– ეს რა არის? – გაუკვირდა რეზოს.

– სახლში რომ მიხვალ, ჩართე და ნახავ.

– რომელ სახლში? ნათიამ, პრაქტიკულად, სახლიდან გამაგდო.

– რა?! – ყურებს არ დაუჯერა მიამ, – ნათიამ გაგაგდო თუ შენ აპირებდი წასვლას?!

– ვაპირებდი, თუმცა, ამ დილას გადავიფიქრე და ნათიას ვუთხარი, შენ მეტი არავინ მინდა, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ-მეთქი, მაგრამ, მიპასუხა, აღარ მიყვარხარ, შენი დანახვაც აღარ მინდა და სულ კარგად ბრძანდებოდეო.

– აღარ მიყვარხარო?! – კიდევ უფრო გაუკვირდა მიას, – ჯერ კიდევ გუშინ ტიროდა ჩემთან ცხარე ცრემლით, ოღონდ არ მიმატოვოს და ყველაფერზე თვალს დავხუჭავო.

– ეგ გუშინ იყო, ახლა კი მართლა აღარ ვუყვარვარ, შევატყვე. მაგრამ, გული მიგრძნობს, შეიძლება, რომ ისევ შევუყვარდე, ოღონდ, ამაში შენ უნდა დამეხმარო. მხოლოდ შენი სჯერა, მხოლოდ შენ მოგისმენს. გთხოვ...

– მე? მე რა შემიძლია? – მიას გული აუჩუყა რეზოს სიტყვებმა, რადგან, იგრძნო, რომ იმ მომენტში ის აბსოლუტურად გულწრფელი იყო; ამიტომ, უცბად დაავიწყდა, რა ტკივილიც მიაყენა ამ კაცმა მის უახლოეს მეგობარს სულ ცოტა ხნის წინ და, ლამის თვალებზე ცრემლმომდგარმა უპასუხა: – კარგი, დაველაპარაკები. არ ვიცი, რა გამომივა, მაგრამ, შევეცდები, დაგეხმარო; თუმცა, რომ არ გითხრა, არ შემიძლია: ტრაკის თამაშისთვის თავი რომ დაგენებებინა და დაგეფასებინა ის ბედნიერება, რაც ღმერთმა გარგუნა, ახლა საქვეითინოდ არ გაგიხდებოდა საქმე.

– მართალი ხარ. ყველაფერი მიწოდე, რაც გინდა, ოღონდ დამეხმარე, – მორჩილად უპასუხა რეზომ და საერთოდ არ სწყენია მიას საკმაოდ უზრდელი სიტყვები, რადგან, ჯერ ერთი, მიჩვეული იყო მისგან მსუბუქ ხულიგნურ ფრაზებს და, თანაც, გულში აღიარა, რომ ყველანაირი ლანძღვის ღირსი იყო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# როგორ ხდება ერთი ადამიანის მიერ მეორის სასიცოცხლო ენერგიით დამუხტვა

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ავადმყოფობა მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი თავის ენერგიას არასწორად ხარჯავს, არ ითვალისწინებს ასტროლოგიურ კანონებს და ყველაფერს ბედს ანდობს. მოკლედ, ბევრს აწუხებს კითხვა: საიდან ჩნდება ესა თუ ის დაავადება, რატომ იჩენს ის თავს და, ზოგადად, რისი შედეგი შეიძლება იყოს ეს? ყველა დაავადება ბიოველის დაზიანებით იწყება, შემდეგ ეს გადადის ასტრალურ სხეულზე, შედის ფიზიკურ სხეულში და ფიქსირდება როგორც დაავადება. ენერგიის სწორი ხარჯვა კი სწორი ცხოვრების წესია და ეს ყველამ კარგად უნდა შევიგნოთ. ასე რომ, ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორად დახარჯული ენერგია.

ჩვენ, ადამიანები, უზარმაზარ ენერგიას ვფლობთ, რომლის ხარჯვასაც, ძირითადად, ვერ ვახერხებთ. მოჭარბებული ენერგია კი, თუ გამოსავალი ვერ ნახა, ერთ ადგილას გროვდება და ბრძოლას იწყებს. ყველანაირი დაავადება სამ კატეგორიად იყოფა: პირველი კატეგორიაა შთაგონება ზემოდან, ანუ, როცა ადამიანი იღებს გამოგზავნილ სასჯელსა და განსაცდელს, რომელმაც მას მძიმე დანაშაული უნდა აარიდოს. დღეს ასეთი დაავადებით ხშირად ინფიცირდებიან არა მხოლოდ დიდები, არამედ, მოზარდებიც. ასეთი დაავადება არა მარტო გარშემო მყოფებს აშორებს საფრთხეს, არამედ, თავად ადამიანსაც იცავს უარესისგან; მეორე კატეგორიაში შედის ისეთი დაავადებები, რომლებიც ჩვენი სულის თვისებების პროვოცირებას ახდენს. ესაა მემკვიდრეობით მიღებული დაავადებები. აქვე გეტყვით, რომ დაუკმაყოფილებელი სურვილი ყოველთვის გზავნის ტვინში დამახინჯებულ და ავადმყოფურ სიგნალებს, რასაც ადამიანის ორგანიზმი განადგურებამდე მიჰყავს. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, შედეგი იქნება ნევროზი, რომელიც შემდეგ დეპრესიითა და ფიზიოლოგიური დაავადებებით მთავრდება; მესამე კატეგორიის დაავადებები, მაგალითად, ასთმა, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ალერგია და სხვა, ადამიანს უჩნდება გაორების დროს, როცა ერთ მხარესაა პრინციპები, რომლებიც არცთუ ისე მტკიცეა, მეორე მხარეს კი – ამ პრინციპებისადმი წინააღმდეგობების გაწევის სურვილი, რომლის დაკმაყოფილებაც გვინდა, მაგრამ, არ გამოგვდის. ამ სამივე დაავადების მთავარი და საწყისი მიზეზი მაინც კოსმოსიდან მომდინარე და ჩვენს ორგანიზმში დაგროვილი მოჭარბებული ენერგიის არასწორი ხარჯვაა.

ენერგიის არასწორმა გაცვლა-გამოცვლამ, ასევე, შეიძლება, ოჯახის დანგრევამდე მიგვიყვანოს. მუდმივი ჩხუბისა და დავიდარაბის გამო ბევრი ცოლ-ქმარი იტანჯება. კონფლიქტის მიზეზი ბევრჯერ ელემენტარულია, მაგრამ, მათ არ იციან ერთმანეთში ენერგიის გაცვლის მეთოდი. მაგალითად, ნორმალური ადამიანი დადებით ენერგიას ასხივებს, აგრესიული კი ამას ვერ ახერხებს, რის გამოც თავადვე იტანჯება და ავადმყოფურად განიცდის. ენერგია ორგანიზმიდან მუდმივად უნდა გაედინებოდეს. თუ ასე არ ხდება და ორგანიზმი მოჭარბებულ ენერგიას შეიკავებს, ასეთ შემთხვევაში, ის აუცილებლად შეაწუხებს და დისკომფორტს შეუქმნის ადამიანს.

თუ გრძნობთ, რომ მოჭარბებული ენერგიის დახარჯვას ვერ ახერხებთ, გირჩევთ, სანამ ის ფიზიკურ დაავადებაში გადავა, ბევრი დრო დაყოთ ბუნებაში, ხეებს შორის, იაროთ ბალახზე ფეხშიშველმა და, უბრალოდ, ღრმად ისუნთქოთ სუფთა ჰაერი.

სასიცოცხლო ძალების პერიოდულად აღდგენა აუცილებელია და ის ადამიანს შრომის უნარსა და სიცოცხლის ხალისს უორმაგებს. სასიცოცხლო ძალები რომ აღიდგინოთ და შეივსოთ, ამისთვის ყველაზე კარგია ვარჯიში, აგრეთვე, იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომლებიც დადებითი, სასიამოვნო ემოციებით გავსებენ. ამისთვის ხანდახან განმარტოებაც კარგია. ყოველივე ამის ხარჯზე კი თქვენ შეძლებთ, ადვილად დაიცვათ თავი ენერგოვამპირის შემოტევისგან, აღიდგინოთ დახარჯული ენერგია, გახდეთ მეტად მშვიდი, ენერგიული და შრომისუნარიანი, ეს კი, დამეთანხმებით, ყველას გვჭირდება.

# როდის ჯობია ხილისა და ბოსტნეულის ზამთრისთვის შენახვა და როდის უნდა შეიკავოთ თავი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან

*სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგიის ცოდნა და მთვარის ფაზებთან დაკავშირებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება გვეხმარება, სწორად დავგეგმოთ და წინასწარ განვსაზღვროთ, რომელ დღეს რა სახის სამუშაოს ჩატარებაა უფრო შედეგიანი. ჩვენი წინაპრები სწორედ მთვარის ფაზების მიხედვით ადგენდნენ, როდის მოეხნათ მიწა, დაეთესათ მცენარეები, დაერგოთ ხეები, აელოთ და დაებინავებინათ მოსავალი – და გაეკეთებინათ ზამთრის მარაგი.*

*გთავაზობთ სექტემბრის თვის პროგნოზს, თუ რომელ დღეს არის კარგი მსგავსი სამუშაოების ჩატარება.*

**8 სექტემბერი** – მოერიდეთ მიწათმოქმედებას, მცენარეების დარგვა-გადარგვას. კარგია მათი მორწყვა, კომპოტების, წვენებისა და მურაბების დამზადება.

**9 სექტემბერი** – ამ დღეს სავსემთვარეობაა, ამიტომ, მოერიდეთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

**11 სექტემბერი** – მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, მორწყვას, მიწის სასუქით განოყიერებას, ბალახის მოცელვას და ზამთრისთვის შენახვას; ასევე, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების დამზადებასა და მწნილის ჩადებას.

**13 სექტემბერი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ბალახის მოთიბვა ზამთრისთვის შესანახად; კომპოტებისა და მურაბების მოხუფვა და შენახვა.

**15 სექტემბერი** – კარგია მიწის სამუშაოების ჩატარება და ზამთრისთვის მარაგის შენახვა; ასევე, ხილის კრეფა და დაბინავება.

**19 სექტემბერი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხეების გადაბელვა, მიწის განაყოფიერება-გაფხვიერება.

**22 სექტემბერი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა და დაჩირვა, მურაბებისა და კომპოტების დამზადება.

**24 სექტემბერი** – ამ დღეს ახალმთვარეობაა, ამიტომ, კატეგორიულად იკრძალება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება, ხეების მოჭრა, გადაბელვა, მიწიდან ბოსტნეულის ამოღება; ასევე, მოერიდეთ ხილის კრეფას, კომპოტების, მურაბებისა და წვენების დამზადებას.

**27 სექტემბერი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის აღება და ზამთრისთვის შენახვა, თივის მოგროვება.

**28 სექტემბერი** – კარგია ზამთრისთვის პროდუქტების მოხუფვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის აღება-დაბინავება და მიწათმოქმედება.

**30 სექტემბერი** – კარგია ხილის მოკრეფადაბინავება, წვენების დამზადება, თივის შეგროვება. მოერიდეთ ხეების დარგვას.

# შეკითხვა ასტროლოგს

*კითხვა*: **ჩემი შვილი დაიბადა 1999 წლის 18 მაისს, დღის საათებში. თუ ელის მას წარმატებები ფეხბურთში და რომელი პროფესიაა მისთვის მეტად მისაღები?**

*პასუხი*: გეტყვით, რომ მისთვის სპორტი დიდი წარმატების მომტანი არ იქნება, თუმცა, არც ცუდია. შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის წყალობით, შესაძლოა, სპორტში წარმატებებს მიაღწიოს. პროფესიებიდან კი მისთვის კარგი და წარმატების მომტანია: რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ფიტოთერაპია, სუჯუკთერაპია, ჰომეოპათია, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტები, სადაზღვევო კომპანიები; მუშაობა კონტროლის პალატაში. აგრეთვე, წარმატებულია საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული საქმიანობა, საფინანსო სფერო.

*კითხვა*: **დავიბადე 1989 წლის 1 მაისს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები?**

*პასუხი*: უცხოეთი თქვენთვის არც კარგია და არც ცუდი, ანუ, საშუალოა. ქვეყნებიდან კი მისაღებია: ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

## ორშაბათი 8 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.30** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ტრ.) **23.00** მხ/ფ **"ცხოვრება, როგორც სახლი"** (კ.კლაინი) **01.10** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებლი"**. **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბედის ანაბრა"**. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა"** **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **7** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში-2"** **8-9** სერ. **00.00, 01.00** სერ. **"20 წუთი"** **02.00** სერ. **"სიყვარულის სეზონი"** **9** სერ. **03.40** მხ/ფ **"ჰკითხე მტვერს"** (ს.ჰაიეკი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" - დაწყება **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **22.00** გააცინე და მოიგე **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"მეტიჩარა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.05** მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **13.35** კონცერტი -ვენის სიმფონიური ორკესტრი **15.05** სალბუნი **15.25** სპექტაკლი - **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** **16.50** დ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"განაჩენი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** ცხრა კოლაელი ყრმა **22.25** დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ლიგურკე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბრწყინვალე გონება"** I ნაწ.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** ფარული კამერა **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **13.05, 14.05** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.05, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.10** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20, 2.10** **მინისერიალი "როუზ რედი"** **3** სერ. ნაწ.**1**.

## სამშაბათი 9 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.**ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "სიურეალისტური ფოტოგრაფია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** მხ/ფ **"მაკარტური"** (გ.პეკი) **00.05** მხ/ფ **"ს. დარკო"** **01.50** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებლი"**. **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბედის ანაბრა"**. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა"**. **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **8** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში-2"** **10-11** სერ. **00.00, 01.00** სერ. **"20 წუთი"** **02.00** სერ. **"სიყვარულის სეზონი"** **10** სერ. **03.40** მხ/ფ **"რიდიკის თავგადასავალი"** (ვ.დიზელი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი - დაწყება **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** სოციალური ცელი **00.30** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **07.35** მხ/ფ **"ბრწყინვალე გონება"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ლიგურკე" **11.10** დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" **11.35** პატერიკი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"განაჩენი"** **13.30** კონცერტი -ანს. **"მთიები"** **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ **"დები ბრონტეები"** **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.15** მოკ./ფ **"რა გაცინებს!"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** დ/ფ "შუშანიკის წამება" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბრწყინვალე გონება"** II ნაწ.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** ფარული კამერა **8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **13.05, 14.05** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.05, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **0.10 11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20, 2.10** **მინისერიალი "როუზ რედი"** **1**-სერ ნაწ.**1**, **1**-სერ ნაწ.**2**.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**8 – 14 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

12.10, 14.30 - **„თვითმფრინავები 2”** 3D (ქართულად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

17.20, 20.10, 22.30 - **„ცოდვების ქალაქი 2”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.15, 19.45 - **„კუ ნინძები”** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

22.30 - **„ვიდეო დიდებისთვის”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

*დარბაზი 4*

12.10, 17.15 - **„შეუჩერებელნი 3”**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;***

14.30, 20.00, 22.30 - **„ქარიშხალი”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 5*

12.00, 14.30 - **„ცოდვების ქალაქი 2”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

17.30, 20.05 - **„თვითმფრინავები 2”** 3D (ქართულად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

22.30 - **„შეუჩერებელნი 3”**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.30 - **„თვითმფრინავები 2”** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

20.00, 22.30 - **„ცოდვების ქალაქი 2”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00, 20.00 - **„კუ ნინძები”** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14.30, 22.30 - **„შეუჩერებელნი 3”**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;***

17.00 - **„ქარიშხალი”**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.30 - **„ცოდვების ქალაქი 2”** (რუსულად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

20.00, 22.30 - **„ცოდვების ქალაქი 2”** (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# დაბეგვილი ხორცი





**საჭირო ინგრედიენტები:** 500-700 გრამი საქონლის ან ღორის რბილი ხორცი, 2-3 ცალი ყვითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა, 300 გრამი ცოცხალი ან დაკონსერვებული სოკო (ცოცხალი უკეთესია), 150-170 გრამი მაგარი ყველი, 3-4 კბილი ნიორი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, 1-2 თავი ხახვი, 0,5 ლიმონის წვენი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით ბოჭკოს მიმართულებით, 8-10 მილიმეტრის სისქის ნაჭრებად და კარგად დაბეგვეთ. დაბეგვის შემდეგ ისინი 1 სანტიმეტრამდე უნდა გაიზარდოს (უკეთესია, საკვები ცელოფანი შემოახვიოთ). ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. ხორცის ნაჭრები მჭიდროდ მოათავსეთ ჭურჭელში, მოაყარეთ მარილი, პილპილი, ხახვი, მოასხით ნახევარი ლიმონის წვენი და გააჩერეთ ნახევარი საათი მაინც. მოაჭერით ბულგარულ წიწაკას „კუდი," ამოაცალეთ შიგთავსი და დაჭერით 5-6 მილიმეტრი სისქის რგოლებად. სოკო გაარჩიეთ, გარეცხეთ და მდუღარეში მოხარშეთ, მერე გადაწურეთ და ზეთში ოდნავ მოშუშეთ. ბოლოს დაჭერით და ცოტა ბულგარულ წიწაკასთან ერთად დააბლენდერეთ ან ხორცსაკეპში გაატარეთ. ხორცი ამოიღეთ მარინადიდან და დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე (ხახვი არ ამოაყოლოთ). ზემოდან დააწყვეთ ბულგარული წიწაკის რგოლები; თითოეული რგოლი ამოავსეთ სოკოს სატენით და ტაფა აირღუმელში მოათავსეთ 200 გრადუსზე. 50-60 წუთი იქნება საჭირო მის მოსამზადებლად. შეიძლება, 40 წუთიც საკმარისი აღმოჩნდეს.

შეგიძლიათ, თქვენს კერძს გახეხილი ყველიც მოაყაროთ – ძალიან უხდება, მართლაც საოცარი გემო აქვს.

* წინდები, კოლგოტი, „ტოპები" დაახვიეთ, როგორც ბურთულა. ჩააწყვეთ პატარა პაკეტებში და ისე მოათავსეთ ჩემოდანში.

# კარტოფილის რულეტი





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჩაის ჭიქა ფქვილი, 3 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 2 ცალი კვერცხი (1 ცალი – ცომში, 1 ცალი – ზემოდან წასასმელად), 500 გრამი ქათმის ფილე, 450 გრამი ქამა სოკო, 200 გრამი რბილი, მდნარი ყველი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, მარილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** შებრაწეთ ქამა სოკო ძალიან წვრილად დაჭრილ ხახვთან და დანაყილ ნიორთან ერთად. ფილე მოხარშეთ და დაჭერით ძალიან წვრილად, შეურიეთ სოკოს და დაუმატეთ მდნარი ყველი... კარტოფილი მოხარშეთ და გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, შეურიეთ კარგად გაცრილი ფქვილი, მარილი, კვერცხი და მოზილეთ ცომი, რომელიც თხლად უნდა გააბრტყელოთ პერგამენტზე. ამ ცომზე გაშალეთ ქათმისა და სოკოს სატენი და გადაახვიეთ რულეტივით, წყალში დასველებული ხელებით. ნაპირები შიგნით ჩაუკეცეთ.

რულეტი გადაიტანეთ ტაფაზე და ქვემოდან გაუფინეთ ცხიმწასმული გამოსაცხობი ქაღალდი. აცხვეთ 180 გრადუსზე 40 წუთის განმავლობაში. ძალიან მსუბუქია და გემრიელი, თან, ნაკლებად კალორიულიც, ჩვეულებრივ ცომიანი რულეტისგან განსხვავებით.





# მაკარონი იტალიურად

**საჭირო ინგრედიენტები:** 120 გრამი ყველი „პერმაზანი“ (ფხვიერი), 350 გრამი რბილი ყველი, 4 კბილი ნიორი, პატარა ხახვი, 70 მილილიტრი მაიონეზი ან სხვა ნებისმიერი სოუსი, 1 ცალი მოზრდილი ბადრიჯანი, 340 გრამი მაკარონი, 1/4 ჩაის ჭიქა ზეთი, 1 ქილა პომიდვრის კონსერვი (თავის წვენში ჩაწყობილი). მარილი, პილპილი, ნებისმიერი სუნელი.

**მომზადების წესი::** ბადრიჯანი დაჭერით მრგვლად, 12 ნაწილად (შეიძლება, მხოლოდ 9 გამოვიდეს), დანამეთ 3-5 სადილის კოვზი ზეთით, მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში (დაახლოებით 200 გრადუსზე), 7 წუთის განმავლობაში. სამი წუთის შემდეგ ბადრიჯნები სათითაოდ გადმოაბრუნეთ. სასურველია, გამოსაცხობ ტაფაზე წინასწარ ფოლგა გაშალოთ. ცალკე მოხარშეთ მაკარონი (უკეთესია, მილაკების ფორმის შეარჩიოთ).

ნიორი დააქუცმაცეთ და 3 წუთი შუშეთ 1 სადილის კოვზ სიმინდის ან ზეითუნის ზეთში. შეურიეთ ნებისმიერი სოუსი, დაუმატეთ 1 სადილის კოვზი ზეთი, ცოტა დაჭრილი ხახვი და შუშეთ კიდევ 2-3 წუთი. გახსენით, დააბლენდერეთ დაკონსერვებული პომიდორი (დაახლოებით 800 გრამი უნდა იყოს), შეურიეთ ცოტა მაიონეზი და დაასხით მოშუშულ ხახვსა და ნიორს. უყავით ცოტა მარილი და პილპილი, დაუმატეთ მშრალი ოხრახუში ან ნებისმიერი სუნელი და ადუღეთ ეს სოუსი 5 წუთი.

ცეცხლგამძლე შუშის ფორმაში ჩაასხით სოუსის ერთი მესამედი, ზემოდან მოათავსეთ მოხარშული მაკარონის ნახევარი, მოაყარეთ გახეხილი ყველის 1/3, ისევ მოასხით სოუსის მესამედი, ისევ მაკარონი და უკვე ბადრიჯანიც... მოასხით სოუსი, მოაყარეთ ყველი, მოათავსეთ თქვენი კერძი აირღუმელში ნახევარი საათით, 200 გრადუსზე და შესანიშნავი კერძი მზად არის.



# ბულგარული წიწაკის სალათა ანა ხანჩალიანისგან



*ზოგადად, მსუბუქი კვება მიყვარს და უპირატესობას ბოსტნეულისგან დამზადებულ კერძებს ვანიჭებ. მიმაჩნია, რომ ადამიანმა ჯანმრთელობა მსუბუქი კვების ხარჯზე, ახალგაზრდობიდანვე უნდა შეინარჩუნოს. გთავაზობთ ბულგარული წიწაკის სალათას, რომელიც ძალიან მიყვარს და, ამავდროულად, ძალიან გემრიელი და მსუბუქი საჭმელია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 მილილიტრი პომიდვრის წვენი, 100 გრამი მწვანე ბულგარული წიწაკა, 400 გრამი ახალი სტაფილო, 1 სადილის კოვზი ქინძის თესლი, 5 სადილის კოვზი წყალი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1,5 სადილის კოვზი თხელი თაფლი, 1 ცალი ყვითელი ბულგარული წიწაკა, 0,5 კონა მწვანე ხახვი, 1 კბილი ნიორი, 4 ღერი ქინძი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** პომიდვრის წვენი ქვაბში წამოადუღეთ, შეურიეთ დაჭრილი მწვანე ბულგარული წიწაკა, ტილოამოკრული სახურავი დააფარეთ და თბილად დადგით, დაახლოებით 35 წუთის განმავლობაში. ამასობაში სტაფილო გრძელ ჩხირებად დაჭერით, ქინძის თესლი კი დაფქვით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დაუმატეთ სტაფილო და მოშუშეთ. ერთმანეთში შეურიეთ ქინძის თესლი, მარილი და წიწაკა, დაასხით 5 სადილის კოვზი წყალი, დაუმატეთ სტაფილოს და თავდახურული შუშეთ 7-8 წუთი. დაუმატეთ თაფლი, სახურავი მოხადეთ და 1-2 წუთში გადმოდგით ცეცხლიდან. ყვითელი ბულგარული წიწაკა სიგრძეზე გაჭერით, ამოაცალეთ თესლი და ნახევარმთვარეებად დაჭერით. დაჭერით მწვანე ხახვი და ქინძი, ნიორი დანაყეთ და ყველაფერი ერთად მოათავსეთ თასში, ეს ყველაფერი შეურიეთ მოშუშულ ბოსტნეულს და ბოლოს დაუმატეთ მარილი, წიწაკა და ზეთი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სტაფილოსა და კიტრის სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი კიტრი, 1 ცალი მსხვილი სტაფილო, 1 სადილის კოვზი სეზამის მარცვლები, 1 სადილის კოვზი სეზამის ზეთი, 1 სადილის კოვზი ბრინჯის ძმარი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბოსტნეული კარგად გარეცხეთ. სეზამის მარცვლები გახურებულ ტაფაზე მოხალეთ და შეურიეთ ზეთი, ძმარი და მარილი. სტაფილო და კიტრი ბოსტნეულის საფცქვნელით ან სახეხის მსხვილი პირით თხელ, მოგრძო ფენებად დათალეთ და მოათავსეთ სასალათეში. მოასხით სოუსი და მოაყარეთ სეზამის მარცვლები.



# მოშუშული ბოსტნეული



**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი კიტრი, 1 კბილი ნიორი, ნახევარი ლიმონი, 150 გრამი იოგურტი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 თავი ხახვი, 250 გრამი პეკინური კომბოსტო, 1 სადილის კოვზი სხვადასხვა სანელებლების ნაკრები (გემოვნების მიხედვით), მარილი, პილპილი და დაფქული წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კიტრი გაფცქვენით, სიგრძეზე გაჭერით, თესლი ამოაცალეთ და მსხვილად გახეხეთ ან ძალიან თხელ, მოგრძო ნაჭრებად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და 15 წუთით დატოვეთ. ნიორი წვრილად დაკეპეთ, ლიმონი გამოწურეთ, შეურიეთ იოგურტი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, დაფქული წიწაკა და მარილი. კიტრი გაწურეთ და შეურიეთ დანარჩენ ინგრედიენტებს. ხახვი გაფცქვენით. წიწაკას ამოაცალეთ თესლი. პეკინური კომბოსტო და გარჩეული ბოსტნეული თხლად დაჭერით. წიწაკა და სტაფილო დარჩენილ ზეთში 3-4 წუთი შუშეთ. დაუმატეთ ჯერ კომბოსტო, ხოლო ორ წუთში – ხახვი და წვრილად დაჭრილი ნიორი. მოაყარეთ სანელებელი, მარილი, პილპილი და მოასხით იოგურტის სოუსი დარჩენილ ლიმონის წვენთან ერთად.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



„კაქტუსების ჰარმონია“ – ეს კაქტუსები ძალიან ლამაზია და ის უპირატესობა აქვს, რომ მოვლა აღარ სჭირდება. თან, თქვენს შვილთან ერთად მშვენივრად გაერთობით. ნებისმიერი ფორმის ქოთანი გამოგადგებათ, მთავარია, ფართოპირიანი იყოს. შემდეგ მოაგროვეთ ბრტყელი, სხვადასხვა ფორმის ქვები. დაგჭირდებათ კენჭებიც, ქოთნის შესავსებად. ქვები შეღებეთ სხვადასხვა ტონალობის მწვანედ და დაახატეთ თეთრი საღებავით ფიფქები, როგორც კაქტუსის ეკლები. ქოთანი შეავსეთ მიწით, კენჭებით და ნიჟარებით. ჩაალაგეთ მასში ქვის კაქტუსები. საკმაოდ ორიგინალური სამშვენისია.

## ლარნაკი მშრალი დეკორისთვის – მშრალი ხილისა და ძაფებისთვის

დაგჭირდებათ სილიკონის „შპრიცი“, პულვიზატორიანი ოქროსფერი საღებავი.

ჩვეულებრივ ჯამს ამოაბრუნებთ და სამზარეულოს ცელოფნით უკანა მხარეს შეფუთავთ. შემდეგ მის გარშემო, სილიკონის უსწორმასწორო ზოლებით დაწნავთ ბადეს და დატოვებთ სრულ გაშრობა-გამაგრებამდე. შემდეგ მოაშორებთ მას ჯამს და შეღებავთ ოქროსფრად. დადებთ ქაღალდზე და გააშრობთ. ეს ორიგინალური ლარნაკი ძალიან გამოგადგებათ.



* კრემისთვის, პარფიუმერიისა და შამპუნებისთვის იყიდეთ სპეციალური, პატარა ჩანთა ან ფუტლარი. შეეცადეთ, კოსმეტიკა და სამკაული ერთად არასოდეს იდოს, არც ჩანთაში და არც უჯრაში.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 10 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.30** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** მხ/ფ **"ცხოვრება ისეთი, როგორიც არის" 00.00** მხ/ფ **"უძღები შვილი" 01.50** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი". 09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა" 14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 9** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში—2" 00.00, 01.00** სერ. **"20 წუთი" 02.00** სერ. **"სიყვარულის სეზონი" 03.40** მხ/ფ **"მიყვარხარ" ფილიპ მორის"** (ჯ.ქერი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარა-დაი" 22.00** გააცინე და მოიგე **23.30** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **00.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 01.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"ბრწყინვალე გონება"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** "ცოდნა და რწმენა" - შუშანიკის წამება (ლიტერატურული თეატრი) **13.45** კონცერტი - ანს. **"რუსთავი" 14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ **"ბელურების გადაფრენა" 16.25** დეკორატიული ფლორა **16.35** დიდ ხარ შენ, უფალო **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"გაზაფხული გადის" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თვენი" - წმინდა დიდმოწამე შუშანიკ დედოფალი **23.40** ჩვენი ფონდი - მამა ზურაბი - წმინდა დიდმოწამე შუშანიკი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** I ნაწ.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.15** ფარული კამერა **8.35** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **0.10** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20, 2.10 მინისერიალი "საუკუნის შტორმი"** სერ.**2** ნაწ.**1**, სერ.**2** ნაწ.**2**.

## ხუთშაბათი 11 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.30** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "ფოტოხელოვნება" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** მხ/ფ **"უდანაშაულობის პრეზუმფცია"** (ჰ.ფორდი) **01.10** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი". 09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა" 14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55**სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში—2" 00.00, 01.00** სერ. **"20 წუთი" 02.00** სერ. **"სიყვარულის სეზონი" 03.40** მხ/ფ **"კაცების გარეშე"** (ე.ლონგორია).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარადაი" 22.00** გააცინე და მოიგე **23.30** ექიმები **00.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 01.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ"საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.35** მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"გაზაფხული გადის" 13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი -"ბრავო, მაესტრო" გიზი ამირეჯიბი **15.05** სალბუნი **15.20** მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე" 17.00** დ/ფ "ვარძია" **17.25** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"ნისლა" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** " თვენი" წმინდა იოანე ნათლისმცემელის თავის კვეთა **21.45** კვირიაკეს სიუჟეტი - იოანე ნათლისმცემლის მონასტერი **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ (ნანა ბურჭულაძე) **23.30** კვირიაკეს სიუჟეტი - იოანეს ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** II ნაწ.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** ფარული კამერა **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **0.10** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20, 2.10 მინისერიალი "საუკუნის შტორმი"** სერ. **3** ნაწ.**1**, სერ. **3** ნაწ.**2**.

## პარასკევი 12 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" – **09.30** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ "**20**-იანი წლების ექსპერიმენტული ფოტოგრაფია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.00 ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი: **ზესტაფონი – სამტრედია** (პ/ტრ) შესვენებისას: "მოამბე" **22.00** მხ/ფ **"ბრიჯიტ ჯონსის დღიური"** (რ.ზელვეგერი) **23.50** "უცნობი მუსიკა" **01.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი". 09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. **"სილა". 14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში — 2" 00.00, 01.00** სერ. **"20 წუთი" 02.00** მხ/ფ **"პროფესიონალი მკვლელი"** (ჯ.სტეტჰემი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00,**

15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**კარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ქერის უბანი დაწყება 22.30 ვანოს შოუ - დაწყება 00.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.30 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**ელენე, ტროას დედოფალი**" II ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "დრო და ტრადიციები" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ "**ნისლა**" 13.30 კონცერტი - "ისევ ის ბაღი" შოთა მილორავა 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "**დიდი ქალაქის ჩირაღდნები**" 16.25 დეკორატიული ფლორა 16.40 დიდ ხარ შენ, უფალო 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გურული ფირალები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**რომაული არდადეგები**".

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.05, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრია-ნი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.10 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 **მინისერიალი "დაცემული"** სერ.1 ნაწ.1, სერ.1 ნაწ.2.

## შაბათი 13 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 09.00 ან/ფ "ერნესტი და სელესტინი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" 13.30 "სპექტაკლის დრო" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" 16.30 დ/ფ "არქიტექტურა" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.00 მხ/ფ "**ტყუპები**" 22.00 მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური-გონიერების ზღვარი**" (რ.ზელვეგერი) 23.45 მხ/ფ "**მაგარი პოლიციელები**" (ბ.უილისი) 01.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

07.30 ან/ფ "სპანჯბობი". 08.00 მხ/ფ "**სონედორი**" 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. "**მერლინი**" 13.00 კულინარიული დუელი 14.35 ორი ვარსკვლავი 16.30 იდენტიფიკაცია 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში — 2**" 00.00, 01.00 სერ. "**20 წუთი**" 02.00 მხ/ფ "**დაკარგული**" (ჯ.კარპენტერი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30, 12.30 ქ.მხ/ფ 10.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 6 (8) 16.00 X ფაქტორი 5 (6) 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**კარადაი**" 22.00 გააცინე და მოიგე 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 06.40 დ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" 13.30 სღვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - "**აიდა**" გ. გაგნიძე 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "ჩვენი ამბავი" 22.35 წმინდა სტეფანე ხირსელი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**ანა და მეფე**" I ნაწ.

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.40 იუმორისტული შოუ -"4X4" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.05, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) 15.30 NX სპიკერი 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.00 ახალი ამბები 0.15 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.) 0.40, 1.25 **მინისერიალი "დაცემული"** სერ. 2 ნაწ.1, სერ. 2 ნაწ.2.

## კვირა 14 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 09.00 მხ/ფ "**ფიფქია**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 13.00 ავტორბოლა. საქართველოს ჩემპიონატი. (პ/ტრ.) 13.40 ქარ. მხ/ფ "**თემო**" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.00 მხ/ფ "**დიასახლისი**" (გ.ჰოუნი) 20.30 "ტელებლოგი" 22.00 კონცერტი: ჯაზის საღამო კონსერვატორიაში 23.30 მხ/ფ "**რეი**" (ჯ.ფოკსი) 02.05 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 09.00 კონცერტი: "ბასტი ბუბუ" 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა. 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში—2**" 13.00 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 14.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.30 ქ.მხ/ფ "**ტრაქტორი**" 17.35 ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" 3-4 სერ. 19.40 იუმორინა 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში — 2**" 00.00 მხ/ფ "**ავარია**" 01.30 მხ/ფ "**წერილები ჯულიეტასთვის**" (ა.საიფრიდი) (ტიტ.).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30, 12.30 ქ.მხ/ფ 10.00 "სახლი". 10.30 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 ქერის უბანი 14.30 ექიმები 4 სექტ. 15.30 ქერის უბანი 8 (8) 16.00 X ფაქტორი 6 (6) 18.45 იღბლიანი ბორბალი 19.45 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ - დაწყება 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 06.45 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 გამოყენებითი ხელოვნება 09.05 "განთიადი" 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ელესია 10.55 სიმღერის კვალდაკვალ 11.35 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.15 "ჩვენი ამბავი" 19.25 მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" 21.30 ინდიქტიონი 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ღირს არს ჭეშმარიტად" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**ანა და მეფე**" II ნაწ.

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.40 იუმორისტული შოუ -"4X4" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 13.05, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50, 0.15 გადაცემა "ID" 15.30 NX სპიკერი 18.40 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.00 ახალი ამბები 0.40 **მინისერიალი "დაცემული"** სერ. 3 ნაწ.1, სერ. 3 ნაწ.2.

### ვერძი

მოიმატებს საქმეების რაოდენობა, თუმცა, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა ცოტა გართულდება. მოთოკეთ აგრესია. საკუთარი თავის მიმართ იყავით მეტად კრიტიკული. ხშირად ჰკითხეთ რჩევები საყვარელ ადამიანს. კარგია განმარტოება და დასვენება. ხშირად განიტვირთეთ ქალაქგარეთ.

### კურო

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან და იმუშავეთ შემოქმედებითად. მეტი დრო დაუთმეთ, ასევე, ოჯახს. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი, რათა საყვარელი ადამიანი არ გაანაწყენოთ. კარგია განმარტოება და ბუნებაში დასვენება.

### ტყუპები

გარკვეული მიზეზების გამო, შესაძლოა, გადადოთ მთელი რიგი საქმეები. ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი და კრიტიკული სხვების მიმართ. იმპულსურობა და მოუთმენლობა ხელს შეგიშლით საქმეში. ნუ იკამათებთ წვრილმანების გამო და მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს. ნუ დაგეგმავთ სერიოზულ საქმეებს.

### კირჩხიბი

არაერთი სასიამოვნო ამბის მომსწრე გახდებით. გაიზრდება რომანტიკულობა, ცნობისმოყვარეობა, ინტელექტი, რაც წარმატებებს მოგიტანთ როგორც პირად, ასევე, კარიერულ სფეროში. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს. ნურაფერს შეცვლით თქვენს ცხოვრებაში რადიკალურად, განსაკუთრებით კი – სასიყვარულო ურთიერთობებში.

### ლომი

იყავით გარშემო მყოფების მიმართ თბილი და მიმტევებელი. საყვარელი ადამიანი ყველაფერში გაგიწევთ დახმარებას. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. მოგზაურობა, შეხვედრები და კონტაქტები რომანტიკულ ელფერს მიიღებს. ნუ გარისკავთ. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს.

### ქალწული

დაკავებული იქნებით არა მარტო საკუთარი, არამედ, სხვისი პრობლემების მოგვარებით. შეძლებთ ბევრ ადამიანს დაეხმაროთ. დასახულ მიზნებს შრომით მიაღწევთ, ამიტომ, ნუ იზარმაცებთ. ხმამაღლა გამოთქვით საკუთარი აზრები და იდეები. საყვარელი ადამიანი გაგაოცებთ სიურპრიზებით.

### სასწორი

ნუ წამოიწყებთ ნურაფერ ახალს, დაასრულეთ ძველი საქმეები. არ არის გამორიცხული, სამსახურში წინააღმდეგობები შეგხვდეთ, რაც ნერვიულობის საბაბი გახდება. მოერიდეთ გადაღლას, სტრესსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. დაისვენეთ საყვარელი ადამიანების გარემოცვაში.

### მორიელი

ენერგიული და მიზანდასახული იქნებით. გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა. გაიზრდება აქტიურობაც. დაიწყეთ დამატებითი შემოსავლის წყაროს ძიება – ეს გამოგივათ. ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. ყურადღებით მოეკიდეთ თქვენამდე მოსულ ყველა ინფორმაციას. სასიყვარულო და ოჯახური პრობლემები დიპლომატიურად მოაგვარეთ.

### მშვილდოსანი

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და გაუფრთხილდით ფინანსებს. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს. კარგად გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. თქვენი დატვირთული დღის რეჟიმის გამო, ცოტა დრო დაგრჩებათ საყვარელი ადამიანისთვის, რაც მის წყენას გამოიწვევს.

### თხის რქა

გაიზრდება თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი, რომანტიკულობა და მომხიბვლელობა. იყავით მეტად თავშეკავებული, ვნებიანი და სამართლიანი. სასიყვარულო გრძნობა მთლიანად შეცვლის თქვენს პირად ცხოვრებას. ნუ მიიღებთ მონაწილეობას ფარულ გარიგებებში. კარგია მოგზაურობა.

### მერწყული

ნუ იქნებით მკაცრი. აკონტროლეთ აზრები და ემოციები. დიპლომატიის უნარის გამოყენებით ბევრი საქმის მოგვარებას შეძლებთ. რთულ სიტუაციებში შეინარჩუნეთ სიმშვიდე. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. საყვარელი ადამიანის გვერდით დასვენება ენერგიით აგავსებთ.

### თევზები

კარგია სასიყვარულო თავგადასავლები. თავი შეიკავეთ რისკისა და ავანტიურისგან. იყავით ოპტიმისტი. მოერიდეთ საყვარელ ადამიანებთან კამათს და წვრილმანების გამო დავას. საყვარელი საქმე განტვირთვის საშუალებას მოგცემთ. ფრთხილად იყავით გადაადგილებისას.

**ახალმთვარეობა – 24 სექტემბერი 06:30 სთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდენლია დაძაბულობა. მოერიდეთ აქტიურ მუშაობას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ახლობლებს. ატარეთ მწვანე, ლურჯი, იისფერი, ფირუზისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, გიშერი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია იურისტებთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა, ქველმოქმედება. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა, რაც მეტად განაპირობებს ნევროზულობას, აგრესიას, დეპრესიას, შეცდომებს. არ გირჩევთ სასიყვარულო შეხვედრებს, სარისკო მოქმედებებს, ხელშეკრულებების დადებას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ფირუზისფერი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, ალექსანდრიტი, ფირუზი ან მარჯანი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. კარგია იურისტებთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო დაუთმეთ პროფესიონალურ სამუშაოსა და ინტელექტუალურ საქმიანობას. მოერიდეთ ვალის აღებას. მაღალია მოტყუების ალბათობა. არ ვარგა საფინანსო ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება თავი, კბილები, თვალები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

კარგია სასიყვარულო კავშირები, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, თმის შეჭრა. კარგია ტექნიკასთან ურთიერთობა, სამეცნიერო კვლევა, მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, თვალები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია, მგრძნობელობა, სულსწრაფობა, რომანტიკულობა, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის უნარი. კარგია ქველმოქმედება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამშენებლო მასალების შეძენა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ რისკსა და აზარტულ თამაშებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

გაითვალისწინეთ სხვების აზრები. არ ვარგა მოგზაურობა, სარისკო მოქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილებები. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ლაბრადორი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა

გამახვილდება ოპტიმიზმი, კეთილშობილება, ინტუიცია. კარგია მოგზაურობა, სასიყვარულო და ინტიმური კავშირები, შეხვედრები და მოლაპარაკებები. ატარეთ ნაცრისფერი, ჩალისფერი, ცისფერი, იასამნისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, იაგუნდი, საფირონი ან ნეფრიტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია ვაჭრობა, სწავლა, მშენებლობა. მოერიდეთ თმის შეჭრას. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ალუღიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **ალუხი** – ასე ეძახიან კახეთში ხექვას, იგივე რკინის ხეს.

თავდაპირველად გვარი **ალუღიშვილი** გვხვდება როგორც **ალუხიშვილი**.

**ალუხიშვილები** ხის მერქნის დამუშავების ხელოსნები ყოფილან, ანუ, ეს გვარი საქმიანობის აღმნიშვნელი გვარ-სახელია. **ალუხი** მოგვიანებით **ალუღი** გამხდარა.

ვაქირელი ნიკალა **ალუღიშვილი** იმ მხარეში ღონით განთქმული ვაჟკაცი ყოფილა, რომელიც ერთ-ერთი თავდასხმის დროს ლეკებს მოუკლავთ.

საქართველოში 347 **ალუღიშვილი** ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 146, საგარეჯოში – 118, თბილისში – 52. არიან სხვაგანაც.

### ხრიკაძე

ეს არის სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი.

**ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად, ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც უძახიან.

ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ორშიმოს ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ ეს სიტყვა. აღმოსავლეთ მთიანეთში ხშირად გვხვდება სახელი **ხრიკა.**

**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### ეგრისელაშვილი

გვარის ფუძეა გეოგრაფიული სახელი **ეგრისი**, რომელიც დასავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდებაა და **ეგრისის** ტომის სახელიდან მომდინარეობს.

**ეგრისი** სოფელი იყო ბედრუჯის, დღევანდელი ბოლნის-დმანისის მხარეში.

„1721 წელს საგაჩვეთს მოიხსენიება გიორგი **ეგრისელაშვილი".**

საქართველოში 185 **ეგრისელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 127, დმანისში – 43, ბოლნისში – 5. არიან სხვაგანაც.

### ბალბანაშვილი-ბალბანიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი – **ბალაბანა**, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – **ბალ** და **ბანა**. სულხან-საბას მიხედვით, **ბალა** „დაძველებულს" ნიშნავს.

**ბალა** ღანუკელი მოხსენიებულია 1559 წელს, კახთა მეფის, ლეონ მეორის მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემული ყმების შეწირულობის წიგნში.

1721 წელს საგინაშვილ-ინდოშვილის ყმად ჩხიკვათში მოიხსენიება შავერდა **ბალაბანაშვილი**.

**ბალაბანაშვილები** დღეს **ბალაბანოვებად** და ბერძნებად არიან ჩაწერილები.




ამავე ძირისაა გვარი **ბალაბანიშვილი**.

საქართველოში 26 **ბალბანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 14, ადიგენში – 11, მარნეულში – 1.

54 **ბალბანიშვილი**. თბილისში 30, გორში 4, გარდაბანში 3. არიან სხვაგანაც.

### ბაციკაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **ბაცი, ბაციკა.**

**ბაციკაძეები** 1941 წელს ასურეთში გადასახლებულან საცხოვრებლად სოფელ კორტიდან.

ამავე ძირისაა გვარები: **ბაცანკალაშვილი, ბაცანიძე, ბაცანაძე, ბაცაცაშვილი, ბაცელია, ბაცელაშვილი, ბაციაშვილი, ბაცილავა და ბაცაცია.**

საქართველოში 468 **ბაციკაძე** ცხოვრობს: თბილისში – 151, გორში – 101, ქარელში – 76. არიან სხვაგანაც.

### მსუქნიშვილი

ქართული გვარ-სახელების ერთი ჯგუფი ნაწარმოებია ადამიანის გარეგნობის, ხასიათისა და თვისებების მაჩვენებელი სიტყვებიდან. ამ გზით გვარების წარმოქმნა სხვა ერის ხალხისთვისაც არ არის უცხო.

გვარ **მსუქნიშვილის** ეტიმოლოგიაზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა და, აი, რას წერდა ის: „მეტსახელი **მსუქანი** გვხვდება გვარში **მსუქნიშვილი."**

საქართველოში 240 **მსუქნიშვილი** ცხოვრობს: თელავში – 146, თბილისში – 41, გურჯაანში – 8. არიან სხვაგანაც.

### ავაქაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ავაქა, ავაგა.**

**ავაგა** მოიხსენიება 1744 წელს თუმანიანი პაპუას მიერ ჩარჩიანთ ქრისტესიას სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნში.

ბერუა **ავაქაშვილი** იყო მოწმე შაყუბათა ბერუაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისა და დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილისთვის – ალიხანასთვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა.

ამავე ძირისაა გვარები: **ავაგაისძე, ავაგაშვილი, ავაგუმაშვილი.**

საქართველოში 160 **ავაქაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 68, თბილისში – 56, რუსთავში– 18. არიან სხვაგანაც.

### ჩიფირაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩიფა.**

ჩხიკვთაში მცხოვრებმა ზაქარია **ჩიფირაშვილმა** 1874 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა შვილი, ნინო. მიმრქმელი იყო ჩხიკვთელი დიმიტრი საგინოვი.

1873 წელს სოფელ ჩხიკვთაში მოიხსენიება სოლომონ **ჩიფირაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ჩიფარაშვილი, ჩიფრაშვილი და ჩაფაშვილი.**

საქართველოში 46 **ჩიფირაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 30, თბილისში – 4, თელავში – 2. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(37-ე გვერდიდან)

# სტალინი მტრების ნაშრომებს გულდასმით ეცნობოდა და მათ წიგნებს ცალკე კარადაში ინახავდა

ლიყო. ამიტომ, ბუხარინის ნაშრომები საგულდაგულოდ არის შესწავლილი. 4 მათგანს ფანქრით მინაწერებიც ახლავს. რა გამოადგებოდა მას ბუხარინის წინააღმდეგ? უპირველეს ყოვლისა, ლენინის ნაშრომები, რომლებსაც სტალინი ცალკე კარადაში ინახავდა. ბოლშევიკური სახელმწიფოს შემქმნელი მარქსის მოციქულ ბუხარინს ხან „პარტიის სიყვარულს" უწოდებდა, ხან მასთან შეხლა-შემოხლა ჰქონდა. თვით ბუხარინს, არც ისე ახალგაზრდა კაცს, ყოველთვის ახასიათებდა რაღაცა ამჩატება. როგორც ცნობილი ბელგიელი სოციალისტი მე-2 ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი ემილ ვანდერველდე იგონებდა: 1922 წელს მოსკოვში მენშევიკების პროცესზე დასასწრებად ჩამოვიდა. ბელორუსიის ვაგზალზე, მას დახვდა ბრბო (რა თქმა უნდა, ყოველივე ეს წინასწარ იყო მოწყობილი), რომელიც მხცოვან სოციალისტს ყიჟინითა და სტვენით გაუმასპინძლდა. როგორი იყო ვანდერველდეს გაკვირვება, როცა ბრბოში ბუხარინი იცნო (პოლიტბიუროს წევრი!), რომელიც გატაცებით უსტვენდა! მოგვიანებით, ბუხარინმა დიდი როლი ითამაშა ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში (ტროცკი თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი ცხოვრება" მას „უბედურ ბუხარინს" უწოდებს). გარკვეულ პერიოდში სტალინის უახლოესი მოკავშირე იყო, თუმცა ევროპელი ისტორიკოსები აშკარად აჭარბებენ, როცა 1927-1929 წლებს „სტალინისა და ბუხარინის დუუმვირატს" უწოდებენ. როგორ წარმოვიდგინოთ კაცი „დუუმვირის" როლში, რომლის თითოეულ ნაბიჯსაც უშიშროების სამსახურის (იმ წლებში მას „გეეპეუ" ერქვა) თანამშრომლები აკონტროლებდნენ და მისი საიდუმლო შეხვედრა უკვე დამხობილ კამენევთან, სტალინისთვის მაშინვე ცნობილი გახცდა. ასე იყო მოგვიანებითაც, როცა ბუხარინმა პარიზში იმოგზაურა. ის, რომ სტალინის უშუალო მტრების მემკვიდრეობა წითელი და ლურჯი ფერის ფანქრებით, შენიშვნებითაა აჭრელებული, რა თქმა უნდა, გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმ მძაფრ პოლიტიკურ ბრძოლაზე, რომლებიც ბოლშევიკურ სახელმწიფოში მიმდინარეობდა. ყოველივე ეს საინტერესოა დღესაც, როცა იმ სისხლიანი წლებიდან, არც ისე დიდი დრო გავიდა. ქვეყნდება უამრავი ნაშრომი, რომელთა პუბლიკაციაც ადრე, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. დღეს ხომ სტალინს ორნაირად აფასებენ – როგორც „ხალხთა ბელადს" და მეორე მხრივ, კაცს, რომელმაც მისი მასწავლებლის, ლენინის მსგავსად, „მძიმე დაღი დაასვა მეოცე საუკუნეს" (დიმიტრი ვოლკოგონოვი). ერთი სიტყვით, დღესაც სტალინს მრავალი მომხრეც ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ცნობილმა სატირიკოსმა მწერალმა იგორ გუბერმანმა ახალი მონსტრიც კი შექმნა, რომელსაც „ადოლფ ბესარიონის ძე ულიანოვი" უწოდა.

კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო სტალინის ბიბლიოთეკის სხვა კარადებში.

**კარლო ცქიტიშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ვაკო თამაზაშვილმა**

# დააკვირდით, როგორ იცინით



*ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ, იმის მიხედვით, თუ როგორ იცინის ადამიანი, შეიძლება მისი ხასიათისა და თვისებების გამოცნობა. საკუთარი თავის უკეთ შეცნობა კი წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.*

**1. სიცილის დროს საჩვენებელ თითს ტუჩებზე იდებთ? თუ ასეა, მაშინ...**

– საკუთარი წარმოდგენა გაქვთ იმაზე, თუ რას ნიშნავს კარგი ტონი. ცდილობთ, იყოთ ძალიან თავდაჭერილი, ზომიერი... გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

**2. სიცილის დროს პირზე ხელისგულს იფარებთ?**

– ესე იგი, მორცხვი და საკუთარ თავში დაურწმუნებელი ადამიანი ხართ. ყველაფერი გაშინებთ. რისკი თქვენთვის წარმოუდგენელი რამაა. ნუ გადაჰყვებით თვითკრიტიკას.

**3. სიცილის დროს თავს უკან აგდებთ?**

– მიმნდობი და გულუბრყვილო ხართ, თანაც ძალიან გახსნილი, ზოგჯერ სრულიად არაადეკვატურად იქცევით, მხოლოდ საკუთარი ემოციების კარნახით. ზოგჯერ მაინც მოუხმეთ გონებას.

**4. ეხებით თუ არა სიცილის დროს ხელით სახეს ან თავს?**

– ფანტაზიორი, მეოცნებე და მხიარული ადამიანი ხართ. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ, ხანდახან რეალობას სწყდებით და საკუთარ ოცნებებში იკარგებით. მეტი რეალისტური მიდგომა ცხოვრებისეული პრობლემებისადმი – ეს არის ჩვენი რჩევა.

**5. როცა იცინით, ცხვირს ხომ არ იფხანთ?**

– თქვენი გრძნობები და ემოციები ძალიან სწრაფად იცვლება. ზედმეტად ემოციური ადამიანი ხართ, ჭირვეული და კაპრიზული, რითაც პრობლემებს უქმნით სხვებსაც და საკუთარ თავსაც.

**6. ფართოდ გაღებული პირით იცინით?**

– ტემპერამენტიანი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით. ლაპარაკში ბადალი არ გყავთ, მაგრამ, არ გიყვართ სხვისი მოსმენა და არც საქმის კეთება.

**7. ჩუმად, მორიდებით იცინით?**

– გულკეთილი, კეთილსინდისიერი, კომუნიკაბელური ბრძანდებით. ყოველთვის აკონტროლებთ თქვენს სიტყვებსაც და საქციელსაც. არასდროს ცხარობთ და წყენასაც არ იმჩნევთ.

**8. სიცილის დროს ნიკაპზე იკიდებთ ხელს?**

– გულით ისევ ბავშვი ხართ. შეიძლება, სწორედ ამიტომაც არ გიყვართ ბევრი ფიქრი გადაწყვეტილებების მიღებისას. ცოტა დასერიოზულება არ გაწყენთ.

**9. სიცილის დროს არანაირი კონკრეტული მანერა არ გაქვთ?**

– ძალიან ინდივიდუალისტი ხართ. ბოლომდე და გააფთრებით იცავთ საკუთარ მოსაზრებას და სხვისი აზრი საერთოდ არ გაინტერესებთ – ეს არაკეთილმოსურნეებს გაგიმრავლებთ.

## დაკეტე სახლი!

საუბარი კარზე გვექნება. დიახ, ჩვეულებრივ კარზე, რომელიც ყველა სახლს აქვს და ოდესლაც არაჩვეულებრივი იყო. ოდესღაც მის მოვალეობას ლოდის ნატეხი ასრულებდა, ან – ქილოფი. ყველაზე ძველმა კარმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძველ კარად მიჩნეულია მილანის სენტამბროჯიოს ბაზილიკის კარი, რომელიც მეოთხე საუკუნით თარიღდება. დაახლოებით 1750 წელს მისი რესტავრაცია მოხდა.

მსოფლიოს ყველა კარი ერთმანეთს ჰგავდა: ზღურბლი, ჩარჩო დიდი, ხის ფიცარი და მექანიზმი, რომელსაც ის მოძრაობაში მოჰყავდა. სამაგიეროდ, ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ზომებით. ყველაზე ლამაზ კარს იტალიაში, მეთვრამეტე საუკუნეში ამზადებდნენ ბაროკოს სტილში და მასზე ოსტატები რამდენიმე თვის განმავლობაში, ზოგჯერ კი მთელი წელიც კი მუშაობდნენ. ნაპოლეონის დროინდელ საფრანგეთში უპირატესობა ეგვიპტურ სტილს მიანიჭეს. თითქმის ყველა კარი, ფაქტობრივად, ხელოვნების ნიმუში იყო. ნელ-ნელა მოდაში შემოვიდა და დამკვიდრდა „როკოკოს“ სტილი. კარს გობელენებით, ორიგინალური ნახატებითა და დახვეწილი ფიგურებით რთავდნენ. ძალიან საინტერესოა ინდოეთში აღმოჩენილი უძველესი ქვის კარი.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა კარი შედარებით სადა. თუმცა, მდიდარი ადამიანები დღესაც ცდილობენ, მათ სახლის კარს ეტყობოდეს, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება მის მიღმა მცხოვრები...

## სისუფთავის სახელით

პირველი საპონი იმიტომ გაჩნდა, რომ სამოსი გაერეცხათ. შუა საუკუნეების ევროპაში ტანის დაბანა ცოდვად ითვლებოდა. ამბობდნენ, წყალი ორგანიზმს ასუსტებს და ჯანმრთელობას ვნებსო. მხოლოდ აღმოსავლეთმოვლილმა ჯვაროსნებმა დაამკვიდრეს ევროპაში საჯირო აბანოების ტრადიცია, რომლებიც ხალხში ჩვეულებრივ ბორდელებად აღიქმებოდა. ეკლესიამ კი 1545 წელს საერთოდ აკრძალა ისინი.

ძველი შუმერისა და ბაბილონის გათხრებისას აღმოჩენილ იქნა საპნის მსგავსი ნივთიერება, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2800 წლით თარიღდება. მოგვიანებით იპოვეს თიხის ფირფიტა, რომელზეც საპნის დამზადების რეცეპტი იყო ამოტვიფრული. დადგინდა, რომ მესოპოტამიაში მას ცხოველის ცხიმისგან და ნაცრისგან ამზადებდნენ. კიდევ 700 წლის შემდეგ საპნის საკუთარი რეცეპტი პაპირუსზე დაწერეს ძველმა ეგვიპტელებმა. ისინი ცხოველის ცხიმს, ზეითუნის ზეთსა და მინერალურ მარილებს ურევდნენ ერთმანეთში. მაგრამ ეგვიპტეში საპონი ქსოვილების გასარეცხად სჭირდებოდათ, ხელების გასასუფთავებლად კი ეგვიპტელები თიხას იყენებდნენ – ჯერ ხელებზე იგლესდნენ, მერე ჩამოიბანდნენ.



რომაელებს საპნის საკუთარი რეცეპტი ჰქონდათ. სწორედ მათ შემოიღეს ტანის დაბანის წესი და გახსნეს აბანოები საფოს მთასთან. სწორედ აქედან მოდის სახელწოდება „საპონი“ (იტალიურად – „საპონე“) რომაელები მას, უბრალოდ, „საპოს“ ეძახდნენ. არსებობს ვერსია, რომ რომაელებმა საპნის რეცეპტი ფინიკიელებს მოჰპარეს. აბანოები კი გახსნეს, მაგრამ ამ მოვლენიდან მხოლოდ 90 წლის შემდეგ აღწერა რომაელმა ექიმმა გალენმა საპნის დადებითი თვისებები და ამის შემდეგ საპონი საკმაოდ გაძვირდა.

პომპეის – ყველაზე სუფთა ქალაქის დაღუპვის შემდეგ დაიღუპა რომის იმპერიაც და ამის შემდეგ ევროპამ დაივიწყა, რა იყო საპონი. თუმცა ბიზანტიაში საპნის დამზადების ტექნოლოგია ხელოვნების დონეზე აიყვანეს, მაგრამ, ევროპას და სამყაროს დანარჩენ მოსახლეობას კიდევ დიდი დრო დასჭირდა, სანამ ჰიგიენასა და საპონს ხელახლა შეეჩვეოდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-35(714)**

მატარებელი ნელა გაჩერდა... დიანა ისევ ფანჯარაში იყურებოდა, როცა ლინა აყვირდა:

– მამა! მამა! ვილიამ! აქ ვართ, აქეთ წამოდით... – მერე დეას მიუბრუნდა: – ნახე, როგორ აცვია?! ეს შენს პატივსაცემად. ხომ გეუბნებოდი, უცნაური კაცია-მეთქი.

დეამ ღიმილით გაუწოდა ხელი და მისი ნაზი თითები მთლიანად ჩაიმალა ვილიამის უზარმაზარ ხელისგულში.

– კარგად იმგზავრეთ? გზაში ხომ არავინ შეგაწუხათ?

– მამა, ვის უნდა შევეწუხებინეთ, რანაირი ლაპარაკი იცი! ძალიან კარგად ვიმგზავრეთ... დედა, სად არის?

– არ წამოვიყვანე, სახლში გელოდება. სტუმრები გვყავს და ისინი არ დატოვა..

– სტუმრები? – ლინამ თვალები მოჭუტა, – გამოტყდი, ჩემი საძინებელიც ხომ არ არის დაკავებული? შეყარე, ხომ, მთელი კილკენის საგრაფო, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ჩამოდისო?! რანაირი ხარ, ხომ დამპირდი, რომ მხოლოდ მე და დიანა ვიქნებოდით და მშვიდად გავატარებდით რამდენიმე დღეს, რატომ მომატყუე?

– განსაკუთრებული სტუმრები გვყავს ლინა, საყვარელო. ძალიან მოგეწონებათ, განსაკუთრებით – დიანას. წვეულება კი დაგეგმილი მაქვს, მაგრამ, გპირდები, შენთან შეუთანხმებლად არავის დავპატიჟებ. აბა, სად არის შენი ბარგი, ჩემო პრინცესა?! დიანა, მხოლოდ ეს ერთი ჩანთა გაქვს?

– დიახ, – გაეღიმა დეას.

– არა უშავს, შენ ხომ არ იცოდი, სად მოდიოდი. ყველაფერს, რაც დაგჭირდება, აქ გიყიდით.

– ჰა, ჰა, ჰა, – აკისკისდა ლინა და უცებ მოიღუშა, – მამა, მანქანა სად არის? არ მითხრა, რომ ცხენებით მოხვედი, თორემ, გავგიჟდები!

– არა, არა... ბარგი გქონდათ, თორემ... თან, დიანასაც მოვერიდე – დაღლილი იქნება. მანქანა მოშორებით გავაჩერე. წავიდეთ...

ვილიმ მსუბუქად აიტაცა ხელში ლინას სამი ჩემოდანი და დიანას ჩანთა... დეამ აღტაცება ვერ დამალა:

– ნამდვილი გოლიათია მამაშენი, ლინა...

– ირლანდიურ დათვს ეძახის დედაჩემი და მგონი, მართალიც არის, – ამოიოხრა ლინამ...

***

კოტემ დიდხანს იწვალა, სანამ გასაღებს საკეტს მოარგებდა და, რომ ვერ მოახერხა, კარს გამეტებით დაუშინა წიხლები.

– რა მოხდა, გაგიჟდი? კარს რატომ ანგრევ? – აღშფოთებული ლენუკა ქმარს განცვიფრებული მიაშტერდა – შენ რა, მთვრალი ხარ? დალიე?

– ჰო, დავლიე და მთვრალი ვარ... მეტსაც გეტყვი – გათხლეშილი მთვრალი. რამე პრეტენზია გაქვს? – კოტემ ხელის კვრით, უხეშად გასწია გვერდით და ოთახში შეაბიჯა...

– რას აკეთებ! – აკივლდა ლენუკა, – ტალახიანი ფეხსაცმელები! იატაკზე ლაქებად დაეტყობა, კოტე!

– ერთი ამ იატაკის დედაც... და შენიც... – გამოსცრა კაცმა და წონასწორობადაკარგული კედელს მიენარცხა. მერე სასტუმრო ოთახის თაღთან მიდგმულ ვეება, იაპონურ ლარნაკს წამოედო, წააქცია და ნამსხვრევებად აქცია. ლენუკა ბოლო ხმაზე აკივლდა.

– კოტე! ნუ დალეწე ყველაფერი! რა გჭირს, ასე როგორ გაილეშე?

– დიახ, გავილეშე და კიდევ გავილეშები... აბა, მოდი აქ და ფეხსაცმელები გამხადე! რას მიყურებ, გაკეთე, რასაც ქმარი გიბრძანებს, ჩქარა! – დაუღრიალა კაცმა.

ლენუკა ჯერ გაშტერდა, მერე მონუსხულივით დაემორჩილა – ფეხსაცმელები გახადა და ტახტზე წამოაწვინა. კოტემ ერთი-ორჯერ კიდევ შეიგინა უშვერად და ხვრინვა ამოუშვა. ისე ხროტინებდა, შეშინებულმა ლენუკამ რამდენჯერმე დახედა, ხომ ცოცხალიაო და საყვარელი ლარნაკის ნამსხვრევებს სინანულით გახედა.

– დეგენერატი... რა ჯანდაბა დაემართა, რამ გადარია?.. ნეტავი, კიდევ სანდრომ ხომ არ დაურეკა და ფული ხომ არ სთხოვა? მაგრამ, ასეთი რამ არასოდეს უქნია... ერთი გაიღვიძოს და გამოფხიზლდეს, ვაჩვენებ სეირს: თან, რომ მაგინებდა...

ლენუკა სამზარეულოში გავიდა, ყავა მოადუღა და ტელეფონი მოიმარჯვა. ჯერ თიკოს დაურეკა:



– გოგო, მარტო ხარ? შეგიძლია ლაპარაკი? ჰო, რა ვიცი, იქნებ იმ შენ რაინდთან ხარ... კარგი, ნუ ბრაზობ, ისე გითხარი, ვიფიქრე, ხელს ხომ არ ვუშლი-მეთქი. ვაიმე, შენ რაღა გჭირს, თიკო? ისედაც გაცეცხლებული ვარ და შენც ნუ დამიმატებ, ძალიან გთხოვ... რა გამაცეცხლებდა? რა თქმა უნდა, კოტე! სულ გაგიჟდა... მოვიდა მთვრალი, მაგინა და სახლში ყველაფერი დალეწა... არა, რა დავლიე... არ გესმის, ის მოვიდა მთვრალი; მთვრალი კი არა, გალეშილი. ასეთი არასოდეს მინახავს, მართლა... რა ვიცი, აბა, რა დაეტაკა, მეც სწორედ ეგ მაინტერესებს. ვფიქრობ და ვერაფერი მოვიფიქრე. დავიჯერო, სანდრომ დაურეკა ისევ და ფული სთხოვა?! განა რამდენი სთხოვა, რომ ასე გაგიჟდა? ერთი სიტყვით, შოკში ჩამაგდო. ნეტავი, რას ჩამოვედი... მარიკაც ადრე გავუშვი, პარასკევია დღეს და ახლა ჩემი დასასუფთავებელია აქაურობა... ნეტავი განახა, ან თვითონ რას ჰგავს, ან სახლი რას დაამსგავსა... დიდი, იაპონური ლარნაკი გამიტეხა ამ ველურმა. რა წვალებით ჩამოვიტანე, ხომ გახსოვს. დეგენერატი!.. გაიღვიძოს, ვანახვებ ამას სეირს... საზიზღარი... დღითი დღე აუტანელი ხდება ამასთან ცხოვრება... უჰ, არ მითხრა... სხვა რამე რომ მკითხო, არ გინდა? ახლა სანდროს დავურეკავ და ვკითხავ, რით გადარია მამამისი ასე. კარგი, კარგი, მოგვიანებით დაგირეკავ. არა, რა უნდა მოხვიდე! ისე ხვრინავს, ფანჯრებს ზანზარი გაუდის...

ლენუკამ ტელეფონი გათიშა და ახლა სანდროს ნომერი აკრიფა:

– დედიკო, მე ვარ. როგორ ხარ, საყვარელო? ჰო, მომენატრე, ამას კითხვა უნდა? მაგრამ, ამაზე არ გირეკავ ახლა. მამაშენი გაგიჟდა... ნუ, გაგიჟება ჰქვია ამას – საშინლად მთვრალი მოვიდა და ისეთი აგრესიული იყო, გადამიყვანა ჭკუიდან. შენ ხომ არ დაურეკე და არ იჩხუბეთ?.. რაზე უნდა გეჩხუბათ და ფულზე. გუშინ მეუბნებოდა, სანდრო ნერვებს მიშლის, ინგლისში უნდა სასწავლებლად გადასვლა და ფულს მთხოვსო... არა, დედიკო, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, შენს მხარეზე ვარ და ყველაფერში გეთანხმები... აბა, რა დაეტაკა ამ კაცს? ესე იგი, დღეს მასთან არ გილაპარაკია... ნუ ნერვიულობ, სანდრიკ, საყვარელო, ხომ გითხარი, შენს მხარეზე ვარ-მეთქი და ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა...

ლენუკამ მობილური დადო და სიგარეტს მოუკიდა. „მაშ, რა ჯანდაბა ეტაკა?! ძვირად დავუსვამ დღევანდელ საქციელს“...

***

... თიკო ცოტათი ააფორიაქა ლენუკას ზარმა. ერთბაშად წარმოიდგინა, რომ კოტე მისმა კატეგორიულმა მოთხოვნამ გაალიზიანა, ახალი მანქანის ყიდვაზე. „აუ... ლენუკასთვის უგინებია და ლარნაკიც გაუტეხავს. წარმომიდგენია, ხვალ რა დღეს დააყრის... რომ გადაიფიქროს მანქანის ყიდვა ჩემთვის, გავგიჟდები... ისე, რა სასაცილო იქნებოდა, კოტე რომ იგინებოდა და თანაც ლენუკას აგინებდა...“ – თიკომ ეს სცენა თითქოს დაინახა კიდეც და სიცილი აუტყდა...

***

...დიანა აღფრთოვანებული შესცქეროდა მწვანე მდელოზე აღმართულ ციხე-კოშკს.

– რა ლამაზია! თავი ზღაპარში მგონია... და, ეს ყველაფერი შენია? – მიუბრუნდა ლინას.

– რა გითხრა, იცი? სანამ პატარა ვიყავი და თავი პრინცესა მეგონა, მომწონდა... მერე მივხვდი, რომ ტვირთია. ამხელა პასუხისმგებლობისთვის მეტისმეტად სუსტი და მეტისმეტად თანამედროვე ვარ.

ვილიმ გაიგონა შვილის ნათქვამი და გოგოს ზემოდან გადმოხედა:

– რამდენიც არ უნდა იწუწუნო და თავი შემაცოდო, ამ კოშკის დიასახლისი მაინც შენ

იქნები... ბრაიანის იმედი არ მაქვს, მაგრამ, ვიცი, რომ შენ იმედს არ გამიცრუებ.

ლინამ ამოიოხრა და საცოდავი თვალებით შეხედა დიანას – ხომ ხედავ, რა დღეში ვარო.

ყველანი წითელი ქვით მოკირწყლულ ბილიკს გაუყვნენ. შორიდან ძნელად გაარჩევდი, ვინ იჯდა ვერანდაზე. დიანა ილიმებოდა. ძალიან კმაყოფილი იყო, აქ რომ ჩამოვიდნენ და ამას არც მალავდა. მაგრამ უცებ ნაბიჯს უკლო, გაჩერდა და შემცბარმა მოჰკიდა ხელი ვილის მკლავზე:

– იქ, ვერანდაზე ჩემს მშობლებს ვხედავ თუ მეჩვენება?

ვილიამმა ხმამაღლა გაიცინა:

– ჩემს ციხე-კოშკზე კი ამბობენ, მოჩვენებები ბინადრობენ მის ძველ დარბაზებსა და დერეფნებშიო, მაგრამ ამჯერად არაფერი გეჩვენება – დევიდი და ანა მოულოდნელად ჩამოვიდნენ, სიურპრიზი მოგვიწყვეს მეც და თქვენც. სწორედ შენი მშობლები არიან ის სტუმრები, რომლებზეც გეუბნებოდით სადგურში... ახლა გოგოებს დავაბინავებთ. ერთად ვისადილებთ და იხვებზე სანადიროდ წავალთ...

დიანა ვილის აღარ უსმენდა. ბრაზმა და უკმაყოფილებამ ერთდროულად დარია ხელი და ნერვიულობისგან ტუჩების კვნეტას მოჰყვა. ლინამ შენიშნა მასში მომხდარი ცვლილება და შეუმჩნევლად წასჩურჩულა:

– დარწმუნებული ვარ, მამაჩემი იზამდა ამას. ხომ იცოდა, რომ ჩამოვდიოდით. დაურეკა შენებს და დაარწმუნა, ჩამოსულიყვნენ. გეუბნები, ამისი ხელი ურევია ამ სიურპრიზში.

დიანა ნაკლებად უსმენდა ლინას. ახლა არავის მოსმენა არ შეეძლო, არც ის აინტერესებდა, ვისი მოწყობილი იყო სიურპრიზი, რომელმაც შოკის ეფექტი მოახდინა. თუმცა, რაც არ უნდა ეთქვა ლინას, დეამ ზუსტად იცოდა, რომ დედამისს ვერავინ დაიყოლიებდა რამის გაკეთებაზე, თუ ეს პირადად მისი სურვილი არ იქნებოდა. ანუ, ვილი ვერაფრით მოაწყობდა ამ სიურპრიზს ანას ინიციატივის გარეშე. „არ მენდო... არ მენდო და გადაამოწმე. რა ვუთხრა, რომ ცუდად მოიქცა?! რომ ძალიან ვბრაზობ მასზე და ეს არ უნდა ექნა? იქნებ, რამეს ეჭვობს? ჰო, მაგრამ, რას? ეს ხომ მხოლოდ მისი, მისი და სხვისი არავის საიდუმლო იყო..."

ბოლოს არჩია, არაფერი შეემჩნია და, როცა ვერანდამდე მიაღწია, უკვე ფლობდა საკუთარ თავს და გაღიმებაც კი მოახერხა. პირველად დევიდმა ჩაიკრა გულში, მაგრად ჩაიხუტა, თან მოასწრო და ყურში სწრაფად ჩაულაპარაკა რამდენიმე სიტყვა: „შენ ხომ იცი, რომ მე ამის წინააღმდეგი ვიქნებოდი..."

– კარგია, აქ რომ ხართ, გამიხარდა, – თქვა დიანამ და მოშორებით მდგარ ანას ღიმილით დაუქნია ხელი.

– ანუ, არ გვიბრაზდები? – გამომცდელად ჩააშტერდა დევიდი.

– არა, რა თქმა უნდა.

– რომ იცოდე, როგორ გამახარე! რა მექნა, ანა ძალიან ნერვიულობდა... სულ მარეკვინებდა შენთან, მერე ვილისთან და, უცებ, გავიგეთ, რომ აქ ჩამოდიოდით. ვილიმ და მარიამაც ძალიან გვთხოვეს... მომენტით ვისარგებლეთ და, აი, აქ ვართ.

– რას მიხსნი, ხომ გითხარი, ძალიან მიხარია-მეთქი. აქაურობაც ძალიან მომწონს.

– უჰ, მომეშვა... – გაიბადრა დევიდი, – ხომ კარგად ხარ? კარგი ქენი, რომ ირლანდიაში ჩამოხვედი? ხომ არ იყო ცუდი რჩევა?

– არა, ნამდვილად კარგი რჩევა იყო და მადლობელი ვარ შენი, სწორედ ლინასთან რომ გამომიშვი. ისეთი მძიმე პერიოდი მქონდა, რომ ჩემთვის სადმე წასვლა, უბრალოდ, სასიცოცხლოდ იყო აუცილებელი. ლინასთან თავს კარგად ვგრძნობ.



– ეს დედაშენსაც უთხარი, გთხოვ. ძალიან ნერვიულობდა.

– მესმის. ისე ნერვიულობდა, რომ, როგორც კი გაიგო, აქ ჩამოვდიოდით, შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. არა უშავს, არ ვბრაზობ.

– რას ლაპარაკობთ ამდენს? გავიგე, რომ ერთმანეთი მოგენატრათ, მაგრამ, საუბარი სუფრასთანაც შეიძლება. გოგონებს მარიამ ყავა მოუმზადა. ჩაიც გვაქვს... ყველა ვერანდაზე! ჩქარა! – ვილიამმა თავისი ბოხი ხმით ააჩქარა სტუმრები...

ანამ თვალებში შეხედა შვილს... იმდენი რამ უნდოდა ეკითხა, მაგრამ, მარტონი არ იყვნენ. ქალიშვილმა სწორად ამოიცნო მისი ფიქრები.

– დედა, როგორ მიხარია, რომ აქ ხართ. ძალიან მენატრებოდით.

ქალმა უნდობლად გაიღიმა.

– ვიცი, რასაც ფიქრობ და მინდა, დაგამშვიდო – თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ... მართლა... ბედნიერი ვარ, რომ დევიდის რჩევა მივიღე და აქეთ წამოვედი. ეს მოგზაურობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

– მე კი ისე ვნერვიულობდი, – წამოსცდა ქალს.

– სულ ტყუილად. შენ და დევიდი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები ხართ. ყოველთვის გახსოვდეს – ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს სულ ასე იქნება...

***

ტომასმა თვალებანთებულ სანდროს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო:

– ჰა, არ იტყვი, რა მოხდა?

– დედაჩემი მირეკავდა... – ამოიოხრა სანდრომ, – მოკლედ, არ ვიცი, რა... მამაჩემს უჩხუბია... გაგიჟებულია ლენუკა: დათვრა და სკანდალი მოაწყო, შენ ხომ არ დაურეკე და ნერვები ხომ არ მოუშალეო... მაგათი ჩხუბი და ისტერიკებიღა მაკლდა...

– ფული რომ დაგჭირდება ლონდონში გადასასვლელად, ეტყობა, ეგ არ მოეწონა... – ჩაეცინა ტომასს.

– შეიძლება. თუმცა, არც ეგეთი ძუნწია. ფულიც საკმარისზე მეტი აქვს. ეტყობა, რაიმე დიდი გარიგება ჩაუვარდა და ამაზეა გაცოფებული. თუმცა, მაინც მიკვირს... ისეთი ტიპია, გაბრაზებულიც, მეტ-ნაკლებად, ახერხებს საკუთარი თავის მართვას. ყოველ შემთხვევაში, მე არც გამომთვრალი მამაჩემი მინახავს და არც დიდ სკანდალს შევსწრებივარ ჩემს ოჯახში. დედაჩემი და ეგ სულ კინკლაობენ, მაგრამ აქამდე ყოველთვის კოტე თმობდა დედაჩემის სასარგებლოდ... უჰ, თუ მართლა ისე მოიქცა, როგორც ლენუკამ მითხრა, მაშინ ამჯერად მაგრად იჩხუბებენ და, შეიძლება, ჩემი ლონდონის ოცნებაც ოცნებად დარჩეს. რასაც ვერაფრით ვერ გადავიტან. დიანას გარეშე ვეღარ გავძლებ – აი, წავიდა და სული მეხუთება, მისი ნახვის საშუალება რომ არ მაქვს. ლინას არ უთქვამს, როდის ჩამოვლენ?

– ორ-სამ დღეშიო... მეც მომწონს ლინა, მაგრამ, ეგრე არ ვგიჟდები... შენც გეყოფა თვითგვემა. ლამაზი გოგოების მეტი რა არის? თავიდანვე ასეთი სერიოზულობით არ უნდა მისდგომოდი ამ ამბავს. აქამდე გოგოები გიჟდებოდნენ შენზე და ახლა ერთი დიანას გამო ასე ცხვირპირჩამომტირალმა ხომ არ უნდა იარო? საღამოს კლუბში წავიდეთ და კარგად გავერთოთ, ეგრევე აზრზე მოხვალ, – ჭკუა დაარიგა ტომასმა.

სანდრომ ორივე ხელი აიქნია უარის ნიშნად:

– ვერაფერი გაიგე... დიანა უბრალოდ ლამაზი გოგო კი არ არის ჩემთვის, რაღაც გაცილებით მეტია და ამას უკვე ვეღარ შევცვლი. ერთხელ მაინც უნდა ჩახედო თვალებში და მიხვდები მის განსაკუთრებულ მაგიურ ხიბლს... ერთხელ მაინც...

– ღმერთმა დამიფაროს! შენ რომ გაგაგიჟა, ეგეც საკმარისია. განსაკუთრებულ გოგოებს განსაკუთრებული პრობლემებიც მოაქვთ ხოლმე ჩემნაირი ჩვეულებრივი ბიჭებისთვის, – დაასკვნა ტომასმა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: გამძლეა თუ არა სოლია და როგორ პირობებში ხარობს ის უკეთ?**

**პასუხი:** სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს. მოსწონს მზის გულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შეამციროთ. ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში დადგამთ.

**კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო სედუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე საკმაოდ იოლი მოსავლელია. თუ გსურთ, რომ კომპაქტურობა შეინარჩუნოს, დადგით მზის გულზე. ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განამავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ არანაკლებ 10 გრადუსისა.

**კითხვა: ხშირად თუ სჭირდება პტერისს მორწყვა?**

**პასუხი:** ცხელ ზაფხულში მცენარეს მაღალი ტენიანობა სჭირდება, ზრდის პერიოდშიც არ უნდა მოაკლოთ ტენი. დაბალ ტემპერატურაზე მორწყვა ოდნავ შეამცირეთ, ოღონდ ნიადაგს ძალიან ნუ გამოაშრობთ. მიწა ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. სითბოში მცენარე ქოთნით სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, რათა მაღალი ტენიანობა შეუნარჩუნოთ. დანამეთ რეგულარულად და ტენისთვის სააბაზანოში დადგით.

**კითხვა: როგორ მოვუარო კალას ზრდის პერიოდში?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის დროს, მიწა ტენიანი უნდა იყოს, დაყვავილების შემდეგ კი – მშრალი. ზრდის პერიოდში, როცა მცენარე გაფოთლილია, კაშკაშა სინათლეში დადგით და ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. დაყვავილების შემდეგ თანდათან გააშრეთ და დამჭკნარი ფოთლები მოაშორეთ, ხოლო მიძინებული ბოლქვი მშრალად შეინახეთ. გადარგეთ ზამთარში ან ადრიან გაზაფხულზე და ფოთლების ზრდასთან ერთად, მორწყვასაც უმატეთ.

**კითხვა: სად შეიძლება, ბროწეულის გახარება?**

**პასუხი:** თუ თქვენ საჭმელად ვარგის ბროწეულს გულისხმობთ, მაშინ აუცილებლად ბაღში უნდა გაახაროთ. ოთახში გაზრდილი დეკორატიული ბროწეული პატარა ნაყოფს ისხამს და არ იჭმევა. შეგიძლიათ, დეკორატიული ბროწეული ზამთრის ბაღში გაახაროთ.

**კითხვა: რთულია თუ არა ცირტომიუმის გაზრდა?**

**პასუხი:** ცირტომიუმი ნაკლებად ჭირვეული მცენარეა. მისთვის მთავარია, სინათლე და წყალი არ მოაკლოთ. ზრდის დროს ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზამთარში კი მიწის შეშრობას დაელოდეთ. რამდენიმე კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით.

**კითხვა: როგორ ეგუება იაპონური არალია ზამთარს?**

**პასუხი:** იაპონური არალია იოლი მოსავლელი მცენარეა. ის კარგად იტანს ზამთრის სიცივეს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ოთახის არალია არ ყვავის. მხოლოდ მოზრდილმა არალიამ შეიძლება იყვავილოს თეთრი ყვავილებით.

**მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: დასაქმებული ვარ კერძო სამუშაოზე. სამუშაო პირობები მოითხოვს, რომ საწარმოში მოხდეს გადაიარაღება, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოო ტრავმები გარდაუვალია. გთხოვთ მაცნობოთ, როგორც კერძო სამუშაოზე დასაქმებულ პირს მაქვს თუ არა უფლება მოვთხოვო დამსაქმებელს მოახდინოს საწარმოს გადაიარაღება და ტექნიკური განახლება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თქვენ არათუ ამის უფლება გაქვთ, არამედ დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ ალჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი ალჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, რა უფლებები აქვს პირს, რომელმაც კერძო საწარმოში მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა და ეს ტრავმა გამოწვეული იყო დროული სამედიცინო ჩაურევლობის გამო?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პირველ ყოვლისა დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის. ასევე დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, აქვს თუ არა ქალს უფლება ორსულობის პერიოდში დამსაქმებელს მოსთხოვოს უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა და სამუშაოს შედარებით იოლი პირობების უზრუნველყოფა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრება პროდუქციის მიმწოდებელს მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მასზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიუცემლობის გამო?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქონლის, მომსახურების მიმწოდებლის მიერ მყიდველის მოთხოვნისას მასზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუცემლობა იწვევს პირის დაჯარიმებას დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით დღგ-ის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

# როგორ ვხარჯოთ ბენზინი ეკონომიურად

*სიჩქარეების სწორად გადართვის შესახებ გვესაუბრება პროფესიონალი მძღოლი მევლუდ მელაძე:*

– სიჩქარეების სწორად გადართვა ნიშნავს, რომ მანქანა არ ავაძიგძიგოთ და ჩვენი მგზავრი არ შევაწუხოთ. ჩვეულებრივი სვლისას, როცა არ ვჩქარობთ, სიჩქარე შემდეგნაირად უნდა მოვუმატოთ: სიჩქარის გადართვისას „ცეპლენიას“ ვაჭერთ ფეხს და ისე გადავრთავთ. შემდეგ „ცეპლენიის“ პედალს ნაზად ავუშვებთ ფეხს და მხოლოდ ამის მერე ვაჭერთ გაზს. ანუ, „ცეპლენიას“ ფეხი უნდა „ააპარო“ მკვეთრი მოძრაობის გარეშე.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– ამ დროს მანქანა, თითქოს, ანელებს მოძრაობას.**

– ესე იგი, არასწორად გადართე. თუ სწორად გადართე, არ შეანელებს სვლას. ვთქვათ, მეორე სიჩქარით მიდიხარ და მესამეში გადაგაქვს – გადართვისას, ძრავას ბრუნი უნდა ჩამოვიდეს იქამდე, საიდანაც მესამე სიჩქარე იწყებს ათვლას.

**– ტახომეტრითაც შეიძლება ამის კონტროლი?**

– არა. ეს უნდა ვიგრძნოთ და ისე გავაკონტროლოთ. ტახომეტრს შეგვიძლია, შემდეგ შევავლოთ თვალი, თორემ ამით კონტროლი შეუძლებელია. პრინციპი ასეთია: „ცეპლენიას“ ფეხი გაუშვი – გაზი „შეაპარე“. მაგრამ, თუ აჩქარება და გასწრება გინდა, შემდეგნაირად იქცევი – არც ერთ შემთხვევაში, როგორი დარწმუნებულიც უნდა იყო, რომ გასასწრებად დრო გეყოფა, იმავე სიჩქარით და უბრალოდ, გაზის პედალზე ფეხის დაწოლით, არ უნდა შეასრულო ეს მანევრი. ძალიან ხშირად უშვებენ ამ შეცდომას მძღოლები. ვთქვათ, მოძრაობენ მეოთხე სიჩქარით და იმავე სიჩქარით იწყებენ გასწრებას, ძრავა კი ვერ ახერხებს სიჩქარის აკრეფას და ძალიან ბევრი დრო იკარგება. ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის შემდეგნაირად უნდა მოიქცეთ; თუ მიდიხართ მეოთხე სიჩქარით ქალაქში, მაგალითად, საათში 50-60 კილომეტრი სიჩქარით, გასწრების შემთხვევაში, შეგიძლიათ, მეოთხედან მეორე სიჩქარეც კი გამოიყენოთ. ეს არ ეხება სატვირთო ავტომობილებს, მათთვის მეორე სიჩქარე არაფერია, მსუბუქ ავტომობილებზე სიჩქარის მეოთხედან მეორეში ან მეოთხედან მესამეში გადატანა კი, მკვეთრად ააჩქარებს მანქანას და შეძლებთ, დაასრულოთ გასწრების მანევი. ამ შემთხვევაში, როგორ ცვლით სიჩქარეს, ძალიან მნიშვნელოვანია დროის თვალსაზრისით და ჩვენი „ინდიკატორისთვისაც“. მოდებას თიშავთ, რაც შეიძლება სწრაფად გადაგყავთ დაბალ სიჩქარეში მანქანა და რაც მთავარია, გაზს მანამდე აწვებით, სანამ „ცეპლენიას“ ფეხს აუშვებთ. ეს წამის მეასედში უნდა მოხდეს. გაზზე ფეხის მიჭერით, ძრავას ბრუნი ეზრდება, რის შედეგადაც, მანქანა თითქოს წინ გავარდება, ანუ გაზმა ოდნავ უნდა დაასწროს „ცეპლენიიდან“ ფეხის აშვებას. იგივე უნდა გააკეთოთ, აღმართზე ასვლისას და ყოველთვის, როცა აჩქარება გინდათ.

**– ჩვეულებრივად მოძრაობისას რა სიხშირით უნდა ვცვალოთ სიჩქარეები?**

– როდესაც ჩქარა სიარული არ გინდათ და თან გსურთ ეკონომიურად იაროთ, შეგიძლიათ, სიჩქარეები მალ-მალე ცვალოთ. ანუ, პირველიდან მეორეში, მეორედან მესამეში გადასართავად საჭირო არ არის, მანქანა აბღუილოთ და ტანჯოთ. ჩვეულებრივ რეჟიმში, ავტომობილს დაძრავთ თუ არა, მაშინვე უნდა გადართოთ მეორე სიჩქარეში. მეორე სიჩქარე შეძლებს მის წინ წაწევას. ამის შემდეგ კი შესაძლებელია, მესამეში გადართოთ. ამ დროს თქვენ ძალიან დიდ ეკონომიას აკეთებთ. ვთქვათ, ავტომობილი ას კილომეტრზე „სვამს“ ექვს ლიტრ ბენზინს, თუ ამ მანძილს მხოლოდ პირველი სიჩქარით გაივლით, მაშინ 22 ლიტრ ბენზინს დახარჯავს. ხშირად გამიგია, რომ წუწუნებენ, ჩემი მანქანა ნაკლებს უნდა წვავდეს და მეტს წვავსო. ეს იმაზეა დამოკიდებული, სწორად გადართავთ თუ არა სიჩქარეს. თუ თქვენს ავტომობილს აქვს ეკონომეტრი, ამის გაკონტროლებას ადვილად შეძლებთ. ზოგი ამბობს, რომ მეხუთე სიჩქარეში არ გადართოთ, სანამ მანქანა საათში 100 კილომეტრს არ განავითარებსო – ეს აზრი მცდარია. თუ ავტომობილი ერევა, მაშინვე შეგიძლიათ, სიჩქარის შეცვლა. სიჩქარის შეცვლა შესაძლებელია მაშინაც კი, როცა საათში 60 კილომეტრი სიჩქარით მიდიხართ. ამ შემთხვევაში, ეკონომიურად ივლით. ასევე, დაღმართზე ჩასვლისას, როცა აჩქარებული მანქანის შენელება გინდათ, რაც შეიძლება ნელა, გაწელვით უნდა აუშვათ ფეხი „ცეპლენიას“, ოღონდ მას შემდეგ, რაც მოდების წერტილს იპოვით.

ზოგჯერ უკუსვლის სიჩქარეში რთავენ მაშინ, როცა ავტომობილი წინ მიდის. ეს კატეგორიულად არ შეიძლება. თუ ავტომობილი ოდნავ მაინც მიდის წინ, არამც და არამც არ უნდა ჩააგდოთ უკუსვლით სიჩქარეში. სასურველია, გაჩერებული მანქანა ჯერ პირველ სიჩქარეში ჩართოთ და ამის მერე გადართოთ უკუსვლის სიჩქარეში.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რძის პროდუქტებიდან, რომელი შეიძლება, ვაჭამოთ ცხოველს?**

**პასუხი**: ძაღლისთვის უმარილო ყველის მიცემა დასაშვებია, მხოლოდ მცირე რაოდენობით. ასევე, შეგიძლიათ, რძის პროდუქტებიდან აჭამოთ ხაჭო და მაწონი. რაც შეხება სხვა სახის რძის პროდუქტებს, მათი მიცემა სხვადასხვა სახის გართულებებს იწვევს. იმედია, გაითვალისწინებთ ამ რჩევას და გაუფრთხილდებით თქვენი ოთხფეხა მეგობრის ჯანმრთელობას.

**კითხვა: ბეწვის ცვენასთან თუ აქვს რაიმე საერთო ცხოველის ბანაობის სიხშირეს?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს რა სიხშირით და რა საშუალებებით ხდება ცხოველის დაბანა, გაწმენდა და დავარცხნა. დღევანდელ პირობებში არსებობს ბეწვის მოვლის და დამუშავების ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ ამ საშუალებებიდან უნდა შეირჩეს ხარისხიანი, რომელიც არ გამოიწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის გამოშრობასა და ბეწვის დაზიანებას. არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება, ადამიანის შამპუნის გამოყენება. ბეწვის ცვენა ხშირად გამოწვეულია ჰორმონალური დისბალანსით. პატრონს უნდა ახსოვდეს, რომ ბეწვის ცვენას, რომელიც ,,ლინკის" პერიოდს არ ემთხვევა და ხასიათდება ბუდობრივობით, აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება და ცხოველი მიიყვანოს ვეტერინართან.

**კითხვა: აუცილებელია ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი**: ძაღლების აცრა ერთი თვიდან კი არა, 45 დღის შემდეგ იწყება. ეს აუცილებელია თქვენი ძაღლის ჯანმრთელობისთვის, რადგან მაღალ კლასიფიცირებული ვაქცინა რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგო შტამპს შეიცავს: ენტერიტის, ჰეპატიტის, ძაღლის ჭირის, პარაგრიპის, ლეპტოსპიროზისა და ძაღლსაშენების ხველების სინდრომისას. თუ ძაღლი მაინც დაავადდა, ეს აცრები იმის საშუალებას იძლევა, მისი გადარჩენა შესაძლებელი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფექციური ენტერიტი, რომ იტყვიან შიდსზე საშიშია, რაც ცხოველის სიკვდილით მთავრდება. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა ენტერიტი, რომელსაც ენტეროვირუსები იწვევს და გამოვლინდება შეუჩერებელი ფაღარათით. ეს იმდენად მძაფრ და შემაწუხებელ სუნს გამოყოფს, რომ ერთხელ მაინც თუ შეიყნოსეთ, ცხოვრებაში აღარ შეგეშლებათ დაავადების ამოცნობა. ძაღლს ეწყება უმადობა, ფაღარათი, გულიც ცემა აჩქარებული აქვს, თანდათან აპათიური ხდება.

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ძაღლისთვის ანტიბიოტიკის მიცემა?**

**პასუხი**: გააჩნია რა შემთხვევაში. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ დაუშვებელია ანტიბიოტიკის თვითნებურად გამოყენება. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე მათი თვითნებური დანიშვნა, ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის ხანგრძლიობის თვითნებური შეწყვეტა აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინის და ბისებტოლის თვითნებური გამოყენების დროს. აღნიშნული პრეპარატები ხასიათდება მაღალი ნეფროტოქსიურობით და იწვევენ ჰიპერსალივაციას და ღებინებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია, თვითნებურად, დიაგნოზის დაზუსტების გარეშე, მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო. ასე რომ, ნუ გარისკავთ და ნუ ჩააგდებთ თქვენი ძაღლის სიცოცხლეს საფრთხეში.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



**რუბრიკას უძღვება**
**ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი**
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

# კაცობრიობის გადასარჩენად

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №29-35(714)**

ესიამოვნა, შემომღიმა. მეც შემხვედრი ღიმილი არ დავიშურე, წამოვდექი და წასვლა მოვიმიზეზე, რადგან იქ ყოფნა უკვე აუტანლად მეჩვენებოდა. შეზარხოშებულ კუდიანრქიან-ეშვებიან საზოგადოებაში გზა ძლივს გავიკვლიე და გასასვლელთან თვალებგაბრწყინებულ ვარვარას გადავეყარე.

– რამე კარგი ამბავია, ვარა?

– მამა ვლადი 2 დღით მოსკოვში არ იქნება! – მომახარა და კვლავ დარბაზში შესვლა დააპირა.

„ოჰო, კარგია! ესე იგი, ეგორი ხელს ველარ შემიშლის“, – გავიფიქრე და ვარვარას მკლავზე ხელი წავავლე.

– ვარა, აქედან წავიდეთ, ძალიან უსიამოვნო საღამოა.

– კარგი, ოღონდ ვერას დავემშვიდობები.

– საჭირო არ არის, გაგიგებს! – ვარა, როგორც იქნა, ბარიდან გამოვიყვანე და, როცა მანქანაში ჩავჯექით, მკითხა:

– ახლა საით?

– ცოტა ხანს ვისეირნოთ, – ვუთხარი უფრო იმისთვის, რომ ჩემს ბინასთან ახლოს მიმეყვანა და ჩემთან ასვლა შემეთავაზებინა. გუმანით ვხვდებოდი, რომ ისიც სწორედ ამისთვის ემზადებოდა. ასეც მოხდა. ცოტა ხანში შევაპარე, აქეთ ვცხოვრობ, ჩემთან ხომ არ ავსულიყავით-მეთქი. გაეღიმა – როგორც გინდაო.

დიდ სუპერმარკეტთან შევაჩერე.

– არ გადმოხვალ? – ვკითხე.

– რატომ?

– კერძების არჩევაში მომეხმარე, მე ხომ არ ვიცი, რა გიყვარს.

დამთანხმდა და სუპერმარკეტში შემომყვა. გამყიდველს ვარვარას არჩეული ორნაირი სალათა და ბოსტნეულის ბულიონში მოხარშული ორაგული შევაფუთინე, მე კი ავსტრიულ ძეხვეულს მივანიჭე უპირატესობა; გამზადებულ პიცა-პაპირონეს მუყაოს ყუთსაც წამოვავლე ხელი. ვარვარამ ტკბილეულისკენ არც კი გამახედა, ისე გამომიყვანა მაღაზიიდან.

40 წუთში უკვე მაგიდას ვუსხედით, რომელზეც, არყის გარდა, ჩაცივებული „ქინძმარაულის“ დაორთქლილი ბოთლიც მედო.

– ქართული ღვინო?! – გაუკვირდა. – დიდი ხანია, აღარ დამილევია.

ცოტა შევიშმუშნე და ინგლისური აქცენტის მომარჯვებით ფრანგული ღვინოების ქება დავიწყე. თუმცა, სახელგანთქმულ ბურგუნდიულ ღვინოსაც კი ჩვენებური „ციცქა“ მერჩივნა... მაინც გააგრძელა.

– ქართული ღვინო საიდან გაქვს? დიდი ხანია, დახლებზე აღარ შემიმჩნევია.

– „ღვინის სახლში“ შემთხვევით მომხვდა თვალში და შევიძინე, – სხვათა შორის ჩავილაპარაკე და ცოტა ხანში, გულუბრყვილო გამომეტყველებით ვიკითხე:

– რატომ აღარ შემოაქვთ რუსეთში ქართული სასმელი?

– ალბათ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, – მხრები აიჩეჩა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. მოკლედ, ცოტა ხანში ვარვარა ანტონოვნას თმაში ხელი შევუცურე და მის გამობურცულ სქელ ტუჩებს „გემო გავუსინჯე“. მთლიანად მომენდო, დამყვა და მეც „არ ვაწყენინე“... მხურვალე მიჯნურივით ვეალერსებოდი, თუმცა – ოდნავი ძალდატანებითაც... მწერლისთვისაც ძნელია შეკვეთილი რომანის დაწერა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სასაყვედურო არაფერი ჰქონდა. შევეცადე, დამევიწყებინა, რომ იმ ქალს ვკოცნიდი, რომელიც სრულებითაც არ მიზიდავდა... ალბათ, ასეთი ღამეები კიდევ ბევრი მექნებოდა და ამიტომ, თავს პირობა მივეცი, რომ ამ ავანტიურული თავგადასავლის პერიოდში, ცხოვრებას რაც შეიძლება, მეტ სასიამოვნო წამს გამოვრჩენოდი. ასე გადავიქეცი ერთგვარ ჟიგოლოდ. ეჰ, ვარვარა ანტონოვნას მაგივრად, ნასტია კოვალენკო რომ ყოფილიყო...

გვიან ღამემდე არ გვიძინია და დილით რულმოკიდებულს შუადღემდე ფეხი არ გამინძრევია. როცა თვალი გავახილე, ჩემ წინ კედელზე ჩამოკიდებული საათი პირველის ნახევარს უჩვენებდა. სამზარეულოდან კოლუმბიური ყავის არომატი გამოდიოდა.

დილის ცივმა შხაპმა ფორმაში ჩამაყენა და ვარვარას ვთხოვე, ჩემთან ეგორის ჩამოსვლამდე დარჩენილიყო. ეს ჩემს საქმეს უფრო წაადგებოდა და შევეცადე, უფრო მეტი გამეგო იმ საიდუმლოს შესახებ, რომელსაც ვარვარა ასეთი თავგამოდებით მალავდა. საიდან არ ვუარე, საიდან არ მივუდექი, მაგრამ სიტყვა ვერ დავაცდენინე. ასე გადავაგორე ორი მოსაწყენი დღე. ვარას კაბანის დაბრუნებისთვის არ დაუცდია, მეორე საღამოს მხურვალე კოცნით გამომემშვიდობა და საგანგებოდ გამოძახებული ტაქსით წავიდა.



***

პარასკევს, დათქმულ დროს, ყოფილი სინაგოგის შენობას მივადექი და ალექსეი ვიკითხე. ვარვარას სახელი ვახსენე თუ არა, შუახნის მამაკაცმა მაშინვე თვალით მანიშნა, შევსულიყავი.

დარბაზი, აქეთ-იქით ჩამწკრივებული მერხებით, ორად იყო გაყოფილი, შუა გამყოფ ზოლზე განიერი, გრძელი ხალიჩა დაეფინათ, რომელიც ამაღლებულ ადგილთან მთავრდებოდა, სადაც მიკროფონი და მის უკან ჩამწკრივებული სკამები იდგა. დარბაზი თითქმის შევსებული იყო. მე, რა თქმა უნდა, უკანა რიგში დავიკავე ადგილი და სიტუაციის შესწავლას შევუდექი. ამაღლებულ ადგილზე მდგომი სკამები ნაწილობრივ შევსებული იყო. მივხვდი, ეს ადგილები რიმსკის ელიტ-ჯგუფს, ანუ წითელკარველებს, ეკუთვნოდა. იქვე, დარბაზში თეთრთმიანი მამაკაცი მიმოდიოდა და რაღაც გრძელ ჩხირებს ასანთის ღერით უკიდებდა. ჯერ სანთლები მეგონა, მაგრამ, როცა დავაკვირდი, ტაილანდურ, არომატულ ჯოხებს ჰგავდა, რომელთაც ბოლი ასდიოდა და დარბაზში რაღაც უცნაური, ეგზოტიკური სურნელი დატრიალდა. ალბათ, ესეც რაიმე რიტუალის ნაწილი, ერთგვარი არომაგიაა-მეთქი, – გავიფიქრე და, როცა დარბაზისკენ შემობრუნდა, თეთრთავაში რომა აკოინიკოვი ამოვიცანი.

ზუსტად 7-ის 10 წუთზე დარბაზის გვერდითა კარი გაიღო და თეთრ შარვალსა და პიჯაკში გამოწყობილი „სახალხო მკურნალი“ შემოვიდა, რომელსაც დარბაზი ფეხზე წამოდგომითა და ტაშით შეეგება. მას უკან კაბანი, ანუ ეგორ კაზაკოვი მოჰყვებოდა. როცა ორატორი მიკროფონს გაუსწორდა, ეგორი მის გვერდით, ოდნავ უკან დადგა და დარბაზის თვალიერებას მოჰყვა.

ბოლოს, ვლად რიმსკიმ მიკროფონი მოიმარჯვა და ქადაგება დაიწყო:

– „მოგესალმებით, შვილებო, თანამოაზრენო!.. ვინაიდან თქვენ ხართ ჩვენი დიდება და სიხარული“, – ასე მიმართავდა პავლე მოციქული თავის მოწაფეებს და ასე მოგმართავთ მე თქვენ. თქვენ უკვე იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ, ჩემი რჩეულნი... და ამიტომ თქვენზე ვამყარებ და ვაგებ „სახალხო ტაძარს“. უქადაგეთ ხალხს, გაუნათეთ გონება, მოიყვანეთ ჩვენს „სახალხო ტაძარში“; მომყევით მოძღვრებაში, ქცევაში, განზრახვაში, მოთმინებაში!.. იქადაგეთ ჩემი სიტყვა ყველგან, ყოველთვის, დროულად, უდროოდ, გულითადად და დაუღლელად! ამხილეთ, შერისხეთ და შეაგონეთ!

პირდაღებული მივჩერებოდი სახეალგზნებულ ადამიანებს, რომლებიც დიდი გულისყურით უსმენდნენ თავიანთ „სულიერ მოძღვარს“ და ყოველი მისი ფრაზის მერე იმეორებდნენ – „ამინ!“ სურვილი მქონდა, ფუი, ეშმაკს-მეთქი, ჩამელაპარაკებინა და პირჯვარი გამომესახა, მაგრამ თავს ვიკავებდი. გულში შფოთი მიტრიალებდა, თავში – სახარებისეული სიტყვები: „ზოგიერთები განდგებიან რწმენისგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს“.

ცრუმეტყველი კვლავ განაგრძობდა:

– მე თქვენი მორჩილების საძირკველზე ვაშენებ „სახალხო ტაძარს“ და ჩემ მიერ დაშენებული ტაძარი არასდროს დაიქცევა... თუ

ვინმე დააზიანებს მას, ღმერთი იმასვე მიუზღავს ურწმუნოს! გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსს და მისი სახელი ამოიშლება ჩვენი სიცოცხლის წიგნიდან!“

ბრაზს კბილებით ვიკავებდი: აი, თურმე რატომ აცვია თეთრი ტანსაცმელი! ვუსმენდი, როგორ მოხერხებულად აგებდა ეს ცრუმოძღვარი თავის სიტყვას სახარებაზე და როგორ „ამყნობდა“ ამ სულელურ, რელიგიურ-სოციალისტურ მოძღვრებას წმიდა წერილებზე. ერთ საათს მაინც მოძღვრა იქ შეკრებილი ბრიყვები. მოუწოდა, რომ გამოერჩიათ ყველაზე აქტიური და ერთგული წევრები, შეედგინათ სიები, რათა ისინი სამუდამოდ ჩაესახლებინათ აღთქმულ ქალაქში, რომელსაც უკვე ერქვა „რიმგოროდი“... და ეს ქალაქი უნდა გამხდარიყო რჩეულთა სანეტარო სამყოფელი და დედამიწაზე სიმშვიდის ოაზისი. საბოლოოდ, ორატორმა დარბაზს მოუწოდა, გაემეორებინათ მის მიერ ნათქვამი ფრაზები და დარბაზი რიტმულად სკანდირებდა „სულიერი მოძღვრის“ სიტყვებს. ამასთან, ყოველ მის მოძრაობას, რომელიც ამ ფრაზებს მოჰყვებოდა და რომელიც სრულ უაზრობად მეჩვენებოდა, ზომბებივით იმეორებდნენ. არც მიფიქრია, ჩამეტარებინა ეს ჩემთვის შლეგური რიტუალური როკვა — ხელების მაღლა აპყრობა, ტანის რხევა, თავის მაღლა აწევა, თითქოს ცას უყურებდი... გახევებული ვიდექი და გაოგნებული მივჩერებოდი ტრანსში ჩავარდნილ ადამიანებს. თუმცა, საბედისწერო შეცდომა დავუშვი, რადგან ამით რომა აკოინიკოვს საშუალება მივეცი, შევემჩნიე. როცა ეს გიჟური ექსტაზი ჩაცხრა და ვლად რიმსკიმ გამოსვლა-ქადაგება დაასრულა, თეთრთავა რომა აკოინიკოვი მიუახლოვდა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ჩემკენ გამოიხედა. წამით გადავწყვიტე, დარბაზი სწრაფად დამეტოვებინა, მაგრამ მალევე გავაცნობიერე, რომ ამით ეჭვებს უფრო გავაძლიერებდი და ამიტომ მოთმინებით ვუცდიდი, რიმსკის თანხმობის გამომხატველი თავის დაქნევის შემდეგ, როდის მომიახლოვდებოდა მისი ძაღლივით ერთგული წითელკარველი.

— თქვენ აქ როგორ შემოხვედით?! — ბრაზით მომაჩერდა, — როგორც მახსოვს, მე თქვენთვის საშვი არ მომიცია.

— დიახ, მაგრამ, ხომ იცით, როცა სურვილი ძლიერია, თაგვის სოროში გაძვრები, რათა მოძღვრის სიტყვა მოისმინო, — მივუგე თავაზიანი ღიმილით, მაგრამ ამ ფრაზამ მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა და კვლავ რისხვით გამოსცრა:

— თუ მოძღვრის სიტყვა გინდათ მოისმინოთ, მაშინ შაბათობით სპორტდარბაზში უნდა მობრძანდეთ! აქ შემოსვლა ყველასთვის ნებადართული არ არის!

— დიახ, რა თქმა უნდა. იქაც ვიყავი... მაგრამ განა მოძღვარი თავისი სიტყვის მოსმენას ვინმეს სადმე დაამადლის?!

აკოინიკოვმა ჩემთან დიალოგის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა და მიბრძანა:

— თუ შეიძლება, მიბრძანდით!

დარბაზი ნაწილობრივ დაიცალა, მაგრამ ერთი მოზრდილი ჯგუფი გასასვლელის მაგივრად, რიმსკისთან ახლოს შექუჩდა. როგორც მივხვდი, ესენი „განკურნების სეანსის“ ჩატარებას მოითხოვდნენ. რიგრიგობით! რიგრიგობით! — ეშვებს აჩენდა კაბანი და „მოძღვართან“ მიკარების საშუალებას არავის აძლევდა.

რომა თვალს არ მაშორებდა, თუმცა გასვლას არ ვჩქარობდი და უკან-უკან ვიყურებოდი. გადაწყვიტა, დარბაზიდან პირადად „გავეცილებინე“ და კვლავ მომიახლოვდა. ვიცოდი, მისი სათაყვანებელი წინამძღოლისკენ რომ გამეწია, მაშინვე წინ აღმიდგებოდა, ამიტომ ეშმაკობას მივმართე, რისხვა გადავყლაპე და დიდი ხნის ნაცნობივით სახელი დავუძახე:

— რომა, რა უნდა ამ ხალხს? — მივანიშნე რიგში ჩამდგარ ადამიანებზე.

არ ვიცი, რამ მოალბო აკოინიკოვი — იმან, რომ სახელით მივმართე თუ იმან, რომ ძალიან გულუბრყვილო გამომეტყველება ავიწებე სახეზე, რადგან პასუხი გამცა:

— მამა ვლადს განკურნებას სთხოვენ.

— როგორ, მოძღვარს ესეც შეუძლია?! თუ ასეა, იქნებ მეც მიშველოს რამე... გული მაწუხებს, ერთი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ უშედეგოდ.

— ჰოო?! — იჭვნეულად შემომხედა.

მეც პერანგის ღილი შევიხსენი და მის დასარწმუნებლად საყელოს კიდე ბოლომდე გადავიწიე, თანაც, გულში გავიფიქრე, სად გამომადგა ჩემი ძმის ქორწილში, ჩხუბის დროს მოყენებული ჭრილობა-მეთქი.

თუმცა, ეს ქცევა სარისკოც იყო, რადგან რომა აკოინიკოვი ოდნავ მაინც რომ გარკვეული ყოფილიყო მედიცინაში, მაშინვე მიხვდებოდა, რომ გულის ოპერირების დროს ქირურგი სხვაგან, უფრო გვერდით გაუსვამდა სკალპელს... მაგრამ გადავრჩი. რომამ, თუმცა ირწმუნა ჩემი ოპერაციისა, მაგრამ ეს „პესეცისფერი” ეშმაკი შეუვალი აღმოჩნდა.

— კარგი, ვნახოთ! — უფრო იმიტომ შემპირდა, რომ იქაურობას მალე გავეშორებინე, თანაც, თავხედურად, თითით მანიშნა გასასვლელისკენ. სხვა დროს და სხვა შემთხვევაში, რომას იმ საჩვენებელ თითს მოვამტვრევდი, რომელიც წამის წინ გაბზიკა კარისკენ, მაგრამ ახლა ამის გაკეთება ნამდვილი სისულელე იქნებოდა. ამიტომაც, ცხვარივით დავმორჩილდი და მითითებული ადგილისკენ გავემართე, თუმცა ბრაზისგან ფრჩხილები ხელისგულებში მთელი ძალით ჩავიჭირე.

***

ძველი სინაგოგის შენობიდან გაწბილებული გამოვედი. განსაკუთრებით, რომა აკოინიკოვთან საუბარმა მომიწამლა გუნება. ამიტომ, როცა მანქანაში ჩავჯექი, ტელეფონი მოვიმარჯვე და ნასტია კოვალენკოს ნომერი ავკრიფე. მალე მისი ბავშვივით წკრიალა ხმა შემომესმა:

— გისმენ, ალექსანდრ!

— უნდა გნახო, ნასტენკა!

— სამსახურიდან ახლა გამოვდივარ. 20 წუთში სასტუმრო „უკრაინასთან“ ვიქნები...

— სანაპიროს მხრიდან უნდა მოვიდე? — დავაკონკრეტე მისამართი და ეჭვმა კიდევ ერთხელ გამისერა გონება, მაინც რატომ სამსახურთან არ დამითქვა ნასტიამ შეხვედრა-მეთქი.

— კუტუზოვის ქუჩაზე ვიდგები და იქ დაგელოდები, — იყო პასუხი.

ბედად, საცობს ავცდი... 10 წუთში უკვე პიროგოვსკაიას ქუჩაზე ვიყავი და კიდევ 10 წუთი დამჭირდა ხიდამდე. ნასტია, მართლაც, სასტუმროსგან მოშორებით იდგა და დიდი პოლიეთილენის პაკეტით ხელში, მე მელოდა. ჩაჯდა თუ არა, პაკეტი უკანა სავარძელზე დადო და მკითხა:

— აბა, როგორ არის საქმე?

— ცუდად! — მივუგე და ვკითხე: — საით?

— რა თქმა უნდა, სახლისკენ — დოსტოევსკის ქუჩაზე.

— საიდან ჯობია.

— სადოვაიადან ტვერსკაიაზე უნდა გავიდეთ... დანარჩენს მერე გეტყვი.

მანქანა ადგილიდან დავძარი და მითითებული ქუჩებისკენ დაახლოებით 60 კილომეტრი სიჩქარით გავემართე, რადგან არ მინდოდა, ნასტიასთან მალე დაშორება.

— იცი, ნასტია, ასე მგონია, რომ ადრე მე და შენ სადღაც შევხვედრივართ... პირველად რომ დაგინახე, მაშინვე ვიფიქრე, ეს სახე სადღაც მინახავს-მეთქი.

ნასტიამ დაკვირვებით შემომხედა.

— შეუძლებელია. ოდესმე რომ მენახე, აუცილებლად დაგიმახსოვრებდი.

— მართლა?

— ჰო.

— ესე იგი, ფოტოგრაფიული მეხსიერება გქონია.

— არც მთლად ასეა საქმე... მაგრამ შენ განსაკუთრებული გარეგნობა გაქვს.

— როგორ?

— არ ვიცი, არასტანდარტული.

— ასე რომ ამბობ, მგონია, რომ საერთოდ არ მოგწონვარ, — თავი მაინც ვერ შევიკავე მსუბუქი ფლირტისგან... მაგრამ ამჯერად ცივი „არ შეიძლებას“ ნაცვლად, ნასტიამ სულ სხვა რამ მითხრა:

— ძალიან სიმპათიური ხარ!

— კარგია, ასე თუ ფიქრობ.

— აჯობებს, საქმეზე გადავიდეთ, — მაინც გაურია ოდნავი სიმკაცრე ხმაში.

იმდღევანდელი შეკრების დეტალები მოვუყევი. ნასტია ჩუმად იჯდა და ფიქრობდა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**



ხანგრძლივი დუმილის შემდეგ სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

– ჯობდა, ვარვარასგან შორს დაგეჭირა თავი... და სხვა მხრიდან მივდგომოდით...

– გვიანია, ნასტია. თანაც, თუ რიმსკი-კაზაკოვის ურთიერთობის საიდუმლო გვინდა ამოვხსნათ, ეს ერთადერთი გზაა, თანაც – უმოკლესი.

– გვიანია?! – ოდნავ შეცბა, – ნუთუ ვარვარასთან...

– ვარვარა ანტონოვნას შევპირდი, რომ ეგორ კაზაკოვს ჩამოვაშორებ, – შევაწყვეტინე სიტყვა, რადგან არ მინდოდა, თემა გაევრცო.

– ამას როგორ მოახერხებ?

– ჯერ არ ვიცი.

– მგონი, ძალიან რისკავ! – ნასტიას შეწუხებული სახე გაუხდა, – კაბანი არ დაგინდობს!

– ნუ ღელავ, ფრთხილად ვიქნები. სხვა გზა არ არის, თუ ვარვარა კვლავ „წითელი კარვის“ წევრი გახდება, რიმსკისთან მისასვლელი გზა გამეხსნება.

– მიხაილი ხვალ საღამოს მიემგზავრება. უნდა მოვილაპარაკოთ, სად შეგხვდები ხოლმე... შენთან სახლში რომ ამოვიდე, იქნებ ვარვარას გადავეყარო, – ირონიით და ორაზროვნად ასწია ცალი წარბი ნასტიამ და სწრაფად დაამატა: – შენ კი ეს არ გაწყობს!

– მე – არა... საქმეს არ აწყობს.

– ეს ამჯერად ერთი და იგივეა.

ლესნაიას ქუჩისკენ გადავუხვიე და უკმაყოფილოდ გადავულაპარაკე:

– მოკლედ, ნასტია, თუ რამე მოხდა, დაგირეკავ და სასტუმრო „უკრაინასთან“ შევხვდებით... რადგან რატომღაც, არ გინდა, რომ სამსახურში მოგაკითხო.

– როგორც გინდა, – დამთანხმდა უხალისოდ. მე მისი უგუნებობის მიზეზს ჩავწვდი და შევაპარე:

– ნასტია, შინ გელოდება ვინმე?

– მშობლები.

– ესე იგი, გათხოვილი არ ხარ...

– ვიყავი... ერთხელ!

– წარუმატებელი არჩევანი გაგიკეთებია.

– შეიძლება, ასეც ითქვას, – ნასტიამ ამოიოხრა და თემა დახურა: – ახლა ამაზე საუბარი არ მსურს!

– ჰო, რა თქმა უნდა... მე ხომ, უბრალოდ, საქმიანი პარტნიორი ვარ და მეტი არაფერი.

ნასტიას გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საკუთარ თავს ვამჩნევდი, რომ ეს ქალი ძალიან მიზიდავდა, მომწონდა და მასთან მშრალი საუბარიც კი, რომელსაც ვერც ერთხელ ვერ ავცდი – მსიამოვნებდა.

ნასტიამ რვასართულიან კორპუსთან გამაჩერებინა მანქანა და გადასვლისას მითხრა:

– მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინე, ალექსანდრ, იცოდე, საშიში თამაში წამოიწყე.

– ვიცი, მაგრამ სხვა გზა არ არის. ზრუნვისთვის გმადლობ!

ცოტა ხანს კიდევ ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მსუბუქად მიაბიჯებდა ნასტია კოვალენკო. ის-ის იყო, გასაღებს მოვკიდე ხელი, რომ ის პაკეტი გამახსენდა, ნასტიამ რომ უკანა სავარძელზე დადო. მანქანიდან გადავედი, პოლიეთილენის პარკი ავიღე და ნასტიას ჩქარი ნაბიჯით უკან გავყევი. წამოვეწიე, ხმადაბლა დავუძახე. შეჩერდა, მოტრიალდა და, როცა თავისი პარკით ხელში დამინახა, გაეღიმა. ეს სულ გადამავიწყდაო, მითხრა და სადარბაზოში გაუჩინარდა. უკან გამოვბრუნდი. ტრასაზე, ჩემი „ნისანის“ უკან, დაახლოებით 20 მეტრში „მერსედესის“ მარკის „ჯიპი” იდგა. რატომღაც მძღოლს დავაკვირდი, მაგრამ განათების ბოძისგან მოშორებით მდგომ მანქანაში მძღოლის სახე ვერ გავარჩიე. თუმცა, როცა მანქანა ადგილიდან დავძარი, „მერსედესმაც“ მე „მომბაძა“. ეჭვი გამიძლიერდა და სიჩქარეს მოვუმატე... ისიც არ ჩამომრჩა. კვლავ ლესნაიაზე გავედი და ბუტირსკაიაზე შევუხვიე. აშკარა იყო, „მერსედესის“ „ჯიპი“ მე მომყვებოდა. გავიფიქრე, რომ საჭირო იყო შემეტყო, რა უნდოდა ჩემგან უცხო მდევარს; ამიტომ მანქანა მარჯვენა მხარეს, ტროტუართან მივაყენე და დაველოდე, რას მოიმოქმედებდა „მერსედესის“ მძღოლი. მიხვდა, რომ შევამჩნიე, არ შეჩერებულა, ისე ჩამიარა გვერდით... და მომეჩვენა... არა, მომეჩვენა კი არა, აშკარად გავარჩიე კაბანის წინ წამოწეული შუბლი და სახესთან მიჭყლეტილი ცხვირი... დაველოდე, სანამ თვალს მიეფარებოდა და მიხაილს დავურეკე – სად ხარ, აუცილებლად უნდა გნახო-მეთქი. მან კამენსკის ქუჩაზე, საკუთარ ბინაში დამითქვა შეხვედრა. საღამოს 9 საათი იქნებოდა. მოსკოვის გადატვირთულ ქუჩებში სიარული ჭირდა, ამიტომ 1 საათი დამჭირდა იქ მისასვლელად. მიხაილი მარტო იყო. რა მოხდაო, – კარი გააღო თუ არა, მკითხა... ალბათ, ჩემს სახეზე ამოიკითხა, რომ სერიოზულად იყო საქმე.

– მიხაილ, იარაღი მჭირდება.

– შემოდი! – შემიძღვა საკმაოდ მყუდრო და გემოვნებით მორთულ მისაღებ ოთახში. სავარძელზე მიმითითა, მეც ჩამოვჯექი. თვითონ გავიდა და ცოტა ხანში რამდენიმე თეფშითა და კონიაკის ბოთლით ხელში დაბრუნდა.

– ასე სერიოზულად არის საქმე? – მკითხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუცელგაბერილი ჭიქები ოქროსფერი სასმლით ლამის სანახევროდ შეავსო.

– ვფიქრობ, რომ ასეა.

– რატომ?

– ახლახან ნასტია მივიყვანე სახლში და შევამჩნიე, კაბანი მითვალთვალებს.

მიხაილს შუბლი შეეჭმუხნა.

– არა მგონია, ეს იმის გამო იყოს, რომ შეკრებას დღეს საშვის გარეშე ვესწრებოდი, – გავაგრძელე მე და კონიაკი მოვსვი.

– ეს არც მე მგონია. საქმე ქალს უნდა ეხებოდეს.

– მოკლედ, ამ საქმეში, თავს მოვიჭრი და, იმ თეთრთავა რომა აკოინიკოვის ხელი ურევია.

– ასე რატომ ფიქრობ?

– კაბანის მოცილება უნდათ და ცდილობენ, შარში გააბან. ვფიქრობ, რომა აკოინიკოვმა ვლად რიმსკიც ჩააყენა საქმის კურსში.

– ჰო... ცხადია, ნარის გლეჯა სხვისი ხელით ურჩევნიათ.

– საქმის ვითარება ასეთი უნდა იყოს: მე და ვარვარა ერთად მივდივართ რომასთან; მერე მე ის კრებაზე ალმომაჩენს საშვის გარეშე... ბუნებრივია, იცის, რომ მეკარე ალექსეი მხოლოდ ვარას ხათრით შემიშვებდა. ის აკეთებს დასკვნას, რომ ჩემსა და ვარვარა ანტონოვნას შორის რაღაც ხდება და კაბანს ყველაფერს უყვება. კაბანი კი ტვინს იჭყლეტს და ფიქრობს, რომელი ნათესავი ჰყავს მის საყვარელს ლონდონში... ვერ იხსენებს და დაასკვნის, რომ მე ვარას ახალგამომტყვრალი კავალერი ვარ... ამიტომ, გაბოროტებული მითვალთვალებს, რომ იქნებ მის საყვარელთან ერთად წამასწროს და... შარიც იქვეა!

– ლოგიკურია, – თავს მიქნევს მიხაილ კირსანოვი და საყვარელ სასმელს ერთი დიდი ყლუპით აქრობს ჭიქიდან – ახლა რას აპირებ?

– ახლა, მიხაილ, მართალია, ძალას, ამასთან – ჭკუასაც არ ვუჩივი და არც მშიშარა ვარ, მაგრამ შეიარაღებულ ეგორ კაზაკოვთან შიშველი ხელებით დაპირისპირება, ნამდვილი სასიკვდილო ტრიუკი იქნებოდა.

– ამაშიც მართალი ხარ, – მიხაილი დგება და თვალით მანიშნებს, გავყვე. ოთახის კარს აღებს და კაბინეტში შედის... თაროზე უამრავი წიგნი აწყვია.

– ოჰო! ეტყობა, კითხვა გიყვარს, მიხაილ, – ვათვალიერებ სხვადასხვა ფერისა და ზომის წიგნებს.

– ცოლი არ მაწუხებს და შვილი... დრო რაღაცით ხომ უნდა მოვკლა? – ჩემი მასპინძელი ერთ-ერთი თაროდან წითელყდიან მოზრდილ წიგნს იღებს, რომელსაც ოქროსფერი რუსული წარწერა აქვს: „საბჭოთა კავშირის ისტორია“.

მიხაილი წიგნს შლის და მე გაკვირვებული დავცქერი ამოჭრილ ფურცლებს შორის მოთავსებულ პისტოლეტს.

– ეს რა არის?! – ალბათ, სახეზე იმედგაცრუება მეხატება, რადგან მიხაილი წიგნს მაშინვე ხურავს და უკან, თაროზე დებს, – ტრავმატულ იარაღს მთავაზობ?! სანამ დამცველს მოვხსნი და ამ მასხარების „მაშინობელას“ სასროლ მზადყოფნაში მოვიყვან, 10-ჯერ მაინც მომაყენებენ დანით სასიკვდილო ჭრილობებს.

– კარგი, დამშვიდდი, – უბრალოდ, წიგნი შემეშალა, – ახლა ყავისფერყდიანი წიგნი გამოიღო და შუაში გადაშალა.

„გლოკი“?! – ეს სწორედ ის არის, რაც მინდა, – სახეზე კმაყოფილება გადამეფინა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# საშიში ნიჭი

## ჩარლზ გილფორდი



მერი ჯოისი იმ წვეულებაზე შემთხვევით აღმოჩნდა და ძალიან ნანობდა ამას. ჩარლზ გრინის – მაღალი, ჭრელთვალება, სიმპათიური მამაკაცის მზერა თითქმის მაშინვე იგრძნო. მერი მოკრძალებული ქალიშვილი იყო და, რადგან იცოდა მისის გრინის არსებობის შესახებაც, უხერხულობამ დისკომფორტი შეუქმნა. კაცი თვალს არ აშორებდა და, როცა სთხოვეს, ჰიპნოზის სეანსი ჩაეტარებინა, მან დახმარება მერის სთხოვა. ქალიშვილი დაიბნა, მაგრამ დათანხმდა, თუმცა, არ იცოდა, ცნობისმოყვარეობა იყო ამაში დამნაშავე თუ მამაკაცი მაინც მოეწონა. თვითონ ჰიპნოზის არასდროს სჯეროდა. ფიქრობდა, როგორ უნდა დავემორჩილო ვილაცის ბრძანებებს და, რამდენჯერმე ნათქვამით – „დაიძინე“ – სალათას ძილს მივეცეო... მაგრამ, თვალები თავისით დაეხუჭა, თუმცა, მგრძნობელობა არ დაუკარგავს. ესმოდა მაყურებლების აღტაცებული შეძახილები და ჩარლზ გრინის მონოტონური ბრძანებები... რა თქმა უნდა, იცოდა, რომ იქ არანაირი ჭურჭელი არ ეწყო, მაგრამ მაგიდა მაინც „აალაგა“, „იატაკი მოწმინდა“, მერე „კლავიატურაზე“ ტექსტის აკრეფა დაიწყო... რომ გამოფხიზლდა, პირველად ჩარლზის ვნებით ანთებულით ვალები დაინახა.

– უსიამოვნო იყო, ხომ? – მზრუნველობით ჰკითხა კაცმა და ცხელი ხელისგული მხარზე დაადო. ქალიშვილი გაწითლდა და უსიტყვოდ დაუქნია თავი.

– შენ კიდევ ყველაფერი არ იცი. მე შენ აზრების გაგების ნიჭი გადმოგეცი. ახლა ერთ ტალღაზე ვართ. მიხვდები, რაზე ვფიქრობ მე, ზუსტად ისე, როგორც მე ვხვდები შენს ნააზრევს. თუ მოინდომებ, ახლა აუცილებლად გაიგებ, რაზე ვფიქრობ, – კაცმა სულ ახლოს მიუტანა სახესთან ტუჩები და ეს სიტყვები ჩურჩულით წარმოთქვა. ჩარლზ გრინი ძალიან სიმპათიური იყო და მერის სუნთქვაც კი შეეკრა.

– ამას არ სჭირდება ჰიპნოზი და ტელეპათია. გინდათ, რომ მაკოცოთ, – ჩაილაპარაკა მორიდებით და გაწილთდა.

– ზუსტად გამოიცანით, აკი გეუბნებოდით... მოგწონვარ, პატარავ?

– ჰო, მაგრამ, მე იმასაც ვფიქრობ, რომ თქვენ ცოლი გყავთ...

– ცოლი? ჰა, ჰა, ჰა, ძალიან სასაცილოა!.. ცოლი...

იმ საღამოს მეტი არაფერი მომხდარა. მერი წამოვიდა და აფორიაქებული დიდხანს ფიქრობდა ჩარლზეც და ტელეპათიაზეც. მერე შემთხვევით კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. კაცმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, ხოლო შემდეგ მერიმ მისის გრინიც ნახა. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად ბეჭდავდნენ ამ ელეგანტური, მოდური ქალბატონის ფოტოებს, ამიტომ, მისი ცნობა არ გასჭირვებია. მისის გრინი რესტორნის ღია ვერანდაზე იჯდა ვიღაც კაცთან ერთად და ისე იქცეოდა, როგორც გათხოვილი ქალი მოიქცევა ძალიან საყვარელ ქმართან. ტელეპათიის „შეტევა“ იყო ეს თუ, მერი, უბრალოდ, ლოგიკით მიხვდა, მაგრამ, ფაქტია, რომ მაშინვე მისტერ გრინზე იფიქრა და ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ კაცმა ცოლის ღალატის შესახებ იცოდა... ორი დღის შემდეგ, საღამოს, მის სახლში ტელეფონი აწკრიალდა... ჩარლზ გრინი ურეკავდა:

– მე მას მოვკლავ, მერი, აუცილებლად მოვკლავ და, შენ იცი, რატომაც. ის იმსახურებს სიკვდილს. შენ კი ძალიან საყვარელი ხარ. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, ერთად ვიქნებით მე და შენ... ერთად ვიქნებით. მაგრამ, ჯერ ის უნდა მოვკლა, მოღალატე ძუკნა!..

მერიმ ამოიოხრა და ყურმილი დაკიდა. ეს აშკარად აღარ იყო არც ხილვა და არც აზრების წაკითხვის ტელეპათიური უნარი, თუმცა, სერიოზულად მაშინ შეეშინდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ „დღის ქრონიკებში“ მისის გრინის მკვლელობის შესახებ წაიკითხა. „ქრონიკა“ იუწყებოდა, რომ გაურკვეველმა „ჯიპმა“ ქალს თავის სახლის წინ დაარტყა ისე ძლიერად, რომ ადგილზევე მოკლა. მერისთვის მაშინვე ნათელი გახდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვლელი. თითქოს ჩარლზის ხმაც გარკვევით ჩაესმა: „მე ის მოვკალი... დავსაჯე ღალატისთვის...“

ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეშინოდა, პოლიციაში მაინც წავიდა. გამომძიებელმა დაუფარავი ირონიით მოისმინა.

– ქალიშვილო, რამე ფაქტი გაქვთ? – ჰკითხა გულგრილად.

მერი შეცბა:

– არა, არანაირი ფაქტი, მაგრამ მე ვიცი, მკვლელი ის არის.

– სისულელეა... მანქანაც შევამოწმეთ და მისი ალიბიც. რკინის ალიბი აქვს მისტერ გრინს – სეანსს ატარებდა ერთ ძალიან წარჩინებულ ოჯახში, ზუსტად იმ დროს, როცა ავარია მოხდა. როგორ გგონიათ, მისტერ გრინისგან არ დავიწყეთ ძებნა?! მაგრამ, გეუბნებით, უამრავი მოწმე ადასტურებს მის ყოფნას იმ ოჯახში. თქვენი ხათრით, კიდევ ერთ მოწმეს შევეკითხებით, კარგი?

მერი მიხვდა, რომ პოლიციელი დასცინოდა. ამოიოხრა, გამოემშვიდობა გამომძიებელს და წამოვიდა. იმავე საღამოს ტელეფონმა დარეკა.

– მერი, ეს რა ჩაიდინე? – ჩარლის იდუმალი, თითქოს არაამქვეყნიური ხმა ჰქონდა.

ქალიშვილს სისხლი გაეყინა ძარღვებში.

– მერი, მერი... პოლიციაში რატომ წახვედი? ამით ყველაფერი გააფუჭე. მე კი შენ მიმართ სერიოზული მიზნები მქონდა. ჩვენ ხომ ასე კარგად ვუგებდით ერთმანეთს... ახლა კი...

მერი მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა. ვერავინ დაეხმარებოდა, ჩარლზი მასაც მოკლავდა. სასწრაფოდ უნდა წასულიყო ქალაქიდან, თანაც ისე, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა. ღამის ავტობუსით პატარა ქალაქ ხორტვეიში ჩავიდა და ამავე სახელწოდების ოტელში გაჩერდა. გადაწყვიტა, მაშინვე დაწოლილიყო დასაძინებლად და არაფერზე ეფიქრა, რადგან, მაინც ეშინოდა, რომ ჩარლზ გრინს შეეძლო მისი ფიქრების ამოცნობა და ამით ადგილმდებარეობის განსაზღვრა, სადაც ის იმყოფებოდა. მერი იმასაც მიხვდა, როგორ გაიკეთა გრინმა ალიბი – მან დრო „მოიპარა“. ჰიპნოზის საშუალებით დაარწმუნა მის სეანსზე დასასწრებად შეკრებილები, რომ ნახევარი საათით ადრე იყო. სინამდვილეში კი ცოლს მანქანით დაეჯახა, მერე მანქანა შეცვალა და სეანსზე ისე მივიდა. მერი ეჭვობდა, რომ მანქანა მისის გრინის საყვარლის შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩარლზი ამით ორ კურდღელს კლავდა – ცოლსაც იშორებდა თავიდან და მის საყვარელსაც ელექტროსკამზე უშვებდა... აი, მისი ვინაობა რომ მაინც სცოდნოდა, კიდევ შეძლებდა პოლიციის დარწმუნებას ჩარლზ გრინის დანაშაულში... უცებ მოეჩვენა, რომ მარტო არ იყო – თითქოს ოტელის ფანჯრის წინ მამაკაცის გრძელი ლანდიც დაინახა. ბევრი არ უფიქრია, წამოხტა, სასწრაფოდ ჩაიცვა და ოტელიდან უკანა ეზოში გავიდა. იმის იქით უკვე ტყე იწყებოდა და გზაც მიხვეულ-მოხვეული იყო. მერი უკანმოუხედავად გარბოდა. უცებ გარკვევით გაიგონა მანქანის მოტორის ღმუილი და შორს ორი ანთებული ფარიც დაინახა. საეჭვო აღარაფერი იყო – ჩარლზი მოსდევდა. მერის ერჩივნა, ტყეში დაკარგულიყო და იქ ყოფილიყო დილამდე, ვიდრე ჩარლზს მისთვის მანქანით გადაევლო... გარბოდა ძალების დაუზოგავად, შორს, ხეებსა და ბუჩქებს მიღმა. ქინძისთავისოდენად მანათობელი წერტილი გამოჩნდა. მერის იმედი მიეცა, რომ იქ დახმარებას იპოვიდა. მანქანის ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა და უნდა ეჩქარა... მანქანის ფარები ლამის უკვე თვალს ჭრიდა და, უცებ, მერიმ დაინახა, რომ წყალსატევს მიადგა, რომელზეც რაღაც ხიდის მსგავსი იყო გადებული... ბევრი არ უფიქრია, ხიდზე აირბინა და ჩარლზმაც შემოაგელვა მანქანა... მერიმ ისკუპა და წყალში ჩახტა. ცურვა იცოდა, თუმცა, ამასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა – ბორბლების ქვეშ მოხვედრას ყველაფერი ჯობდა. უცებ მოულოდნელი რამ მოხდა: ხიდი სულაც არ აღმოჩნდა ხიდი, ეს მხოლოდ ხის მოკლე მისადგომი იყო... მანქანა დგაფუნით გადავარდა წყალში და პირდაპირ ცხვირით იწყო ჩაძირვა... მერი სანაპირომდე მიცურდა. უკან მიხედვა არ უნდოდა, თუმცა, გრძნობდა, რომ ჩარლზი მოკვდა – მისგან აღარ მიდიოდა „იმპულსები“, რაც მას ასე აშფოთებდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

მოქმედებს შეღავათები.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-35 (714)

მერაბს ელდა ეცა. სიმწრის ოფლმა დაასხა და ბუცხრიკიძეს ჰკითხა:

– კაპიტანმა ჯიბუტმა თუ იცის ბეშქენაძეების ამბავი? – ჯიბუტი პირადად მერაბმა დანიშნა სამი კვირის წინ თავისი განყოფილების უფროსად ქუთაისში.

– იცის, ბატონო მერაბ და მალხაზ ჯიბუტიც დაჟინებით მირჩევდა, რომ არც საქმე ალმეძრა და არც სამხილი წამომეღო თბილისში.

„ესე იგი, ჯიბუტში შევცდი", – გაიფიქრა გამწარებულმა მერაბ გამრეკელმა და ბუცხრიკიძეს უთხრა:

– მძიმე დანაშაული რომ არ მიჩქმალე და სწორად და პატიოსნად მოიქეცი, ქების ღირსი ხარ. მაგრამ, თავი რატომ დააჩაგვრინე კუტუბიძეს და ხმა არ ამოიღე?

– გაჩუმება არც მიფიქრია, ბატონო მერაბ და ბალისტიკოსის დასკვნას ველოდები. პატაკი კი უკვე მზად მაქვს, სადაც ყველაფერი დაწვრილებით აღვწერე. გივი სახვაძემ უნდა დამირეკოს და როგორც კი თბილისში ჩამოვალ დასკვნისთვის, პატაკსა და დასკვნას მინისტრის კანცელარიაში დავტოვებ, – მიუგო ბუცხრიკიძემ გამრეკელს.

– ეგ სულ სხვა საქმეა. რამდენი წლის ხარ, ლეიტენანტო?

– ოცდასამის, ბატონო მერაბ.

– რა გაქვს დამთავრებული?

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე ორი წლის წინ. ექვსთვიანი პრაქტიკა თბილისში გავიარე. წელიწად-ნახევარი სამტრედიაში ვიმუშავე გამომძიებლად და მეორე თვეა, ქუთაისში ვარ.

მერაბი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ კოტეს თვალი ჩაუკრა და ბუცხრიკიძეს უთხრა:

– ჩათვალე, რომ შენ ამ წუთიდან ორგანიზებულ დანაშაულთა მებრძოლი განყოფილების, ქუთაისის ქვედანაყოფის უფროსი ხარ, მალხაზ ჯიბუტს კი ვათავისუფლებ.

– რა ბრძანეთ, ბატონო მერაბ? – იკითხა ბუცხრიკიძემ.

– რაც გაიგე, ის ვბრძანე – ჯიბუტის ადგილზე გნიშნავ და არ მოგესმა. მაგრამ, არ უნდა შემარცხვინო ჯიბუტივით, – უთხრა მერაბმა ნოე ბუცხრიკიძეს და დაამატა, – სამსახურში რამდენ ხანში შეგიძლია მიხვიდე.

– მაქსიმუმ ნახევარ საათში.

– მაშინ, ასე ვქნათ. ახლა ჯიბუტს დავურეკავ და ვეტყვი, რომ ხელი არ შეგიშალოს. შენ კი საიმედო, გამოცდილი ოპერები წაიყვანე, ჯემალ ბეშქენაძე აიყვანეთ და თავის ძმას გვერდით მიუსვით, თან არავინ გააკაროთ ჩემს ჩამოსვლამდე. გასაგებია?

– გასაგებია, ბატონო მერაბ.

– ნოე, ავტომობილის მართვა თუ შეგიძლია?

– შემიძლია. მართვის მოწმობაც მაქვს.

– ხვალ დილით ახალთახალ „ვოლგას" ჩამოგიყვანენ.

– თქვენ როდის ჩამობრძანდებით?

– დღესვე.

– კარგი, ბატონო მერაბ. ახლავე წავალ სამსახურში და თქვენს ბრძანებას შევასრულებ. გელოდებით.

– ნოე, ფრთხილად იმოქმედეთ.

– დარდი ნუ გაქვთ, ბატონო მერაბ. არ შეგარცხვენთ. ნახვამდის.

– აბა, თქვენ იცით, ნოე. მალე შევხვდებით. ნახვამდის, – მიუგო მერაბმა ნოე ბუცხრიკიძეს. ყურმილი აპარატზე დადო და კოტე სოხაძეს უთხრა:

– ალბათ, ყველაფერს მიხვდი, ხომ?

– რამდონიას ეხაზება, იმ მექრთამეს. მასეა? – გაეცინა სოხაძეს.

– რა, ღირსი არ არის? კარგა ხანია, მინისტრი კბილებს ილესავს და მიზეზს ვერ პოულობდა. მე ახლა გენერალთან შევალ და ყველაფერს მოვუყვები. შემდეგ კი ქუთაისში გავემგზავრები. ფანტომზე გასვლის შანსია და ბეშქენაძეები პირადად უნდა დავკითხო.

– ჯიბუტს არ ურეკავ? – შეახსენა კოტემ მერაბს.

– ჯერ მინისტრს დაველაპარაკები, – მიუგო მერაბმა და კაბინეტიდან სწრაფი ნაბიჯებით გავიდა.

– ხომ მშვიდობაა, მერაბ? – ჰკითხა გენერალმა გამრეკელს, რომელსაც სულ რაღაც ორი საათის წინ კარგა ხანს ელაპარაკა კაბინეტში.

მაიორი ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა გენერალს და ბოლოს უთხრა:

– ჯიბუტში შევცდი და გავათავისუფლე. მის მაგივრად კი, ეს პატარა ბიჭი დავნიშნე. ახლავე ქუთაისში მივემგზავრები, რომ ბეშქენაძეები პირადად დავკითხო და გავარკვიო, ვინ იყო ის გაქცეული ყაჩაღი, ვინც ამ წყეული „მაკაროვიდან" გაისროლა. თქვენთან კი, თხოვნა მაქვს, დომენტი კუტუბიძეს დაურეკოთ და უთხრათ, რომ ნოე ბუცხრიკიძეს ხელი არ შეუშალოს ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობაში.



– მდაა, – ქუთაისში იმზე მეტი ბარდაგი ყოფილა, ვიდრე მეგონა. დადგა რამდონიას, მაგ მექრთამის აღსასრულის ჟამი და ამას ახლა მისი სიმამრიც კი ვერ უშველის, – თქვა მინისტრმა, სპეცკავშირის ტელეფონის ყურმილს დასწვდა და იკითხა:

– პოდპოლკოვნიკი დომენტი კუტუბიძე სად ბრძანდება?

წესით, სპეცკავშირის ტელეფონისთვის თავად კუტუბიძეს უნდა ეპასუხა და გენერალმა იმიტომ იკითხა სამმართველოს უფროსი, რომ ყურმილში ქალის ხმა მოესმა, რომელმაც მინისტრს ჰკითხა:

– საიდან რეკავ?

ახალგაზრდა, ტუტრუცანა ქალი კუტუბიძის მდივანი იყო. მასავით პროვინციულად მეტყველებდა და მდივნობას დომენტის საყვარლობასაც უთავსებდა. იმ მომენტში კი, იმიტომ იმყოფებოდა კუტუბიძის კაბინეტში, რომ მეორე ფუნქცია შეესრულებინა და მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი ელოდებოდა სააბაზანო ოთახში შხაპის მისაღებად შესულ დომენტი კუტუბიძეს.

გენერალი ჯერ იმან გაალიზიანა, რომ ტელეფონს სხვამ უპასუხა. შემდეგ ამ იდიოტურმა – „საიდან რეკავო" და აფეთქდა:

– საიდან და საიქიოდან, შე კრეტინო! ჩქარა რამდონია მოათრიე აქ. მინისტრი ვარ მე!

ტუტრუცანა სააბაზანოში შევარდა და პირსახოცშემოხვეულ კუტუბიძეს უთხრა:

– ვინცხა, მინისტრი ვარო, ამბობს და იგინება. რამდონია მოათრიეო.

კუტუბიძე თოვლივით გათეთრდა და სააბაზანოდან გველნაკბენივით გამოვარდა. გზაში პირსახოცი გასძვრა, მაგრამ მისი აღება არც უცდია. ტელეფონთან დედიშობილამ მირბინა და უპასუხა:

– გისმენთ, ბატონო მინისტრო.

– პოდპოლკოვნიკო კუ-ტუ-ბი-ძე, – დამარცვლით თქვა გენერალმა, – ამ წუთიდან შენ და კაპიტანი მალხაზ ჯიბუტი, ასევე გამომძიებელი ხოშტარია გათავისუფლებულები ხართ თანამდებობიდან. ახლა მანდ ლეიტენანტი ნოე ბუცხრიკიძე მოვა და ხელი არ შეუშალო მუშაობაში. მან თვითონ იცის, რაც უნდა გააკეთოს. მალე მერაბ გამრეკელიც ჩამოვა და დანარჩენს მისგან გაიგებთ.

– რა დავაშ... – თქვა დედიშობილა პოდპოლკოვნიკმა. გენერალმა მას სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა:

– რამდონია, შე მექრთამე. ინტრიგების ხლართვა არ გაბედო, ღმერთი არ გაგიწყრეს. გაგდებას არ გაკმარებ იცოდე. თავსაც დაილუპავ და იმ შენს მფარველსაც გამოსჭრი ყელს! გასაგებია?

– გასაგებია, – ამოილუღლუღა დედიშობილა პოდპოლკოვნიკმა და ყურმილი აპარატზე დადო.

– საიდან რეკავდა? – გაიმეორა ტუტრუცანა მდივანმა ყოვლად უადგილო, იდიოტუ-

რი ფრაზა და რამდონიას თვალები დაუჟუჟუნა.

დედიშობილა კუტუბიძეს მთელი სხეული წამოეჭარხლა და მდივანს დაჭრილი დათვის ხმით უღრიალა:

– გაეთრიე აქედან, შე სოფლელო ბოზო!

შეშინებული ტუტრუცანა კაბინეტიდან გავარდა. კუტუბიძე კი ტელეფონს დასწვდა და სიმამრთან დარეკვა დააპირა, მაგრამ მინისტრის მუქარა გაახსენდა. შეეშინდა და გადაიფიქრა. ბოლოს სკამზე დაეშვა და მხრებში ჩარგო თავი...

მინისტრმა რომ ყურმილი დადო, მაიორს უთხრა:

– ახლავე გაემგზავრე ქუთაისში და გაარკვიე, რა ხდება. რამდონიას, იმ მექრთამეს, უკვე წერტილი დაესვა და ჩემგან გადაეცი: თუ უნდა, თავი მხრებზე შევარჩინო, მილიციიდან საკუთარი ნებით წავიდეს და განცხადება გამოგატანოს. ახალ სამმართველოს უფროსს თბილისიდან ორ-სამ დღეში გავუგზავნი. უფრო სწორად, მე თვითონ ჩავუყვან. აბა, შენ იცი. კარგ სიახლეებს ველოდები შენგან.

მინისტრისგან გამოსულმა გამრეკელმა, თავის კაბინეტში შეიარა. ტაბელური იარაღი აიღო და ქუთაისში გაემგზავრა. რიკოთამდე სწრაფად იარა. უღელტეხილზე კი ცოტა შეყოვნდა, რადგან საგზაო-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და საცობი იყო წარმოქმნილი. ქუთაისში რომ შევიდა, საღამოს შვიდი საათი სრულდებოდა. წვიმდა და მთელი დღის ნასიცხარ ქალაქს ორთქლი ასდიოდა.

ქალაქის შესასვლელთან კაპიუშონწამოხურული „გაის“ ინსპექტორი იდგა, ხელში ზოლიანი ჯოხი ეჭირა, თითქმის ყველა მანქანას აჩერებდა და მძღოლებს ფულს სძალავდა. ავტომოყვარულები მას მანქანიდან გადმოუსვლელად უტენიდნენ ჯიბეში დაჭმუჭნულ სამმანეთიანებს და ირონიული ღიმილით აგრძელებდნენ გზას. ინსპექტორმა მერაბსაც დაუქნია ჯოხი. გამრეკელმა კი არ გაუჩერა, რადგან მოძრაობის წესი არ დაურღვევია, თანაც ძალიან ეჩქარებოდა.

„სამი მანეთის გადახდა თუ არ გინდა, ათჯერ მეტს აგაფცქვნი“, – გაიფიქრა „შეურაცხყოფილმა“ მილიციელმა. „მოსკვიჩში“ ჩახტა და მერაბ გამრეკელის „ვოლგას“ დაედევნა.

მაიორმა ისეთი მანევრებით იარა, რომ საგზაო მოძრაობის ერთი წესიც არ დაურღვევია. მან არც მდევარს მისცა საშუალება, მისთვის გზა გადაეკეტა. გამრეკელმა ბოლო მონაკვეთი გაიარა. „ვოლგა“ მილიციის სამმართველოს შენობასთან გააჩერა და მანქანიდან მშვიდად გადმოვიდა.

ძლიერი წვიმის მიუხედავად, შენობის წინ რამდენიმე ოფიცერი იდგა და მერაბს ელოდებოდნენ. მილიციის სამმართველოში უმალვე გავარდა ხმა, – რამდონია მოხსნეს და თბილისიდან მინისტრმა „თავისი კაცი“ გამოგზავნა რევიზიისთვისო. ამ ხმებს ნოე ბუცხრიკიძის დაბრუნება და ოპერჯგუფთან ერთად ბეშქენაძის ასაყვანად წასვლაც დაემთხვა. ამიტომ, დამფრთხალი განყოფილების უფროსები წვიმაში ილუმპებოდნენ და გულისხეთქებით ელოდნენ „მინისტრის კაცს“.

– დედა, ბოზო, ნუნუკია, რაფრა დამიღრიალა რამდონიამ, თუ იცი?! ვინცხა მინისტრმა დოურეკა თბილისიდან და გონია, ხსნიან მაგ უბედურს, – უთხრა ტუტრუცანამ სამძებროს უფროსის მდივანს, ნუნუკიას, რომელიც ტუტრუცანას არაფრით ჩამოუვარდებოდა და ისიც მდივნობასა და საყვარლობას ერთმანეთს უთავსებდა.

ნუნუკიამ თავისი კოლეგის მონათხრობი სამძებროს უფროსს უამბო. მან კი ოფიცრები დარაზმა და „მინისტრის კაცის“ დასახვედრად თავსხმა წვიმაში დაამწკრივა. თავად ფანჯრიდან იყურებოდა, სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა და გონებაში ალაგებდა, თუ რა ეთქვა „რევიზორისთვის“.

„ვოლგიდან“ გადმოსული კაცი რომ დაინახეს, მიხვდნენ, ვინც იყო და გალუმპული ოფიცრები მერაბის შესახვედრად დაიძრნენ. ამ დროს „გაიშნიკმაც“ შემოუხვია. გამრეკელს „მოსკვიჩი“ წინ ჩაუყენა. მანქანიდან გადმოხტა. მერაბს მაჯაში ხელი ჩაავლო და თვალების ბრიალით შეუღრინა:

– სა მირბოდი, თუ იცი? გეგონა, გამექცეოდი? „პრავა“ და „ტეხპასპორტი“ მომეცი ჩქარა! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა დაუმორჩილებლობა და ავარიული მდგომარეობის შექმნა ქალაქში. „ლიშენიაზე“ გაგიშვებ, „ლიშენიაზე“ და მილიონიც რომ გადეიხადო, აფერი გიშველის.

– სამმანეთიანი რომ მოგცე, არ გამიშვებ? – სარკასტულად ჰკითხა მერაბმა „გაიშნიკს“, თან მაჯა გაითავისუფლა.

„გაიშნიკი“ ისე აღგზნებული იყო, რომ ვერც გალუმპულ ოფიცრებს ხედავდა, რომლებიც თავსხმა წვიმაში გაქვავებულები იდგნენ და „ტრიოშნიკა“ უკვე გამოტირებული ჰყავდათ და ვერც იმას ამჩნევდა, რომ მილიციის სამმართველოს შენობის წინ იმყოფებოდა.

„ტრიოშნიკა“ ანუ „სამმანეთა“, ავტოინსპექტორს იმის გამო შეარქვეს, რომ ყოჩაღი მებაჟესავით ქალაქში შემსვლელ ყველა მძღოლს სამ მანეთს ართმევდა და ეუბნებოდა: „ტრიოშნიკი“ გადეიხადე, ძამია, „ტრიოშნიკიო“...

რვაკლასდამთავრებულ „ტრიოშნიკას“, ავტოინსპექციაში მუშაობის თხუთმეტწლიანი სტაჟი ჰქონდა და ერთ დროს რამდონიას მეწყვილეც კი იყო. მართალია, შემდეგ რამდონია „თლა უფროსი“ გახდა, ბევრი ფული იშოვა და თავს აღარ უყადრებდა ყოფილ მეწყვილეს, მაგრამ არც „ტრიოშნიკა“ ემდუროდა ბედს. სამ-სამ მანეთობით, მან სამი



ორსართულიანი სახლი წამოჭიმა ქუთაისში. ყოველ წელს მანქანას იცვლიდა და ერთი ქალიშვილი სამედიცინო ინსტიტუტში მოაწყო, ვაჟი კი – „გეპეიში“, ავტოსაინჟინროზე, საიდანაც უკვე „დიპლომიანი გაიშნიკები“ გამოდიოდნენ. ამიტომ, თავი ღირსეულ კაცად მიაჩნდა. ვერ აიტანა „ვინცხა შავვოლგიანის“ ურჩობა და მერაბს ხელმეორედ წაატანა ხელი... გამრეკელმა ავტოინსპექტორს მარჯვენა ჰაერში გაუშეშა. შემდეგ, მისივე ხელი დაჭმუჭნული სამმანეთიანებით გატენილ ჯიბეზე გააკვრევინა და ფულები გადმოაყრევინა. მეორე ხელით კი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის წიგნაკი თვალებზე აафარა, ხელის კვრით გზიდან ჩამოიშორა და მილიციის სამმართველოს შენობაში შევიდა... გალუმპულები, ერთრიგად დაწყობილები, მორჩილი ცხვრებივით უკან გაჰყვნენ „მინისტრის კაცს“...

ნოე ბუცხრიკიძე დარცხვენილი შეხვდა მერაბ გამრეკელს და უთხრა:

– თქვენი ნდობა ვერ გავამართლე, ბატონო მერაბ. ჯემალ ბეშქენაძე ვერ ავიყვანეთ.

– გაგექცათ?

– არა. მიმალვაშია. კუტუბიძემ რომ გაუშვა, იმ დღეს წასულა სახლიდან.

– რა შენი ბრალია. მისი ძმა ხომ აქ გყავთ?

– დიახ. ჯიმშერ ბეშქენაძე ერთადგილიან საკანში გვყავს გამომწყვდეული.

– დაკითხვაზე ამოიყვანეთ, – უბრძანა მერაბმა ბუცხრიკიძეს და მაგიდასთან მოკალათდა.

ოცდაოდე წლის ჯიმშერ ბეშქენაძე „მაგარი ბიჭის“ როლს თამაშობდა და გამრეკელის შეკითხვებს ზიზღნარევი სახით, „ძერზკად“ პასუხობდა. სხვა, მერაბის ადგილზე, კარგა ხნის წინ „წაუთაქებდა“ და ტონს შეაცვლევინებდა, მაიორი კი მოთმინებით, თანმიმდევრულად განაგრძობდა დაკითხვას. ძალის გამოყე-


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



ენებლად ცდილობდა „კერკეტი კაკლის“ გატეხას.

რამდენიმე თავბრუდამხვევი მანევრის შემდეგ, როდესაც პატიმარი „მომწიფდა“, მერაბმა ჯიმშერ ბეშქენაძეს ექსპერტიზის დასკვნა დაუდო წინ და უთხრა:

– გაეცანით.

ჯიმშერ ბეშქენაძემ ყურადღებით წაიკითხა გივი სახვაძის დასკვნა და გამრეკელს ჰკითხა:

– რა გინდა თქვა, რომ მილიციელი სოხუმში მე მოვკალი?

– არავითარ შემთხვევაში, – თავი გააქნია მაიორმა, – დარწმუნებული ვარ, რომ კაკაჩიების დაყაჩაღების მცდელობა თქვენი პირველი საქმე იყო. კარგია, რომ წარუმატებლად დამთავრდა. ისიც კი შემიძლია, რომ პირობითად გაგათავისუფლოთ. მაგრამ... – გამრეკელმა ხელები გაშალა, შემდეგ სიგარეტი გააბოლა, პაუზა აილო. პატიმარს თვალი თვალში გაუყარა და მის რეაქციას დაელოდა.

– რა, მაგრამ? – ჰკითხა ბეშქენაძემ.

– რა და თქვენს ძმას საფრთხე ემუქრება. თუ, რა თქმა უნდა, ცოცხალია და უკვე არ მოკლეს.

ბეშქენაძე მერაბის სიტყვებმა დააბნია. ჩაფიქრდა და ცდილობდა, მათ არსს ჩასწვდომოდა. ბოლოს ირონიული, ნაძალადევი ღიმილით უთხრა მერაბს:

– რატომ? რა დააშავა ისეთი, ან ვინ უნდა მოკლას ჯემალი?

მერაბ გამრეკელი იშვიათად იყენებდა ტყუილს. ამჯერად დრო არ ითმენდა და ამიტომ გააკეთა ასეთი სვლა. მან უჯრიდან ცელოფნის პარკში ჩადებული, დალუქული, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო. ბეშქენაძეს წინ დაუდო და უთხრა:

– ამის პატრონი მხოლოდ ყაჩაღობის მცდელობას და პროჟექტორის ჩალეწვას აღიარებს. მილიციელის მკვლელობის საქმეში კი თქვენს ძმას ადებს ხელს. ასე ამბობს, – მან ესროლაო. ახლა ხვდებით, თუ რატომ ემუქრება ჯემალ ბეშქენაძეს საფრთხე? – ჰკითხა მერაბმა პატიმარს. გონზე მოსვლა არ აცალა, ისე გააგრძელა, – იმიტომ, რომ მისი რეციდივისტი ძმაკაცები თქვენს ძმას მოკლავენ. ცხედარს გადამალავენ და ჯემალ ბეშქენაძეს დაბრალდება ეს მკვლელობა. იარაღს განმეორებით ექსპერტიზაზე ვაგზავნი და იმედია, მასზე თქვენი ძმის ბრალის დამადასტურებელი არანაირი კვალი არ აღმოჩნდება. თქვენი ძმა რომ აქ იყოს, უსაფრთხოდაც იქნებოდა და თავის უდანაშაულობასაც უფრო ადვილად დაამტკიცებდა. სამწუხაროა, რომ ვერ ვიპოვეთ.

ჯიმშერ ბეშქენაძეს თვალები აენთო და ზიზღნარევი სახით იკითხა.

– დაურ ბუთბა მილიციელის მკვლელობას ჯემალს ტენის?

მერაბის სვლამ გაამართლა. ჯიმშერ ბეშქენაძეს მიმალული ყაჩაღის სახელი წამოაცდენინა. დაურ ბუთბას სახელის ხსენებას მერაბი არ ელოდა და ელდა ეცა, მაგრამ, არ შეიმჩნია და პატიმარს მიუგო.

– დიახ. მასეა. ის მადარდებს, რომ თქვენს ძმას, ჩვენზე ადრე, ბუთბას კაციჭამია ბიჭებმა არ მიაგნონ და არ მოკლან. თქვენი ძმის ბედი თქვენს ხელთაა. თუ დაგვაჭერინებთ, პირობას გაძლევთ, მინიმალურ სასჯელს მიუსჯიან და ამქვეყნად ვერავინ შეიტყობს, მათ შორის ვერც თქვენი ძმა, რომ მისი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია თქვენ მოგვაწოდეთ, – მერაბმა ნოე ბუცხრიკიძეზე მიანიშნა პატიმარს, – ეს ეცოდინება ლეიტენანტს, მე და თქვენ.

– ძმის ჩაშვებას მთხოვთ?! – ხმას აუწია ჯიმშერ ბეშქენაძემ. მაიორმა კი მშვიდად მიუგო:

– მხოლოდ მის გადარჩენას.

– გამორიცხულია. მე ჩამშვები არ ვარ.

– სამწუხაროა. ისევ ჩვენ მოგვიწევს წვალება, მაგრამ თქვენს ძმას რომ რამე დაემართოს, საკუთარ თავს დააბრალეთ. ახლა კი შეგიძლიათ, საკანში დაბრუნდეთ.

– აკი, პირობითით გაგიშვებო? – ირონიანარევი ზიზღით თქვა პატიმარმა, – მილიციელის სიტყვა გახვრეტილი კაპიკიც არ ღირს.

– ცდებით, ბეშქენაძე. მე თქვენ ყველა შემთხვევაში გაგათავისუფლებთ პირობით, მაგრამ, ახლა არა. მოგვიანებით.

– ძმას რომ ჩავუშვებ, მერე, ხომ?

– მისი ადგილსამყოფელიც რომ მიგვითითოთ, ახლა მაინც არ გაგიშვებთ.

– რატომ?

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შეიძლება, მოგვატყუოთ და თვითონ სცადოთ თქვენი ძმის გაფრთხილება. ამას კი, შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. ასეთი რამ არც ჩვენ გვაწყობს და არც თქვენ. ეს აწყობს ბუთბას და მის წისქვილზე წყალს არ დავასხამ. მან რომ თქვენც მოგიშოროთ, ამ საქმეში მარტო დარჩება. ყველაფერს თქვენ გადაგაბრალებთ და ხელიდან დასხლტომის მეტი შანსი ექნება. ამიტომ, ჩვენ ჯერ თქვენს ძმას დავიჭერთ, თუ, რა თქმა უნდა, ის ცოცხალია. შემდეგ ბუთბა და თქვენი ძმა ციხეში ჩაჯდებიან, როგორც ამ საქმის მთავარი ფიგურანტები. თქვენ კი პირობით სასჯელს მიიღებთ და გარეთ დარჩებით. ხოლო, თუ თქვენი ძმა მოკლულია, მაინც გაგათავისუფლებთ, მაგრამ მოგვიანებით. ჯერ ბუთბას გავუშვებ ციხეში, იმედია, უმაღლეს სასჯელზე, რადგან არ მგონია, მილიციელი თქვენი ძმის მოკლული იყოს. თქვენ კი, ამ შემთხვევაშიც გარეთ გამოხვალთ. თუმცა, შეეგუებით კი იმ გარემოებას, რომ ძმის გადარჩენა შეგეძლოთ და ასეთი რამ არ გააკეთეთ? დაბრუნდით საკანში. დრო არ ითმენს და თქვენი ძმის ძებნა უნდა განვაგრძო. იქნებ გამიმართლოს და ცოცხალს მივაგნო.

ჯიმშერ ბეშქენაძემ ისეთი ზეწოლა მიიღო მერაბისგან, რომ ლოგიკური განსჯის უნარი დაკარგა. ამიტომ თავი ჩაღუნა და მძიმედ თქვა:

– ჯემალი საფიჩხიაზე იმალება, სევასტი ბაბუხადიასთან. პირობა პირობაა. სიტყვა არ დაძრათ მასთან, რომ ეს მე გითხარით. მაინც ჩაშვებად ჩამითვლის და არ მაპატიებს. მე კი მის მეტი არავინ მყავს ამქვეყნად და იმიტომ გაჭერინებთ, არ მინდა, იმ კაციჭამია ბუთბას შეეწიროს.

– თქვენ თვითონ არავისთან წამოგცდეთ. ჩვენ კი კრინტსაც არ დავძრავთ, – მიუგო მერაბმა ჯიმშერ ბეშქენაძეს. პატიმარი ბადრაგს გაატანა და ნოე ბუცხრიკიძეს უთხრა:

– სევასტი ბაბუხადია ვინ არის?

– მეზუფეტეა. რკინიგზის სადგურზე მუშაობს. ადრე აფერისტობაზე მოიხადა სასჯელი და მარტო ცხოვრობს საფიჩხიაზე.

– იცნობ?

– დიახ.

– ის თუ გიცნობს.

– დიახ. ისიც მიცნობს.

– წადი ახლა და შენი ხელქვეითები შეკრიბე აქ.

– ჩემი ხელქვეითები? – გაუკვირდა ლეიტენანტს.

– რა გიკვირს, ნოე. ხომ გითხარი, რომ ჯიბუტის ადგილზე გნიშნავ-მეთქი. ჯიბუტსაც უთხრე. მაგრამ, რაც აქ მოხდა, სიტყვაც არავისთან დაგცდეს. გასაგებია?

– გასაგებია, ბატონო მერაბ, – მიუგო მაიორს ბუცხრიკიძემ და გავიდა.

გამრეკელმა ცელოფნის დალუქული პაკეტიდან პისტოლეტი ამოიღო. მჭიდი გაუკეთა და ქამარში გაირჭო. პაკეტი კი სანაგვეში ჩააგდო და ჩაფიქრდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ კაბინეტში ოცდაათი მილიციელი შემოვიდა, რომლებსაც ნოე ბუცხრიკიძე შემოუძღვა. მათ შორის იყო მალხაზ ჯიბუტიც. ის თავჩაღუნული იდგა კუთხეში და მაიორს თვალს ვერ უსწორებდა.

– მეგობრებო, – დღეიდან თქვენს განყოფილებას ლეიტენანტი ნოე ბუცხრიკიძე უხელმძღვანელებს. ჯიბუტი კი გათავისუფლებულია. დროებით კადრების განყოფილებაში გადადის და მასთან მოგვიანებით მექნება საუბარი, – თქვა გამრეკელმა და ჯიბუტს უთხრა:

– შეგიძლიათ, სახლში წახვიდეთ. იარაღი და პირადობის მოწმობა მორიგეს ჩააბარეთ. მოგვიანებით გამოგიძახებთ.

ჯიბუტი რომ წავიდა, მერაბმა თქვა:

– ერთმანეთი მოგვიანებით გავიცნოთ. დრო არ ითმენს და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. ხუთ-ხუთ კაცად განაწილდით და მზად იყავით. მე და ნოე გავდივართ. უკან რომ დავბრუნდებით, დანარჩენს შემდეგ შეიტყობთ. ერთი ოპერაცია უნდა ჩავატაროთ და სიტყვა არავისთან დაგცდეთ. ახლა კი თქვენს ოთახებში დაბრუნდით და დაგველოდეთ.

ოპერები გავიდნენ. ცოტა ხანში მერაბმა და ნოემაც დატოვეს მილიციის სამმართველოს შენობა. გარეთ რომ გადიოდნენ, მერაბმა სამორიგეო ოთახისკენ გაიხედა და სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს მოჰკრა

თვალი, რომლებიც „გაიშნიკ“ „ტრიოშნიკას“ თავზე წამოდგომოდნენ და ასულიერებდნენ. „ტრიოშნიკა“ მას შემდეგ გახდა ცუდად, როცა შეიტყო, რომ „ვინცხა შავვოლგიანი“ „მინისტრის კაცი“ იყო და სამმართველოს მორიგემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

მაიორმა „ვოლგა“ ადგილიდან დაძრა და მის გვერდით მჯდომ ბუცხრიკიძეს უთხრა:

– ხომ ხვდები, სად მივდივართ?

– ალბათ, სადგურზე, სევასტი ბაბუხადიასთან.

– სწორია. ახლა ჩვენ მაგ ბაბუხადიას დაველაპარაკებით და შევიტყობთ, რა ხდება. გამორიცხული არაა, რომ ჯემალ ბეშქენაძესთან ერთად, იქ დაურ ბუთბაც იმყოფებოდეს. ეს კი ძალიან საშიშია და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ბუთბა პირწავარდნილი ბოროტმოქმედია, ნამდვილი კაციჭამია და არ დაგვენებდება.

– ბატონო მერაბ, თქვენ არ უთხარით ჯიმშერ ბეშქენაძეს, ბუთბა დავიჭირეთო?

– დავიჭირეთო, არ მითქვამს, მაგრამ, ასე გამოვიდა. ბუთბას დაჭერა არც ისე იოლია, მაგრამ, შეიძლება, გაგვიმართლოს, – ღიმილით მიუგო მერაბმა ლეიტენანტს და „ვოლგა“ გააჩერა.

მაიორი „ვოლგიდან“ გადმოვიდა. ნოე მანქანაში დატოვა და რკინიგზის სადგურის შენობაში შევიდა. ბუფეტთან ბევრი ხალხი ირეოდა, თეთრ ხალათში გამოწყობილი სევასტი ბაბუხადია კი მკვირცხლად ემსახურებოდა კლიენტებს. მერაბი დახლთან მივიდა და რიგში ჩადგა, თან მებუფეტეს აკვირდებოდა.

„რას ინებებ, ძამა, კალბასი გვაქვს, სასისკი, ოსტრი, სალათა, მჟავე, შემწვარი ქათამი, ყველი – იმერული, სულგუნი, პივა, ჩაციებული პოლ ლიტრა... – ყველას ერთი და იმავეს უმეორებდა მებუფეტე, თან მლიქვნელურად იღრიჭებოდა და, რაც მთავარია, კლიენტებს სამმაგ საფასურს ახდევინებდა.

მებუფეტეს, მლიქვნელური ღიმილი სახეზე შეეყინა და თვალები გაუშტერდა, შემდეგ შეტრიალდა და თავის დამხმარეს გასძახა:

– ბონდოია, მოი აგერ. ათი წუთით უნდა გევიდე და შემცვალე! მოემსახურე კლიენტებს და არ მოატყუო, იცოდე!

დევივით ბონდოია ზანტად გამობაჯბაჯდა სამზარეულოდან და დახლთან დადგა. სევასტი ბაბუხადიამ კი თეთრი ხალათი გაიძრო, დახლიდან გამოვიდა და მოსაცდელი დარბაზის კუთხისკენ გაემართა. მერაბი უკან გაჰყვა მებუფეტეს. ბაბუხადია ჟურნალ-გაზეთების დაკეტილ კიოსკთან მივიდა და სიბნელეში მდგარ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სახე არ უჩანდა, ქაღალდის ხვეული გადასცა, შემდეგ სამიოდე წუთი ელაპარაკა და უკან დაბრუნდა. მაიორი სკამზე ჩამოჯდა და ახალგაზრდას უთვალთვალებდა. ახალგაზრდა კაცმა ხვეული შარვლის ჯიბეში შეინახა, მერე სიგარეტს მოუკიდა და, სახე რომ გაუნათდა, მერაბს ის ეცნო და გაიფიქრა: „ნამდვილად ჯემალ ბეშქენაძეა. ძალიან ჰგავს თავის უმცროს ძმას. კიდევ კარგი, რომ ჯერ აქ მოვედით. როგორც ჩანს, რაღაც მოხდა და გამგზავრებას აპირებს, ბაბუხადიას კი ფული გამოართვა. გამორიცხული არ არის, შორიახლო დაურ ბუთბაც იმყოფებოდეს, ეს კი ძალიან საშიშია და სიფრთხილე მმართებს“.



ახალგაზრდა მოსაცდელი დარბაზიდან ბაქანზე გავიდა და ქუთაისი-თბილისის მატარებლისკენ გაემართა. შემადგენლობა პირველ ლიანდაგზე იდგა და ოცი წუთის შემდეგ უნდა გასულიყო. მერაბს დისტანცია ეჭირა და ახალგაზრდას ათიოდე მეტრის დაშორებით მიჰყვებოდა. „ობიექტმა“ მეშვიდე ვაგონი გაიარა. კიბესთან შეჩერდა და სიგარეტი გადააგდო, შემდეგ გაიხედ-გამოიხედა და კუპირებულ ვაგონში ავიდა. მაიორმა იარაღი გაისწორა და ახალგაზრდას აჰყვა. „ობიექტი“ მეექვსე კუპეში შევიდა, მერაბიც უკან შეჰყვა და დაბნეულ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი. ის აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებსო. მერაბი რომ დაინახა, არ ესიამოვნა.

– გამარჯობა, ძამა, თბილისში მიემგზავრები? – ჰკითხა მაიორმა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინ ძებნილი ჯემალ ბეშქენაძე იჯდა.

– შენც თბილისში მიდიხარ? – კითხვითვე უპასუხა ჯემალ ბეშქენაძემ მერაბს.

მაიორმა პასუხის გაცემა დააპირა, რომ ამ დროს კუპეში ბუზღუნით შემოვიდა შუა ხნის გამცილებელი, იქ მყოფები შეათვალიერა და უთხრა:

– თუ თქვენც გაქცევას აპირებთ, ბიძიკოებო, დროზე მითხარით, რომ გევიწიო, თვარა, ის შობელძაღლი რაკეტასავით გამოვარდა წეხან აქიდან და ისე დემეჯახა, რომ, მგონია, ყველა ნეკნი გამიტეხა. გიჟი იყო ვინცხა...

გამცილებლის სიტყვებზე ჯემალ ბეშქენაძეს სახე აელეწა, რაც მერაბს არ გამოჰპარვია, მაგრამ, არ შეიმჩნია და გამცილებელს ღიმილით ჰკითხა:

– ვინ გაწყენინა, უფროსო, ვინ გიჟს გადაეყარე ამ ღამით?

– ვინ, ბუჯო, და, ვინცხა ზდაროვი ბიჭი იყო; ასე, ხუთი-ექვსი წლით შენზე გზროსლი იქნებოდა. იჯდა აქ და ფანჯარაში იყურებოდა. ორჯერ გავუარ-გამოვუარე. ბილეთი მაჩვენე-თქვა, რომ ვუთხარი, ვინცხას ველოდები და იმას აქვსო, – ასე მითხრა, მერე მეექვსე ვაგონში გადევედი რევზიორთან, რაცხა საქმიზა და, უკან რომ გადმევედი, ის გიჟი არ დემეტაკა ტამბურში? მე წამაქცია, თვითონ კი უკანა კარი გაალო, გადახტა და გეიქცა. გეგონებოდა, მოსაკლავად მოსდევენო. გადარეული იყო ნამდვილად.

– ჩვენ ნორმალურები ვართ, უფროსო, – მიუგო მერაბმა გამცილებელს და ბეშქენაძეს თვალი ჩაუკრა, – არა, ძამა?

– კი, ჭკვიანები ვართ, – ნაძალადევი ღიმილით მიუგო ბეშქენაძემ მაიორს. შემდეგ სიგარეტი ამოიღო და წამოდგა, გარეთ რომ გასულიყო.

– არ გაინძრე! – უბრძანა მერაბმა ბეშქენაძეს და პისტოლეტი მიუშვირა, შემდეგ კი გაოცებისგან პირდაღებულ გამცილებელს მიუბრუნდა:

– ბაწარი თუ გაქვს, უფროსო?

– ბაწარი რად მინდა, რა, თავს კი არ ვიხრჩობ? – ინერციით მიუგო გამცილებელმა.

– მაშინ, ქამარი შეიხსენი და მომეცი.

გამცილებელმა შარვლიდან ტყავის ქამარი მოიხსნა, მერაბს მისცა, თან დააყოლა:

– ჯერ იყო და, იმ გიჟმა კილამ სული ამომართვა. ახლა, აი ფიშტოიანი კაცი ქამარს მთხოვს. სიზმარში ვარ, მგონია და, შეიძლება, მონღოლებიც კი შემოვიდნენ ქუთაისში ცხენებით.

მაიორმა ხელები უკან გადაუგრიხა ბეშქენაძეს და გამცილებლის ტყავის ქამრით საიმედოდ შეუკრა. შემდეგ გამცილებელს მიუბრუნდა და უთხრა:

– ცხადში ხართ, ბატონო. ძებნილი დავაკავე და ქამარს მალე დაგიბრუნებთ. თქვენ ის მითხარით, იმ კაცს, თქვენ რომ დაგეჯახათ, მარჯვენა ლოყაზე იარა ჰქონდა?

– რაის იარა, შრამი?

– დიახ.

– კი, შრამი ჰქონდა, – მიუგო გამცილებელმა და დაამატა, – როსღა დამიბრუნებ ქამარს. გავდივართ უკვე.

მატარებელი ნელა დაიძრა. მერაბმა მუხრუჭი გადასწია და გააჩერა, შემდეგ გაკოჭილი ბეშქენაძე წამოაყენა, თან გამცილებელს უთხრა:

– ჩემთან ერთად უნდა წამობრძანდეთ.

– სად უნდა წამევიდე. რეისში ვარ და, ვაგონი რომ დავტოვო, პროპკასავით გამისვრიან სამსახურიდან! – აღშფოთდა გამცილებელი.

– ხელსაც ვერ გახლებენ, წამობრძანდეით! – მიუგო მერაბმა და ჯერ გამცილებელს ანიშნა, გადიო, შემდეგ კი გაკოჭილ ბეშქენაძეს ჩაავლო ხელი და უკან მიჰყვა.

ბაქანზე მათ მატარებლის უფროსი შეხვდათ, რომელიც გაცეცხლებული ეტაკა გამცილებელს:

– კაკოია, ბუჯო, სა მიხვალ, სულ თლა გაგიჟდი? მაი სტოპ-კრანი ვინ ჩამოწია, ცეხეში გინდა გიკრან თავი? მთვრალი ხარ, ბუჯო?

– რაის მთვრალი, ვინ გაცალა დალევა! – მიუგო გამცილებელმა მატარებლის უფროსს და გზა განაგრძო.

– სა მიხვალ, კაკოია, გადეირიე? – მიაძახა მეშვიდე ვაგონის გამცილებელს თვალებგადმოკარკლულმა მატარებლის უფროსმა და უკან დადევნება სცადა, მაგრამ, ის მერაბმა გააჩერა და ყველაფერი აუხსნა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ გააცურეს „კაგებე“ ქართველმა მაიორმა და ცირკის აკრობატმა მსახიობმა

### „ცირკაჩი“ კონტრაბანდისტი

1975 წლის 19 აპრილს საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა მოსკოვში 40 წლის გურგენ სტეპანიანი დააპატიმრეს და „ლუბიანკაზე“ („კაგებეს“ შტაბ-ბინა) მიიყვანეს. სტეპანიანი მოსკოვის ცირკის მსახიობი, აკრობატი იყო და კონტრაბანდისტულ საქმიანობაში იმხილებოდა. კონკრეტულად კი, სტეპანიანს ბრალი ედებოდა საბჭოთა კავშირიდან უცხოეთის ქვეყნებში ძვირფასი სამკაულების გატანაში. აკრობატი იმ დროს „მოხსნეს“ თვითმფრინავის ტრაპიდან, როდესაც თავის კოლეგებთან ერთად, დიდ ბრიტანეთში მიემგზავრებოდა საგასტროლოდ. სტეპანიანზე „ჩეკისტები“ ვინმე ჰანს გილგენდორფის ჩვენების შედეგად გავიდნენ. გილგენდორფი იუველირი იყო და სწორედ 19 აპრილს გარდაიცვალა უშიშრობეის ციხეში. თუმცა, სტეპანიანის დასახელება მოასწრო და მსახიობიც ამიტომ დააპატიმრეს. იუველირ გილგენდორფის ჩვენებაში წერია, რომ სტეპანიანს იუველირი ფასეულ ძვირფასეულობას ატანდა. „ცირკაჩს“ კი ისინი უცხოეთში გაჰქონდა და გაყიდული საქონლის ღირებულების ნაწილს გილგენდორფის საბანკო ანგარიშზე ინახავდა ერთ-ერთ უცხოურ ბანკში. კონტრაბანდის საქმეს მაიორი ნუგზარ ბასილაია იძიებდა და სწორედ მან დაკითხა ცირიკს მსახიობი აკრობატი.

– აქ რაღაც შეცდომაა, ამხანაგო მაიორო, – უთხრა სტეპანიანმა ბასილაიას, – მე არც გილგენდორფს ვიცნობ და არც არანაირი კონტრაბანდა არ გამიტანია უცხოეთში. ან კი როგორ გავიტანდი, როდესაც ქვეყნიდან გასვლისას საგულდაგულოდ გვამოწმებენ და ასეთი რამ ყოვლად შეუძლებელია.

„კაგებეს“ მხოლოდ გულის შეტევით გარდაცვლილი გილგენდორფის არასაიდუმლო ჩვენება ჰქონდა და მცირე სამხილიც კი არ გააჩნდა. ამის მიუხედავად, სტეპანიანი საკანში მოათავსეს.

მოსკოვი-ლონდონის რეისი კი მშვიდობიანად დაეშვა „ჰიტროუს“ აეროპორტში და რას წარმოიდგენდა ვინმე, რომ 3 მილიონი მანეთის ღირებულების ძვირფასი სამკაულები საცირკო კობრებისთვის განკუთვნილ ყუთში იყო გადამალული.

### ფარული თვალთვალი

იუველირ ჰანს გილგენდორფზე საბჭოთა უშიშროება, შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევით გავიდა. 10 მარტს, ანუ სტეპანიანის დაპატიმრებამდე თვე-ნახევრით ადრე, ლენინგრადში აკადემიკოს იური სუვორცევის ბინა გაქურდეს და 16 დასახელების უძვირფასესი სამკაულები გაიტაცეს. სუვორცევი ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი იყო და ამ ქურდობას „კაგებე“ იძიებდა. ქურდი, ვინმე ალექსანდრ მირსკი, 16 აპრილს დააპატიმრეს ქალაქ სტავროპოლში. სწორედ მან უთხრა „ჩეკისტებს“, რომ ძვირფასეულობა ჰანს გილგენდორფს მიჰყიდა 23 ათას მანეთად. სინამდვილეში კი ნაქურდალი ნივთები მილიონზე მეტი ღირდა. მეორე დღეს თავად გილგენდორფიც დააპატიმრეს და 19 აპრილს მან სტეპანიანი დაასახელა... 22 აპრილის ნუგზარ ბასილაიამ უფროსობა დაარწმუნა, რომ გურგენ სტეპანიანი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ და მასზე ფარული თვალთვალი დაეწესებინათ. მაიორის რწმუნებით, თუკი სტეპანიანი „განტევების ვაცი“ არ იყო და გილ-

**მაიორი ბასილაია დღემდე ძებნილია და სავარაუდოდ, პლასტიკური ოპერაციით აქვს გარეგნობა შეცვლილი**

გენდორფმა არ მოიტყუა, ის გარეთ უფრო სასარგებლო იქნებოდა და კონტრაბანდისტებზე გაიყვანდა უშიშროებას.

„კაგებე“ ოცდაოთხი საათის განმავლობაში უსმენდა და უთვალთვალებდა ეჭვმიტანილს, მაგრამ ყოვლად უშედეგოდ. 6 მაისს კი მას თვალთვალი მოუხსნეს, რადგან სტეპანიანი არავისთან არანაირ კონტაქტში არ შე-



დიოდა. სახლიდანაც კი არ გამოდიოდა, რადგან ცირკი გასტროლებზე იმყოფებოდა.

22 ივლისს ცირკი, სამთვიანი გასტროლების შემდეგ, მოსკოვში დაბრუნდა და სტეპანიანი, ჩვეულებისამებრ, სამუშაოს დაუბრუნდა. თუმცა, 27 ივლისს მან ფეხი მოიტეხა რეპეტიციის დროს და №4 ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში დააწვინეს.

31 ივლისს ნუგზარ ბასილაია შვებულებაში გავიდა და თბილისში გაემგზავრა. სტეპანიანი კი 2 აგვისტოს საავადმყოფოდან გაუჩინარდა.

### ძებნილი

4 აგვისტოს სომხეთის ერთ-ერთ სასაზღვრო რაიონში ნუგზარ ბასილაიამ და გურგენ სტეპანიანმა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი არალეგალურად გადაკვეთეს და თურქეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. მათ თან ჰქონდათ 2 ათასი ამერიკული დოლარი და იტალიის მოქალაქეების ყალბი პასპორტები. 5 აგვისტოს ისინი ქალაქ რიზეში ჩავიდნენ და პატარა სასტუმროში დაბინავდნენ

– ხომ გითხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. შენ კი გეშინოდა, – უთხრა ბასილაიამ სტეპანიანს, მან კი მიუგო:

– კრეტინი ქურდი. მომინდომა ბიჭმა რესტორნის დახურვა. რომ არა ეს შემთხვევითობა, ახლაც საქმეში ვიქნებოდით.

– შენ მადლობა თქვი, რომ გილგენდორფის საქმე მე მომცეს გამოსაძიებლად, თორემ სხვა გამომძიებელი წამებაში ამოგხდიდა სულს და „კაგებეს“ ციხიდან არავინ გამოგიშვებდა, – უთხრა მაიორმა აკრობატს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, კონტრაბანდისტებს ნუგზარ ბასილაია მეთაურობდა და ძვირფასეულობის გატანის სქემაც მისი მოფიქრებული იყო.

სტეპანიანის ძებნა 3 აგვისტოს გამოცხადდა. ბასილაია კი მხოლოდ 10 აგვისტოს მოიკითხეს და როცა ვერ ალმოაჩინეს, მხოლოდ ამის მერე გამოცხადდა მასზე ძებნა. გაქცეულებმა კი ლონდონის ბანკიდან 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიტანეს, შუაზე გაიყვეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

გურგენ სტეპანიანი 1977 წელს საბჭოთა დაზვერვამ პარიზში აღმოაჩინაა, მოიტაცა და მოსკოვში ჩამოიყვანა. აკრობატი გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. თუმცა, მას მერე, რაც აკრობატმა 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი დააბრუნა, 15-წლიანი პატიმრობა აკმარეს.

ნუგზარ იოსების ძე ბასილაია კი დღემდე ძებნილია. მისი აღმოჩენა ვერ მოხერხდა. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ საბჭოთა „კაგებეს“ ყოფილმა მაიორმა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, გარეგნობა შეიცვალა და ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში დასახლდა.

**ნიკა ლაშაური**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# რატომ აირჩია სამჯერ ნასამართლევმა მამაკაცმა სექსუალური ძალადობისთვის ნათესავი და როგორ მოხდა გაუპატიურება ბრმა დედამთილის გვერდით

35 წლის მანუჩარ ლ-ძე წარსულში სამჯერ იყო ნასამართლევი: ორი სასჯელი ქურდობის, ერთი კი ავტროსატრანსპორტო საშუალების გატაცების მცდელობისთვის ჰქონდა მოხდილი, თუმცა, ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებული ახალგაზრდა მამაკაცი ციხეს ვერც მეოთხედ გადაურჩა – ამჯერად ის გისოსებს მიღმა უფრო მძიმე ბრალდებით მოხვდა.

სახისა და თავის არეში მიყენებული დაზიანებებით მანუჩარ ლ-ძე საავადმყოფოში საკუთარი ფეხით მივიდა. მან განაცხადა, რომ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ქუჩაში მიმავალმა ღამით ვერ შენიშნა რკინის ნაჭერი, შემთხვევით მასზე სახით დაეცა და ამის შედეგად მიიღო დაზიანებები. დაზარალებული მანუჩარ ლ-ძის განმარტებით, ზუსტად არც ის ადგილი ახსოვდა, სადაც დაეცა და არც ის, თუ როგორ და რა ვითარებაში მოხვდა ის შემთხვევის ადგილიდან ჯერ სახლში, შემდეგ კი საავადმყოფოში. სამედიცინო ექსპერტიზამდე, ჭრილობების გარეგნული დათვალიერებითაც კი ნათელი იყო, რომ ყოფილ პატიმარს სახესა და თავის არეში დაზიანებები ბლაგვი საგნის დარტყმით უნდა მიეღო, თუმცა, ჭრილობები თვითდაზიანებას არ ჰგავდა. მას შემდეგ, რაც სამედიცინო პერსონალისთვის საეჭვო გახდა დაზიანებების წარმომავლობა, საქმეში ჩაერთნენ სამართალდამცველებიც. ახალგაზრდა მამაკაცი ჯიუტად ამტკიცებდა იმ ვერსიას, რომლითაც მან დასახმარებლად ექიმებს მიმართა და მოწმედ მოჰყავდა მოხუცი დედა, რომელმაც განაცხადა, რომ სისხლში ამოსვრილ შვილს პირველადი დახმარება თვითონ აღმოუჩინა.

ამ ფაქტიდან 24 საათის შემდეგ, პოლიციის განყოფილებას მიმართა კიდევ ერთმა დაზარალებულმა, ახალგაზრდა ქვრივმა ქალბატონმა, რომელმაც პოლიციაში მიიტანა ძველისძველი ხანჯალი და განაცხადა, რომ სწორედ მან მიაყენა დაზიანებები, თავის ნათესავს, მანუჩარ ლ-ძეს. 26 წლის შორენა მ-შვილის ჩვენების მიხედვით, მანუჩარ ლ-ძე ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქალზე სექსუალურ ძალადობას საკმაოდ ხშირად მიმართავდა.

**ქალს სექსუალური ძალადობის კვალი მთელ სხეულზე ჰქონდა**

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. სამართლადამცველებმა დაკითხეს მანუჩარ ლ-ძე, რომელმაც უარყო კავშირი ქვრივ ქალთან და განმარტა, რომ, იმის მიუხედავად, რომ მასთან ნათესაური კავშირი ჰქონდა და მისი გარდაცვლილი ქმრის თანაკლასელიც იყო, შორენა მ-შვილთან ახლო კავშირი არასდროს ჰქონია; უფრო მეტიც, მამაკაცი ირწმუნებოდა, ქალი თვითონ იყო დაინტერესებული ჩემთან ინტიმური კავშირით და, ამას რომ ვერ მიაღწია, ასეთ ხმებს იმიტომ მივრცელებსო. ქალიც და მამაკაციც საკმაოდ კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ: ქალი აცხადებდა, რომ გააუპატიურეს, მამაკაცი კი ამტკიცებდა, რომ ქალთან სქესობრივი კავშირი არასდროს ჰქონია. მანუჩარ ლ-ძისა და შორენა მ-შვილის საერთო ნაცნობებისა და მეზობლების დაკითხვის შემდეგ, სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ქალიც და მამაკაციც სოფელში საეჭვო რეპუატციით სარგებლობდნენ და უცნაურობებით გამოირჩეოდნენ. მანუჩარ ლ-ძე სოფელში ცნობილი იყო გაუთავებელი შეხლა-შემოხლითა და ანგარიშსწორებით, იმავეს ყვებოდნენ შორენა მ-შვილზეც, რომელიც სოფელში დედამთილთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. როგორც გამოძიებით დადგინდა, მას კონფლიქტი ჰქონდა საკუთარ ძმასთანაც, რომელიც, სოფელში გავრცელებული ხმების გამო, დას ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთოდ არ ელაპარაკებოდა.

გამოძიების მასალების მიხედვით, ცემისა და სექსუალური ძალადობის კვალი ქალს მთელ ტანზე აღენიშნებოდა, მას სახესა და ტანზე ჰქონდა სისხლჩაქცევები და ნაჭდევები; რაც დადასტურდა სამედიცინო ექსპერტიზით. ამიტომ, გამოძიებამ შორენა მ-შვილი დაზარალებულად ცნო. დაიკითხა შორენა მ-შვილის ბიძაშვილი ქალი, რომელმაც დაადასტურა, რომ ინციდენტის თვითმხილველი გახდა. როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, შორენა მ-შვილს ქმარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაეცვალა. ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც პატარა შვილი ჰყავდა გასაზრდელი, ვაჭრობა დაიწყო და სოფელში, კარდაკარ დაჰქონდა ლილოს ბაზრობაზე შეძენილი ტანსაცმელი. დაზარალებულის განცხადებით, ის მანუჩარ ლ-ძემ პირველად საკუთარ სახლში გააუპატიურა, მეორედ კი – ქალის სახლში, ბრმა დედამთილის თანდასწრებით. ჩემი დედამთილი დიაბეტით არის ავად და მხედველობა დაკარგა. ყველაფერი გაიგო, მაგრამ, ლოგინად ჩავარდილ ქალს ჩემთვის როგორ უნდა ეშველაო, – განაცხადა შორენა მ-შვილმა სამართალდამცველებთან. მან ზუსტად აღწერა გაუპატიურების პირველი შემთხვევაც. მისი განმარტებით, მამაკაცმა სპორტული შარვლის ყიდვა დააბარა, სახლში მოტყუებით შეიყვანა და ქალთან ინტიმური კავშირი ძალის გამოყენებით დაამყარა.

გამოძიებას ჩვენება მისცა შორენა მ-შვილის ნათესავმაც, რომელმაც პირველივე დღიდან იცოდა, თუ რა მოხდა ქალსა და მამაკაცს შორის. როგორც მან სამართალდამცველებთან განაცხადა, ვურჩიე ბიძაშვილს, რომ მომხდარის შესახებ პოლიციაში განეცხადებინა, მაგრამ, შორენა ამ ამბის გახმაურებას მოერიდაო. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოხდა გაუპატიურების მესამე შემთხვევაც, რომლის თვითმხილველი მაკა ბ-ძეც გახდა. „იმ დღეს შორენასთან შემთხვევით მივედი. ახალი შეღამებული იყო. შორენა მარტო იყო თავის ოთახში და ტიროდა. ტანსაცმელი სულ შემოხეული ჰქონდა. როცა ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, მითხრა, მთვრალი მანუჩარი მომადგა, ჯერ მცემა და მერე გამაუპატიურაო. მეორე ოთახიდან შორენას დედამთილმა დამიძახა: შვილო, შენ მაინც წაიყვანე შორენა მილიციაში, ასე როდემდე უნდა გაგრძელდესო. მეც ვურჩიე, რომ მომხდარის შესახებ პოლიცია ჩაეყენებინა საქმის კურსში. ჯერ იუარა, მერე კი დამთანხმდა. მთელი ტანი დაჟეჟილი ჰქონდა, ცივი საფენები დავადე, რომ სახიდან სილურჯეები გაჰქრობოდა. იქვე სისხლიანი ხანჯალი შევნიშნე – ეს ხანჯალი მანამდე სულ კედლის ხალიჩაზე ეკიდა. მანუჩარს თავში და სახეში დავარტყი, ისეთი ჭრილობები მივაყენე, რასაც ეს არაკაცი იმსახურებდაო, – მითხრა შორენამ. მე მხოლოდ მეორე დღეს შევძელი შორენას წაყვანა პოლიციაში. მანამდე კი გავიგეთ, რომ მანუჩარის დედა მთელ სოფელს უყვებოდა, მთვრალი მანუჩარი ქუჩაში წაიქცა და წვეტიან რკინაზე წამოეგოო."

დაზარალებული შორენა მ-შვილის ჩვენებიდან: „იმ დღეს მთვრალი მანუჩარი სახლში მომადგა. ბავშვი მეზობელთან იყო, შინ მხოლოდ მე და ჩემი ავადმყოფი დედამთილი ვიყავით. მანუჩარმა ინტიმური კავშირის დამყარება მთხოვა. როცა გავუძალიანდი, ტანსაცმელი შემომახია, ცემა დამიწყო და გამაუპატიურა. ისეთი მთვრალი იყო, ცოტა ხანში იქვე, ჩემს ტახტზე მიწვა და მიეძინა. გამწარებულმა ხალიჩიდან ხანჯალი ჩამოვხსენი, ჯერ სახეზე დავუსვი ჩაძინებულ მანუჩარს, შემდეგ კი თავში ჩავარტყი მთელი ძალით. ყველაფერი სისხლით შეიღება. ხანჯალი უცებ დავმალე, მანუჩარი ღრიალით წამოხტა და გაიქცა, თუმცა, წასვლისას დამემუქრა, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელსო".

შორენა მ-შვილის ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა მანუჩარ ლ-ძე დააკავეს. ის დიდხანს უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, იმ მტკიცებულებების შემდეგ, რაც გამოძიებას მის წინააღმდეგ ჰქონდა მოპოვებული, იძულებული გახდა, ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა. დანაშაულის იარაღზე, ძველისძველ ხანჯალზე დარჩენილი სისხლის ლაქა, როგორც ექსპერტიზით დადგინდა, მანუჩარ ლ-ძის სისხლის კვალი იყო. გამოძიების მასალებითა და დაზარალებულის განცხადებით, გამოაშკარავდა და დადასტურდა მანუჩარ ლ-ძის კავშირი სოფელში ჩადენილ ქურდობის ორ ფაქტთან, რომელთა გახსნაც სექსუალურ ძალადობაში მისი მხილების შემდეგ მოხდა. სასამართლომ მანუჩარ ლ-ძე დამნაშავედ ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**8 სექტემბერი**

1903 – ბულგარელთა გენოციდი თურქების მიერ. დაიღუპა 50 ათასი ადამიანი.

1905 – მიწისძვრა სამხრეთ იტალიაში. დაიღუპა 5 ათასი ადამიანი, 20 ათასი კი უსახლკაროდ დარჩა.

1987 – ბარენცის ზღვაში მოხდა ატომური წყალქვეშა ნავის – „კომსომოლეცის" ავარია. დაიღუპა 39 ადამიანი. ატომური კატასტროფის საშიშროების წინაშე დადგა მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი.

**9 სექტემბერი**

1886 – შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში ხელი მოეწერა კონვენციას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ – პირველი საერთაშორისო შეთანხმება საავტორო უფლებების დაცვაზე.

1956 – ელვის პრესლი პირველად გამოჩნდა ნაციონალურ ტელევიზიაში.

1991 – დამოუკიდებლობა გამოაცხადა ტაჯიკეთმა.

**10 სექტემბერი**

1977 – ტუნისის იმპერატორი ხამიდა ჯანდუბი გაასამართლეს, როგორც მკვლელი. ის გახდა საფრანგეთში გილიოტინის უკანასკნელი მსხვერპლი. 4 წლის შემდეგ გილიოტინა, როგორც დასჯის იარაღი, აიკრძალა.

1981 – პაბლო პიკასოს „გერნიკა" დააბრუნეს ესპანეთში და მადრიდის მუზეუმში – „პრადოში" მოათავსეს.

**11 სექტემბერი**

1795 – კრწანისის ბრძოლა.

1973 – პუტჩის დროს მოკლეს ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე.

2001 – ტერორისტული აქტი ნიუიორკსა და ვაშინგტონში. თვითმფრინავები შეეჯახნენ სავაჭრო პალატის „ტყუპებსა" და პენტაგონის შენობას.

**12 სექტემბერი**

1683 – ოსმალეთის იმპერიის არმია დამარცხდა ვენასთან, ევროპულ კოალიაციასთან ბრძოლაში. აქედან დაიწყო ოსმალეთის დასუსტება.

1958 – ჯერი კილბიმ შექმნა პირველი ელექტრონული ინტეგრალური სქემა.

**13 სექტემბერი**

1902 – დიდ ბრიტანეთში პირველად გამოიყენეს თითის ანაბეჭდები დამნაშავის დასადგენად.

1922 – ელ-აზიზიაში (ლიბია) აღინიშნა ყველაზე მაღალი ტემპერატურა – ჩრდილში +580C.

**14 სექტემბერი**

1812 – ნაპოლეონის ჯარები შევიდნენ მოსკოვში. იმავე დღეს რუსებმა ცეცხლს მისცეს საკუთარი დედაქალაქი.

1857 – ბრიტანეთის ჯარებმა აიღეს ინდოეთის დედაქალაქი და ამით ჩაახშეს სიფაების აჯანყება.

1886 – ჯორჯ ანდერსონმა დააპატენტა საბეჭდი მანქანის ლენტი.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 8 განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## იპოვე ნახატები, რომლებიც „ტ“ ასოზე იწყება



# თოლია და ძერა

### (იგავ-არაკი)

თოლიამ თევზი ჩაყლაპა, ყელში გაეჩხირა და მოკვდა.

ძერამ დაინახა და უთხრა:

– ახია შენზე, ფრინველად გაჩენილხარ, ზღვაში რა განადირებდაო?

## რიცხვრებუსი

,20, 2,, ,,0






- ვოლგის შენაკადი / სამოსი
- მოკლე დროში / სალბუნი
- მალის დედაქალაქი / ცეცხლის ენა
- პოლონ. მდინარე / რიცხვი
- „ბუბლიკი" ქართულად / ესკორტი
- მელიტონ ბელთაძის ცოლი
- არომატული სანელებელი
- პატარა ლიანა
- დიდი გაშლილი თეფში
- .....მირიანაშვილი
- პუგაჩოვა / პარიზის კოშკი
- დიდი ფრანგი კომედიოგრაფი / იპოლიტე ხვიჩია
- სითხის ჭურჭელი
- თანასწორობა
- თხელი ქაღალდი
- მაღაზიაა „(.....) პარი"
- გერმანიის მდინარე
- ცხრილის ნაწილი
- ვაზის საჩრდილობელი
- იმგვარად
- მღვდლის სამოსი
- ავსტრიელი კომპოზიტორი
- სამხრეთ ამერიკის ქვეყანა
- თათრული ტომი
- სამხრეთ ამერიკის ქვეყანა
- ჩვენი პრომეთე / ქალიშვილი
- შეჯიბრის მონაკვეთი
- (.....) ვირსალაძე
- ცხენოსანი
- რაღაცასთან ერთად / (.......) გრეკო
- ჩვენი ვალუტა / ბაირონის ასულს ერქვა
- მსახიობი (.......) ბრინერი / საბჭოთა მევიოლინე
- დახრილი შრიფტი
- პატარა სასმისი
- ტალღისებური ქსოვილი
- იგივე ქინძი / ზღაპრის გოლიათი
- კუპრი, გუდრონი
- მხატვარი (.......) ზიჩი
- დიდი ინგლისელი პოეტი
- გაუდინარი წყალსაცავი
- ტანზანიის ქალაქი (.....)-სალამი
- სისხლძარღვი
- ქალაქი ტეხასის შტატში
- ვაჭრობის მამოძრავებელი
- კაცის გერმანული სახელი / სიყვარულის „შემქმნელი"
- სპორტული ნავი / ქალაქი მაროკოში
- ძვ.გერმანელი ფეხბურთელი
- სვანური არაყი
- იგავი
- მევიოლინე ვანესა....
- შოტლანდიელი ფილოსოფოსი
- რუსული გაზეთი
- კიდობნის მშენებელი
- ქალაქი თურქეთში / საკვების სახეობა
- სტალონეს კინოგმირი
- თბილისელი არაქართველი
- განის დედაქალაქი
- (.....) გურგულია
- ქიმიური ელემენტი მაგარი მყიფე ლითონი
- ღამის ანტონიმი / სოფელი ონის რაიონში
- დედალი / დედამიშვილი
- ინდოეთის დედაქალაქი / რუსი მხატვარი
- პურის ნაწილი
- კროსვორდის დასასრული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 3 | | | | 3 | | | | | | | 8 | | 4 | | | | | | | | | | |
| | | | | | | 6 | 3 | 3 | 3 | 6 | 3 | 3 | | 2 | | 4 | 1 | 4 | 1 | | | | | | | | | | |
| 3 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 | 6 | 6 | 2 | 7 | 8 | 3 | 15 | 3 | 1 | 6 | 3 | 1 | 7 | 7 | 2 | | | | | | | |
| 2 | 6 | 2 | 2 | 7 | 10 | 1 | 5 | 4 | 4 | 1 | 5 | 6 | 18 | 1 | 16 | 10 | 1 | 5 | 4 | 3 | 1 | 5 | 2 | 3 | 3 | 4 | 3 | 3 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 1 |
| | | | 4 | 2 |
| | | | 7 | 4 |
| | | 9 | 3 | 5 |
| | 4 | 2 | 5 | 6 |
| | | | 3 | 12 |
| | | | 2 | 7 |
| | | 1 | 10 | 2 |
| | | 8 | 2 | 2 |
| | | 10 | 2 | 2 |
| | | 3 | 11 | 5 |
| | | 2 | 14 | 2 |
| 1 | 12 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 4 | 5 | 1 |
| | 1 | 3 | 4 | 1 |
| | 1 | 2 | 4 | 2 |
| | | 3 | 2 | 8 |
| | | 3 | 2 | 8 |
| | | 1 | 1 | 8 |
| | | | 2 | 8 |
| | | | 2 | 8 |
| | | | | 11 |
| | | | 7 | 2 |
| | | 3 | 3 | 2 |
| | | | | 12 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 6 | | 7 | 4 | | 3 | 2 |
| 3 | | 2 | 6 | | 5 | 7 | | |
| | 9 | | 1 | | 2 | | 5 | 8 |
| 4 | | 1 | | 9 | 3 | | 7 | |
| | 3 | | 4 | | | 8 | 1 | 9 |
| 9 | | 5 | 2 | | 7 | 3 | | 6 |
| | 2 | | | 4 | | 9 | 8 | 7 |
| 5 | 7 | | 3 | | 9 | | | 1 |
| | 4 | | 7 | 2 | | 5 | 6 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 1 | | | | | | |
| | | | 5 | 4 | 6 | 2 | 7 | 1 |
| 2 | | 7 | 1 | | 9 | | 8 | |
| | | 5 | | | 1 | | | 4 |
| 1 | | | 9 | | | 8 | | |
| | 4 | | 3 | | 5 | | 1 | |
| 9 | 2 | | 7 | | 8 | 1 | | 3 |
| 5 | | | | | | | | |
| | 7 | | | | | | | 9 |

**ჯგუფ „ელდრაინის“ სოლისტი სოფო ტოროშელიძე პოპულარობის სიმცირეს არც მანამდე უჩიოდა, მაგრამ, პროექტ „X ფაქტორის” შემდეგ, რომელშიც ის ჟიურის წევრი იყო, მისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. სოფო 24 წლისაა და, მიაჩნია, რომ მისი ასაკისთვის შემდგარი ადამიანია და მის საქმიანობას თუ გადავხედავთ, ამაში ეჭვი არც ჩვენ შეგვეპარება, თუმცა, ეს ყველაფერი მისგან დატვირთულ გრაფიკსა და დიდ ენერგიას მოითხოვს.**

# როგორ ცდილობენ სოფო ტოროშელიძე და მისი მეუღლე, რომ მათი სიყვარული მუდამ „ცხელი“ იყოს და რა სიურპრიზებს უწყობენ ისინი ერთმანეთს

**– სოფო, „X ფაქტორში” ჟიურის ამპლუაში გიხილა საზოგადოებამ. რა მოგიტანა პირადად შენ ამ პროექტმა?**

– პირველ ყოვლისა – გამოცდილება, რადგან, ჟიურის წევრი მანამდე არასდროს ვყოფილვარ. „რუსთავი 2-ის“ მუსიკალური ხელმძღვანელი ვარ, პედაგოგი, შემსრულებელი და თვითონაც ხშირად ვდგავარ სცენაზე, მაგრამ, ჟიურის ამპლუა უცხო იყო ჩემთვის. ძალიან კარგი იყო, ყველაფერი ძალიან კარგად მახსენდება.

**– ამბობდნენ, რომ ძალიან პატარა და გამოუცდელი იყავი ამისთვის.**

– პატარად ნამდვილად შეიძლება ჩამთვალონ – 24 წლის ვარ; არც გამოცდილება მქონია მანამდე, მაგრამ, შედეგი სახეზეა. ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა. ძალიან დიდი შრომა ჩავდე ამ ყველაფერში და, იცით, ჩემმა კატეგორიამ რასაც მიაღწია და სადამდეც მივიდა – ისინი ფინალში მოხვდნენ – ეს თავისით გააკეთეს და არა ისე, რომ აუტსაიდერები იყვნენ და გადარჩნენ. ჩემი მიზანი ეს იყო და, მგონი, გამოვიდა. ასე რომ, ყველაფერი ნათელია.



**ვფიქრობ, ჩემი ასაკისთვის, ნამდვილად შემდგარი ადამიანი ვარ**

**– პროექტის მეორე სეზონი თუ იგეგმება?**

– მეორე სეზონი აუცილებლად იქნება, იმიტომ, რომ „რუსთავი 2“ ყოველთვის ანებივრებს მაყურებლებს მსგავსი პროექტებით. კონკრეტულად როდის იქნება, ან, მე რა ფუნქცია მექნება – ეს და სხვა დეტალები ჯერ არ ვიცი, ამას მოგვიანებით ყველა ერთად შევიტყობთ. ახლა არხზე „ნიჭიერის“ ახალი სეზონი იწყება.

**– ჯგუფ „ელდრაინის“ გეგმებზე რას გვეტყვი?**

– ახლა, სულ მალე, კლიპის გადაღებას ვაპირებთ ალბომიდან, რომელიც ავღანეთში მებრძოლ ჯარისკაცებს მივუძღვენით. პირველ კლიპს ვიღებთ აქედან ერთ-ერთ სიმღერაზე. დავიწყეთ მეორე ალბომზე მუშაობაც და თემა აბსოლუტურად სხვა იქნება, წინასგან განსხვავებული. „ელდრაინმა“, როგორც ჯგუფმა, საწყისი ეტაპისთვის უკვე საკმაოდ ბევრი გააკეთა, საკმაოდ დიდი ბაზა დავაგროვეთ და, ვფიქრობ, მხოლოდ საქართველოს პერსპექტივა აღარ არის საკმარისი. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებში მონაწილეობის მიღება. მოკლედ, გაცილებით დიდ ბაზარზე გვინდა გასვლა.

**– გოგონებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ტანსაცმლის მიმართ. შენ ჩაცმის რომელ სტილს ანიჭებ უპირატესობას?**

– ამ მხრივ, განსაკუთრებული პრეტენზიები არ მაქვს, თუმცა, თავისუფალი სტილი უფრო მიყვარს. რომ გითხრათ, ყოველდღე ძალიან ქალურად გამოვიყურები ან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მაცვია, ასე ნამდვილად არ არის. მაგრამ, რა თქმა უნდა, როცა სადმე მივდივარ, „გამოსასვლელ” ადგილას, მეც, როგორც ყველა გოგოს, მიყვარს სარკის წინ ტრიალი და გაპრანჭვა.

**– რას შეცვლიდი შენს გარეგნობაში?**

– ჯერჯერობით ნამდვილად არაფერს. არასდროს მითქვამს და არც მიფიქრია რაიმე ცვლილებაზე.

**– თავის მოვლის განსაკუთრებული წესები თუ გაქვს?**

– თავის მოვლას რაც შეეხება, ძალიან მიყვარს სპორტდარბაზში სიარული და ვარჯიში – ვცდილობ ხოლმე, ჩავჯდე ამ რეჟიმში, მაგრამ, ამას სისტემატურად ვერ ვახერხებ. კიდევ, ჩემს გარეგნობაში რა წვლილიც შემაქვს და რითაც ვახალისებ თავს, ეს არის მაკიაჟი, რომელიც ძალიან მიყვარს და, ვფიქრობ, რომ მეხერხება კიდეც. გადაცემების დროს („X ფაქტორს” ვგულისხმობ) „რუსთავი 2-ის“ გრიმიორი მიკეთებდა მაკიაჟს და მერე რაღაც დეტალებს მეც ვამატებდი. ყოველდღიურად, ახალი კლიპისთვის და სხვა გადაცემებში სტუმრობისასაც მე თვითონ ვიკეთებ.

**– ძალიან გადატვირთული გრაფიკი გაქვს და, ამ ყველაფერს ოჯახურ ცხოვრებას როგორ უთავსებ?**

– ჯერჯერობით კარგად ვუთავსებ. ჩემს ქმარს ძალიან მოსწონს, რომ აქტიურად ვსაქმიანობ. ვფიქრობ, ჩემი ასაკისთვის ნამდვილად შემდგარი ადამიანი ვარ, მაგრამ, ეს ყველფერი ადვილი ნამდვილად არ არის და არც სწორია ასეთი გრაფიკით ცხოვრება. ამიტომ, როცა მეუღლე დაღლილს მხედავს, ცდილობს სტიმული მომცეს, რომ არ მოვეშვა და მეუბნება: „ახლა ცოტა დაისვენე, მაგრამ, არ გაჩერდე“. ყველანაირად მიწყობს ხელს და, ჯერჯერობით, ნამდვილად კარგად ვგრძნობთ თავს ამ მხრივ.

**– როგორც ვიცი, ძალიან გიყვართ ერთმანეთისთვის სიურპრიზების გაკეთება.**

– ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ რაღაც პლუსები დავიწერო, უბრალოდ, მართლა ასეა. ვფიქრობ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს სიყვარული, როგორც ცეცხლს შეშა უნდა დაამატო ხანდახან, რომ არ ჩაქრეს, ზუსტად იმავენაირად უნდა კვებო გრძნობები. სულ მინდა, რომ ჩვენი სიყვარული „ცხელი“ იყოს და ამას ხელს ვუწყობთ მეც და ჩემი მეუღლეც – სიურპრიზებით, ყურადღებით ვანებივრებთ ერთმანეთს. ვინმეს, შეიძლება, არ ჰქონდეს მატერიალური საშუალება საჩუქრებისთვის, მაგრამ, ბევრი რამის გამოხატვა მხოლოდ ფინანსებით შეუძლებელია. პირველ ყოვლისა, სითბო და სიყვარულია საჭირო, ელემენტარული ყურადღებაც კი აბედნიერებს ადამიანს, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, სიურპრიზები და საჩუქრები. ძალიან მიხარია და ერთი სული მაქვს ხოლმე, რომ მას რამე ვუყიდო და თვითონაც ასეა. ერთი სიურპრიზი მახსენდება, რომელსაც სულ ვყვები და კიდევ ასჯერ მოვყვები: სიმღერა დამიწერა და გარეთ გამიყვანა; მანქანაში ბოლო ხმაზე ჰქონდა ეს სიმღერა ჩართული და იქაურობა ვარდებით იყო სავსე.

> **შვილი უნდა გყავდეს მაშინ, როცა ამისთვის ყველანაირი საშუალება გაქვს და ყველანაირად მზად ხარ. მე არ ვარ ადრეულ ასაკში შვილის გაჩენის მომხრე**

კიდევ, არასდროს დამავიწყდება, ხელი როგორ მთხოვა – რაღაც ზღაპრული მომენტი იყო: აგარაკზე ვიყავი მეგობრებთან ერთად. შაბათკვირა იყო და ვისვენებდით. რატომღაც, დენი წავიდა და ამიტომ სახლში უამრავი სანთელი ავანთე. ძალიან კარგად ვერთობოდით და, ზუსტად ამ დროს ამოვიდა დიტო. მაშინ მხოლოდ შეყვარებულები ვიყავით. მოვიდა, ერთად დავსხედით. მართლა ძალიან კარგი გარემო და მხიარულება იყო, ის კი უცებ წამოდგა – უნდა წავიდე, საქმე მაქვს და მერე მოვალო – და, წავიდა. ცოტა გავბრაზდი – ახლა რომ არ წასულიყო, რა მოხდებოდა-მეთქი, – ვიფიქრე. ალბათ, ნებისმიერ გოგოს ასე დაემართებოდა ***(იცინის).*** ცოტა ხანში რაღაცნაირად აფორიაქებული მოვიდა. ყველაფერი ვიფიქრე, ნეტავ სად იყო, ხომ არ იჩხუბა, რამე პრობლემა ხომ არ აქვს-მეთქი და კიდევ ათასი რამ...

უცებ, ამ გარემოსა და სანთლების ფონზე, ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო, წინ დამიჯდა და – გამომყვები ცოლადო? ატყდა წივილ-კივილი, „გილოცავთ” და მთელი ამბები. ძალიან რომანტიკული და მოულოდნელი იყო. ყველაფერი უცებ მოხდა და მაშინ გადავწყვიტეთ დაქორწინება. სხვათა შორის, შეყვარებულობიდან ძალიან მალე.

**– ხომ არ გეგმავთ, რომ ოჯახს მესამე წევრი შეჰმატოთ?**

– ეს ძალიან პირადული თემაა. რა თქმა უნდა, ვგეგმავთ, ოჯახის შექმნის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს არის. უბრალოდ, ჯერ რაღაც სხვა გეგმები გვქონდა ცხოვრებაში, რომლებიც უნდა გაგვეხორციელებინა. ამ საკითხს კი ძალიან სერიოზულად ვუდგები: ვფიქრობ, შვილი უნდა გყავდეს მაშინ, როცა ამისთვის ყველანაირი საშუალება გაქვს და ყველანაირად მზად ხარ. მე არ ვარ ადრეულ ასაკში შვილის გაჩენის მომხრე. ასეთები ჩემ გარშემო ძალიან ბევრნი არიან და, ეს, რაღაც თვალსაზრისით, კარგია – ბავშვს ახალგაზრდა მშობლები ეყოლება, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ძალიან რთულია, როცა თვითონაც პატარა ხარ და ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი. ამ დროს შვილს ბევრ რამეს აკლებ. როცა შვილს აჩენ, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ შენი ცხოვრებით ვეღარ იცხოვრებ, რადგან, ჩნდება ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერი უნდა გადადო.

ახლა ჩვენი ქორწინების მესამე წელი დაიწყო და, ვფიქრობ, უკვე მზად ვართ ამისთვის.

**– ბოლოს არდადეგებზეც მოგვიყევი – ზაფხული როგორ გაატარე?**

– ოჯახურად დავისვენე: ჩემი და მეუღლესთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობს და, გადავწყვიტეთ, ერთად დაგვესვენა ესპანეთში მე, ჩემს დას და ჩვენს მეუღლეებს. ძალიან ვისიამოვნე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აქტიური ვარ და თვალებიდან ნაპერწკლები მცვივა, კლუბური ცხოვრება და ივენთები მაინც არ არის ჩემი სტილი.

ესპანეთში რომ ჩავედით, ძალიან გახარებულები ვიყავით, რომ ბარსელონაში დავისვენებდით, ზღვაზე გავისეირნებით. ჩავედით მე და ჩემი მეუღლე, ვდგავართ და ბარგს ველოდებით, დამთავრდა ყველაფერი, შუქები ჩაქრა და გაჩერდა, მაგრამ, სად არის ჩვენი ბარგი?! არსად ჩანს. აღმოჩნდა, რომ დაიკარგა. მერე კი იპოვეს, მაგრამ, ძალიან ცუდი შეგრძნება ყოფილა, როცა მოლოდინით სავსე დგახარ და ასეთი რამ გემართება.

ესპანეთის გარდა, კიდევ ვიყავი საგურამოში და ბათუმში. ყოველ შაბათ-კვირას ვცდილობდი ქალაქიდან გასვლას, დასვენება რომ მომესწრო.

**ქეთი კაპანაძე**

**ქართველმა დიჯეიმ, ათუკა ედიშერაშვილმა, ზუსტად ერთი წლის წინ, ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე – „მოვიდა კორონა“, რომელიც იბიცაზე გაიმართა და რომელშიც 25 ქვეყნის საუკეთესო დიჯეი იღებდა მონაწილეობას, მესამე საპრიზო ადგილი აიღო. ეს ძალიან სერიოზული მუსიკალური ფესტივალია და, აღსანიშნავია, რომ საქართველო მასში პირველად იღებდა მონაწილეობას. უყურადღებობას ათუკა არც მანამდე უჩიოდა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ წარმატების შემდეგ მასზე მოთხოვნა სერიოზულად გაიზარდა – დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური დიჯეია და ძალიან ბევრ ღონისძიებაში, ივენთსა თუ ფესტივალში იღებს მონაწილეობას.**

# ვინ სთხოვს ქართულ კლუბებში ათუკა ედიშერაშვილს მუსიკის გათიშვასა და სადღეგრძელოს წარმოთქმას და როგორია გართობა დიჯეისთვის

**– ახლახან დაბრუნდი ანაკლიიდან. „კაზანტიპზე“ რას გვეტყვი?**

– იქ, როგორც სტუმარი, ისე ვიყავი წასული, არ დამიკრავს. მომეწონა – ადგილიც კარგად ჰქონდათ გაკეთებული და მუსიკა იდეალური იყო. ერთადერთი ნაკლი – ხალხის ნაკლებობა იყო.

**– ორგანიზატორების მხრიდან აქცენტი ელექტრონულ მუსიკაზე კეთდებოდა. როგორც დიჯეი, როგორ შეაფასებდი ფესტივალს ამ თვალსაზრისით?**

– მუსიკალური თვალსაზრისით, მართლა ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო გაკეთებული, მსოფლიოს საუკეთესო არტისტები იყვნენ ჩამოყვანილები.

**– ვიცი, რომ დიჯეების მსოფლიო კონკურსზე ერთი წლის წინ მესამე ადგილი აიღე, ამის შესახებ მოგვიყევი.**

– ეს კონკურსი ტარდება ყოველ წელიწადს. სამწუხაროდ, წელს შეიცვალა სახე და სხვა ფორმატით ტარდება. ეს იყო „მოვიდა კორონას“ ფესტივალი და მასში 25 ქვეყნის დიჯეი იღებდა მონაწილეობას. გაიმართა იბიცაზე. სამი საპრიზო ადგილი იყო და მე მესამე ადგილი ავიღე. ასეთ გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი. ძალიან სერიოზული ფესტივალია, იქ მოხვედრა და დაკვრაც კი ბევრს ნიშნავს. ადგილიც დიდ გავლენას ახდენს მუსიკოსზე. მართლა სასწაული რაღაცეები ხდებოდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ძალიან მაგარი შეგრძნება იყო და, ზუსტად ვიცი, ისეთ ემოციებს, როგორიც ამ გამარჯვებამ მომიტანა, დიდხანს ველარ მივიღებ.

**– საქართველოს მანამდე არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული?**

– მანამდე საერთოდ არ მონაწილეობდა საქართველო ამ კონკურსში, ეს იყო პირველი შემთხვევა. ჩვენი ქვეყნის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ და სხვადასხვა ქვეყანაში ერეოდათ. მაგრამ, ყველას დავაზეპირებინე საქართველოს სახელი.

**– ამ კონკურსამდე იყო შიდა შესარჩევი ტური საქართველოში...**

– შიდა შესარჩევი ტური სამი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი იყო ინტერნეტკონკურსი, რომლის შემდეგაც 20 დიჯეი გადიოდა მეორე ტურში; იქ ხდებოდა ნახევარსაათიანი სეტის დაკვრა და ამის შემდეგ 5 მონაწილე გადადიოდა ფინალურ ნაწილში. ამ 5 მუსიკოსს შორის მე გავიმარჯვე და გავემგზავრე იბიცაზე.

**– ქართველ დიჯეებს შორის დიდი კონკურენცია იყო?**

– რა თქმა უნდა, კონკურენცია დიდი იყო. თუმცა, გაცილებით დიდი იყო იბიცაზე. იქ 25 ქვეყნის საუკეთესო დიჯეი გამოდიოდა. თან, ამ პროცესს ნერვიულობაც ახლდა. გამიმართლა კიდეც – ცოტა იღბალი, ცოტა ნიჭი და ასე მივაღწიე წარმატებას.

**– ამის შემდეგ მაიამიში, მუსიკალურ ფესიტვალზე უნდა წასულიყავი. ალბათ, დიდი მოლოდინი გქონდა. რა მიიღე შედეგად?**

– მაიამიში 20 მარტს გავემგზავრე და იქ ორი კვირა დავყავი. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ფესტივალია, რომელიც ელექტრონული მუსიკის სფეროში ტარდება. იქ მივიღე შემოთავაზება, რომ ყოველწლიურად ჩავიდე ხოლმე ამ ფესტივალზე. მომავალ წელს თუ ჩატარდება, აუცილებლად გავემგზავრები.

**– ქართველ დიჯეებზე რას იტყვი?**

– დიჯეებით, ჩემი აზრით, ბევრ ევროპულ ქვეყანაზე წინ ვართ. ძალიან ბევრი კარგი დიჯეი გვყავს. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და, რომ შევადარო, ჩვენთან უფრო ხარისხიანი ელექტრონული მუსიკაა, ბევრად უფრო კარგ გზას ვადგავართ.



**ბევრი ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს კლუბისა და რესტორნის მუსიკასა და სიტუაციას. ჰგონიათ, რომ, შეიძლება დიჯეისთან მისვლა, ფულის გადახდა და სასურველი მუსიკის შეკვეთა**

**– ქართველ მსმენელზე რას ფიქრობ?**

– მსმენელის ნაკლებობას არ ვუჩივით. უბრალოდ, ამ სფეროს უფრო მეტად განვითარება სჭირდება და ამას ქვეყანამ უნდა შეუწყოს ხელი. ხალხი ერთ ადგილას არის გაჩერებული, არადა, წინსვლაა საჭირო. ზოგადად, ელექტრონული მუსიკა მსოფლიოში უფრო აქტუალური გახდა, კონკურენციაც გაიზარდა და, შესაბამისად, ხარისხიც დაიხვეწა. მსმენელიც საკმაოდ გემოვნებიანი და დახვეწილია და, დაინტერესების შემთხვევაში, მეც ვურჩევ ხოლმე კარგ მუსიკას. თუმცა, სასაცილო სიტუაციებიც ხშირია. ბევრჯერ, კლუბში დაკვრის დროს, მოსულა მსმენელი და თურქული სიმღერა მოუთხოვია ფულის სანაცვლოდ. ბევრი ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს კლუბისა და რესტორნის მუსიკასა და სიტუაციას. ჰგონიათ, რომ, შეიძლება

**ძალიან ბევრი კარგი დიჯეი გვყავს. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და, რომ შევადარო, ჩვენთან უფრო ხარისხიანი ელექტრონული მუსიკაა, ბევრად უფრო კარგ გზას ვადგავართ**

დიჯეისთან მისვლა, ფულის გადახდა და სასურველი მუსიკის შეკვეთა. ბევრს არც ერიდება, პირდაპირ მოაჭრიან, ფულს დაგიდებენ და გეუბნებიან: „ჯიგარო, ერთი ეს დამიკარი!“... „ვაგონი მიჰქრის არ გაქვთ?“... ერთხელ, ერთი კაცი მოვიდა, თანხა დამიდო და მეუბნება: ცოტა ხნით მუსიკა საერთოდ გამორთე, სადღეგრძელო უნდა ვთქვაო ***(იცინის).***

**– თქვენი რეაქცია როგორია ასეთ დროს?**

– ასეთი რაღაცეები ხშოირად ხდება და ყოველთვის ვცდილობ, აგრესიული არ ვიყო და თავაზიანად ავუხსნა, რომ ეს არ არის ის ადგილი, სადაც მუსიკის შეკვეთაა შესაძლებელი; რომ აქ კონკრეტული მუსიკის მოსასმენად მოდიან, შეკვეთებისა და სადღეგრძელოების ადგილი კი რესტორანშია. ასეთი ადამიანების უმრავლესობა მაშინვე ტოვებს ხოლმე ბარს.

**– ამჟამად რა სიახლეები გაქვთ თქვენი მსმენელისთვის?**

– ახლა ძალიან ხშირად ვუკრავ „მედუზაში“, ასევე, ნებისმიერ კლუბში, რომლიდანაც მომივა მოწვევა. ზაფხულში მქონდა ძალიან დატვირთული გრაფიკი – ბათუმში ვიყავი და რამდენიმე კლუბში ვუკრავდი. სიახლე საკმაოდ ბევრია. ცალკეც ვმუშაობ და ბენდთან ერთადაც. შეიძლება ითქვას, მთლიანად მუსიკით ვარ მოცული. ვაპირებ ევროპაში ტურნეს გაკეთებას. მაქვს რაღაც შემოთავაზებები; რაც, ისევ, და ისევ იბიცაზე დაკვრის შემდეგ წამოვიდა. რამდენიმე აგენტმა სხვადასხვა ქვეყანაში ტურნეების მოწყობა შემომთავაზა – ეს ყველაფერი სექტემბერ-ოქტომბერში იგეგმება. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მუსიკალურად არ ვარ ბოლომდე ჩამოყალიბებული. დროსთან ერთად, მეტ რამეს ვსწავლობ. მუსიკალური განათლება მინდა გავიღრმავო. მუსიკოსისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინსტრუმენტის შესწავლა, რომ ჟღერადობები მიიღო.

**– ბენდ „თსუ-არტის” წევრი ხართ, რომელიც საზოგადოებამ „ნიჭიერის“ შემდეგ გაიცნო კარგად. შენ როდის შეუერთდი?**

– მე მათ „ნიჭიერის“ შემდეგ შევუერთდი. გუნდში რაღაც ცვლილებები მოხდა და ამის შემდეგ მივედი. ცოტა სიახლეები შევიტანე და, ვფიქრობ, წინ წავედით. ხარისხი, რომელიც იყო, შევინარჩუნეთ. ორიგინალური ინსტრუმენტების შექმნას დღესაც ვცდილობთ, თუმცა, ეს მარტივი პროცესი არ არის – უცებ ვერ დაჯდები და ახალ ინსტრუმენტს ვერ შექმნი, მაგრამ, ახლის დამატებას და ძველის განახლებას ყოველთვის ვცდილობთ.

**– თქვენი ბენდის და მარიკო ებრალიძის ერთობლივი პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. თუ აპირებთ თანამშრომლობის გაგრძელებას?**

– ეს თანამშრომლობა ცოტა ხნის წინ დავიწყეთ და დღესაც აქტიურად გრძელდება. ახლა ალბომზე ვმუშაობთ. ეს არის ელექტრონული მუსიკისა და მარიკოს ვოკალის სინთეზი, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მოუხდა ერთმანეთს.

**– აქტიური საქმიანობის გამო, ალბათ, პირადი ცხოვრებისთვის ნაკლები დრო გრჩებათ.**

– საქმეს დიდი დრო მიაქვს. შეყვარებული არ ვარ. ღამის ცხოვრებამ და ჩემმა დატვირთულმა გრაფიკმა ყველას ჩამომაშორა. სულ აქეთ-იქით მიწევს სირბილი და ნორმალური ურთიერთობისთვის დრო აღარ მრჩება. მეგობრებსაც მაშინ ვნახულობ, თუ ჩემთან მოდიან სტუმრად კლუბში.

**– გასართობად კლუბში დადიან, რომელიც თქვენთვის სამუშაო გარემოა. საინტერესოა, როგორ ერთობა დიჯეი?**

– ამაზე ხშირად ვხუმრობთ ხოლმე: დიჯეისთვის გართობა არის დასვენება და განტვირთვა სადმე, მშვიდ, წყნარ ადგილას. კვირაში ერთი-ორი დღე თუ მაქვს თავისუფალი, სულ ვცდილობ, სადმე წყნარ ადგილას წავიდე, სადაც მუსიკა ძალიან დაბალ ხმაზე იქნება და კარგად დავისვენებ. ხშირად მიწევს სამი-ოთხი ღამის გადაბმა და დილით დაძინება. სასიამოვნო არ არის, მაგრამ, რას ვიზამ, ასეთი პროფესია მაქვს. რამდენი წელია, ამ სფეროში ვარ და, თითქოს უკვე შევეჩვიე. ამის მიუხედავად, ჩემს საქმეზე ძალიან ვარ შეყვარებული და თავი სხვაგან ვერ წარმომიდგენია.

**ქეთი კაპანაძე**

**ყაჩაღობა დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. გაზეთები და ტელეეკრანები ძარცვისა და თავდახსმების შესახებ ინტენსიურად გვაწვდიან ინფორმაციას. ეს ყველაფერი საბჭოთა ეპოქაშიც არსებობდა, ოღონდ, მაშინ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი კანონით ისჯებოდა. დღეს ბევრ საქმეს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“. გამოაშკარავდა ერთ-ერთი ბანდა, რომელიც 1968-73 წლებში როსტოვში დათარეშობდა. ბანდიტებს ფანტომასის ნიღბები ეკეთათ და ამიტომ შეარქვეს „ფანტომასები." ამ ბანდის შესახებ მოგვითხრობს ისტორიის მეცნიერებათა დიქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკა თევზაძე.**

# როგორ შექმნა თეატრალური ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა მიხეილ დარსალიამ ყველაზე მოუხელთებელი და სასტიკი ბანდა – „ფანტომასები“

**– ბატონო ნიკა, სად და როგორ შეიქმნა „ფანტომასების" ბანდა?**

– ეს მოხდა როსტოვში, 1968 წელს. საბჭოთა ეკრანებზე მაშინ ტრიუმფით გავიდა ანრი დე იუნებელის ტრილოგია: „ფანტომასი“, „ფანტომასი აბობოქრდა“ და „ფანტომასი სკოტლანდ-იარდის წინააღმდეგ“. დიდსა თუ პატარას, ყველას მოუხელთებელი ფრანგი ბოროტმოქმედის სახელი ეკერა ენაზე. კედლები აჭრელებული იყო წარწერებით „ფ“ – ანუ, ფანტომასი. მოხუც ქალებს უცნობები ხშირად ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, რამდენიმე წუთში თქვენთან ფანტომასი მოვაო. ამას, რასაკვირველია, ბიჭუნები აკეთებდნენ. მათი ცელქობა ღიმილის მომგვრელია, თუმცა, როსტოვში სიცილის ხალისი ნამდვილად არ ჰქონდათ.

„ფანტომასების" ბანდაზე როსტოვში პირველად 1968 წელს ალაპარაკდნენ, როცა ავტომატებით შეიარაღებული მამაკაცები ინკასატორს დაესხნენ თავს. ყოველ მათგანს სახეზე „ჩულქი" ჰქონდა ჩამოცმული და ხალხმაც მათ „ფანტომასები" შეარქვა.

**– ბანდიტებს ავტომატები ჰქონდათ? როგორც ვიცი, საბჭოთა ეპოქაში ჯაყვის ტარებისთვისაც კი იჭერდნენ.**

– დიახ, ავტომატები ჰქონდათ და ამან გამოძიებას თავსატეხი გაუჩინა. როგორც მოწმეებმა აჩვენეს, ეს იყო არა საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელებული კალაშნიკოვის ავტომატები, არამედ, მოკლე, მსუბუქი იარაღი. ტყვიების ნაცვლად ლითონის ბურთულებს ისროდა და დამანგრეველი ძალა ჰქონდა. ასეთი შეიარაღება საბჭოთა ძალოვან სტრუქტურებს არ გააჩნდათ, ამიტომ, ბანდის დევნაში როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე, სუკიც ჩაება.



**კრემლში იფიქრეს, რომ ვიღაცას მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დესტაბილიზაცია სურდა და, ამიტომ, საგანგებოდ მომზადებული დივერსიული ჯგუფი გადმოსხეს**

**– სუკი?**

– დიახ. არსებობდა ვერსია, რომ ბანდიტები უცხოეთიდან შემოგზავნილი დივერსანტები იყვნენ. როსტოვი, მოგეხსენებათ, ოდითგანვე ქურდების ქალაქი იყო: ოდესა – დედა და როსტოვი – მამა. კრემლშიც იფიქრეს, რომ ვიღაცას მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დესტაბილიზაცია სურდა და, ამიტომ, საგანგებოდ მომზადებული დივერსიული ჯგუფი გადმოსხეს. ბანდაზე ნადირობასაც ორი დაპირისპირებული სტრუქტურა – სუკი და შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა.

**– სუკი და შინაგან საქმეთა სამინისტრო დაპირისპირებული სტრუქტურები იყვნენ?**

– ყველა სახელმწიფოში სამი დაპირისპირებული სტრუქტურა არსებობს: არმია, პოლიცია და უშიშროება. გამონაკლისი არც საბჭოთა კავშირი იყო, თუმცა, აქ კონფლიქტი უფრო ღრმა ხასიათს ატარებდა. საქმე ისაა, რომ სუკის მაშინდელი შეფი ანდროპოვი და შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრი შჩოლოკოვი დაუძინებელი მტრები იყვნენ. უკვე ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ, როცა ანდროპოვი ხელისუფლებაში მოვიდა, შჩოლოკოვს ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

**– ისევ როსტოვს დავუბრუნდეთ: მაშ ასე, ქალაქში ბანდა გაჩნდა...**

– დიახ, პირველ ძარცვას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. ბანდიტები უყოყმანოდ ხოცავდნენ ყველას, ვინც წინ გადაეღობებოდათ. მათ მოკლეს ინკასატორი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და, კიდევ, რამდენიმე მოქალაქე, თუმცა, შემთხვევით ადამიანებს არ ერჩოდნენ. მოწმეებიც მრავლად იყვნენ და ყველა ერთხმად აჩვენებდა, რომ ბანდიტებს სახეზე „ჩულქი" ჰქონდათ ჩამოცმული და ნამდვილი ფანტომასები იყვნენ. როსტოვში პანიკა დაიწყო. ამან ერთი მოხუცის, ვინმე ვასილიევას სიცოცხლე კინაღამ შეიწირა.

**– როგორ?**

– ვასილიევა მარტოხელა მოხუცი იყო. ანაზდად, მის კარზე დარეკეს. ქალი კართან მივიდა და იკითხა, ვინ ბრძანდებითო.

– გააღე, ფანტომასი ვარ! – გაისმა პასუხად.

მოხუცმა იფიქრა, ბავშვები მაპამპულებენო, კარი გააღო და ელდა ეცა – ზღურბლთან ვეებერთელა მამაკაცი იდგა და სახეზე „ჩულქი" ჰქონდა ჩამოცმული. ვასილიევა იქვე ჩაიკეცა. ის გულის მწვავე შეტევით საავადმყოფოში წაიყვანეს და ძლივს გადაარჩინეს.

შემდგომში გამოირკვა, რომ ეს ვასილიევას კარის მეზობლის, 12 წლის ვასკა გუბანის ოინი ყოფილა – ის თავის ძმაკაცს მხრებზე შეაჯდა, სახეზე კი „ჩულქი" ჩამოიცვა. საწყალ მოხუცს „ფანტომასის“ დანახვისთანავე გული წაუვიდა.

**– ბანდა კი ქალაქში დათარეშობდა. ნუთუ სუკი და შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერაფერს გახდნენ?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ვერაფერს გახდნენ. როსტოვი შეიარაღებული ჩეკისტებით გაივსო. ყველგან მილიციელები და სუკის გადაცმული თანამშრომლები მორიგეობდნენ. მიუხედავად ამისა, ძარცვები არ წყდებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბანდიტები ვეებერთელა სახელმწიფო მანქანას „კუკუდამალობანას" ეთამაშებოდნენ. როგორც საბუთებიდან ჩანს, საქმე თავად ბრეჟნევმა აიყვანა პირად კონტროლზე. ანდროპოვი და შჩოლოკოვი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ, შედეგი არ ჩანდა – „ფანტომასები" როსტოვში კვლავაც დანავარდობდნენ – ტრადიციული მეთოდები მათ მიმართ არ ჭრიდა. მოგეხსენებათ, მილიცია და სუკი ეგრეთ წოდებულ. „შავი სამყაროს“ ზედა ფენას აკონტროლებდნენ, „ფანტომასებთან" მიმართებაში ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა – ისინი შავ სამყაროს არ გაენეკუთვნებოდნენ. გადიოდა წლები, მაგრამ ბანდა როსტოვში კვლავაც დათარეშობდა. ერთხელ, მათი შეპყრობა თითქოს მხოლოდ ტექნიკის საქმე იყო: ინკასატორზე თავდასხმისას გაიმართა სროლა და ინკასატორმა ერთ-ერთი ბანდიტი მძიმედ დაჭრა. ჩეკისტებმა ყველა საავადმყოფოზე დააწესეს გაძლიერებული მეთვალყურეობა, მაგრამ, ამაოდ – ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ამ დღეებში არავინ შეუყვანიათ.

**– ბანდის შეპყრობა როგორ მოხდა?**

– სრულიად შემთხვევით. ერთმა როსტოველმა ქალბატონმა მილიციაში განაცხადა, ჩემი ქმარი შინ მთვრალი მოვიდა და გამომიცხადა, მე ფანტომასი ვარო. სხვა შემთხვევაში, ამას ყურადღებას არავინ მიაქცევდა, ახლა კი გულდასმით გამოიძიეს ფაქტები და, აღმოჩნდა, რომ ხსენებულ მოქალაქეს უკანასკნელ ხანს ფული გაუჩნდა, ამიტომ, რესტორნების ხშირი სტუმარიც გახდა და საყვარელიც გაიჩინა, რის გამოც ცოლთან მუდმივი უსიამოვნებები ჰქონდა. გამწარებულმა ქალმა მეუღლე მილიციაში დააბეზღა, რითაც უნებლიეთ შეუწყო ხელი ბანდის შეპყრობას.

მილიციამ ხსენებული პიროვნება გულდასმით დაამუშავა. რაკი სუსტი სქესისა და სპირტიანი სასმლის მოტრფიალე იყო, ერთი ლამაზი გოგონა მიუჩინეს და, შედეგად, შეიტყვეს, რომ ბანდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტზე თავდასხმას და ხელფასის გატაცებას აპირებდა. მთელი ინფორმაცია უმალ გაიგზავნა მოსკოვში. შჩოლოკოვმაც მთელი ბრიგადა აფრინა როსტოვში – მინისტრი შიშობდა, რომ სუკი ბანდიტების კვალს თავად მიაგნებდა და დაფნის გვირგვინიც ანდროპოვს შეხვდებოდა. ანდროპოვსა და შჩოლოკოვს შორის მტრობა რომ არა, შემდგომი ტრაგიკული მოვლენები, ალბათ, არ განვითარდებოდა.

**– შემდგომში რა მოხდა?**

– მილიცია სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ბანდიტებს ჩაუსაფრდა. გაიმართა სროლა. ბანდიტებმა გაქცევა შეძლეს და მილიცია მათ გამოეკიდა. ამრიგად, დეტექტიური ფილმის დამახასიათებელი სიუჟეტი განვითარდა: სროლა და დევანა. კინოში ეს ლამაზია, რეალურ ცხოვრებაში კი ამას ტრაგედია მოჰყვება ხოლმე. სროლის შედეგად ერთი ბანდიტი და რამდენიმე მილიციელი დაიღუპა. ზოგიერთი შემთხვევითი გამვლელიც აღმოჩნდა ბრმა ტყვიის მსხვერპლი.

**– ბანდიტები შეიპყრეს?**

– ზოგი შეიპყრეს, ზოგიც სროლისას მოკლეს. ერთ-ერთი ბანდიტს, ვინმე სამასიუკს, გატაცებული ფულით სავსე ტომარაზე ამოხდა სული. მალე ბანდის მეთაურებზეც გავიდნენ – ესენი იყვნენ ძმები ტოლსტოპიატოვები, მათი მეგობარი კი ვინმე მიხეილ დარსალია აღმოჩნდა. ტოლსტოპიატოვი მილიციამ შეიპყრო; რაც შეეხება დარსალიას, მან მილიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია – ორი მილიციელი მოკლა და ერთი მძიმედ დაჭრა, თუმცა, თავადაც დაიღუპა.

**– დარსალია ბანდის ერთ-ერთი მეთაური იყო?**

– მეთაური არა, მაგრამ, ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. დარსალია ფრიად საინტერესო პიროვნებაა: დაიბადა თბილისში, მუშის ოჯახში. მისი ოცნება მსახიობობა იყო. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ხულიგნებთან მოუვიდა შეხლა-შემოხლა – დარსალია გამოესარჩლა გოგონას, რომელსაც რამდენიმე ყმაწვილი აწვალებდა. ატყდა ჩხუბი და დარსალიამ ერთ-ერთი ხულიგანი დაჭრა, რის გამოც დააპატიმრეს. ის კოლონიაში დაუმეგობრდა ვიაჩესლავ ტოლსტო-

# გვაქვს თუ არა სარისკო ზონები ვულკანური ამოფრქვევების თვალსაზრისით საქართველოში და შეუძლია თუ არა ადამიანს „ხელი შეუწყოს" ვულკანის გააქტიურებას

*დროსთან ერთად ბევრი რამ ვითარდება და წინ მიდის. ის, რაც ადრე გადაუჭრელი პრობლემა შეიძლებოდა ყოფილიყო, დღეს ძალიან მარტივად მოგვარდება. მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს ისეთი პრობლემებიც, რომელთა წინაშე დღესაც უძლურნი ვართ. სტიქიური უბედურებები სწორედ ამგვარ საკითხთა რიგს მიეკუთვნება. ამ ბოლო დროს, გააქტიურდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად კი მყინვარწვერზე, არსებული ჩამქრალი ვულკანი აპირებდა გააქტიურებას და ყაზბეგის მოსახლეობა საფრთხეში იმყოფებოდა. ამ საკითხზე სასაუბროდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, გეოგრაფ გიორგი დვალაშვილს მივმართეთ.*

– უპირველესად, გეტყვით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, აჟიოტაჟი მყინვარწვერის ტერიტორიიდან წამოსულმა ღვარცოფმა გამოიწვია. დაიწყეს საუბარი, რომ შეიძლებოდა, ვულკანს გაეღვიძა და ამოფრქვეულიყო. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ დღეისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი მოქმედი ვულკანი არ არის და მათი ამოფრქვევის საშიშროებაც არ არსებობს.

ჩვენ ვაწარმოებთ სხვადასხვა სახის დაკვირვებას. ვატარებთ გეოლოგიურ, სტრატეგრაფიულ, გეოფიზიკურ კვლევებს და შემიძლია, გითხრათ, რომ ამ მხრივ საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრება. რაც შეეხება გეოლოგიურ წარსულს, საქართველოში ბევრ ადგილას არის დადასტურებული ვულკანური კერები, სადაც ხდებოდა ამოფრქვევა. განსაკუთრებით მდიდარია ამგვარი მოვლენების მიხედვით ჯავახეთისა და მყინვარწვერის მიდამოები. საქართველოს ტერიტორიაზე ვულკანიზმი ნამდვილად იყო, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის წინ. ამოფრქვევა, რომელიც დაფიქსირებულია, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, არის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გორისციხე-ცხენშეს ტერიტორიაზე. აქ გზა გაყავდათ და ამ პროცესში დაფიქსირდა მცენარე, რომელიც ვულკანური ამოფრქვევის შედეგად გაქვავდა. დადგინდა, რომ ეს იყო ყველაზე ახალგაზრდა ვულკანი, რომლის ასაკიც არის 7 000 წელი. 7 000 წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი ვულკანი არ გვქონია. მსოფლიოში დაახლოებით 800 მოქმედი ვულკანია და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ვულკანის გააქტიურებას თან ახლავს სხვა პროცესებიც. ეს არის ცხელი წყლები, გეიზერები... მოვლენები, რომლებიც საქართველოში არ დასტურდება. შესაბამისად, ვერ ვიფიქრებთ, რომ რომელიმე ვულკანი გააქტიურებას აპირებს.

**– გამოდის, რომ ვულკანური ამოფრქვევის საშიშროება ნამდვილად არ გვემუქრება.**

– ნამდვილად შეიძლება ასე ვთქვათ. ჩვენ შევისწავლია ისეთი ადგილები, ვატარებთ ექსპედიციებს. კონკრეტულად, ყაზბეგიც რომ ავიღოთ, აქ არანაირი ნიშნები არ გვაქვს ასეთი პროგნოზისთვის. ამას მარტო მე არ ვამბობ. სხვა ქართველი მეცნიერებიც იგივეს ადასტურებენ. ვულკანური თვალსაზრისით, ნამდვილად უსაფრთხო გარემოში ვცხოვრობთ. ასე იქნება უახლოეს მომავალში. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი რა იქნება, ამას ვერავინ გეტყვით.



**ყაზბეგის მოსახლეობა ძალიან შეშინდა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვულკანი უნდა ამოიფრქვეს და ეს ხალხი, მთელი დასახლება ლავის ქვეშ მოექცევა. საჭიროა, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ**

**– თუ არსებობს რაიმე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება, მისი გააქტიურება გამოიწვიოს?**

– ვულკანი ისეთი მოვლენაა, რომელსაც ადამიანი ვერ გამოიწვევს. როგორ უხეშადაც არ უნდა ჩაერიოს ის გარემოში მიმდინარე პროცესებში, რა ცვლილებაც არ უნდა შეიტანოს მასში. უხეშად რომ ვთქვათ, რა დონეზეც არ უნდა გაანადგუროს ადამიანმა გარემო, ვულკანის გაღვიძებას მაინც ვერ გამოიწვევს. რადგან ვულკანური ამოფრქვევა არის მიწის ძალიან ღრმა ფენებში მიმდინარე პროცესების შედეგი, რომელზე ზემოქმედებისთვისაც ადამიანს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია.

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა საქართველოში მომხდარ მიწისძვრას აფასებენ, როგორც ხელოვნურად გამოწვეულს. ესეც არ არის მართებული. ორივე მიწის სიღრმეში, ასეულობით და ათასეულობით მეტრზე მიმდინარე პროცესებია.

**– ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ამოფრქვევები სად გვქონია?**

– მასშტაბური ამოფრქვევები ბევრი ყოფილა საქართველოში. მაგალითად, ჯავახეთის ტერიტორიაზე, ფარავნის ტბა, რომელიც ყველაზე დიდი ტბაა, მისი ზედაპირის ფართობი 37 კვადრატული კილომეტრია, წარმოქმნა აბულსამსარის ქედიდან ჩამომავალმა ვულკანმა. ასევე, საღამოს ტბისა და ჯავახეთში არსებული კიდევ ბევრი სხვა ტბის წარმოშობა, სწორედ ვულკანმა გამოიწვია. მოკლედ, ამოფრქვევები იყო და საკმაოდ მასშტაბური, მაგრამ მილიონობით წლის წინ.

**– თუ ასეთი უსაფრთხო გარემო გვაქვს ამ თვალსაზრისით, მაშინ რამ გამოიწვია ამ საკითხის გააქტიურება?**

– მაისიდან დაიწყო საუბარი, რომ თითქოს მყინვარწვერზე ვულკანი აპირებს გააქტიურებას. აქ მოხდა უზარმაზარი ღვარცოფი, რომელიც, სამწუხაროდ, პრესამ მონათლა, როგორც მეწყერი. ეს არ იყო მეწყერი. ვილაცეებმა კი ეს დააკავშირეს მყინვარწვერზე ვულკანის ამოფრქვევის საშიშროებას. ყაზბეგის მოსახლეობა ძალიან შეშინდა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვულკანი უნდა ამოიფრქვეს და ეს ხალხი, მთელი დასახლება, ლავის ქვეშ მოექცევა. საჭიროა, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ. ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ გავიმეორებ: საქართველოს ტერიტორიაზე, არც მყინვარწვერზე და არც სხვაგან, ვულკანური ამოფრქვევის საშიშროება არ არსებობს. ეს იყო ცრუ განგაში.

**ქეთი კაპანაძე**

---

პიატოვს, რომელიც სასჯელს ყალბი ასმანეთიანის დამზადებისათვის იხდიდა.

ტოლსტოპიატოვს მართლაც ოქროს ხელები ჰქონდა. ბავშვობიდან უყვარდა ხატვა, ჩხირკედელაობა. მას და დარსალიას ერთმანეთი მოეწონათ. გათავისუფლების შემდეგ ტოლსტოპიატოვმა ის თავისთან, როსტოვში წაიყვანა. დარსალიას თბილისში არავინ აღარ დარჩა – დედა გარდაცვალა, მამას სხვა ოჯახი ჰქონდა, ამიტომ, ვიაჩესლავ ტოლსტოპიატოვის მიწვევა ხალისით მიიღო. როსტოვში ვიაჩესლავის ძმა, ვლადიმირიც გაიცნო, რომელსაც ასევე ოქროს ხელები ჰქონდა. დარსალიამ შეიგინა: იმ სახელმწიფოს დედაც და მამაც, სადაც თქვენნაირი ოსტატები გაჭირვებაში ცხოვრობენ. ტოლსტოპიატოვებს ეს გულში მოხვდათ. მათ ბანდის შექმნა და ფულის შოვნა გადაწყვიტეს – რაკი სახელმწიფო არ გვაძლევს იმას, რაც გვეკუთვნის, თავად ავიღებთო.

ბანდაში რამდენიმე ახლო მეგობარი (სულ 12 კაცი) მიიწვიეს. ყველა ქარხანაში მუშაობდა და შავ სამყაროსთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა.

**– იარაღი საიდან იშოვეს?**

– ავტომატი პირადად ვიაჩესლავ ტოლსტოპიატოვმა დაამზადა. ის ძალიან ნიჭიერი იყო და იდეალური ავტომატის შექმნაზე ოცნებობდა. სწორედ ვიაჩესლავმა გამოიგონა მოკლე, მსუბუქი ავტომატი, რომელიც ლითონის ბურთულებს ისროდა და დამანგრეველი ძალა ჰქონდა. რაც შეეხება სახეზე „ჩულქის" ჩამოცმას, ეს დარსალიას იდეა იყო. ნახა თუ არა ფილმი „ფანტომასი", დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა, მსგავსი სპექტაკლი ცხოვრებაში დაედგა. ასეც მოხდა.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ ერთ-ერთი ბანდიტი სროლისას ინკასატორმა დაჭრა და, მიუხედავად ამისა საავადმყოფოებში ის არ მიუყვანიათ.**

– მას ოპერაცია შინაურ პირობებში გაუკეთეს. ვიაჩესლავ ტოლსტოპიატოვმა თავისი ნაცნობი ექიმი მოიყვანა და ექვსი ათასი მანეთის საფასურად (მაშინ ეს დიდი თანხა იყო) დაჭრილისათვის ოპერაციის გაკეთება მოსთხოვა. თავდაპირველად ექიმი უარობდა:

– კი, მაგრამ ალერგიული შოკი რომ დაეწყოს?

– ეგ უკვე მაგისი პრობლემაა, – მიუგო ვიაჩესლავ ტოლსტოპიატოვმა, – თუკი უფალს უნდა რომ გადარჩეს, გადარჩება!

ექიმი მაინც ყოყმანობდა:

– ასისტენტის გარეშე ოპერაცია შეუძლებელია!

ბოლოს ასისტენტობაზე ვიაჩესლავა ტოლსტოპიატოვი და დარსალია დათანხმდნენ. დარსალია ექიმს იმდენად კვალიფიციურად დაეხმარა, რომ, როცა ოპერაცია დასრულდა, ექიმმა მას ჰკითხა:

– თქვენ სამედიცინო დაამთავრეთ?

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ბანდიტი გადარჩა.

**– ტოლსტოპიატოვებს რა მიუსაჯეს?**

– ვლადიმირ და ვიაჩესლავ ტოლსტოპიატოვები დახვრიტეს; ასევე, სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა ბანდის კიდევ რამდენიმე წევრს; სხვებს – მრავალწლიანი პატიმრობა. იულიან სემიონოვს სურდა, ამ საქმის საფუძველზე დეტექტიური რომანი დაეწერა, მაგრამ, ხელისუფლებამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად. „ფანტომასების საქმეს" გრიფი „საიდუმლო" დაადეს და არქივში გადაყძახეს. რაც შეეხება ფილმს „ფანტომასი," ის კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკრანებიდან მოხსნეს, აქაოდა საბჭოთა ხალხს ტვინს ურევსო. ფართო საზოგადოებისათვის როსტოველი „ფანტომასების" ბანდის შესახებ სიმართლე მხოლოდ 2009 წელს გახდა ცნობილი.

**ჯულია დემეტრაშვილი**

**15 წლის ანასტასია იგონინა სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ მოდელია. რამდენიმე ხნის წინ ის „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას“ გამარჯვებული გახდა და მას შემდეგ მისი სამოდელო კარიერა წარმატებულად გრძელდება.**

# ვისი კოლექციის სახე გახდა ანასტასია იგონინა და სად უწევდნენ მას მსოფლიოს ცნობილი ტოპ-მოდელები მენტორობას

**ანასტასია იგონინა**: 15 წლის ვარ, ვცხოვრობ მშობლებთან. შვილებს შორის ყველაზე უფროსი ვარ. მყავს ორი უმცროსი დაიკო: 8 წლის ლილი და 1 წლის ნატალი. სკოლაში დავდივარ და უკვე ერთი წელია, ვეუფლები მოდელის პროფესიას სამოდელო სააგენტო IC Model Management-ში. ბათუმიდან ვარ და ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი. როდესაც სადმე მივდივარ, სულ მენატრება ჩემი ოჯახი, მეგობრები და განსაკუთრებით – ბათუმი.

**– როდის გადაწყვიტე მოდელობა?**

– შარშან Elite Model Look Georgia 2013-ის ქასთინგის გამოცხადების შემდეგ, გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა ამ კონკურსში. თავიდან გავედი რეგიონალურ ქასთინგზე, რომელიც ჩატარდა ბათუმში, რის შემდეგაც მიმიწვიეს ეროვნულ ქასთინგზე. ამის მერე მოვხვდი 20 საუკეთესო დამწყებ მოდელს შორის. ერთი თვის განმავლობაში ვცხოვრობდი თბილისში და სხვა კონკურსანტებთან ერთად ინტენსიურად ვემზადებოდი Elite Model Look-ის ფინალური შოუსთვის. იმის შემდეგ, რაც კონკურსში გავიმარჯვე, მოდელობა ჩემს ძირითად საქმიანობად იქცა და, ვგეგმავ, სერიოზულად გავყვე ამ პროფესიას. ყოველთვის მომწონდა წარმატებული მოდელების შესახებ ინფორმაციის გაცნობა, მათ შესახებ ბევრი მსმენია და, როგორც ყველა გოგონას, მეც ხშირად წარმომედგინა ჩემი თავი მათ ადგილას. მეგობრებიც ხშირად მეუბნებოდნენ, რომ მოდელის გარეგნობა მაქვს. როდესაც ტელევიზიით შევიტყვე ამ კონკურსის შესახებ, მაშინვე მივხვდი – ეს იყო რეალური შანსი, რომლის მეშვეობითაც შემეძლო წარმატებული სამოდელო კარიერის დაწყება; თუმცა, არასდროს მეგონა, რომ 14 წლის გოგონას ბათუმიდან, შეეძლო, გაემარჯვა ამ პრესტიჟულ კონკურსში. ჩემდა საბედნიეროდ, საერთაშორისო წარმომადგენელმა პარიზიდან სწორედ მე დამასახელა გამარჯვებულად, რის შემდეგაც გავემგზავრე მსოფლიო ფინალზე, რომელიც ჩატარდა ჩინეთში და მივიღე შემოთავაზება „ელიტის” პარტნიორ საერთაშორისო სამოდელო სააგენტო Stiye Model Management-იდან, სადაც უკვე ვიმყოფებოდი სამუშაო კონტრაქტით და საერთაშორისო გამოცდილება მივიღე.

**– როგორი იყო „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2013-ის“ მოსამზადებელი პერიოდი და თავად კონკურსი?**

– ამდენი ხნით – ერთი თვით – თბილისში დამოუკიდებლად პირველად ვიყავი ჩამოსული. სამოდელო გამოცდილებაც პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და ახალი მეგობრებიც შევიძინე. შემდეგ ეს ცოდნა გამომადგა საერთაშორისო კონკურსზეც. გვქონდა ძალიან დატვირთული გრაფიკი: ყოველდღიური ვარჯიში სპორტკომპლექს „არენაში“, ფოტოგადაღებები – „კიკალა სტუდიოში“, ტანსაცმლის მორგება – „ავთანდილის მოდის სახლში”, დეფილეს გაკვეთილები – სააგენტოში, ვიდეოგადაღება – ტელეკომპანია „იმედში“ და, პარალელურად, ახალ მეგობრებთან ერთად გართობა და გასაუბრებები ჟიურის წევრებთან. ეს ყველაფერი იყო საინტერესო, სახალისო და, ამავდროულად, ძალიან სასარგებლო.

კონკურსში მონაწილეობამ, უპირველეს ყოვლისა, შემცვალა, როგორც პიროვნება; სრულად გავიაზრე, რასთან მქონდა საქმე. ვისწავლე, რა იყო მოდელის საქმიანობა და რა რეჟიმში უწევდათ მათ მუშაობა. შეიცვალა სხვების დამოკიდებულება ჩემ მიმართ და სამოდელო სფეროში გავხდი ცნობადი და მოთხოვნადი მოდელი. კონკურსის შემდეგ გავხდი ანუკი არეშიძის „შემოდგმა-ზამთარი 2015 წლის“ კოლექციის სახე. მქონდა არაჩვეულებრივი გადაღება ჯიჯი რეჯინთან. პირადად ვმუშაობდი ანუკი არეშიძესთან, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ანუკის შოუმ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: ულამაზესი სასახლე, საინტერესო და მორგებული სამოსი, პროფესიონალებთან მუშაობა და, ეს უდიდესი გამოცდილება ჩემი სამოდელო კარიერის საწყის ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის მეშვეობით კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ანუკის და ჯიჯის. „თბილისის მოდის კვირეულმა,” კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს სწორედ ის საქმიანობაა, რითაც მე სიამოვნებით დავკავდებოდი უახლოეს მომავალში. მონაწილეობა მივიღე „ატელიე კიკალას“, აკა ნანიტაშვილის, რამაზო რომას, ლელო ელოშვილისა და ავთანდილ ცქვიტინიძის კოლექციების ჩვენებებში. ძალიან დამამახსოვრდა კვირეულის პირველი შოუ, რომელიც იყო „ატელიე კიკალას“ კოლექციის ჩვენება, ძალიან მომეწონა ლადო ბოკუჩავას მიერ შექმნილი კაბების თანამედროვე, გეომეტრიული ფორმები, ფერები და ქსოვილის ხარისხი; აგრეთვე, დაუვიწყარი შთაბეჭილება დატოვა განსხვავებულ გარემოში ჩატარებულმა ავთანდილის კოლექციის ჩვენებამ. ბუმბულებით გაწყობილი კოლექცია, ღია ცის ქვეშ, ტყის ეფექტის მქონე გარემოში ჩატარებული შოუ და შესაფერისი მუსიკა ზღაპრული სამყაროს შთაბეჭდილებას ტოვებდა, სადაც ჩვენ ზღაპრის გმირებივით, რომანტიკულად მივაბიჯებდით ახალნაწვიმარ ბილიკებზე.

**– შენი აზრით, რა სჭირდება გოგონას, რომ ამ კონკურსის გამარჯვებული გახდეს, ანუ, შენ რა დაგეხმარა გამარჯვებაში?**

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ზუსტად რა არის საჭირო, თუმცა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ კონკურსის ორგანიზატორები პროფესიონალები არიან თავის სფეროში და ზუსტად იციან, რა და როგორ უნდა გასწავლონ იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო როგორც ამ კონკურსში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. მე თავიდან ბოლომდე ვენდე მათ და დღემდე არ მინანია ამ გადაწყვეტილების გამო. ყოველთვის დარწმუნებული ვარ, რომ სააგენტო „იმიჯ-ცენტრი“ და მთელი გუნდი, მხოლოდ მოდელის ინტერესებით ხელმძღვანელობენ და იმაზე ზრუნავენ, რომ ჩვენ, დამწყებ მოდელებს, ყველანაირი შანსი მოგვცენ იმისთვის, რათა სწორად განვვითარდეთ და ავაწყოთ წარმატებული სამოდელო კარიერა. დანარჩენი უკვე თითოეული მოდელის მონდომებაზეა დამოკიდებული. მე მჯერა, რომ ამ საქმეში გარეგნობის გარდა, უფრო მნიშვნელოვანია მონდომება, შრომისმოყვარობა, მიზანდასახულობა და, რა თქმა უნდა, სწორი მენეჯმენტი, რომელსაც პროფესიონალების გუნდი უზრუნველყოფს. მიხარია, რომ ისეთ სააგენტოში მოვხვდი, სადაც ჩემი წარმატება აღიქმება, როგორც სააგენტოსა და ქვეყნის წარმატება. საერთაშორისო კონკურსზე დიდი გამოცდილება მივიღე – საოცრება იყო. პირველად ვიჯექი თვითმფრინავში, პირველად ვიყავი უცხოეთში და მშობლებისგან ასე შორს. პირველად მომიწია, დამოუკიდებლად მესაუბრა უცხო ენაზე და უფრო მეტად მივხვდი, რამდენად საჭიროა ინგლისური ენის კარგად ცოდნა. მოსამზადებელ პერიოდში მსოფლიოს ცნობილი ტოპ-მოდელები გვიწევდნენ მენტორობას და უამრავი რამ გვასწავლეს, პოზირების ტექნიკით დაწყებული, ამ პროფესიის მიმართ სწორი დამოკიდებულებით დამთავრებული. მქონდა ბევრი ფოტო და ვიდეოგადაღება; გავიცანი უამრავი დამწყები მოდელი სამოცზე მეტი ქვეყნიდან. თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მომზადება გრანდიოზული ფინალური შოუსთვის.



შეიცვალა სხვების დამოკიდებულება ჩემ მიმართ და სამოდელო სფეროში გავხდი ცნობადი და მოთხოვნადი მოდელი

**– „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2013-ის“ შემდეგ ჩინეთში იმყოფებოდი კონტრაქტით სამუშაოდ. წარმატებული იყო შენთვის ეს კონტრაქტი?**

– საერთაშორისო კონკურსის შემდეგ მიმიწვიეს შანხაის ერთ-ერთ სააგენტოში, რომელს-

**(გაგრძელება 86-ე გვერდზე)**

## კომპოზიტორ ნანა დაუშვილის არტ-სტუდიის კიდევ ერთი წარმატება და ქალთა კვარტეტი, რომელიც მსმენელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს

*გასული ზაფხული ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორისთვის, **ნანა დაუშვილისთვის**, რომელიც არაერთი ცნობილი და პოპულარული სიმღერების ავტორია, საკმაოდ დატვირთული და წარმატებული იყო. რაც მთავარია, მის არტ-სტუდიას და ასევე მის კვარტეტს სამომავლოდ საკმაოდ ბევრი საინტერესო გეგმა აქვს.*

**ნანა დაუშვილი**: ივლისში ქობულეთში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ფესტ-



ივალი, გალა-კონცერტი კი გაიმართა ბათუმში, სადაც მონაწილეობდა უამრავი კოლექტივი სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩემი არტ-სტუდია „ნანა“ გახდა გრანპრის მფლობელი. პარალელურად, ჩემს კვარტეტთან ერთად სპეციალური მიწვევით ვიყავი ურეკში – ეს იყო დიდი ემოციებით დატვირთული ულამაზესი საღამოები. ვისვენებდით სანატორიუმში და ყოველ საღამოს ჩვენს მრავალრიცხოვან სტუმრებს, როგორც ქართველებს, ასევე უცხოელებს ვუტარებდით კონცერტებს. ჩვენს ქალთა კვარტეტს, რომლის შემადგენლობაშიც ვართ პროფესიონალი მუსიკოსები – ინგა ბერაძე, ნანა ცხვარაძე, მაია კანდელაკი და მე, სამომავლოდ ბევრი გეგმა გვაქვს. ადრე სამნი ვიყავით: მე, ინგა და ნანა, ფილარმონიაში გვქონდა არაერთი წარმატებული კონცერტი, ასევე გასვლითი კონცერტებიც, ბევრ ადამიანს სიხარულს ვანიჭებდით ჩვენი სიმღერით. ახლა ოთხნი გავხდით, გვაქვს უამრავი გეგმა, ვაპირებთ გავაკეთოთ დიდი პროგრამა, სადაც არა მხოლოდ ჩემი სიმღერები გაიჟღერებს, არამედ უამრავი ნაცნობი და ხალხისთვის საყვარელი კომპოზიტორების ნაწამოებები. გარდა ამისა, იგეგმება ჩემი სიმღერების ალბომის გამოშვება, რომელშიც შევა როგორც უკვე ნაცნობი და პოპულარული სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ პოპულარული მომღერლები, ასევე ჩემი კვარტეტისთვის შექმნილი სიმღერები. რაც მთავარია, გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც გამოთქვა სურვილი რომ დააფინანსოს ჩემი ალბომი, შემდგომში კი, ალბათ, უფრო მასშტაბურ საღამოსაც გავაკეთებთ, ანუ ჩემს საღამოს – ეს ყველაფერი მხოლოდ გეგმებია და ღვთის წყალობით, ამის განხორციელებას შევძლებთ. ძალიან მალე



ახალ სიმღერებს მოისმენს როგორც ქართველი, ასევე ებრაელი მსმენელი. ორი დუეტი მაქვს უკვე შექმნილი – ერთი დავწერე ჩემი მოსწავლეებისთვის: სალომე მუჯირისთვის და ოთო ნუცუბიძისთვის, მეორეს კი ებრაელი მეგობრები შეასრულებენ. გარდა ამისა, ჩემმა გაზრდილმა, საამაყო მომღერალამა ნოდიკო ტატიშვილმა მიმიწვია სამუშაოდ თავის სტუდიაში, სადაც ჩემთან ერთად იმუშავებენ თათული ედიშერაშვილი და ჯულიანა ბარგნარი.

გარდა ამისა, ჩემს არტ-სტუდიაში, რომელიც ლეილა მესხის აკადემიის შენობაში მდებარეობს, გრძელდება მიღება, პარალელურად ვაკეთებ ჯგუფს პატარებისთვის.

## დაჩი დარჩია – კიდევ ერთი ნაადრევად შეწყვეტილი ლამაზი ცხოვრება

დაჩი დარჩია, ბიჭი, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა და ყველას უყვარდა, 30 აგვისტოს, წარსულში ერთხელ უკვე ნასამართლევ კრიმინალს ემსხვერპლა, რომლის მოქნეული დანა თბილისში დაჩის ურიცხვი მეგობრების სულს მოხვდა და ათასობით ადამიანი აატირა.

„ფეისბუქზე“ მისი ბოლო პოსტი ასეთია:

„ყოველდღიურად ვიღებ წერილებს.

ვკითხულობ-ვინახავ-ვკითხულობ-ვწვავ, მაგრამ მეხსიერება მაინც ინახავს...

ამდენი წერილი ავტორის გარეშე გინახავთ?

ერთ-ერთ წერილში ვიცანი ის დღე, როცა გვიხაროდა და ამის გარდაც გაჩნდა სხვადასხვა მიზეზი, ავტორად მხოლოდ შენ წარმომედგინე...

ფურცლებსაც შენი ოთახის სუნი აქვს და ახლა კი უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ შენ ხარ...

ახლაც კი ზიხარ, წერ წერილებს, მერე ხევ, მერე ისევ წერ.

... და გზავნი უმისამართოდ.

P. S. ნუ სთხოვ წერილებს პატიებას... ისინი პოულობენ ადრესატს, რომელიც კითხულობს-ინახავს-კითხულობს-წვავს-ზოგჯერ ხევს, აქუცმაცებს, ფანჯარასთან დგას და... მის ეზოში შენი უმისამართო წერილების თოვლია.”

***

**ვერიკო ტურაშვილი:** „რა უნდა ვთქვა, არც კი ვიცი. ძალიან ცუდად ვარ. კიდევ ერთი გამორჩეული და კეთილი ადამიანი დააკლდა ყველას, ვინც იცნობდა დაჩის, თორემ, ის ნაძირლები კიდევ დიდხანს იცხოვრებენ და მოიხდიან ბევრ სასჯელს, რომ ამწარონ და აუბედურონ სხვები.”

**ანრი ჯოხაძე:** „დაჩი ჩემს ნაცნობ-მეგობრებს შორის ყველაზე გამორჩეული იყო თავისი სიკეთითა და პოზიტიური ენერგიით. ათ წელზე მეტია, ვიცნობ და, არ მახსოვს, ვინმეს ოდესმე ცუდი ეთქვას მასზე. ყველას გვეტკინა, ყველა ცუდ დღეში ჩავცვივდით.



დაჩის ამბავი რომ გავიგე, თავზარი დამეცა, საღამოს მეგობრები მოვიდნენ და ბევრ რამეს ვიხსენებდით. ამ დროს სრულიად ინსტინქტურად, უხალისოდ ავიღე რაღაც აკორდები როიალზე და მივხვდი, რომ მუსიკას ვწერდი. მეგობარს შევხედე და ორივემ ზუსტად ერთად ვთქვით, რომ ეს დაჩია. იმავე საღამოს დავწერე სიმღერა და ტექსტი, რომელიც მას მივუძღვენი და ორ დღეში ვიდეოვერსიაც მექნება მზად. ის იყო ძალიან ნიჭიერი ადამიანი. რა სფეროშიც არ უნდა ემოღვაწა, ყველგან მაგარი ტიპი იქნებოდა. დაჩის მკვლელობის შემდეგ ჩემთვის რაღაცეები გადაფასდა და, მეჩვენება, რომ სხვანაირად დავიწყე ფიქრი”.

**პაატა თედიაშვილი:** „რამდენიმე კვირის წინ დავასრულეთ ჩემს ახალ კლიპზე მუშაობა, რომელიც დაჩიმ გადაიღო. წლებია, დაჩის ვიცნობ და აქტიურად ვთანამშრომლობდით. ძალიან კომფორტული იყო მასთან მუშაობა და, არა მარტო სამუშაო პროცესი, არამედ, უბრალოდ, ჯდომა და რაღაც საკითხებზე მსჯელობა. მაგარი გურული იუმორი ჰქონდა და, ცუდ ხასიათზეც რომ ყოფილიყავი, ისე გაგამხიარულებდა, დაგავიწყებდა ყველაფერს. სხვათა შორის, პირველი კლიპი რომ გადამიღო, ფული არ მქონდა, არადა, ძალიან მინდოდა. შეიძლება ითქვას, საკუთარი ხარჯებით გამიკეთა ყველაფერი”.

**გვერდი მოამზადა ბესო მახარაშვილმა**

# როგორ გამოიხატა მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოს დიდი მომავალი საეკლესიო არქიტექტურაში

საერთოდ, არქიტექტურაში იდეოლოგიურ-პოლიტიკური ტენდენციები გამოსჭვივის ხოლმე.

გავიხსენოთ რომი...

კონსტანტინეპოლში წმიდა იუსტინიანე მეფის ბრძანებით, 532–537 წლებში ანთემი ტრალისელისა და ისიდორე მილეტელის მიერ აიგო 77 მეტრი სიმაღლის უდიდებულესი აია სოფიას საკათედრო-საიმპერიო ტაძარი. მის აშენებას შეეწირა მთელი მაშინდელი საიმპერიო ხაზინა.

აია სოფია იყო ტაძარი, რომელსაც თავისი მშვენიერებით და, რაც მთავარია, გრანდიოზულობითა და მონუმენტურობით უნდა ეჩვენებინა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო და საპ-


სვეტიცხოველი

ატრიარქო ტახტების პრიორიტეტი მთელი აღმოსავლეთისა და მსოფლიოსათვის.

თურმე, რომ მიადგებოდი ზღვით ან ხმელეთით კონსტანტინეპოლს, უდიდესი ქალაქის, ზღვის, ცის და მწვანე ხეების ფონზე გამოჩნდებოდა აგურისფერი, დიდებული საიმპერიო ტაძარი – აია-სოფია. უშორესი მანძილიდან ჩანდა მისი უზარმაზარი გუმბათი...

დღეს, აია სოფიასთან ერთად, მოჩანს მასზე გარშემორტყმული მინარეთები და მის გასანეიტრალებლად აგებული სულთნის მეჩეთი. სხვათა შორის, ეს მეჩეთი აია სოფიას ტაძრის წაბაძვითაა აგებული.

როგორც ვთქვით, ერის, სახელმწიფოს გაძლიერების, აღმავლობის ხანაში, თითქმის ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია მონუმენტალიზმი. წმიდა იუსტინიანემ კი თითქოს ახალი სუნთქვა შთაბერა დასუსტებულ ბიზანტიას: გააძლიერა ის, ჩაახშო სომხური და სხვა სეპარატიზმები, გაუსწორდა ერესს, გააძლიერა მართლმადიდებლური ეკლესია, ააგო აია სოფია.

მეთერთმეტე საუკუნის საქართველოშიც იჩინა თავი „არქიტექტურულმა იდეოლოგიამ“ (თუ შეიძლება რომ ასე ვუწოდოთ).

ტაო-კლარჯეთი ახალი, გაერთიანებული საქართველოს მთავარი აქტორების – ბაგრატიონების სამფლობელო იყო. ისინი მომძლავრდნენ ტაოში, ააღორძინეს კუთხე და შეუდგნენ ძლიერი სახელმწიფოს შენებას.

ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული საძმო, მისი მოწაფეები და მოწაფეთა-მოწაფეები განაგრძობდნენ მოღვაწეობას, რომლებიც ხელს უწყობდნენ ბაგრატიონებს.

ბაგრატიონებს დიდი ამბიცია ჰქონდათ. მათთან ერთად, სხვადასხვა სამეფო-სამთავროში მცხოვრები ქართველი ხალხი გრძნობდა, რომ ქვეყანას ნათელი და ძლიერი მომავალი ექნებოდა. ეს იდეოლოგიაში გამოიხატა და ეს იდეოლოგია არქიტექტურაშიც გამოჩნდა.

958–961 წლებში, ტაოში, მდინარე თორთუმის მარცხენა მხარეს, კლდეებს შორის შეჭრილ მშვენიერ ოაზისში, დასრულდა გრანდიოზული ტაძრის – ოშკის შენება. მას ათი წელი აშენებდნენ. მისი გენიოსი ხუროთმოძღვრის სახელი უცნობია. აშენდა ძმების – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის მიერ. ისინი იყვნენ ადარნასე მესამის შვილები.

ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი იყო ძალიან განათლებული პიროვნება – მწერალი, მწიგნობარი, ბიბლიოგრაფი, „გულისხმის-ყოფით (მიხვედრილობით) ქებული“... „საღმრთო წიგნთა მაძიებელი და შემკრები“. მას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში რამდენიმე სასწაულის ამბავი ჩაუმატებია.

დავით მაგისტროსი – შემდგომში კურაპალატი, დიდი ხელმწიფე დავით მესამე, საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი და აღმსრულებელი. მან იშვილა თავისი ნათესავი, ბაგრატ მესამე, ამიერ-ტაოელი გურგენ მეფეთა-მეფის შვილი; დაუქვემდებარა მას ქართლი, მერე კი აფხაზეთში გაამეფა. დავით მეფე ტაოს გარდა ფლობდა ბასიანს და მის გადაღმა ქართულ მიწებს, ასევე, სომხურსაც. იგი იყო კავკასიელ მეფეთა შორის ყველაზე ავტორიტეტული და მათი საქმეების მედიატორი. ისიც, თავისი ძმასავით, ძალიან განათლებული გახლდათ. დიდ ეფთვიმე ათონელს უკვეთდა წიგნებს...

მეფე დავითმა ძალიან კარგად იცოდა ეკლესიისა და განათლების როლი ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში.

საინტერესოა ერთი დეტალი: ოშკის დიდებული ტაძარი აშენდა ტაოში. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, ამგვარ გრანდიოზულ საკათედრო ტაძრებს აშენებენ არა ქვეყნისა და პროვინციის განაპირას, არამედ, დაახლოებით ცენტრში, ან – საზღვრისგან საკმაოდ მოშორებით, რადგან, იქიდან განიცდიდნენ ტერიტორიულ პერსპექტივას, ამ შემთხვევაში – სამხრეთულ და სამხრეთ-დასავლურ პერსპექტივას და მართლაც, დავით კურაპალატი მუდმივად სამხრეთის საზღვრების გაფართოებას ცდილობდა, რისთვისაც არ ერიდებოდა ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევასაც კი: ხან იმპერატორის დახმარებას, ხან – მის წინააღმდეგ შეთქმულებთ-

## კახეთის მთავრებს პრეტენზია ჰქონდათ ხოლმე ქართლზე და, საერთოდ, ლიდერობაზე

ან კავშირს. ამ ყველაფერს ის სამშობლოსათვის აკეთებდა. მართალია, ბოლოს ბიზანტიასთან დამარცხდა, მაგრამ, დიდი საქმეები წამოწყებული და, ფაქტობრივად, დაგვირგვინებული დატოვა – მისი შვილობილი გაერთიანებული საქართველოს მეფე და კავკასიის უმთავრესი სუზერენი გახდა.

ოშკის მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ოშკელი ეპისკოპოსი, ასევე ძალიან განათლებული ადამიანი, ოშკის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელი, მწიგნობარი, მთარგმნელი. მას სომხურიდან უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავი „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათვის“. მასვე უნდა ეკუთვნოდეს გრიგოლ ნაზიანზელის სხვა საკითხავის „ქება და შესხმა ნეტარისა კესარიოს ძმისა თვისისას“ ქართული თარგმანიც.


ოშკი

ოშკი 1036 წელს მოუხატავთ ჯოჯიკ პატრიკიოსის ხარჯით. აქვეა ბაგრატ მეოთხისა და ბიზანტიელი პრინცესა ელენეს ქორწილის სცენა, რომელიც გაიმართა ბანაში.

ვინც ნამყოფია ოშკში, დაგვეთანხმება, როგორ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ტაძარი შიგნიდან, ახლოდან და შორიდან.

ოშკის ტაძარი, სადაცაა, აღდგება, როგორც ქართველთა დიდი წარსულის მოწმე, დიდი მომავლის წინასწარმაცნე და მომლოდინე...

1003 წელს დავით მესამე კურაპალატის შვილობილმა, ბაგრატ მესამემ ქუთაისში დიდი პომპეზურობით აკურთხებინა ბაგრატის ტაძარი. მოწვეულთა შორის იყვნენ უცხოელი დიდებულებიც და სასულიერო პირებიც. ქუთაისი მაშინ გაერთიანებული ქართლის, ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის დედაქალაქი იყო. დედაქალაქს კი ესაჭიროებოდა ქვეყნის სიძლიერის გამომხატველი მონუმენტური ტაძარი.

განსაკუთრებულია ბაგრატის ტაძარი კავკასიონისა და ხვამლის მთის ფონზე, რაც ამძაფრებს მისი მონუმენტურობის განცდას. ქუთაისს მიახლოებული ყველა სტუმარი თან წაიყოლებ-


ბაგრატის ტაძარი

და მისი დიდებულების ამბავს და გაავრცელებდა.

სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის მშენებლობა ძველი ტაძრის ადგილას 1010 წელს დაიწყო, ერთიანი საქართველოს მეფის, ბაგრატ მესამის დროს, გაგრძელდა გიორგი I-ის მეფობისას და დაასრულა ბაგრატ მეოთხის ზეობის ხანაში. ეს საპატრიარქო ტაძარი იყო. კათალიკოსი გახლდათ მელქისედეკ პირველი, – ტაძრის აშენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

მისი მშენებლობისთვის მელქისედეკ კათალიკოსს, რომელიც იმ დროისთვის ბიზანტიასა და საქართველოს შორის მოლაპარაკებას აწარმოებდა და ცდილობდა, ზავი ჩამოეგდო, – შეწირულობა მისცა ბასილი ბულგართმმუსვრელმა, პატარაობისას ტახტის დაკარგვისაგან ქართველთა მიერ გადარჩენილმა და შემდგომში ქართველების დაუძინებელმა მტერმა, ბასიანისა და გადაღმა ქვეყნების მიმტაცებელმა... მისი მხრიდან ეს ნაბიჯი ნიშნავდა საკმაოდ დიდ დათმობას მეომარ ქვეყანასთან.

იქვე, ბიზანტიამ, როგორც ჩანს, აღიარა მცხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელი პატრიარქად და, ასევე, აღიარა, რომ საპატრიარქო ტაძარი შენდებოდა მცხეთაში. ბასილი და ბიზანტიელი პოლიტიკოსები დიდად აღფრთოვანებულნი არ იქნებოდნენ ამით, მაგრამ, აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს წინაშე გარკვეული დათმობები მაინც დასჭირდათ, რადგან, ქართველების შეურიგებლობა დამპყრობლისადმი კარგად ნახეს ბრძოლებში, მიუხედავად ბიზანტიელთა გამარჯვებისა.

ეს ქართული დიპლომატიის გამარჯვებაც იყო.

იმთავითვე, სვეტიცხოვლის ტაძრის მისია განსაზღვრული იყო: უფლის კვართის ტაძარი, საპატრიარქო კათედრალი და, როგორიც შეეფერებოდა ამ ვითარებას, ისეთიც იქნა აღშენებული. მისი ხუროთმოძღვარი ცნობილია – არსუკიძე.

სვეტიცხოველი აკურთხეს 1030 წელს. სხვაგან ვწერდით, რომ იმ წელს ბაგრატ მეოთხემ ბანას სახელგანთქმულ ტაძარში ჯვარი დაიწერა ბიზანტიის კეისრის ძმის შვილზე, პრინცესა ელენეზე და ამით ბიზანტიელ სტუმრებს აჩვე-

(გაგრძელება 81-ე გვერდზე)

# ვინ გააუქმა ძველ რომში ბავშვთა მსხვერპლშეწირვა და რით შეცვალა ეს ტრადიცია

სატურნალიებზე, გარდა მოვალეების სიკვდილით დასჯისა, რომაელები ღმერთს კიდევ ერთ ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად. დღესასწაულისთვის ისინი ეგრეთ წოდებულ „სატურნალიის მეფეს" ირჩევდნენ, რომელსაც კვირის ბოლოს რიტუალურად კლავდნენ. „მეფე" შეიძლება ყოფილიყო დამნაშავედ მიჩნეული მონა ან ბოროტმოქმედი, ანუ ადამიანი, რომელიც, როგორც დამნაშავე, ასე თუ ისე, მაინც სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ამიტომ, ამ ტრადიციამ საკმაოდ დიდხანს იარსება, იმ დრომდეც კი, როდესაც ადამიანების მსხვერპლშეწირვა უკვე დიდი ხნის წინ იყო სიმბოლურით შეცვლილი. შემდგომში ეს მსხვერპლიც სიმბოლურით შეცვალეს: სატურნალიის დროს, რომაელები წილისყრით ირჩევდნენ თავისუფალი მოქალაქეებიდან სამასხარაო „მეფეს," რომელიც დღესასწაულის წარმმართველი ხდებოდა, იძლეოდა თავშესაქცევ, გასართობ განკარგულებებს, მაგრამ, რიტუალის დამთავრების შემდეგ ცოცხალი და ჯანმრთელი რჩებოდა.

სატურნალიის დღეებში რომაელებს კიდევ ერთი ტრადიცია ჰქონდათ – ერთმანეთისთვის საჩუქრის მირთმევა. თავისთავად, ეს ჩვეულება სავსებით ბუნებრივია ნებისმიერი დღესასწაულისთვის, მაგრამ, საინტერესოა, რომ სატურნალიის საჩუქრებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო ტერაკოტასგან (გამომწვარი წითელი თიხისგან) გამოძერწილი ადამიანის ფიგურები. თვით რომაელები, ალბათ, არ ფიქრობდნენ, თუ საიდან იღებდა სათავეს ეს ტრადიცია, მაგრამ, მეცნიერები სატურნალიის ამ „სუვენირებში" ადამიანთა მსხვერპლშეწირვის გახსენებას ხედავენ.

მაგრამ, სისხლისღვრის შემცვლელი რა საშუალებაც არ უნდა გამოეგონებინათ რომაელებს, ძველი ტრადიცია უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. „სატურნალიის მეფის" მსხვერპლად შეწირვის ბოლო შემთხვევა აღწერილია ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის დასაწყისში. ეს მოხდა ქალაქ დუროსტორუმში, იმპერიის ქვემო მეზიის პროვინციაში (დღევანდელი სილისტრა – ბულგარეთში). ფრეზერი ასე აღწერს ამ შემთხვევას:

„რომაელი ჯარისკაცები ქვემო მეზიის ქალაქ დუროსტორუმში ყოველ წელს ასე ზეიმობდნენ სატურნალიის დღესასწაულს: ზეიმის დაწყებამდე 30 დღით ადრე, ისინი წილისყრით არჩევდნენ ახალგაზრდა და ლამაზ ადამიანს, რომელსაც, სატურნის მისამსგავსებლად, სამეფო ტანსაცმლით მოსავდნენ. ასეთი ჩაცმულობით და ჯარისკაცების დიდი ჯგუფის თანხლებით, ის ქალაქის ქუჩებში დასეირნობდა. მას სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული, თავისი გრძნობითი ლტოლვა თუ ნებისმიერი სასიამოვნო სურვილი დაეკმაყოფილებინა, თუნდაც ეს სურვილი სამარცხვინო და სულმდაბლური ყოფილიყო. ამ „რჩეულის" მხიარული მმართველობა იყო ხანმოკლე და ტრაგიკულად მთავრდებოდა: ოცდაათდღიანი ვადის დამთავრებისას, სატურნის დღესასწაულის წინა დღეს, მას ყელს გამოსჭრიდნენ იმ ღმერთის სამსხვერპლოზე, რომელსაც ის განასახიერებდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის 303 წელს, წილისყრით, იქნა შერჩეული ქრისტიანი ჯარისკაცი ლაზია, რომელმაც უარი განაცხადა წარმართული ღმერთის როლის შესრულებასა და სიცოცხლის ბოლო დღეებისთვის გახრწნილებით ჩირქის მოცხებაზე. ლაზიას ქედუხრელი გადაწყვეტილება ვერც მუქარით და ვერც მეთაურის, ოფიცერ ბასის მიერ დარწმუნების მცდელობით შეაცვლევინეს, და, როგორც სკურპულოზური სიზუსტით გვამცნობს ქრისტიანი წამებულის ცხოვრება, ხუთშაბათს, ნოემბრის მეოცე დღეს, მთვარის კალენდრის 24-ე დღეს, ოთხ საათზე, მას თავი მოჰკვეთა ჯარისკაცმა იოანემ".



ფრეზერი ამტკიცებს, რომ ამ მონათხრობს აფუძნებს გადმოცემები, „რომლის უტყუარობაში ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს". ამასთანავე, ის წინააღმდეგობაში მოდის თავის მტკიცებასთან, რომ მისი ერთ-ერთი წყარო, მისი აღიარებით, „შესაძლოა, ოფიციალურ დოკუმენტებზეც კი იყოს დაფუძნებული". ცნობილია, რომ ადამიანის მსხვერპლშეწირვა რომის სენატმა ჩვენი წელთარიცხვის 97 წელს აკრძალა. ეს გადაწყვეტილება არცთუ იშვიათად ირღვეოდა როგორც იმპერატორის თავნებობით, ასევე, იმ ფაქტით, რომ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას კანონი განმარტავდა როგორც მსხვერპლშეწირვას და ხსნიდა იმით, რომ გლადიატორთა ორთაბრძოლები, არსებითად, დაკრძალვის რიტუალის ტრადიციის გაგრძელება იყო. მაგრამ, ძნელია წარმოიდგინო, რომ რომაელ ლეგიონერებს, სრულიად ოფიციალურ და ანგარიშვალდებულ პირებს, კანონის საწინააღმდეგოდ, ღია და რეგულარულად ჩაეტარებინათ თავისუფალი და უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლშეწირვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსხვერპლის შერჩევა ბრალდებულ ბოროტმოქმედთაგან ხდებოდა. ის ფაქტი, რომ რიგით „სატურნალიის მეფედ" ქრისტიანი ჯარისკაცი იქნა შერჩეული, მხოლოდ ამტკიცებს ამ განზრახვას. 303 წელს ხომ მთელ იმპერიაში ქრისტიანებისგან არმიის გაწმენდის კამპანია მიმდინარეობდა, ხოლო, აღმოსავლეთის პროვინციების კეისარი გალერიუსი დაჟინებით მოითხოვდა ავგუსტუს დიოკლეტიანესგან კანონის გამოცემას ქრისტიანების მთლიანად განადგურების შესახებ (რასაც ის შეეცადა კიდეც, გამოსცა რა ოთხი შესაბამისი ედიქტი, მათ შორის სამი – 303 წელს და, ბოლო, ყველაზე საშინელი – 304 წელს; ამ ედიქტით უკლებლივ ყველა ქრისტიანს მსჯავრი ედებოდა, რათა წამების გზით ეთქმევინებინათ უარი თავიანთ აღმსარებლობაზე). ამრიგად, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ლეგიონერებმა „სატურნალიის მეფე" აირჩიეს და სიკვდილით დასაჯერს ქრისტიანების დევნის ოფიციალური კამპანიის ფარგლებში.

***

რაც შეეხება მონაცვლეობითი მსხვერპლის საკითხს: დღესასწაულზე, რომელსაც „კომპიტალია" ეწოდებოდა, რომაელები ქალღმერთ მანიას სწირავდნენ შალის თოჯინებს. ეს გახლდათ გამოძახილი ძველი სისხლიანი ტრადიციისა, რომელიც შეცვლილი იყო ან მეფე ნუმას, ან კიდევ, ნახევრად მითიური ჰერკულესის მიერ. მანია დაკავშირებული იყო გარდაცვლილ წინაპართა განღმრთობილ სულებთან – მანებთან; ის იყო სახლის მფარველი ღმერთების – ლარების დედა, განაგებდა ოჯახურ (სახლის) კეთილდღეობას და, ამიტომ, ოჯახს ჰმართებდა თითოეული ჯანმრთელად მყოფი წევრის სახელზე გაეღო მსხვერპლი. მაგრამ, მიუხედავად დედობისა და ოჯახური სათნოებისადმი მისწრაფებისა, მანია იყო იტალიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლის მოყვარე ქალღმერთი: ოჯახის თითოეულ წევრზე იგი თითო ბავშვის თავს ითხოვდა მსხვერპლად. ეს ჩვეულება, რომელსაც რომაელები ასევე ორაკულს მიაწერდნენ (თითქოსდა ორაკულმა დაუწესა ეს ჩვეულება პელაზგებს), უხსოვარ დროს იქნა გაუქმებული და ბავშვები „ჩაანაცვლეს" შალის თოჯინებით. მაგრამ, მეექვსე საუკუნეში ეს ჩვეულება აღადგინა მეფე ტარკვინიუს ამაყმა, თუმცაღა, ტარკვინიუსი რომაელებში პოპულარობით არ სარგებლობდა: ხელისუფლება მან სიმამრის მკვლელობით ჩაიგდო ხელში და მისი მმართველობა სისასტიკესა და დესპოტიზმზე იყო დამყარებული. მან სისხლით მორწყა არა მარტო სამსხვერპლოები, არამედ, მთელი რომი. როდესაც ტარკვინიუსის ვაჟმა სახელი გაითქვა ლუკრეციუსზე სკანდალური ძალადობით, მეფე რომიდან განდევნეს. ამის შედეგად გაჩაღებული სამოქალაქო ომის გამო, რომაელებს მტკიცე ზიზღი აღეძრათ სამეფო ხელისუფლებისადმი, ჩამოაყალიბეს რესპუბლიკური მმართველობა და პირველ კონსულად საძულველი ტარკვინიუსების წინააღმდეგ მთავარი მებრძოლი – ლუციუს იუნიუს ბრუტუსი აირჩიეს.

კონსულად არჩევისთანავე, ბრუტუსმა გააუქმა ბავშვთა მსხვერპლშეწირვა და ბრძანა ბავშვთა თავები ხაშხაშის (ყაყაჩოს) თავებით შეეცვალათ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს | | | პ | | | | ქ | | | | | | მ | | მ |
| მ | ა | რ | ა | კ | ა | ნ | ა | | | | | დ | ა | თ | ო |
| ე | | ე | რ | ე | ვ | | რ | | | | | | კ | | კ |
| რ | ი | ტ | ო | რ | ი | კ | ა | | | | | დ | ა | ბ | ა |
| ჩ | | ი | ლ | ი | ნ | ა | ვ | | | | | | ბ | ო | ს |
| ი | | | ა | | | ტ | ა | | | | | მ | ი | მ | ი |
| | ს | ი | | ი | მ | ა | ნ | | ა | ღ | მ | ა | | ო | ნ |
| დ | ე | ტ | ა | ლ | უ | რ | ი | | რ | | ა | ნ | ა | ნ | ი |
| | მ | ე | ლ | ო | რ | ი | | ს | ტ | ი | ლ | ი | | დ | |
| ც | ი | ც | ი | ნ | ო | | პ | ა | უ | | ტ | ა | ნ | ი | ა |
| | რ | | ს | ა | მ | ი | | ფ | რ | თ | ა | | ე | | რ |
| დ | ა | ნ | ა | | ი | ნ | ა | რ | ი | | | ი | ვ | ე | ხ |
| | მ | ო | | შ | | ა | | ე | | კ | ა | პ | ა | ს | ი |
| | ი | ტ | ო | ლ | ფ | | ა | ნ | ქ | უ | | ო | | მ | |
| მ | დ | ა | რ | ე | | ც | | ი | | პ | ა | ნ | ტ | ა | |
| | ა | | ი | გ | ო | რ | ი | | ა | რ | მ | ი | ა | | კ |
| რ | | დ | | ი | | უ | რ | ა | ნ | ი | ა | | ს | ე | რ |
| ა | ფ | რ | ა | | დ | | ა | | ა | | ლ | ა | მ | ფ | ა |
| ი | | ა | | ფ | რ | ო | ნ | ე | | ჭ | ა | მ | ა | | ზ |
| ნ | უ | ნ | ც | ი | ა | | ე | ლ | ჩ | ი | | ა | ნ | ძ | ა |
| დ | | დ | | ს | ვ | ე | ლ | ი | | რ | ი | გ | ი | | ნ |
| ი | ტ | ა | ლ | ი | ა | | ი | ა | ქ | ი | | ი | ა | ვ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 7 | 3 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 6 | 9 | 7 |
| 9 | 1 | 7 | 2 | 4 | 6 | 8 | 5 | 3 |
| 7 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 4 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 1 | 2 |
| 5 | 9 | 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 8 | 4 |
| 2 | 8 | 4 | 5 | 1 | 7 | 9 | 3 | 6 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 3 | 6 | 8 | 2 | 4 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 3 | 2 | 6 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 1 | 2 | 5 | 3 | 4 |
| 2 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 8 | 9 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 2 | 6 | 7 |
| 1 | 7 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 |
| 8 | 2 | 9 | 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 8 | 7 | 9 | 1 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. შესანიღბი კომუფლიაჟის დასამზადებლად. 2. მორზეს ანბანში. 3. პირველი მარცვალი თავის გვარის აილო, მეორე – ბიმანის. 4. კარი რომ არ არეოდათ და ჰაერში არ აღმოჩენილიყვნენ. 5. მადლიერების დღე. 6. ქაშერულს – ებრაელებისთვის. 7. რაველის „ბოლერო". 8. J და Q. 9. წერა-კითხვის უცოდინარი მეშახტეებისთვის პლაკატზე გამოსახული იყო მუშა, რომელიც რელსიდან იღებდა ქვას. მათ კი პირიქით გაიგეს და რელსებზე ქვების დალაგება დაიწყეს. 10. სტალინის გაფრთხილების გამო – თუ კურჩატოვს რამე მოუვიდოდა, ბერია საკუთარი თავით აგებდა პასუხს.**

**იშვიათად მინახავს ისეთი მიზანდასახული და მშრომელი ადამიანი, როგორიც ნინა სუზლატია. მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ 19 წლისაა, შეძლო, თავისი ნიჭი ფართო მასებისთვის გაეცნო, სცენიდან უამრავი თაყვანისმცემელი გაეჩინა და ალბომებიც დიდი რაოდენობით გაეყიდა. ნინასთვის ეს ზაფხული ორმაგად ცხელი აღმოჩნდა, რადგან, კონსერვატორიაში აბარებდა გამოცდებს, თან, საქართველოს რეგიონებში გამართულ კონცერტებში იღებდა მონაწილეობას და პრაქტიკულად, სულ გზაში იყო. მიუხედავად, დატვირთული დღის რეჟიმისა, ნინამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და პირველი კურსის სტუდენტი გახდა. დღეს ის მეორე მუსიკალურ ალბომზე მუშაობს და, ცდილობს, ცხოვრებაში უფრო მეტს მიაღწიოს.**

# როდის გრძნობდა ნინა სუზლატი თავს „წიხლქვეშ გავარდნილივით" და რის მერე დაეწყო მას დეპრესია

**ნინა სუზლატი**: მიზანდასახული ადამიანი ვარ. სანამ ნაბიჯს გადავდგამ, ბევრს ვფიქრობ, ამას რა მოჰყვება, რამდენად გამიმართლებს და, მიღირს თუ არა ამა თუ იმ საქმის წამოწყება. გამართლებას რაც შეეხება, ვფიქრობ, იმდენს ვშრომობ, რომ მიმართლებს, თორემ, ციდან ჩამოვარდნილი არაფერი მხვდება ***(იცინის).*** მახსოვს, ბავშვობაში მინდოდა, ბალერინა გამოვსულიყავი, მაგრამ, ეს ოცნება ვერ ავიხდინე, მაგრამ, ჩემი ბრალი არ არის. ამბობენ, სამი თვის უკვე ღიღინებდიო, თუმცა არასდროს მითქვამს, მომღერალი მინდა გამოვიდე-მეთქი, რადგან, ბავშვობაში რომ ვმღეროდი, ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნდა. აი, ბალერინობა კი ჩემი ოცნება იყო, თან, მონაცემებიც მქონდა.

**– მერე, რატომ ვერ აიხდინე ეს ოცნება?**

– მამამ გადაწყვიტა, რომ ბალეტისთვის საკმაოდ მაღალი ვიყავი, კიდევ უფრო გავიზრდებოდი სიმაღლეში და არ მატარა ***(იცინის).*** მართალია, ყოველთვის ხელოვნებისკენ ვიხრებოდი – ცეკვა მიყვარდა, ვხატავდი, ვმღეროდი, მაგრამ, პოპულარობა არასდროს მინდოდა. სანამ „საქართველოს ვარსკვლავიდან" გამიცნობდა ხალხი, გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს ***(იცინის).*** კონკურსებს თავისი პლუს-მინუსები აქვს. დღეს ქუჩაშიც მცნობენ, ჩემს შემოქმედებასაც იცნობენ, ალბომებიც ჩავწერე და ეს ჩემს ასაკში საკმაოდ დიდი და წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, ბევრი რომ გამოთქვამს აზრს ჩემზე, ეს ცოტა მღლის. ამას ყურადღებას არც ვაქცევ, იგნორს ვუკეთებ, მაგრამ, რაღაც მომენტში მაინც დამღლელია. ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ, ვფიქრობ, სამართლიანად კრიტიკულიც და, ეტყობა, ეს იწვევს ვილაც-ვილაცეების გაღიზიანებას. საკმაოდ კარგად მაქვს განვითარებული პასუხისმგებლობა, თან, ვცდილობ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვიყენო.



**არ მიყვარს წითელპომადიანი, ქერა, გაპრანჭული, „თოჯინა" და „ბარბი"ადამიანები, როგორებიც ევროპულ სცენაზე დგანან, მე უფრო ამერიკა მხიბლავს**

**– სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტობაზე უარი თქვი და წელს კონსერვატორიის, პირველი კურსის სტუდენტი გახდი. გილოცავ! თუმცა, ხომ არ გიფიქრია, რომ შენს ასაკში ჯერ ერთი დაგემთავრებინა და მერე მეორეში გეცადა ბედი? ერთი წლის დაკარგვა არ დაგენანა?**

– მეც არ ვიცი, სამხატვრო აკადემიაში როგორ მოვხვდი ***(იცინის).*** „საქართველოს ვარსკვლავის" კონკურსში ვმონაწილეობდი და ვერანაირად ვერ ვახერხებდი მომზადებას. მხოლოდ ბოლო ორი თვე მოვემზადე და გამიმართლა. ერთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ინტერიერის დიზაინს, მომწონდა ეს საქმე, მაგრამ, მივხვდი, რომ ეს ჩემი არ იყო და ვერ ვახერხებდი მაქსიმუმის კეთებას ამ დარგში. არადა, თუ ბოლომდე არ იხარჯები იმაში, რასაც აკეთებ, ნახევრად ნიჭიერება არ მესმის. ანუ, რასაც აკეთებ, იმ საქმეში ან საუკეთესო უნდა იყო, ან საერთოდ არ უნდა აკეთო. მოკლედ, ნახევრად დიზაინერობა ვერ მოდის ჩემამდე. კონსერვატორიაში კი გაიხსნა ახალი ფაკულტეტი – მუსიკა და დღევანდელობა და, მეც იქ გადავწყვიტე ჩაბარება. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და კონსერვატორიის სტუდენტიც გავხდი. სხვათა შორის, რომ დავაპირე ჩაბარება, ვთქვი: ესეც თუ გამომივიდა, ვიტყვი, ბედი მწყალობს-მეთქი და დღეს ამას თამამად, ამაყად და ხმამაღლა ვამბობ ***(იცინის).*** ასე რომ, მაგარი იღბლიანი ვარ – რასაც ხელს ვკიდებ, გამომდის.

**– ვიცი, რომ პარალელურად ახალ ალბომზეც მუშაობ; აქეთ – ოჯახი, იქით – მეცადინეობა... ამდენს როგორ ასწრებ?**

– ***(იცინის)*** მართლა არ ვიცი ამდენ საქმეს ერთად როგორ ვასწრებ, მაგრამ, ფაქტია, გამომდის. ეს ზაფხული კატასტროფული მქონდა, რადგან, მანქანიდან და „მარშრუტკიდან" არ გადმოვსულვარ, მთელი საქართველო შემოვიარე, კონცერტებზე გამოვდიოდი და გადარეული გრაფიკი მქონდა. ახლა კონსერვატორიაც დაემატა, დილიდან დაღამებამდე მომიწევს შრომა და, უნდა მოვასწრო, სხვა გზა არა მაქვს.

**ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ, ვფიქრობ, სამართლიანად კრიტიკულიც და, ეტყობა, ეს იწვევს ვიღაც-ვიღაცეების გაღიზიანებას**

**– ნინა, ბოლოს რომ გნახე, თმა წითლად გქონდა შეღებილი, ახლა კი შავ, გრძელ თმას ატარებ. როგორც ვხვდები, გიყვარს იმიჯის ხშირად შეცვლა, მაგრამ, ამდენი ექსპერიმენტი საკუთარ თმაზე ცოტა საშიში არ არის?**

– იმიჯის ცვლა და ექსპერიმენტები ძალიან მიყვარს და, თუ რამე არ ხდება, ჩემს „კანში" ვერ ვისვენებ ***(იცინის).*** ამ ექსპერიმენტების გამო, თმა გამცვივდა, მაგრამ, მაინც არ ვეშვები. ყველანაირ ფერად მქონდა თმა შეღებილი და ამის გამო დამეწყო პრობლემები, თუმცა ვუვლი, ვმკურნალობ და მერე ისევ ექსპერიმენტებს ვიწყებ. გავიღვიძებ დილით და, ვთქვათ, მომინდება, ვიყო ქერა ან წითური; მერე ვიწყებ ფიქრს, როგორ ავიტან ამ ქერა ან წითელ თმას და მივიდვარ გადაწყვეტილებამდე, რომ უნდა ვცადო. მერე, სარკესთან ვიწყებ ფიქრს, რატომ ვარ ქერა ან წითური და, ამ ცდაცდაში ყველაფერი მოვსინჯე. ჩემი თმის ბუნებრივი ფერი ღია ნაცრისფერი-ქერაა, მაგრამ, დღეს შავად მაქვს შეღებილი და ყველაზე მეტად მომწონს. ხშირად ვხუმრობ, როგორი არაადეკვატური ვარ ამ ჩემი თმის მიმართ-მეთქი ***(იცინის).*** შავ თმაში ისეთი ვარ, როგორიც ვარ – არც მანაზებს და არც მაუხეშებს და კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**– არ გიფიქრია, უცხოეთში სცადო ბედი?**

– როგორ არ მიფიქრია. მე და ჩემი ქმარი ამერიკაში ვიყავით ორი კვირით და, მივხვდი, რომ ეს ქვეყანა ჩემია, კარგად მოვერგე. არც დროის გასწრება მიგრძნია და არც დროში ჩამორჩენა. საქართველოში არაფერი ხდება, ცხოვრება შენელებული კადრივითაა, უცხოეთში კი დიდი შანსია, კარიერა აიწყო, წინ წაიწიო და აკეთო ის, რაც წარმატებას მოგიტანს. იქ იგრძნობა, რომ ცხოვრება დუღს. უცხოეთში დიდი ბაზარია და, თუ შრომობ და თავს არ ზოგავ, მიაღწევ იმას, რასაც დაისახავ მიზნად. უცხოეთში წასვლაზე კი ვფიქრობ, მაგრამ, ჭკვიანურად – არ მინდა, ავდგე, წავიდე და მერე დავიწყო ფიქრი, რისთვის ჩამოვედი-მეთქი. ევროპაზე არ ვგიჟდები, ამერიკაში კი სიამოვნებით ვიცხოვრებდი. არ მიყვარს წითელპომადიანი, ქერა, გაპრანჭული, „თოჯინა" და „ბარბი" ადამიანები, როგორებიც ევროპულ სცენაზე დგანან, მე უფრო ამერიკა მხიბლავს. უცხოეთში წასვლა გეგმაში მაქვს, და ვფიქრობ, ჩემი ბუნებრიობითა და შემოქმედებით, ამერიკა კარგად მიმიღებს. რაც არ ზის ჩემში, იმას ვერ გავაკეთებ.

**– თუ ყოფილა პერიოდი, როცა სიმღერა არ გდომებია?**

– როგორ არა. „საქართველოს ვარსკვლავი" რომ დამთავრდა, სიმღერა აღარ მინდოდა. მთელი ხუთი თვე დეპრესია მქონდა, იმხელა სტრესი მივიღე. როცა შენ შრომობ, თავს არ ზოგავ და ხვდები, რომ ვიღაც-ვიღაცეებზეა შენი ბედი დამოკიდებული და არა შენს ნაშრომზე, ეს ძალიან რთულია, დეპრესიამდე მიჰყავს ადამიანი და ამ მდგომარეობიდან გამოძრომა ძნელი ხდება. „წიხლქვეშ გავარდნილივით" ვგრძნობდი თავს კონკურსის მერე, დეპრესიაც დამეწყო, მაგრამ, ეს არავის შეუმჩნევია. წარმოიდგინეთ, დღეები „დუღს", ყველა შენზე ლაპარაკობს, გიყურებს და, ერთ დღესაც, ეს ყველაფერი მთავრდება და ჩუმდება – ეს სიტუაცია შემოქმედებითი ადამიანისთვის რთულია. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ კონკურსებში მონაწილეობა აღარ მივიღო.

**ნონა დათეშიძე**

**კრიშნაიზმი დღეს გავრცელებული რელიგიაა და მას თითქმის ყველა ქვეყანაში ჰყავს მიმდევრები. კრიშნას მოძღვრება ინდოეთიდან მომდინარეობს. დასავლეთში პოპულარიზაცია 1960 წლიდან იწყება, მაშინ, როცა კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელმა შორილა პრაბჰუპადამ, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა და მაშინდელ მეამბოხე თაობას სულიერი სიყვარულისა და მშვიდობის შესახებ უქადაგა. კრიშნაიდებს მიმდევრები საქართველოშიც ჰყავთ. ჩვენ გავესაუბრეთ კრიშნაიდების საზოგადოების ხელმძღვანელს, ბატონ ანთიმოზ ნაცვლიშვილს.**

# რა არის კრიშნა და ჰყავს თუ არა მას მიმდევრები საქართველოში

**– ბატონო ანთიმოზ, მოგვიყევით კრიშნას ისტორია. როდის ჩამოყალიბდა, როგორც რელიგიური მიმდინარეობა?**

– 80-იან წლებში ერთმა სოხუმელმა, ახალგაზრდა კაცმა, ოთარ ნაჭყეპიამ დააარსა ეს მოძრაობა საქართველოში. მისი წმიდა სახელია ამბარიშ პრაბჰუის. ის იყო პირველი მოძღვარი. დღეს მისი დამსახურებაა, რომ გვაქვს ტაძარი, სადაც ვიკრიბებით და ვკითხულობთ წმიდა წერილებს. თავდაპირველად, სოხუმში იყო ჩვენი სალოცავი, მაგრამ ოთარ ნაჭყეპია მოულოდნელად გარდაიცვალა და ამის შემდეგ, ჩვენც თბილისში გადმოვინაცვლეთ.

**– რა განსხვავებაა კრიშნაიდულ მოძღვრებასა და ქრისტიანობას შორის?**

– განსხვავება ბევრია, თუნდაც ელემენტარულით რომ დავიწყოთ: ტანსაცმლით, კვებით, ლოცვებით. ჩვენ გვაქვს „ბიბლია“ – „ბჰაგავადგიტა“. გვყავს მოძღვრები, რომლებიც საჭირო ცოდნას გადმოგვცემენ. ისინი ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. საერთოდ, ჩვენი მოძღვრება, ძირითადად, დაფუძნებულია ცოდნასა და სიყვარულზე. ეს ორი რამ ერთმანეთს ავსებს. ყველაფერს ცოდნა სჭირდება, განსაკუთრებით კი, რელიგიას, რადგან ის ყველაზე ვრცელი, რთული და ამოუწურავი თემაა. ჩვენც ვსწავლობთ მის ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მხარეებს. ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას, განურჩევლად ცხოველის, ფრინველისა თუ ადამიანის მიმართ. მიგვაჩნია, რომ ადამიანი უნდა იდგეს სუფთა და წმიდა ცხოვრების გზაზე, ამიტომ გვაქვს რაღაც აკრძალვები.

**– კრიშნა ანუ ვიშნუ, თავად ტერმინი როგორ განიმარტება?**

– კრიშნას განმარტება ვრცელია და, ის ბევრ რამეს მოიცავს. თავად კრიშნა არის კნინობითი სახელი, სინამდვილეში ვიშნუდან მოდის ყველაფერი. კრიშნა, ანუ ვიშნუ, არის უზენაესი ღვთაება, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას ანაწილებს ღვთაებებს შორის. მაგალითად, ბრაჰმას ფუნქციაა შექმნა. ვიშნუ, იგივე კრიშნა ამ ყველაფერს აკონტროლებს. აშენება ადვილია, მისი შენარჩუნება კი – რთული. შივას ფუნქცია, გარკვეული პერიოდის შემდეგ ყოველივე შექმნილის განადგურებაა. ეს შექმნისა და განადგურების ციკლი უსასრულოდ გრძელდება.

**– ღვთისმსახურებას მხოლოდ მამაკაცები ატარებთ?**

– არა. თქვენს ენაზე რომ ვთქვათ, ამ მხრივ, გენდერული ბალანსი დაცულია. ზოგადად, ვედური სიბრძნის მიხედვით, ქალის სტატუსი მამაკაცისაზე დაბალია, მაგრამ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება მანამდე არსებობს, სანამ მატერიალური ცნობიერება გაქვს. ადამიანისთვის, რომელიც წმიდა ცხოვრებით, ანუ სულიერად ცხოვრობს, ამგვარი სქესობრივი განსხვავება არ არსებობს, რადგან სულს სქესი არა აქვს. თუმცა, რაღაც საკითხებში მამაკაცები ლიდერობენ, ეს ჯერჯერობით საქართველოშიც ასეა. კი არის საუბარი გენდერულ თანასწორობაზე, მაგრამ, მგონი, ვინარჩუნებთ უპირატესობას რაღაც საკითხებში.



**– ვინ არის გურუ?**

– გურუ არის სულიერი მოძღვარი, რომელიც გვასწავლის და გადმოგვცემს ცოდნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ის არის მაგალითი თითოეული კრიშნაიდისთვის, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ღმერთის ერთგული. ღმერთი ერთია, არ არსებობს ჩემი და შენი ღმერთი. შესაბამისად, იესო არის ჩვენი გურუ. სულიერი მოძღვარი უფლის უდიდესი მსახურია.

**ვედური სიბრძნის მიხედვით, ქალის სტატუსი მამაკაცისაზე დაბალია**

**– საქართველოში ვინ არის გურუ?**

– ჩვენ არ გვყავს გურუ. ეგ არის ერთ-ერთი სერიოზული წოდება, რომელიც მარტივად არ მიიღწევა. მაგრამ სულიერი მოძღვრები ჩვენთან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან.

**– რატომ გახდით კრიშნას მიმდევარი?**

– ჩემი თავი ვიპოვე აქ და იმიტომ. დამაინტერესა, მოვედი და დავრჩი. ეს იყო ჩემი პირადი სურვილი და ცნობისმოყვარეობა. საერთოდ, ადამიანი ოთხი რამის გამო მიდის რელიგიასთან ახლოს: 1 – ტანჯვის, 2 – ანგარების, 3 – ცნობისმოყვარეობის და 4 – ვისაც ჭეშმარიტების შეცნობა სურს. ჩემს შემთხვევაში იყო ცნობისმოყვარეობა.

**– რა რიტუალებია კრიშნაიდული მოძღვრებისთვის დამახასიათებელი და რა იგულისხმება კვირის პრასადში?**

– რიტუალები, როგორც ასეთი, არ არის. უბრალოდ, გვაქვს წესები. ჩვენი ღვთისმსახურება გულისხმობს გალობას სხვადასხვა ინსტრუმენტზე. ვკითხულობთ და განვმარტავთ „ბჰაგავად-გიტას“ და სხვა წმიდა წერილებს. მივაგებთ პატივს კრიშნას გამოსახულებას. კრიშნას ქანდაკებისადმი დამოკიდებულება სიყვარულით აღსავსე და მოკრძალებულია. როგორც შეგვიძლია, მისდამი გამოვხატავთ პატივისცემას. კვირის პრასადი, ეს არის დღე, როდესაც ვუმასპინძლდებით ხოლმე სტუმრებს საკვებით. ჭამის დაწყებამდე თეფშზე ვდებთ საკვებს და კრიშნას გამოსახულების წინაშე ვათავსებთ. ეს სრულდება ყოველდღე. ვინაიდან საკვები, რომელიც ჩვენს ხელთაა, მისი მოწოდებულია. ამიტომ, პატივი უნდა მივაგოთ. „პრასადის“ ეწოდება ქვაბს, რომელშიც საკვები მზადდება. თავად ტერმინის განმარტება წყალობას ნიშნავს. ჩვენ ვუფრთხილდებით ყველაფერს, რაც უფლის მიერაა ბოძებული. მაგალითად, ვაშლის ხემ რომ ნაყოფი მოისხა, ვინ მოგვცა ის? – უფალმა, ამიტომ, როცა აიღებ ან მოწყვეტ რაღაცას, მადლობა უფალს უნდა უთხრა და შემდეგ მიირთვა.

**– რას მოითხოვს კრიშნას წევრობა? როგორი უნდა იყოს ის?**

– განსაკუთრებულს არაფერს მოითხოვს. პირველ ყოვლისა, უნდა იცოდე, რომ ეს მოძღვრება მეცნიერებაა, რომელიც ღმერთს, სულს და მათ შორის ურთიერთობას ეხება, რომელიც სიყვარულს და ცოდნას ქადაგებს. უნდა იყო სუფთა სულის. შეუცდომელი და უცოდველი, მართალია, არავინაა, მაგრამ უნდა შეეცადო, იმ გზით იცხოვრო, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ. სურვილებს არ უნდა დაუმორჩილო გონება.

**– თქვენ არ გჯერათ ერთხელ ცხოვრების, ამაზე რას გვეტყვით?**

– სულის ციკლური ევოლუციის, ანუ სიკვდილის შემდეგ, მის სხვა სხეულში გადასახლებას ვაღიარებთ. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ სული სრულყოფილების სტადიას არ მიაღწევს. აბა, მაშინ გაუგებარია, ერთი ადამიანი რატომ იბადება ლამაზი, მეორე – მახინჯი, მდიდარი, ღარიბი და ასე შემდეგ. მაშინ ღმერთი უსამართლოა, როგორიც დღეს ხარ, ეს წინა ცხოვრების დამსახურებაა.

**ეთო ხურციძე**

**ბოლო პერიოდში საქართველოში იოგაში ვარჯიში საკმაოდ პოპულარული გახდა, განსაკუთრებით კი – გოგონებში, რადგან, იოგა არა მხოლოდ გარეგნობაზე, არამედ, ადამიანის შინაგან მდგომარეობაზეც დადებითად მოქმედებს. დღეს იოგას მასწავლებლებს შორის განსაკუთრებული პოპულარულობით ზურა ყაზიშვილი სარგებლობს, რომელიც მიცკევიჩის №29-ში მდებარე სალონ „4U-ში" მუშაობს. მისი მოსწავლეების სიაში არაერთი ცნობილი ქართველია, რომლებიც ზურას რეკომენდაციებს ასრულებენ.**

# როგორ ახდენს ზურა ყაზიშვილი იოგის დახმარებით ადამიანის ორგანიზმში „რევოლუციას" და რის სათხოვნელად მიდიან მასთან თბილისელი გოგონები

**ზურა ყაზიშვილი**: საკმაოდ აქტიური ბავშვობა მქონდა. იმ დროს დენი და ინტერნეტი არ იყო, კომპიუტერი იშვიათობას წარმოადგენდა, ამიტომ, სხვა გასართობი არ გვქონდა, გარდა იმისა, რომ ქუჩაში ვყოფილიყავით. მაშინ პარკური არ იყო გავრცელებული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, მეგობრებმა მის შესახებ არაფერი ვიცოდით, თუმცა მსგავს რაღაცას ვაკეთებდით: ავტოფარეხიდან ავტოფარეხზე გადავდიოდით, ხიდან ხეზე დავძვრებოდით. ცოტა ხანს კარატეზეც დავდიოდი, მოგვიანებით ძიუდოზეც შევედი, შემდეგ კიგ-ბოქსინგზე, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერს ერთბაშად შევეშვი. გარდატეხის ასაკი მძიმედ გადავიტანე – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა, თან, ცხოვრების აქტიური წესიდან უცებ პასიურზე გადავერთე: ვჭამდი ბევრს, ერთ ადგილას ვიჯექი და ამან გამოიწვია ის, რომ მოვიმატე წონაში; შემდეგ ორივე ფეხზე დამემართა მენისკი, ამას დაერთო ნევროზიც, რის ფონზეც შიშები დამეწყო – აბსოლუტურად ყველაფრის მეშინოდა, რაც ადამიანისთვის ხიფათს წარმოადგენდა ან არ წარმოადგენდა... თარიღიც კი მახსოვს – 2003 წლის 21 სექტემბერი იყო, როდესაც მეგობარმა მითხრა, წამოდი, იოგა ვივარჯიშოთო. თვითონ ხერხემლის გამრუდება ჰქონდა, პრობლემა გამოისწორა და შემდეგ შეეშვა. იმ დროს ბევრი არაფერი გამეგონა იოგაზე, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ, რატომღაც ეწინააღმდეგება რელიგიას და, კიდევ, უცნაური ტიპები არიან, რომლებიც სხედან და ზმუიან, რაღაც ბგერებს გამოთქვამენ. ვთქვი: მოდი, ვცდი-მეთქი და ვცადე. დავიწყე სიარული იუზა გოგავასთან. ექვს თვეში უნდა გვესწავლა ვარჯიშების გარკვეული რაოდენობა. მოკლედ კარგი მოსწავლეები გამოვდექით და უფრო მეტი ვისწავლეთ. როგორც აღვნიშნე, ადრე სპორტის სხვადასხვა სახეობაზე დავდიოდი და ვერც ერთს ვერ შევეგუე. იოგაზე როგორც კი შევედი, ელემენტარული „ხის პოზა" გავაკეთე (ცალ ფეხზე დგახარ და მეორე ფეხი შეკეცილი გაქვს, მიდებული გაქვს იმ ფეხზე, რომელზეც დგახარ, ხელები კი მაღლა გაქვს აწეული) და ამ დროს ჩემში რაღაც მოხდა – ძალიან შემიყვარდა. „ხის პოზა" წონასწორობის ყველაზე მარტივი ვარჯიშია, რომლის დროსაც ხერხემალი უნდა გეჭიროს სწორად, იწელებოდე და ამ დროს ცოტათი მხარბეჭიც ვარჯიშდება. გარდა იმისა, რომ მენისკი მქონდა, ძალიან მოუქნელიც ვიყავი, ელემენტარულ „მეომრის პოზასაც" ვერ ვაკეთებდი, რომლის დროსაც მუხლებზე დგები და შემდეგ ტერფებზე ჯდები. მუხლები ისე მტკიოდა, ვერ ვჯდებოდი და ვერ ვაკეთებდი. ეს პოზა კარგია მუხლებისა და ტერფების მოქნილობისთვის, მას სხვადასხვა ვარიაცია აქვს სხვადასხვა დანიშნულებით, მაგრამ, ყველაზე მარტივსაც ვერ ვაკეთებდი, ძალიან მიჭირდა. თუმცა, ორი თვის შემდეგ საოპერაციო მენისკი მთლიანად გამიქრა და მე ეს „მეომრის პოზის" დამსახურებად მიმაჩნია. ისე რთულად მქონდა საქმე, ქუჩაში რომ გავდიოდი, მუხლები მეკეცებოდა და ვეცემოდი; კიბეებზე დაუხმარებლად ვერ ავდიოდი; მუდმივად მტკიოდა მუხლები. უკვე სპეციალისტს ვეძებდი ოპერაციისთვის, მაგრამ, ერთ დღესაც, აღმოჩნდა, რომ საერთოდ აღარ მტკიოდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნერვები დამიწყნარდა, ნევროზიც გაქრა და ჩემი შიშებიც. დაახლოებით ორ წელიწადში არაფრის აღარ მეშინოდა – არც სიკვდილის, არც სიცოცხლის, არც კონფლიქტის, არც მიწისძვრის, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიჟად და გადარეულად ვიქეცი, უბრალოდ, გააზრებულად უშიშარი გავხდი. ფრთხილი ვარ, უბრალოდ გაუცნობიერებელი შიში აღარ არსებობს ჩემთვის და ეს ყველაფერი იოგას დამსახურებაა. სანამ იოგას ბოლომდე მოვირგებდი, ყველა ვარჯიშს ვაკეთებდი, რაც მასწავლებელმა მასწავლა – ამას დღეში ხუთი საათი მაინც მიჰქონდა. ერთ წელიწადში ვაკეთებდი ყველაზე რთულ ასანებს, რაც კი არსებობს, თან გართულებული ფორმით. ჩემმა ვარჯიშებმა ტრანსფორმაცია განიცადა და სულ სხვანაირი ვარჯიშები მივიღე. ცოტა შემეშინდა, მეგონა, გავცდი იოგას. როდესაც კომპიუტერი ვიყიდე, პირველი სწორედ იოგას ვარჯიშები მოვიძიე და, აღმოჩნდა, რომ იმას, რასაც მე ვაკეთებდი თურმე, სხვებიც აკეთებდნენ; იმასაც მივხვდი, რომ იოგა ჩემნაირი მოკვდავების გამოგონილია და არა ღმერთ შივასი, რომელსაც მის გამოგონებას მიაწერენ.



**იმასაც მივხვდი, რომ იოგა ჩემნაირი მოკვდავების გამოგონილია და არა ღმერთ შივასი, რომელსაც ამის გამოგონებას მიაწერენ**

**– იოგა ბევრ რამეში ეხმარება ადამიანს, ამიტომაც მთელ მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია და ბევრი ადამიანისთვის ცხოვრების წესია.**

– უპირველს ყოვლისა, იოგა ადამიანს ფიზიკურად გარდაქმნის. მისი სხეული, ფაქტობრივად, განიცდის მუტაციას, უზარმაზარ ტრანსფორმაციას, იცვლება ყველაფერი: სახსრები, კანი, მყესები, კუნთების მოყვანილობა, ძვლის ფორმაც კი. ერთადერთი სირთულე სისტემატურობის შენარჩუნებაა, რასაც დიდი ძალისხმევა და ნებისყოფა სჭირდება. რაც მთავარია, იოგას ვარჯიშს ყოველთვის მოჰყვება სიამოვნება, თუმცა, შეიძლება, ვიღაცამ ვერ მიიღოს ეს სიამოვნება; ამიტომაც, ჩემს მოსწავლეებს ყოველთვის ვეუბნები: როცა ვარჯიშობთ, ნებისმიერი პოზა გააკეთეთ ტკივილის შეგრძნებამდე. რაღაც დონეზე ტკივილი უნდა იყოს, მაგრამ, იოგა ტანჯვასთან და თვითგვემასთან არ უნდა ასოცირდებოდეს. ყველა ვარჯიში სიამოვნებისა და ტკივილის ზღვარზე უნდა კეთდებოდეს – სწორედ ამ დროს ხდება პროგრესი. მაგრამ, როცა გტკივა, მაშინ ორგანიზმში ისეთი ნივთიერებები გამოიყოფა, რომელიც მოქნილობის განვითარებას უშლის ხელს. ჩვენი ანატომია, ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ სტრესი უნდა იყოს ერთი მესამედი, დასვენებაც – ერთი მესამედი და სიამოვნებაც ერთი მესამედი; ასეა როგორც ფიზიკურში, ასევე მენტალურში. სტრესიც აუცილებელია, რადგან, ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი შინაგანი პროცესები მიმდინარეობს. საჭიროა დასვენებაც – პასიური მდგომარეობა ჩვენი ტვინისთვის, ისევე, როგორც სიხარული, ბედნიერება, რომელსაც აუცილებლად უნდა განვიცდიდეთ.

**– ძალიან ბევრი მოსწავლე გყავს. როგორია შენი მეთოდი? ალბათ, მათ ყოველთვის უხსნი, რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ ასანს.**

– იოგას სხვადასხვა მიზნები აქვს და, შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა სახის იოგა: არის ფიზიკური ვარჯიშები, სუნთქვითი, გონებრივი ვარჯიშები, ასევე, შემეცნებითი იოგა. საბოლოო ჯამში, ყველას მაინც ჯანმრთელობისკენ, ბედნიერებისკენ და თავისუფლებისკენ მივყავართ. გარდა ამისა, არსებობს იოგასადმი სხვადასხვა დამოკიდებულება, მათ შორის ერთ-ერთია ევროპული დამოკიდებულება, რომელიც დღეს თბილისში ბევრ ცენტრშია გადმოტანილი და რასაც არ ვეთანხმებით არც მე და არც ჩემი მეგობრები. სუფთა მარკეტინგული გათვლაა: შეხვალ, ივარჯიშებ ერთი საათი, შემდეგ გამოგიშვებენ; მერე შედის სხვა ჯგუფი, მასაც ავარჯიშებენ, მერე უშვებენ და ასე გრძელდება. ინსტრუქტორი დგას, აკეთებს რაღაცას და ჯგუფი ისე იმეორებს, არც კი იციან, რომელი პოზა რისთვის არის კარგი, ანუ, გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ. არ შეიძლება, იოგაში ივარჯიშო და არ იცოდე, რისთვის, რატომ ვარჯიშობ, რისთვის არის საჭირო. ამიტომ, ნებისმიერ პოზას გაცნობიერებული უნდა აკეთებდე, შენს სხეულს ბოლომდე უნდა გრძნობდე, იქ უნდა იყო იმ მომენტში და არა სხვაგან. აი, ასეთ დროს იძლევა იოგა მაქსიმალურ ეფექტს და, თან, ამ დროს ვიზუალიზაცია ხდება. ამ ყველაფერთან ერთად, ვარჯიში რეალურად მოქმედებს და ამას ემატება „პლაცებოს ეფექტი", რაც უდიდეს გავლენას ახდენს გამოჯანმრთელებაზე ან იმაზე, თუ რა შეგრძნებები გაქვს იმ დროს. ასე რომ, იოგაში ყველაფერი წინასწარ უნდა გავიაზროთ, ორგანიზმს მობილიზაცია უნდა გავუკეთოთ და გავაგებინოთ, რას ვითხოვთ მისგან. ანუ, რა მოძრაობაც გონებით ხდება, ის უნდა მოხდეს ფიზიკურადაც. როცა ფიზიკურად ვარჯიშობ და გონებით სხვა რამეს აკეთებ, ამ დროს ტკივილიც მეტია, ისევე, როგორც არასასიამოვნო შეგრძნებები. იოგა არ არის რაღაცის შეძენა, ის იმის გახსნაა, რაც ჩვენშია. ის რაც ერთ ადამიანს აქვს, სხვა ადამიანებსაც აქვთ; ერთს თუ რაღაც შეუძლია, სხვებსაც შეუძლიათ. მაგრამ, როდესაც რამეს ვერ აკეთებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ეს შესაძლებლობები დაბლოკილია. იოგა კი ბლოკების ახსნის მეთოდიკაა, ანუ მთელი პროცესი არის არა ახლის შეძენა, არამედ, ამ ბლოკების ახსნა და იმის განვითარება, რაც ადამიანში დევს. ვარჯიშის დროს, თამაშ-თამაშში, სასიამოვნოდ ავითარებ შენს ჯანმრთელობას, მოქნილობას, კონცენტრაციის უნარს; მშვიდდება გონება და ადამიანი რეალურად თავისუფალი ხდება. არაფერზე აღ-

არ არის დამოკიდებული: არც მატერიალურზე, არც არამატერიალურზე, არავის სურვილებზე, ბოლომდე თავისუფალია. ველარ გაშინებენ, ველარ გიბრძანებენ, ველარ გაიძულებენ... ყველანაირი მექანიზმი, რომელიც სოციუმის, სახელმწიფოს მიერ ადამიანის სამართავად არის შექმნილი, ქრება, აღარ მოქმედებს და ჰარმონიული და თავისუფალი ხდები. თან, ეს ყველაფერი ბუნებრივად მიმდინარეობს, მაგრამ, ბევრს ეს არ აინტერესებს, რადგან, იოგაზე ზოგი იმიტომ მოდის, რომ წონის კორექცია უნდა; ზოგმა არ იცის, რა უნდა მაგრამ, მაინც მოდის; ზოგი კი იმიტომ იწყებს ვარჯიშს, რომ მოდურია, რაც ბევრმა კომპონენტმა განაპირობა. პირველი არის ისეთი კატეგორია, რომელიც მართლმადიდებლობის, რელიგიის ჯიბრზე იწყებს იოგაზე სიარულს, რაც ჩემთვის ცოტა საეჭვო მიზეზია – ვიღაცის, ან რაღაცის ჯინაზე რამის კეთება არ არის მაინცდამაინც კარგი; მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, რომლებმაც გაიგეს, რომ წონის კორექციისთვის იოგა იდეალური ვარიანტია. მათ იციან, რომ ჯანმრთელობისთვისაც კარგია, თან, პარალელურად, კვების რეგულაციას სწავლობენ – ინსტრუქტორი ასწავლის სწორ კვებას და ვარჯიშს; მესამე: კულტურულად, ნელ-ნელა ვუახლოვდებით ევროპასა და ამერიკას – ევროპასა და ამერიკაში იოგა საკულტო თემაა.

**– შენს მოსწავლეებში გოგონები ჭარბობენ, მათ შორის პროფესიონალი მოცეკვავეები.**

– ბიჭებიც არიან, თუმცა, გოგონები მეტნი არიან, რომლებიც, წონის კორექციისთვის მოდიან, ან, იმისთვის, რომ მოქნილები გახდნენ. ჩემთან დადიან მოცეკვავეებიც და ყველას თავისი მიზეზი აქვს. უცხოეთში პროფესიონალების ვარჯიშში ერთ-ერთი მთავარი ადგილი გაწელვებს უკავია, რაც ან ტანვარჯიშთან არის დაკავშირებული, ან – იოგასთან. ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოცეკვავეები, მსახიობები – ყველანი ვარჯიშობენ იოგას. როდესაც გოგონები მოდიან ჩემთან, მათ ძირითადად გაწელვები უნდათ, განსაკუთრებით კი – ფეხების მოქნილობა; ან, მოდიან და მეუბნებიან, ცეკვის ეს ილეთი მინდა გავაკეთოო და მერე მე იმის მიხედვით ვუნიშნავ ვარჯიშებს, რაც სჭირდებათ იმ ილეთის გასაკეთებლად, თუნდაც, მალე რომ ჩაჯდეს „შპაგატზე". თუმცა, ძირითადად მაინც წონის კორექციისთვის მოდიან და მეკითხებიან, რამდენ ხანში დავიკლებო, მაგრამ, არ მეუბნებიან, რამდენის დაკლება უნდათ, რას ჭამენ. ბევრს უნდა, რომ ვუთხრა: ივარჯიშე იოგა და, რაც გინდა და რამდენიც გინდა ჭამე, მაინც დაიკლებ-მეთქი. მაგრამ, ასე არ არის. ვარჯიში 10 პროცენტია და კვება – 90. ამიტომაც, ვეუბნები ძირითად პრინციპებს: ეს არის განცალკევებული კვება, ანუ ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ცალ-ცალკე მიღება და არა ერთმანეთში არევა. არავის არაფერს არ ვუკრძალავ – ეს არის ჩემი და ჩემი მეგობრების მეთოდი. სასურველია, სულ მცირე, 40-ჯერ მაინც მოვიდნენ ვარჯიშზე – ეს არის სამი თვე. ამ 40 ვარჯიშის შემდეგ ხდება ორგანიზმში რაღაც ცვლილებები და, გრძნობენ, რომ აღარ სიამოვნებთ სიგარეტი; რომ, თურმე, ხორცი და სხვა ცხოველური საკვები ამძიმებთ და ისე აღარ სიამოვნებთ.

**– რევოლუცია ხდება ადამიანის გონებაში.**

– დიახ, ძირეული ცვლილებები ხდება და, იმ რეკომენდაციებს, რაც დასაწყისში ჰქონდათ, უკვე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აკეთებენ. ჩემი მეთოდის მიხედვით არავინ არის შეზღუდული: მოდიან მაშინ, როცა უნდათ; ვარჯიშობენ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ეს ვარჯიში სიამოვნებთ: 1 საათი ან მეტი, ზოგი 4 საათიც ვარჯიშობს, შესვენებების გამოკლებით – 3 საათი – ეს არ არის არანაირი საფრთხის შემცველი, ინდივიდუალურია, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კომფორტულად გრძნობენ თავს. ახალი რომ მოვა ვინმე, თავიდან ბოლომდე ვასწავლი ყველაფერს, ვუხსნი, რა ჰქვია ამ პოზას, რომელი კუნთები ეჭიმება. ჩემმა მოსწავლეებმა ყველაფერი იციან, რაც ვარჯიშს ეხება: რა უნდა შეცვალონ, როგორ უნდა გაართულონ, რა უნდა დაამატონ. ყველას თავისი ტემპი აქვს და ყველა ერთნაირად არ ვარჯიშობს. თუ სახეზე შევატყობ, რომ თავისუფლად აკეთებენ რამეს და ბედნიერი სახე აქვთ, მერე ცოტათი ვურთულებ პოზას.

**– რომელია გოგონებში დღეს ყველაზე პოპულარული ასანები?**

– ძირითადად ვაკეთებინებ ფეხის მოქნილობისა და ძალისმიერ ვარჯიშებს, რომ ფეხისა და დუნდულის ყველა კუნთი იჯდეს იქ, სადაც საჭიროა, სადაც ბუნებით არის ჩაფიქრებული; იქ, თავისთავად, საჭიროა პრესი, ზურგის კუნთის ვარჯიშები, რომ ხერხემალში გასწორდნენ, მკერდი წინ გამოვიდეს და მუცელი შიგნით შევიდეს. შედეგი მალე უნდათ, მაგრამ, ბევრს ავიწყდება, რომ ჯანმრთელობას წლების, თვეების განმავლობაში იფუჭებენ და მერე რამდენიმე თვეში უნდათ ყველაფრის აღდგენა. თუმცა, ჯანრთელობის აღდგენა უფრო მალე ხდება, ვიდრე დაზიანება, რადგან, ჩვენი შინაგანი არსება ამისკენ მიილტვის: უნდა, რომ იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ გამოიხატა მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოს დიდი მომავალი საეკლესიო არქიტექტურაში

**(76-ე გვერდიდან)**

ნა, რომ ტაო-კლარჯეთი მისი საკუთრებაა.

ალავერდის ტაძარი აშენდა ძველი ეკლესიის ადგილას, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, კახეთში. ამ დროს კახეთის მეფე გახლდათ კვირიკე მესამე დიდი (1010–1037), რომელმაც მიიღო მეფის წოდება (მანამდე ქორეპისკოპოსები ერქვათ კახეთის მთავრებს) და შემოიმტკიცა ჰერეთი.

კვირიკე მეფემ მოახერხა და, თავისი სამეფო, რომელიც 1010 წელს, კვირიკეს ტახტზე ასვლისას შეიერთა ბაგრატ მესამემ, ბაგრატის გარდაცვალებისთანავე, მცირეწლოვანი მეფე გიორგის I-ის მფლობელობიდან უკან დაიბრუნა. ეს მოხდა 1014 წელს. სამაგიეროდ, გიორგი მეფეს ეხმარებოდა ბიზანტიასთან ბრძოლაში. მის დროს საკმაოდ მომძლავრდა კახეთ-ჰერეთი.

მეფე კვირიკე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერსპექტივას დიდი ინტერესით შესცქეროდა. ისიც მოწადინებული იყო, გამხდარიყო ქართული მიწების გაერთიანების ინიციატორი და ქართული პოლიტიკა გაევრცელებინა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. მან შეასრულა მნიშვნელოვანი მისია – მის დროს მოხდა კახთა და ჰერთა (რანთა) საბოლოო შერწყმა ერთ სახელმწიფოში.

კახეთ-ჰერეთის სამეფო იმ პერიოდში არ გამოსულა ქართლის, ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) შეერთების პრეტენზიით, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე კახეთის მთავრებს პრეტენზია ჰქონდათ ხოლმე ქართლზე და, საერთოდ, ლიდერობაზე. მაგრამ, როგორც ვთქვით, აღმოსავლეთის მიმართულებით თავისი საქმე გააკეთა კახეთის დინასტიამ – ის განძის ამირასაც უტევდა.

კვირიკე მესამეც ქართული თვითშეგნების მქონე გახლდათ, ძალიან სერიოზული პოლიტიკოსი. მისი სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური წარმატებები გამოიხატა კიდეც არქიტექტურაში – აშენდა ალავერდის გრანდიოზული ტაძარი.

ალავერდის სითეთრე ლურჯი ცის, მწვანე ველებისა და მყინვარების სპეტაკ ფონზე, გაგრძნობინებს, რომ ალავერდიც თითქოს კავკასიონის ერთ–ერთი მყინვარქედია, კავკასიონივით მარადიულია და ცას შეწვდენილი – მისი აღმშენებელი დიდი მხატვარიც ყოფილა.

რაც მთავარია, ყველა ქართული სამეფოსამთავროს მოსახლეობა (ამბიციური და მოღალატე ფეოდალების გარდა) ერთიანობის შეგნებით იყო ანთებული.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ, ოშკი, ალავერდი და სვეტიცხოველი ქართლის საკათალიკოსო ეკლესიის ეპარქიები იყო, ხოლო, ბაგრატი (და ბედია) – აფხაზეთის საკათალიკოსო ეკლესიისა; ორივე საკათალიკოსო კი ქართულენოვანი გახლდათ. ასე აერთიანებდა ქართულენოვანი დედაეკლესია ქვეყანას.

თუ დავაკვირდებით, ეს ოთხი გრანდიოზული ტაძარი გეოსტრატეგიულად საქართველოს ოთხ უმნიშვნელოვანეს ადგილზეა აშენებული, ოთხი უმნიშვნელოვანესი სამთავროს ისტორიულ ტერიტორიაზე, მათ ცენტრში – იგულისხმება ქვეყნის გაერთიანებამდელი სამთავროები. ეს დიდებული ტაძრები შენდებოდა საქართველოს გაერთიანებამდე, იდეოლოგიურად ერთიანდებოდა ქართველი მოსახლეობა და, რეალურად, ერთიანდებოდა ქვეყანაც. ოშკი ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოშია, ბაგრატი აფხაზეთის სამეფოში, სვეტიცხოველი – ქართლის საერისთაოს, ალავერდი კახეთ–ჰერეთის სამეფოს ტერიტორიაზე. ასე სამხრეთიდან დაიწყო გაერთიანების იდეოლოგიამ სვლა. ოშკის, ბაგრატის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიდიადითა და მონუმენტურობით და არა მარტო კავკასიის ან იმ დროის მასშტაბით.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია ბედიის ტაძარიც, რომელიც ბაგრატ მესამემ ააშენა 999 წელს. მართალია, ის ისეთივე დიდი და მონუმენტური არ არის, როგორც ოთხი დიდი ტაძარი, სამაგიეროდ, ბედიამ დაგვირგვინა არქიტექტურული იდეოლოგია. ის საძვალედ აიშენა ბაგრატ მესამემ (მაგრამ, ეს უკვე სხვა თემაა).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული იდეოლოგია შინაურებსა და გარეულებს ქართული არქიტექტურის მეშვეობით აჩვევდა საქართველოს დიდ მომავალს, ქართულ-კავკასიურ იმპერიულ მომავალს. არქიტექტურაში თვალნათლივ გამოიხატა საქართველოს სწრაფვა გაერთიანებისკენ და ძლიერი სახელმწიფოებრიობისკენ.

საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ საუკეთესო თავდაცვა არის თავდასხმა. იმპერიებისგან თავი კარგად რომ დაიცვა, თავად უნდა იყო, იმპერია თუ არა, ძლიერი სახელმწიფო და თანამეგობრობის ლიდერი მაინც. მით უმეტეს, რომ მეზობლად გვყავდა ბიზანტიის იმპერია, რომელსაც, თითქოს უნდა ეტვირთა ქრისტიანული თანამეგობრობის დაცვისა და ლიდერის ფუნქცია. სინამდვილეში, ბიზანტია თავად გამოდიოდა აგრესორის როლში: იტაცებდა ბასიანს გადაღმა ქვეყნებს, ლაზეთ-ტრაპიზონს, არზრუმს; ხელს აფათურებდა საქართველოს საშინაო საქმეებში და იწვევდა შინააშლილობას; ებრძოდა საქართველოს ეკლესიას და ასე შემდეგ. გავიხსენოთ ბიზანტიის იმპერატორის, ბასილი ბულგართმმუსვრელის სისასტიკე ბულგარეთში.

შემთხვევით არაფერი ხდება. ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამ, რომელიც, გამოიკვეთა მეთერთმეტე საუკუნის ქართულ სატაძრო არქიტექტურაშიც, თავისი ნაყოფი გამოიღო და მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველო დავით მეოთხის მიერ აღშენდა დიდ და დიად სახელმწიფოდ, ქართულ-კავკასიურ იმპერიად – თანამეგობრობად, სადაც მეზობლები მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ; სადაც არ იყო ეთნიკური ნიშნით თვალების დათხრა ან სარწმუნოებრივი ჩაგვრა და, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე არანაკლებ ზრუნავდნენ, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში.

**გიორგი მახოზეშვილი**

**ცოტა ხნის წინ სალომე გოგიაშვილი მესამე შვილის დედა გახდა და ულამაზესი ქორწილიც გადაიხადა, რომლის ნახვის საშუალება მაყურებელსაც მიეცა. მართალია, თავიდან მხოლოდ ბავშვის ნათლობას გეგმავდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქორწილი გამოუვიდა.**

**გასაგები მიზეზების გამო, სალომე აქტიურ საქმიანობას ჩამოშორებულია და, ძირითადად, დროს ბავშვებს უთმობს, თუმცა, ზაფხულის დასრულებასთან ერთად, გეგმავს, საქმიანობასაც დაუბრუნდეს. მისი სამომავლო გეგმები დიზაინს უკავშირდება. ტელევიზიას რაც შეეხება, „იმედში" დაბრუნებას ამ ხელმძვანელობის პირობებში არ აპირებს, სხვა საინტერესო შემოთავაზებას კი სიამოვნებით დათანხმდება, რადგან, ეს სფერო ძალიან უყვარს.**

# როგორ გადაიზარდა სალომე გოგიაშვილის ბავშვის ნათლობა ქორწილში და რატომ რცხვენოდა მას სამშობიაროდ საავადმყოფოში მისვლა

**– სალომე, ზაფხული როგორ გაატარეთ?**

– ზაფხული ძალიან კარგად გავატარე, იმიტომ რომ ოჯახთან ერთადაც დავისვენე და ცალკე – მეუღლესთან ერთადაც. საკმაოდ დიდხნიანი დასვენება გამოგვივიდა და მართლა ფანტასტიკური იყო.

**– პატარას შესახებ გვიამბეთ, როგორი ბავშვია?**

– მართლა ძალიან კარგი ბავშვია, დიდი კაცივით დაისვენა ჩვენთან ერთად. ხშირად მეკითხებიან, როგორ გავრისკე ასეთი პატარას წაყვანა დასასვენებლად, მაგრამ აქ დატოვებას და ყოველ ხუთ წუთში ტელეფონზე რეკვას, მერჩივნა, თან წამეყვანა. ირაკლი ახლა 7 თვის ხდება. რომ დაიბადა, კოპიო მამამისი იყო, ახლა კი ცოტათი მეც დამემსგავსა. ძალიან საყვარელი ბავშვია. დაბადების ფოტოებს რომ ვუყურებ, ვახოს ვეკითხები ხოლმე: „ახლა ეს ლამაზია?" მე ძალიან მესაყვარლება, მაგრამ, ალბათ, ყველა დედას ასეთი დამოკიდებულება აქვს თავისი შვილის მიმართ.



**სულ მაგაზე მაშაყირებენ. კბილის ჯაგრისის გვერდზე უდევს ლაინერიო. მართლა რა დროსაც არ უნდა მოხვიდე, სულ დახატული ვზივარ**

**– იმის მიუხედავად, რომ ეს თქვენთვის პირველი შვილი არ არის, მშობიარობის მაინც ძალიან გეშინოდათ.**

– ასე იყო, მაგრამ, ცხრა თვე საკმარისია იმისთვის, რომ ეს შიში გაქრეს. ბოლოს ისე იღლები ორსულობისგან, ერთი სული გაქვს, როდის გააჩენ. ისე მინდოდა მალე გამეჩინა, ათჯერ ვიყავი მისული საავადმყოფოში – მეგონა, მშობიარობა დამეწყო, მაგრამ, ათჯერვე უკან გამომაბრუნეს *(იცინის)*. ბოლოს, როცა მართლა დადგა ამის დრო, საავადმყოფოში მისვლის მრცხვენოდა. ღვთის წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა – სულ აღვნიშნავ, რომ ძალიან კარგი ექიმი მყავდა.

**– ბავშვებს როგორი დამოკიდებულება აქვთ უმცროსი ძმის მიმართ?**

– გიჟდებიან. მაშკა როგორც შვილს, ისე ეფერება, სულ ხელში ჰყავს და აქეთ-იქით აპრონიალებს. ბავშვობაში ერთი თოჯინა მყავდა და ყველგან დავაპრონიალებდი. ახლა მის დანახვაზე ჩემი თავი მახსენდება. ბიჭი უფრო ეჭვიანობდა, როცა ირაკლი გაჩნდა. ახლა რომ ვუყურებ, მართლა სასწაულია, 6 წლის ბავშვი ისე იქცევა, როგორც დიდი – პატარა ურტყამს, თმებს წიწკნის, უწიეს, ეს კი დიდი კაცივით ყველაფერს ითმენს და მერე ეფერება. სამივენი ძალიან თბილები არიან და ეს ძალიან მომწონს. მინდა, რომ ყოველთვის გვერდში ედგნენ ერთმანეთს. მაღაზიაში რომელიმესთან ერთად რომ ვარ და ის თავისთვის კანფეტს აიღებს, გამორიცხულია, რომ კიდევ ორი არ აიღოს. რომ მიკითხავს, სამი ცალი რად გინდა-მეთქი, მეუბნება, მარტო მე ვერ შევჭამო. ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

**– თქვენ და ვახოს ერთმანეთის შვილებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

– ვახოს ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს ჩემს შვილებთან. ჩემს შვილზე ხშირად უკითხავთ მისთვის, შენი ბიჭიაო? და ისიც ჩვეულებრივ ეუბნება: „ჰო, ჩემი შვილია". ვახოს უკვე დიდი შვილები ჰყავს. მე არ მაქვს პრეტენზია, რომ დედასავით ვუყვარდე, მათ დედა ჰყავთ, მაგრამ, მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს.

**– პატარასთან მიმართებაში როგორია ვახო, მის მოვლაში თუ გეხმარებათ?**

– ძალიან მეხმარება. რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო ღვინდები. თუ ადრეულ ასაკში ქუჩა და მეგობრები გირჩევნია, ახლა ვახოს ეს მომენტები აღარ აქვს. სამსახურიდან რომ მოდის, მთელ დროს ბავშვთან ატარებს, აძინებს კიდეც. ყოველთვის, როცა ირაკლი რამე ახალს გააკეთებს და ვახო ამას შენიშნავს, გახარებული გამოდის და მეუბნება: იცი, რა გააკეთა? ვიცი, – ვეუბნები მე *(იცინის)*.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, ასათიანზე დამაწვინეთ, თუ კიდევ ერთხელ გავთხოვდიო. რა გააკეთა ვახომ ისეთი, რომ ეს გადაწყვეტილება შეგაცვლევინათ?**

– ის გააკეთა, რომ, ხომ ხედავ, ასათიანზე აღარ მინდება დაწოლა *(იცინის)*. სულ ამას ვამბობ: „არადროს არ თქვა – „არასდროს". იმ მომენტში ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ კიდევ ერთხელ ვენდობოდი ვინმეს. ვახომ მოახერხა და მოიპოვა ჩემი ნდობაც, ჩემი სიყვარულიც, პატივისცემაც და აბსოლუტურად ყველაფერი. ის რომ თავიდანვე გვერდით მყოლოდა, ჩემი ცხოვრება სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ, ალბათ, საჭირო იყო, ეს ყველაფერი გამომევლო იმისთვის, რომ ვყოფილიყავი, როგორც ვახო ამბობს – იდეალური ცოლი. თუმცა თავიდანვე რომ მას შევხვედროდი, შესაძლოა, ასეთი იდეალური მომენტები არც მქონოდა. ახლა ორივეს გვაქვს გამოცდილება და კარგად ვიცით, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად რაღაცეების დათმობა და ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევაა საჭირო.

**– თქვენი ქორწილის თანაზიარი, ფაქტობრივად, მაყურებელიც იყო. ეს იდეა საიდან მოგივიდათ?**

– ეს ჩემი იდეა არ ყოფილა. „პროფილის" პროდიუსერი, ნიკა ხაჩიძე, ჩემი დიდი ხნის მეგობარია და, ბუნებრივია, ქორწილში დავპატიჟე. შემომთავაზა, იქნებ, თან, გადაგვეღოო. უარი ვუთხარი, რადგან, ვახოს ასეთი რაღაცეები არ უყვარს. თანაც, არ მინდოდა, ამით გაღიზიანება გამომეწვია საზოგადოებაში. იმიტომ კი არა, რომ ნიკაში არ ვარ დარწმუნებული, უბრალოდ, მეშინოდა, როგორი გამოვიდოდა საყურებლად. ნიკამ მითხრა, მე თუ მენდობი, ხომ იცი, რომ ცუდს არ გავაკეთებ; ისეთი იქნება, როგორიც შენ გინდაო და, დიდი ხვეწნის შემდეგ ვახოც დავითანხმე. ვუთხარი, რომ მხოლოდ ორ წუთს გადაიღებდნენ და წავიდოდნენ. გადაცემასაც კი ჯუჯღუნით უყურა, მაგრამ, ბოლოს მოეწონა და ვუთხარი, აწი უარი აღარ მითხრა-მეთქი და, ამიტომ, მგონი, შემდეგში ყველაფერზე დამთანხმდება.

**– საქორწილო კაბა როგორ შეარჩიეთ და, ზოგადად, როგორი სამზადისი გქონდათ ცერემონიალისთვის?**

– ჩვენ ქორწილის გადახდას არ ვაპირებდით, ბავშვის ნათლობა გვინდოდა. მეგობართან ერთად შევიარე საქორწილო კაბების მაღაზიაში. საპატარძლო კაბის ჩაცმას არ ვაპირებდი, უბრალოდ, რამე გამორჩეული კაბა მინდოდა. იქ იმდენად ლამაზი კაბები და კარგი მომსახურე პერსონალი დამხვდა, რომ ჩემი „შებმა" მოახერხეს *(იცინის)*. კაბის მასშტაბები ნელ-ნელა გავზარდე და, საბოლოო ჯამში, სადედოფლო კაბა გამოვიდა. ვახომ სულ საქორწილო კაბები რომ დაინახა – რას აკეთებ, ქორწილს იხდიო? – მე

ვუთხარი, ასე გამოდის-მეთქი. მე ნათლობაში მყავს ხალხი დაპატიჟებულიო. ასე იყო, სტუმრების ნახევარი, ვისი გაფრთხილებაც მოვასწარი, ქორწილში მოვიდა, ნახევარი კი – ნათლობაში. სამზადისს რაც შეეხება, ამით დიდად არ დავღლილვარ, კახა მიქიაშვილსა და ჯაბა კილაძეს ჩავაბარე ეს ყველაფერი და გავწყვიტე წელში – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. წამყვანები იყვნენ, მღეროდნენ, სტუმრებიც მათ მიიღეს და აბსოლუტურად ყველაფერი მათ გააკეთეს. ფანტასტიკური იყო, ასეთი მეგობრები უნდა გყავდეს. ფეხი-ფეხგადადებული ვიყავი და არაფერზე არ ვნერვიულობდი. მხოლოდ ერთხელ მივედი კაბის მოსაზომად და ერთხელ შევხვდი კახასა და ჯაბას, დამთანხმდნენ დახმარებაზე და სულ ეს იყო ჩემი სამზადისი.

**– კიდევ ერთი შვილის გაჩენას თუ გეგმავთ?**

– ჩვეულებრივი გიჟი ვარ ჯერჯერობით. როცა წარმოვიდგენ, რომ შესაძლოა, კიდევ ერთხელ დავფეხმძიმდე, მართლა შეიძლება, გავაფრინო. დაახლოებით ექვსი თვის წინ ვიმშობიარე, ჯერ ბოლომდე კარგად არ ვარ. ჯერჯერობით ნამდვილად ვარიდებ თავს ამაზე ფიქრს, მაგრამ, თუ ღმერთმა კიდევ მოგვცა ეს ბედნიერება, მე არასდროს ბავშვს არ მოვიშორებ. მერამდენეც არ უნდა იყოს, თუ დავფეხმძიმდები, აუცილებლად გავაჩენ, თუმცა, მერე როგორი ვიქნები, არ ვიცი ***(იცინის),*** თან, კიდევ ერთი გოგო მინდა.

**– ეკრანზე აქტიური პიროვნება ჩანხართ, მაგრამ საინტერესოა, როგორი ხართ კადრს მიღმა?**

– სახლში ძალიან მარტივი ადამიანი ვარ, ყველანაირ ხასიათს ვეწყობი. ზოგადად, შინაგანად მოწესრიგებული ადამიანი ვარ. ისეთი დღის რეჟიმი მაქვს, არასდროს ვიცი, როდის დამჭირდება სახლიდან გასვლა ბავშვების გამო. ამიტომ, ყოველთვის ფორმაში ყოფნა მიყვარს და სულ ამის გამო მაშაყირებენ. კბილის ჯაგრისის გვერდით უდევს ლაინერიო. მართლაც, რა დროსაც არ უნდა მოხვიდე, სულ დახატული ვზივარ. ჩემი ქმარიც მაგაზე დამცინოდა. ორსულად რომ ვიყავი, ბოლო თვეებში არსად გასვლა არ მინდოდა და დროის უმეტეს ნაწილს სახლში ვატარებდი, მაგრამ, მაინც ყოველთვის გამოპრანჭული და დახატული ვიჯექი. ვახო იცინოდა – სერიალებში რომ არის, მოქმედება სახლში ხდება, მაგრამ, სულ დახატულები არიან, შენც ასე ხარო ***(იცინის).***

ჩემს გოგოსაც სულ ვეუბნები, რომ ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. ქუჩაში მოწესრიგებულ ადამიანს რომ ხედავ, მოგწონს და სურვილი გიჩნდება, მიჰბაძო.

**იმ მომენტში ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ კიდევ ერთხელ ვინმეს ვენდობოდი**

**– გასაგები მიზეზების გამო აქტიურად ველარ საქმიანობთ, რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი ტაიმაუტი?**

– იცით, რა არის? რამე სერიოზული წინადადება რომ წამოვიდეს, დავთანხმდები. დილიდან საღამომდე გრაფიკით მუშაობასაც შევძლებ – წლების განმავლობაში ვმუშაობდი ასე და შვილებს უჩემობა არ უგრძნიათ, ყოველთვის ვახერხებდი მათთვის დროის გამონახვას. ხუთი წუთიც რომ მქონოდა თავისუფალი, სახლში მოვიდოდი და ბავშვებს ვეთამაშებოდი.

**– თუ არ ვცდები, ტელევიზიაში დაბრუნებას აღარ აპირებთ და დიზაინის განხრით გეგმავთ ბიზნესის წამოწყებას...**

– აუცილებლად. იდეები მაქვს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ განცხადებით დიზაინერებს გამოწვევას ვუცხადებ – აი, მოვდივარ და კარგად იყავით-მეთქი; არა, რა სისულელეა! ეს, უბრალოდ, ჩემი სურვილია და არ მინდა წლების შემდეგ სინანულის გრძნობა დამრჩეს განუხორციელებელი სურვილების გამო. ახლა უკვე დავიწყებ ამაზე ზრუნვას.

ტელევიზიას რაც შეეხება, სად დავბრუნდე, თორემ, სიამოვნებით. „იმედში" ნამდვილად არ დავბრუნდები ამ ხელმძღვანელობის პირობებში. სხვა ტელევიზიებისგან თუ მივიღებ შემოთავაზებებს, დავთანხმდები, რადგან, ტელევიზია არის ის სფერო, რომელიც იმდენად მიყვარს, რომ იქ მუშაობით არ ვიღლები.

**ქეთი კაპანაძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

# ბრძნული აზრები

**ლაროშფუკო**: სუსტი ხასიათის მქონე ადამიანებს გულწრფელობის უნარი არ შესწევთ.

**ლაბრიუერი**: პირისახის მიხედვით არ შეიძლება იმსჯელო ადამიანზე, მის მიხედვით ვარაუდი შეიძლება მხოლოდ.

**სტენდალი**: სუსტი გულის ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ქონებრივი მდგომარეობა მათ ცდუნებაზე მაღლა აყენებს.

**ტვენი**: ალბათ, ძნელია, იპოვო ისეთი ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების დასასრულს გულის სიღრმეში მაინც არ თქვას, რა ფუჭად გავატარე ჩემი დღე და მოსწრებაო.

**უაილდი**: ვის ვუწოდებთ ცინიკოსს? ადამიანს, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი, მაგრამ, არაფერს არავითარ ღირებულებას არ ანიჭებს.

**შატსკი**: თუ ვინმეს დანაშაულზე წაასწრებ, საქვეყნოდ ნუ გამოიყვან, ფეხს ნუ დააჭერ; ჯერ ცალკე გაიყვანე, პირისპირ მარტო შეხვდი და, ეცადე, საკუთარ სულში ჩაახედო.

**ციგენი**: ფსიქოთერაპიის გარეშე შეიძლება შეაკეთო ჩქმა ან დაამყნა მცენარე, მაგრამ, არამც და არამც არ შეიძლება, უმკურნალო ისეთ მგრძნობიარე ორგანიზმს, როგორიც ადამიანია.

**ბუასტი**: ულმობელი და გულქვა კაცი ყოველთვის მტერზე უფრო საშიში მხეცია.

**ოვიდიუსი**: ზოგი კეთილს ხედავს, თანაუგრძნობს და ავს კი მაინც სჩადის.

**რასინი**: წარმავალია ავკაცების ბედნიერება.

**შექსპირი**: ადამიანის საქმე მას შემდეგ ცოცხლობს, კეთილი და ავი ხშირად იმარხება იმის ძვლებთანვე.

**არისტოტელე**: კარგი წიგნი ის არის, რომელშიც ავტორი ამბობს იმას, რაც საჭიროა; არ ამბობს იმას, რაც არ არის საჭირო და, ამბობს ისე, როგორც საჭიროა.

**ბიშიშელი**: ადამიანმა უნდა გამოთქვას თავისი აზრები – ეს უფლება კი არა, მოვალეობაა.

**მიჩურინი**: ადამიანის უმაღლესი მოწოდება არა მარტო ბუნების ახსნა, არამედ, მისი სასიკეთოდ შეცვლაა.

**პასკალი**: ადამიანის სიდიდე ისაა, რომ თავის უბადრუკობას გრძნობს. ხე არ გრძნობს თავის უბადრუკობას. მაშასადამე, მხოლოდ უბადრუკი გრძნობს საკუთარ უბადრუკობას, მაგრამ, მისი სიდიადეც ესაა სწორედ.

**დემოკრიტე**: მხოლოდ ისინი შეიცნობენ და ესწრაფვიან მშვენიერებას, რომელთაც საამისო ბუნებრივი ნიჭი მოჰმადლებიათ.

**გარბო**: წარმატებულ კარიერას მამაკაცები ხშირად ცოლების დახმარებით აღწევენ.

**შოუ**: ჭკვიან ახალგაზრდა ქალს არჩევნის გაკეთება უხდება სულელ, მაგრამ, ჯანმრთელ და ლონიერ ახალგაზრდა მამაკაცებსა და, ჭკვიან, მაგრამ ქალებზე დახარბებულ ბებერ მამაკაცებს შორის.

# თუ გაგოიცნობთ

1. მეოცე საუკუნის დასაწყისში ნატურალისტმა ებოტ ტაიერმა შექმნა წიგნი, სადაც ბავშვებს უნდა ეპოვათ ცხოველები, რომლებიც გამოსახულები იყვნენ ბუნებაში, თავიანთ ჩვეულ გარემოში. **დაასახელეთ,** მხატვრის აზრით, რისთვის გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ ეს წიგნი ისე, რომ მხატვარს არანაირი კომპენსაცია არ გადაუხადა, რის გამოც დავა მათ შორის მხატვრის სიკვდილამდე გაგრძელდა.

2. მის რუსულ ვარიანტში წერტილი გამოისახება ექვსი წერტილით. **დაასახელეთ, რაში.**

3. ცნობილმა ამერიკელმა მეწარმემ, პულმანმა, რომელიც საკინიგზო ვაგონებს უშვებდა, გადაწყვიტა, ჩიკაგოს ახლოს აეშენებინა ქალაქი, სადაც მისი ქარხნის მუშები და მომსახურე პერსონალი იცხოვრებდნენ. ქალაქის დაპროექტება კი თავისზე არანაკლებ ცნობილ ამერიკელ არქიტექტორს სოლომონ ბიმანს სთხოვა. როდესაც სამუშაო დასრულა, ბიმანმა მოითხოვა, რომ ქალაქისთვის მისი სახელი დაერქმია, თუმცა პულმანს თავისი სახელის დარქმევა უნდოდა. **რა კომპრომისზე წასვლა შესთავაზა მეწარმემ არქიტექტორს, რომ, ამ ქალაქს, რომელიც დღესაც არსებობს, პულმანი ჰქვია.**

4. ამერიკულ ავიალაინერებზე პირველი სტიუარდესები 1830 წელს გამოჩნდნენ. სპეციალურ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილი იყო მათი მოვალეობები, მათ შორის: ყურადღება მიექციათ მგზავრებისთვის, გაეფრთხილებინათ, რომ სიგარეტის ნამწვი ფანჯრიდან არ გადაეყარათ, ან, თუნდაც, მიეცილებინათ ისინი ტუალეტებამდე. **რატომ?**

5. 1620 წელს ამერიკაში პირველი მუდმივი ინგლისური კოლონია დაფუძნდა. მკაცრი ზამთრის შემდეგ, რომელიც კოლონიამ თითქმის დანაკარგის გარეშე გადაიტანა და მომდევნო წელს დიდი მოსავალიც აიღო გუბერნატორმა უილიამ ბრედფორდმა დააარსა დღესასწაული, რომელსაც „მოსავლის ზეიმსაც" ეძახიან, რადგან, მისი სიმბოლო, ისევე, როგორც სიუხვის, არის რქა. **რა ჰქვია ამ დღესასწაულს?**

6. ყველას გვინახავს სასმელ და საკვებ პროდუქტებზე შტრიხკოდი, სხვადასხვა სიმბოლო; მაგალითად, R წრეში – დარეგისტრირებულ სავაჭრო მარკას აღნიშნავს. **რას ნიშნავს წრეში ჩასმული ასო K, რომელიც გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვისაა განკუთვნილი?**

7. ეს მუსიკალური ნაწარმოები გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწერა და კრიტიკოსების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მას მონოტონურად და მოსაწყენად მომუშავე მანქანას ადარებდნენ და უარყოფდნენ ხელოვნებასთან მის კავშირს. მხოლოდ 70-იან წლებში გახდა ის პოპულარული, მას შემდეგ, რაც ის გაჟღერდა ბლეიკ ედვარდსის ფილმში – „10." ახლა ის მუსიკალურ კლასიკას მიეკუთვნება. **რომელია ეს მუსიკალური ნაწარმოები?**

8. პერიოდულ სისტემაში ქიმიური ელემენტების აღსანიშნავად ლათინური ანბანის თითქმის ყველა ასოა გამოყენებული, ორის გარდა. **დაასახელეთ ეს ასოები.**

9. გასულ საუკუნეში სამხრეთ ამერიკის ქვანახშირის ერთ-ერთ მაღაროში ვაგონების მოძრაობა ხშირად ფერხდებოდა რელსებზე დაყრილი ქვებითა და ქანის ნამტვრევებით. ეს სიტუაცია რომ გამოესწორებინათ, გაუნათლებელი ადგილობრივი მეშახტეებისთვის თვალსაჩინო ადგილზე გამოფინეს პლაკატები, სადაც მიუთითებდნენ, რომ ქვები რელსებიდან აეღოთ, თუმცა, ამის შემდეგ რელსებზე ქვების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. **რატომ?**

10. ფიზიკოსს, საბჭოთა ატომური ბომბის ერთ-ერთ შემქმნელს, კურჩატოვს, ამ პროექტზე მუშაობის დროს ბერიამ სასტიკად აუკრძალა თვითმფრინავით მგზავრობა. **რატომ?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# რეკორდები მსოფლიო ისტორიაში

* პლუტარქეს გადმოცემით, ძველ რომში დიდ პატივს მიაგებდნენ ქალებს: მათ ყველა გზას უთმობდა; არ უნდა წარმოეთქვათ უწმაწური სიტყვები ქალის თანდასწრებით; არ შეიძლებოდა ქალის მიცემა სამართალში მკვლელობის ბრალდებით.

* იაპონელები ქალიშვილებს გათხოვებისას კბილებს შავად ულებავდნენ და წარბებს ჰპარსავდნენ.

* იაპონიაში ერთ დროს თითქმის არ იყვნენ გაუთხოვარი ქალები: თუ ქალი თავისით არ გათხოვდებოდა, მას საქმროს მთავრობა შეურჩევდა. ქალს კი უფლება არ ჰქონდა, უარი ეთქვა ამ არჩევანზე.

* მეტად იოლი იყო განქორწინება ბედუინებში. ქმარი შესვამდა ცოლს ფაშატ აქლემზე და ეტყოდა: „შენ ჩემი ცოლი აღარ ხარ" – და გაისტუმრებდა მშობლებთან. 40 დღის შემდეგ ქალს უფლება ჰქონდა, სხვაზე გათხოვილიყო.

* სპარსეთში კანონი ქალს უფრო სასტიკად სჯიდა, ვიდრე კაცს. სასამართლოში ორი ქალის ჩვენება ერთი კაცის ჩვენებას უდრიდა. უცხო კაცს თუ ქალთან საუბარში წაასწრებდნენ, 6 თვით აპატიმრებდნენ.

* ნორვეგიაში ასეთი კანონი იყო: თუ ქალიშვილმა არ იცოდა ქსოვა, კერვა, რეცხვა და საქმლის მომზადება, არ ჰქონდა გათხოვების უფლება.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh8-h4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



მარო სიძეზეა გაბრაზებული:

– ვერ გამიგია რისთვის უყვარხარ ჩემს შვილს?



სიძე: გაჩვენო?

***

– კლაუსტროფობია – ეს ჩაკეტილი სივრცის შიშია...

– ჰო, გავიგე, ჯო, მაგალითად, „პივა“ რო მამინდება და მეშინია, მაღაზია დაკეტილი არ დამხვდეს...

***

– კისერში ნაზი კოცნა – ეს ხომ საოცარი სითბოს გამოხატულება და შეგრძნებაა... ვერ გამიგია მეტროში ხალხი ასე ტრაგიკულად რატომ აღიქვამენ და გამოხატავენ...

***

– საყვარელო, მე მგონი, კარბურატორში წყალი ჩავიდა...

– აუ, რა ჭკვიანები ვართ, მანქანებში ვერკვევით... საერთოდ, იცი, სად არის კარბურატორი?

– მანქანაში.

– ყოჩაღ. მანქანა?

– მდინარეში...

***

ბავშვებმა სკოლაში სამი გოჭი გაუშვეს, დანომრილები: 1, 2 და 4... მანდატურები, მთელი პედაგოგიური კოლექტივი, დირექტორის ჩათვლით, ერთი კვირა ეძებდნენ მესამე გოჭს...

***

– მუშაობა დავიწყე... ლანდშაფტის დიზაინერად...

– აუ, მაგარია! კომპიუტერით ხაზავ და რამე...

– არა, ბულდოზერით...

***

– ბორტი 105 ვარ, ვითხოვ დისპეტჩერს! საწვავი გათავდა... ვვარდებით!

– რა გაყვირებს? პრობლემა არ არის რეისიდან ამოგშლით...

***

– მამა მიყიდე „გალაქსი“...

– რაღაც ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ხომ არ ითხოვ საჩუქრებს?

– ეკა...

– რა ეკა? ეგ რაღას ნიშნავს?

– შენი საყვარლის სახელს...

– ჰო, დღესვე გინდა?

***

ტიპმა ოქროს თევზი დაიჭირა.

– მინდა პატარა ქარხანა, სახლი და მანქანა.

– კარგი, ამოირჩიე – კრედიტით თუ ლიზინგით.

– კარგი, შენც ამოირჩიე – ტაფაზე ზეთში თუ ქვაბში მარილწყალში...

***

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს ალკოჰოლის მავნებლობაზე და თვალსაჩინოებისთვის – ერთ ჭიქაში ჩაასხა წყალი, მეორეში – არაყი და თითოეულში თითო ჭია ჩააგდო. წყლიან ჭიქაში ჭია ცოცხალია, არყიანში – მოკვდა.



– აბა, ბავშვებო, რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ.

– თუ დავლევთ არაყს, ჭიები აღარ გვეყოლება...

***

– აი, ჩვენ დღეს შევისწავლით ზმნის უღლებას... მაგალითად, სანდრო, თუ შენ მღერი, როგორ იტყვი ამას?

– მე ვმღერი.

– სწორია. და თუ შენი და მღერის?

– ხმა ჩაიკმინდე, გოგო!

***

ამბიცია – როდესაც მიდიხარ გამოცდაზე და შიშობ, რომ ჩაიჭრები, გიწერენ 6-იანს და ბრაზობ, რატომ 10-იანს არა!

***

კინოთეატრში ქალი გვერდით მჯდომ მამაკაცს საყვედურით მიმართავს:

– ახლავე აიღეთ ხელი ჩემი ფეხიდან... ვითვლი ხუთ...იათასამდე...

***

– რატომ გაჩუმდი?

– სიტყვებს ვეძებ... ცენზურულს...

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

მიხეილ ამილახვარმა ყირიმის ომის დაწყების დროს მშობლებს უთხრა:

– დედავ, ინგლისელები მოდიან, იმათი ენა უნდა ვისწავლოო.

– რატომ აქამდე არ ისწავლე, შვილო, თუ ასე გინდოდა?

– აბა, რა ვიცოდი, რომ ისინი მოვიდოდნენ.

– რუსები რომ აქ იყვნენ, ხომ იცოდი, რუსული რატომ არ ისწავლე თუ ასე მარჯვე იყავიო, – მიუგო გულნაკლულმა მშობელმა.

***

ერთი რუსი მოხელე, რომელიც ვორონცოვის დროს კავკასიაში მსახურობდა, ათი წლის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა თბილისში. დიდი ზამთარი იყო, მთელი ორი კვირა გზა კავკასიის მთებზე თოვლს შეეკრა და რუსეთის ფოსტა ვერ გადმოდიოდა.

– მე, – თქვა თურმე მოხელემ, – ვარანცოვის დროს ვმსახურობდი აქ და კარგად ვიცოდი აქაურობაო. ახლა ჩამოვედი ხელმეორედ და, ჩემდა სასიხარულოდ, ვერც კი მიცვნია ქვეყანა, კავკასია შორს წასულა, ძლიერ შორსაო...

– მართალია, ისე შორს, რომ ორი კვირაა, ფოსტა მოსდევს და ვერ მოსწევიაო, – უთხრა თურმე პასუხად გენერალმა ედლინსკიმ.

***

ერთხელ ტანმორჩილი კაცი ამბობდა ერთ ტანმაღალ კაცზე: ისეთს გულზე მომიყვანა, რომ კინაღამ გავარტყიო... და თუ არ გავარტყი, მარტო იმისთვის, რომ...

– ახლო სკამი არ იყო, რომ ზედ შემდგარიყავიო, – დაუმატა აკაკიმ.

***

მწერალ იონა მეუნარგიას აკაკი გულწრფელად დიდ პატივს სცემდა, მაგრამ რადგან გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეგობარი იყო ხშირად ხდებოდა მისი ოხუნჯობის საგანი.



– იონა ჩამოსულა ქალაქში, – უთხრა დავით ერისთავმა აკაკის.

– რომელ გენერალს ჩამოჰყვა, თუ იციო, – იკითხა აკაკიმ.

# კეკლუცი აფთიაქარი და ბოთლში გახსნილი „სიმილაკი“

**„ბეზმინუტ“ მკვდარი**

ბრიგადით მივდივართ საგასტროლოდ – „იაო, უაო, იაო, უაო, საგასტროლოდ მივდივართ“...

თბილისში, ჩვენი (მარჯანიშვილის) თეატრის გასწვრივ კერძო აფთიაქი იყო მაშინ, ერთადერთი სიახლე.

ჩვენს უსაყვარლეს კოლეგას, სოსო გოგიჩაიშვილს ვუთხარი, რა ვიცი, კაცო, იქნება თუ არა რაიონში წამლები, მოდი, აქვე ვიყიდოთ, მოვიმარაგოთ-მეთქი.

დაუჯდა ჭკუაში და წამომყვა.

აფთიაქარი, ასე, ჩემი ხნის, საკმაოდ შემონახული ქალია.

– რას inebებთ? – გვეკითხება კეკლუცი ღიმილით და ჩაწერას იწყებს.

– პაპავერინი, დიბაზოლი, ნაფტიზინი, ანალგინი, ასპირინი, ადელფანი, კლოფელინი, ანტიტრაწინი...

– რა?! – „დატორმუზდა“ ქალი.

– ანტიტრ... ბოდიში, ფალარათის ტაბლეტები.

– გადარჩით... – წაიკეკლუცა ქალმა, – კიდევ?

– სტრეპტოციდი, იოდი, ბინტი... ბამ...

– გამხსნელი არ დაგავიწყდეთ, გამხსნელი!

– რა ბრძანეთ?

– შარდმდენი, – „შემოვიდა თამაშში.“

– რამმდენი?

– ეს ისე... – ისევ გაიკეკლუცა ქალმა, – კიდევ?

– კიდევ... მამალო კანფეტი თუ გაქვთ? (ვის აშაყირებს ეს?“)

– რა?!

– მამალო კანფეტი, ჯოხზე როა წამოცმული... ყიყ... ყიყლიყო!

ამის თქმა და, სოსო ისე გადაფიჩინდა, კინაღამ საოპერაციო გახდა.

– არა, ეგ არ გვაქვს, ანტიბიოტიკურია.

– კარგი, რაც შეგიკვეთეთ, შემიხვიეთ ახლა სუფთა ქაღალდში.

ქალმა ათი წუთი იფუსფუსა და კოხტად გამოფსკვნილი ცელოფანი მომაწოდა – აქაა, ბატონო, ყველაფერიო.

გამოვედით გარეთ მე და სოსო.

– იცი, რა მკითხა იმ ქალმა? – მეუბნება სოსო.

– რა?

– რა და, მაგი კაცი ვინაა შენიო...

– შენ რაფერი პასუხი მოუმარჯვე?




– მე ვუთხარი, – აი კოტეა, თოლორაია, არ იცნობ, შე აბდალა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია-თქვა.

– მერე, რაო იმან?

– მსახიობი კი არა, „ბეზმინუტ“ მკვდარია მაგი – რაც მაგან წამლები წეილო, მთელი თბილისის წყალმომარაგება არ ეყოფა, რა თქმა უნდა, ტაბლეტკებს წყალი თუ მიაყოლაო...

**ტყუპების დედა**

ნათესავი მყავს – ქალობითი სქესის. ისიც მსახიობია – სხვათა შორის. საბედნიეროდ და ქართველი ერის გასახარად, ტყუპი ვაჟი შეეძინა. „ვბალელშიკობდი“ და ყოველდღე ვაკითხავდი – ახალმომშობიარებულ ქალს დიდი ყურადღება სჭირდება.

არადა, როგორია, ორი ვაჟკაცი რომ მიადგება ერთ დედას ძუძუებზე.

კარგი, ბატონო...

მივადექი ერთ საღამოს და აჭმევს ეს ჩემი ნათესავი ბაღნებს „სიმილაკს“ (ბავშვების რძის ფხვნილია).

– რამე ხომ არ გჭირდება, გოგო? – ვეკითხები.

– არა, ჯერ არა, – განამანიაშია დედა.

მისცემს ბოთლში გახსნილ „სიმილაკს“ ბავშვებს, ისინიც თქვლეფენ, ბოყვერები... მიხარია... დროდადრო ვარდისფერ ფუნჩულა ხელებს მაინცდამაინც ჩართული ტელევიზორისკენ იშვერენ. ჯიუტობენ ბავშვები, „სიმილაკი“ არ ევასებათ, – გადმოატრიალებენ ულამაზეს, ანკარა თვალებს და მიშტერებიან ტელევიზორს.

– უნდა გამოვრთოთ ტელევიზორი – ჩემი უზარმაზრად რაციონალური წინადადება წარმოვთქვი ჩემდა მოულოდნელად.

– რატომ, რაშია საქმე? – იკითხა დედამ.

– რომ გამორთავ, მერე შეჭამენ, ბატონო!

– თქვენ კი ბრძანდებით ჭკვიანი კაცი, ბატონო კოტე, მაგრამ, ის საიდან იცით, რომ, ტელევიზორს თუ გამოვრთავ, ბავშვები „სოსკას“ მიუბრუნდებიან? – მეკითხება დაპანიკებული დედა.

– რა ცოდნა უნდა, უბრალო ლოგიკაა. ტელევიზორში სულ ძუძუებს აჩვენებენ და, რომ გამორთავ და აღარ დაინახავენ, მოუბრუნდებიან „სიმილაკს“, აბა, სხვა რა გზა ექნებათ?!

არა, ტყუილი ვთქვი?

... ახლა ის „ჩემი მეთოდით“ დაზრდილი ბიჭები გამოჩენილი ბიზნესმენები არიან და, იარონ, იარონ, იარონ!..

ამინ!

**მსახიობ კოტე თოლორაიას ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

---

(74-ე გვერდიდან)

აც აზიის სხვადასხვა ქვეყანაში აქვს ფილიალები. ზოგადად აზიურ ბაზარზე მინდა გითხრათ, რომ დღესდღეობით ეს არის ახალი მოდის ეპიცენტრი. ეს არის ადგილი, სადაც იქმნება მოდა – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ცნობილი ბრენდების უმრავლესობა სწორედ ჩინეთში და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებს ტანსაცმელს და აქ იწყება ამ ბრენდების პოპულარიზაცია და პრომოუშენიც. მე ძალიან ბევრი და საინტერესო სამუშაო მქონდა: კატალოგების გადაღება, ჩვენებები, გადაღება ჟურნალებისთვის, გამოფენები. პირადად მე ყველანაირი სამუშაო მომწონს, რადგან, განსხვავებულ გამოცდილებას ვიღებ და, ჯერ იმ ეტაპზე ვარ, რომ ყველაფერი მაინტერესებს და სიამოვნებით ვაკეთებ ამ საქმეს. ძალიან კმაყოფილი ვარ როგორც მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით, აგრეთვე, ანაზღაურებით და პირობებით.

**– გყავს შეყვარებული?**

– თაყვანისმცემლები კი მყავს, მაგრამ, მათთვის ნაკლებად მცალია, ეს, ალბათ, სამომავლო თემა უფრო იქნება. ამ ეტაპზე ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზანია პროფესიული ზრდა და სწავლის შეთავსება ჩემს ძირითად საქმიანობასთან – მოდელობასთან. წინასწარ არასდროს ვგეგმავ, როგორი ბიჭი უნდა მომეწონოს, მთავარია, კარგი ადამიანი იყოს და ქალის პატივისცემა იცოდეს ნებისმიერ სიტუაციაში.

# ვისი კოლექციის სახე გახდა ანასტასია იგონინა და სად უწევდნენ მას მსოფლიოს ცნობილი ტოპ-მოდელები მენტორობას

**– მომიყევი როგორც მოდელობის, ასევე, სწავლის და პირადი ცხოვრების შესახებ – რას აპირებ მომავალში?**

– ვცდილობ, სწავლა შევუთავსო ჩემს კარიერას და დიდ აქცენტს ვაკეთებ უცხო ენის მიმართულებით. რაც შეეხება ჩემს კარიერას, სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ მიერ უკვე დაგეგმილი მაქვს მოგზაურობა: ჯერ ტაილანდში მივდივარ, შემდეგ – სინგაპურში. ჩემი ოცნებაა, მოვხვდე იაპონიაში და პარიზში და, დარწმუნებული ვარ, ესეც მალე მოხდება.

**– 13 სექტემბერს „თბილისი მოლში“ „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2014-ის“ ნაციონალური ქასთინგი იგეგმება, სადაც შენ, ქალბატონ ია კიწმარიშვილთან ერთად, შესარჩევი ჟიურის წევრი იქნები.**

– ბედნიერი ვარ, რომ დროულად გადავდგი პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ, მივიღე მონაწილეობა კონკურსში და, ახლა შემიძლია, ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვაჩვენო მომავალ თაობას თუ როგორ შეიძლება ერთმა პატარა გოგონამ, პატარა ბათუმიდან მიაღწიოს დიდ წარმატებას მსოფლიო მოდის დიდი ქალაქებში. ყველა გოგონას და ვაჟს, ვისაც აქვს სურვილი, ბედი სცადოს სამოდელო სფეროში, ვურჩევ, ნუ დაკარგავენ დროს, მიიღონ მონაწილეობა ამ ერთადერთ პროფესიულ საერთაშორისო სამოდელო კონკურსში, რადგან, ამ დარგში ასაკი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამოდელო სფერო ძალიან გაახალგაზრდავებულია – მოდელები უკვე 14 წლის ასაკში დგამენ პირველ ნაბიჯებს იმისთვის, რომ 16 წლის ასაკში უკვე მყარი ნაბიჯებით თამამად იარონ მსოფლიო მოდის პოდიუმებზე. მე უკვე გავაკეთე ჩემი პროფესიული არჩევანი და ახლა თქვენი ჯერია. წარმატებებს ვურვებ ყველა მსურველს და 13 სექტემბერს ველით „თბილისი მოლში,“ „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2014“-ის ეროვნულ ქასთინგზე.

**ნათია უტიაშვილი**

**როგორც ჩანს, იუმორი ჯოხაძეების საგვარეულო ნიჭია. ანრის „ხუმრობები“ ყველამ კარგად ვიცით; ცნობილია დედის, რუსუდან ჩხაიძის იუმორიც, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მაგდა ჯოხაძე არც ერთს არ ჩამოუვარდება. მასთან ინტერვიუ „ზინგერის“ საკერავი მანქანისა და „ბელას“ საფირმო ტორტის თანხლებით ჩავწერე. ინტერვიუს ბოლოს, ღამის 2 საათზე, მისი სამი მეგობარი 80 ხინკლით შემოგვიერთდა.**

# როდის არ უნდა დაემსგავსოს ქალი გაქცეულ ქათამს, მაგდა ჯოხაძის აზრით და რატომ არ ტოვებს მას ბედნიერების შეგრძნება

**– შენს დანახვაზე ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“ გამახსენდა – მაყვალა სამკერვალო ფაბრიკიდან.**

– კერვა ჩემი ჰობია. ცოტა ხანში ჩემი მეგობრები მოვლენ, ხინკლებს მოიტანენ და მერე ყარაულაშვილი ქეთოც გაგახსენდება.

**– ინტერვიუში როგორი იმიჯი გინდა შეგიქმნა – ჭრა-კერვის კურსდამთავრებული ბაბუცაანთ მაყვალა თუ კონსერვატორიის სტუდენტი ეკატერინე ბერიძე?**

– რა პრობლემაა, ნებისმიერ თემაზე შეგვიძლია ვისაუბროთ. ისე გააკეთე, როგორც შენ და შენს საქმეს გაწყობთ.

**– ჩემს საქმეს ჰაეროვანი ქალი-რესპონდენტი სჭირდება.**

– მთლად გედის ბუმბულად ნუ მაქცევ და დანარჩენი – კი ბატონო *(იცინის).*

**– არ გიყვარს გედის ბუმბულის ბალიშზე ძილი?**

– ყველას რომ უყვარს და უნდა მასზე ძილი, სწორედ მაგ კონტექსტში ვიგულისხმე.

**– ქალებიც ხომ იქით მიილტვით, რომ ყველასთვის სასურველები იყოთ?**

– სასურველი უნდა იყო, ოღონდ, მთლად გაქცეულ ქათამს არ უნდა დაემსგავსო – მამალს რომ გაურბის და თან ფიქრობს, ნეტავი, სწრაფად ხომ არ გავრბივარო.

**– ყველაზე მეტად როდის აქვს ქალს სიმსუბუქის შეგრძნება?**

– როცა ზევიდან არ აწვებიან *(იცინის).* ბედნიერების შეგრძნება არასდროს მტოვებს, არ აქვს მნიშვნელობა, რითია ეს გამოწვეული – მამაკაცისგან მიღებული ქათინაურით თუ გემრიელი კერძის მომზადებით, როცა კიდევ ერთი ულუფის დამატებას გთხოვენ.

**– გურმანი ხარ?**

– მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, გურმანიც ვარ და, უფრო მეტად მიყვარს, როცა ჩემს ნახელავს მიირთმევენ.

**– სახლში ორი დიასახლისი ხართ – ქალბატონი რუსიკო და შენ. სამზარეულოში ერთმანეთს ხელს არ უშლით?**

– შესწორება: დიასახლისი დედაჩემია, მე კი – დროებით შემოკედლებული მზარეული *(იცინის).* რამდენიმე კვირაა, დედა სახლში არ არის და, შესაბამისად, მის მაგივრად მე მიწევს ყველაფრის კეთება, მაგრამ, როცა ის სახლშია, ფეხი-ფეხზე გადადებული ვზივარ.

**– თუმცა, შვილების მოვლა მთლიანად საკუთარ თავზე გაქვს აღებული.**

– რა თქმა უნდა, შვილები ჩემი სუსტი წერტილია. ჩემი თვალსაწიერი მხოლოდ მათ გარშემო ტრიალებს და, მადლობელი ვარ, რომ ასეთი კარგები მყვანან. დამოუკიდებლები არიან, თუმცა, ჩემს აზრს ყოველთვის ითვალისწინებენ. არ ვარ მომხრე, შვილები კაბის კალთაზე ჰყავდეს მშობელს გამოკერებული 65 წლამდე. მათ ცხოვრებაში თავიანთი არჩევანი აქვთ. მე პატივს ვცვემ მათ არჩევანს. თუ ცხოვრებაში რომელიმე რამე საკითხში შეფერხდება, იციან, რომ დედა გვერდში ჰყავთ. ისე, სერიოზულობა იქით იყოს და, აწი ისინი აქეთ თუ მომივლიან. მარიამ ხარაძე უკვე მესამე კურსზეა, ჟურნალისტიკას ეუფლება და მალე შენი კონკურენტი კოლეგა იქნება; ბიჭს რაც შეეხება, გიორგის თეატრალურში უნდოდა ჩაბარება, მაგრამ, მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა და მომავალ წელს აპირებს, ისევ სცადოს ბედი.

**– ამ დროს ბიძა რას უკეთებს?**

– ანრის იმედი ჩემს არც ერთ შვილს არ უნდა ჰქონდეს, ორივემ თავისით უნდა მიაღწიოს წარმატებას პროფესიაში, როგორც ეს ჩვენ მოვახერხეთ და, მით უმეტეს – ანრიმ. მაგ საკითხზე გიორგიმ ოჯახი კატეგორიულად გაგვაფრთხილა, რომ არ ჩავრეულიყავით. ახლა აღარ არის ის დრო, ვიღაცეები რაღაცეების ხარჯზე სადღაც რომ ხვდებოდნენ. ნაგვის ურნის სწორად აღებას და დაცლასაც კი სწავლა სჭირდება.



არ მიყვარს მამაკაცები, რომლებსაც მე ვმართავ; არ მიყვარს, როცა ყველაფერში მემორჩილებიან და ჩემზე არიან დამოკიდებულები

**– შესაძლოა, ბოლომდე ვერ დაგეთანხმო, მაგრამ, უპრიანი იქნება, ახლა თუ გკითხა: თავად რა განათლება გაქვს მიღებული?**

– პროფესიით ვოკალისტი გახლავართ. მყავს მოსწავლეები, ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს და ამით ბედნიერი ვარ.

**– შენ პროექტ „ერთი-ერთში“ ვოკალის ერთ-ერთი პედაგოგი იყავი. რას ფიქრობ ამ პროექტის შესახებ?**

– ძალიან კარგი პროექტია, პირველივე სეზონიდან კარგი რეიტინგი აჩვენა. მე და ეფრემ შანელი პირველი სეზონის ვოკალის პედაგოგები გახლდით. აღარაფერს ვამბობ ვიჟაზისტებზე და იმ ძვირფას მომღერლებსა და მსახიობებზე, რომლებითაც იყო დაკომპლექტებული პირველი სეზონი. გადაცემა ტიტანურ შრომას მოითხოვს, სცენის მუშით დაწყებული, რეჟისორით დამთავრებული.

**– საერთაშორისო საბავშვო კონკურსს მართლა აკეთებ?**

– არა, ეს ჯერ იდეის დონეზეა და, არ ვიცი, რა გამოვა; თანაც მე მხოლოდ მუსიკალური ხელმძღვანელი ვიქნები. ერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ, თუ ფესტივალი შედგა, იმით იქნება განსხვავებული, რომ ყველა მონაწილისთვის სავალდებულო იქნება ერთი ქართული სიმღერის შესრულება.

**– აბსოლუტური სმენა და შესანიშნავი ვოკალი გაქვს. როგორც წესი, ჩვენთან კატებსაც კი უჩნდებათ მარტის თვეში მომღერლობაზე პრეტენზია და „ყვავი ჩხიკვის მამიდას“ გამონახავენ ხოლმე, რომ ვინმეს დახმარებით სცენაზე დადგნენ. შენ რატომ არ იყენებ შანსს?**

– მე მაქვს ჩემი საქმე, რაც ძალიან მომწონს და მსიამოვნებს. მომღერალი აპლოდისმენტებით იღებს სიამოვნებას, პედაგოგი კი – მისი შედეგით. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩემი ოცნება საოპერო სცენაზე გამოსვლა იყო, მაგრამ, მიზეზთა გამო, იმ დროს იმ ადგილას ვერ აღმოვჩნდი, შესაბამისად, ესტრადა ჩემს ინტერესებში არასოდეს შედიოდა. რამდენჯერაც დასჭირდა ანრის პარტნიორი, იმდენჯერ გვერდში დავუდექი. ჩვენ დუეტების საერთაშორისო კონკურსზეც ვიყავით წასულები; რამდენიმე კონცერტზეც გვიმღერია დუეტში; „ევროვიზიაზე” მის ბექვოკალშიც ვიდექი, მაგრამ, ეს მისთვის გავაკეთე და არა საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

**– მმართველი ქალი ხარ?**

– ზოგჯერ საკუთარ ემოციებსაც ვერ ვმართავ, არათუ ვინმე ვმართო. მანქანის მართვასაც ახლა ვსწავლობ. რაც შეეხება მამაკაცებს, თუ ეს იგულისხმე, არ მიყვარს მამაკაცები, რომლებსაც მე ვმართავ; არ მიყვარს, როცა ყველაფერში მემორჩილებიან და ჩემზე არიან დამოკიდებულები. კაცს თავისი აზრი უნდა გააჩნდეს შინაგანად. აუცილებლად უნდა იყოს იმ მანდილოსანზე ძლიერი, ვისაც გვერდს უმშვენებს; რაღაც საკითხებში დამოუკიდებელი და პრინციპული უნდა იყოს, მაგრამ, პატივს უნდა სცემდეს არა მარტო ქალის, არამედ, ზოგადად, ადამიანების აზრს; თეთრზე თეთრს უნდა ამბობდეს, შავზე – შავს და, საერთოდ, არ მხიბლავს მამაკაცის ყავარჯენი ვიყო.

**– გაქვს თუ არა რამე ფობია?**

– ფრინველების შიში მაქვს, კოშმარები მემართება.

**– იმედგაცრუებული ხარ თუ შეყვარებული?**

– შეყვარებული, რადგან, მიყვარს სიცოცხლე; ვცდილობ, იმედი არაფერში გამიცრუვდეს. ბანალურია, მაგრამ, ყველაფერს ხომ თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს, არც მე ვარ გამონაკლისი და რაღაც ჩემთვისაც დამთავრებულია, სამწუხაროდ ან საბედნიეროდ. ძირითადად, ადამიანებს დასასრული გვაშინებს და იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, ღამეს მზიანი დღე რომ მოსდევს.

**– მძიმე თემების განხილვას, ჯობია, შენი თმის ფერადოვნებაზე მომიყვე – ვინ შეგღება?**

– მყავს ჩემი სტილისტი, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია და იგივე ჩემი ოჯახის წევრია – თამო კობიაშვილი, რომელიც ზრუნავს ჩემი თმის ფერზე და ორი გადარეული ექსპერიმენტებს არ ვერიდებით. რაღაც პერიოდი შავი თმა მქონდა, მერე წითლად შევიღებე, მერე ისევ შავი მომენატრა და აი, შედეგიც. მგონი, ძალიან მიხდება.

**– ისე, სულ მიკვირს, როგორ უძლებთ ოჯახის წევრები ანრის ასეთი გიჟური ცხოვრების რიტმს.**

– იმიტომ, რომ მთელი ოჯახი გიჟურად ვცხოვრობთ. მუსიკა ჩვენი სიგიჟეა და, შესაბამისად, სიგიჟეა ჩვენი ცხოვრების სტილიც.

**– ყველა სიკეთესთან ერთად, საკუთარ საძინებელში გააკეთე სტუდია. მთელი ღამე იმხელა დინამიკების ბრაგაბრუგი დისკომფორტს არ გიქმნის?**

– დისკომფორტს სიჩუმე მიქმნის. იმ დღეს, გამთენიისას, სიჩუმემ გამაღვიძა და შეშინებული წამოვხტი *(იცინის).*

**ბესო მახარაშვილი**



გვ. 14

ვინ არის საქართველოში „სასწრაფოს“ ერთადერთი ქალი-მძღოლი და რატომ უწოდებენ მის ბრიგადას „ჩარლის ანგელოზებს“

როდის არ უნდა დაემსგავსოს ქალი გაქცეულ ქათამს, მაგდა ჟოხაძის აზრით და რატომ არ ტოვებს მას ბედნიერების შეგრძნება

გვ. 87





გვ. 18

რა სერიოზულ შეხვედრებზე იმყოფებოდა გერმანიაში მარიამ ჩაჩხიანი და რა ბედი ეწია მის გოგონების კვარტეტ „პომადას“


საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილ… შიგ ჩასმული …ში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 8 – 14 სექტემბერი * ფასი 1,50 ლარი * №36 (715)